

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს  
განჩინებათა და გადაწყვეტილებათა კრებული  
საქართველოს საქმეებზე

2018-2019 წლები

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
ანალიტიკური განყოფილება  
ადამიანის უფლებათა ცენტრი

თბილისი

2019

**European Court of Human Rights**  
**Judgments and Decisions against Georgia**

**2018-2019 years**

**The Supreme Court of Georgia**

**Analytical Department**

**Human Rights Centre**

**Tbilisi**

**2019**



კრებულის რედაქტორი

**მარინე კვაჭაძე**

სამართლის დოქტორი, პროფესორი  
ანალიტიკური განყოფილების უფროსი

კრებული შეადგინეს და დაამუშავეს:

**ეკა მამალაძემ**

ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის  
მთავარი კონსულტანტი

**გულიკო მჭედლიშვილმა**

ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის  
უფროსი კონსულტანტი

**ნიკო დათეშიძემ**

ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის  
კონსულტანტი

ტექნიკური რედაქტორი და ყდის დიზაინი

**მარიკა მაღალაშვილი**



Editor

The Head of Analytical Department

**Prof. Dr. Marina Kvachadze**

The Collection was translated and elaborated by:

Chief Consultant of Human Rights Centre,  
Analytical Department of the Supreme Court of Georgia

**Eka Mamaladze**

Senior Consultant of Human Rights Centre,  
Analytical Department of the Supreme Court of Georgia

**Guliko Mchedlishvili**

Consultant of Human Rights Centre,  
Analytical Department of the Supreme Court of Georgia

**Niko Dateshidze**

Graphics Editor and Design

**Marika Maghalashvili**

## წინათქმა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის საქმიანობის ფარგლებში მომზადდა კრებული, სადაც თავმოყრილია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2018-2019 წლებში საქართველოს წინააღმდეგ მიღებული 21 გადაწყვეტილება და 2 განჩინება.<sup>1</sup>

აღსანიშნავია, რომ კრებულში მოცემული საქმეებისა და მათი სამართლებრივი შეჯამებების თარგმანი უზრუნველყოფილია ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ 2019 წლის 5 ნოემბრის მდგომარეობით. კრებულის მიზანია მკითხველს გააცნოს საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებები, რაც შესაძლებლობას იძლევა, განისაზღვროს საქართველოსთვის აქტუალური სამართლებრივი საკითხები ადამიანის უფლებების კუთხით. კრებული საინტერესო იქნება მოსამართლეებისთვის, სასამართლო მოხელეებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებისთვის, ასევე ადამიანის უფლებების საკითხებით დაინტერესებული ყველა პირისათვის.

**მარინე კვაჭაძე**  
ანალიტიკური განყოფილების უფროსი

## Preface

Human Rights Centre of the Analytical Department of the Supreme Court has prepared the collection of the European Court of Human Rights Judgments and Decisions against Georgia, which includes 21 judgments and 2 decisions delivered by the Strasbourg Court in the years 2018-2019.<sup>2</sup>

It is noteworthy, that the judgments and decisions as well as their legal summaries included in the collection are translated by the Human Rights Centre of the Supreme Court of Georgia. The aim of the aforementioned compilation is to introduce the latest practice of the European Court of Human Rights, which enables to establish relevant human rights issues with regards to Georgia. Compilation will be of particular interest for judges and representatives of the judiciary, as well as academics and all other persons interested in human rights issues.


**Marina Kvachadze**  
Head of Analytical Department

---


<sup>1</sup> ამდენად, კრებული არ მოიცავს საქართველოს წინააღმდეგ მიღებულ 2 გადაწყვეტილებას საქმეებზე: ქართველიშვილი საქართველოს წინააღმდეგ და რამიშვილი საქართველოს წინააღმდეგ, ვინაიდან მათი თარგმანი შესრულდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ეროვნული და საერთაშორისო პრაქტიკის განზოგადებისა და სტატისტიკის სამსახურის მიერ.

<sup>2</sup> Therefore, the collection does not include 2 judgments rendered against Georgia, namely: Kartvelishvili v. Georgia and Ramishvili v. Georgia, given that these cases were translated by the relevant department of Tbilisi City Court.

საქართველოს წინააღმდეგ 2018-19 წლის გადაწყვეტილებები კონვენციის მუხლების მიხედვით



საქართველოს წინააღმდეგ 2018-19 წლის გადაწყვეტილებები საქმეზე დარღვევის დადგენის მიხედვით



## სარჩევი

<b>ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2018 წელს საქართველოს წინააღმდეგ მიღებული საქმეები.....</b>	<b>8</b>
ჭოხონელიძე საქართველოს წინააღმდეგ.....	8
სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ.....	18
ბართია საქართველოს წინააღმდეგ.....	22
ჯიშკარიანი საქართველოს წინააღმდეგ.....	31
ილიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (განხილება).....	39
ტუსკია და სხვები საქართველოს წინააღმდეგ.....	45
როსტომაშვილი საქართველოს წინააღმდეგ.....	48
მაისურაძე საქართველოს წინააღმდეგ.....	54
კიკალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ.....	70
<b>ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2019 წელს საქართველოს წინააღმდეგ მიღებული საქმეები.....</b>	<b>89</b>
კეკელიძე საქართველოს წინააღმდეგ.....	89
ბრეგვაძე საქართველოს წინააღმდეგ.....	93
საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (I) [დიდი პალატა] (სამართლიანი დაკმაყოფილება).....	96
გაბლიშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ.....	101
მანუკიანი საქართველოს წინააღმდეგ (განხილება).....	108
კობიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ.....	110
კერესელიძე საქართველოს წინააღმდეგ.....	119
გოგუაძე საქართველოს წინააღმდეგ.....	132
შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2 და სხვები საქართველოს წინააღმდეგ.....	142
ვაზაგაშვილი და შანავა საქართველოს წინააღმდეგ.....	155
გოგალაძე საქართველოს წინააღმდეგ.....	159
სვანიძე საქართველოს წინააღმდეგ.....	165
ბათიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ.....	171

# ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2018 წელს საქართველოს წინააღმდეგ მიღებული საქმეები

## ჭოხონელიძე საქართველოს წინააღმდეგ (Tchokhonelidze v Georgia)

საჩივარი №31536/07

28 ივნისი, 2018

### ფაქტები

მომჩივანი, საქართველოს მოქალაქე – ელდარ ჭოხონელიძე, დაიბადა 1956 წელს და ცხოვრობს სოფელ წერეთელში (მარნეულის რაიონი, საქართველო). ბ-ნი ჭოხონელიძე, მარნეულის რაიონის გუბერნატორის მოადგილე, 2006 წლის ივნისში დამნაშავედ იქნა ცნობილი იმის გამო, რომ მან ბენზინგასამართი სადგურის მშენებლობის ნებართვის მოსაპოვებლად დახმარების გაწევის სანაცვლოდ, ქრთამი მოითხოვა. მომჩივანს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა, თუმცა, 2008 წლის ნოემბერში ვადაზე ადრე გათავისუფლდა.

ბ-ნი ჭოხონელიძე დამნაშავედ ცნეს ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად, მას შემდეგ, რაც ქალბატონმა ქ-მ, რომელსაც მშენებლობის მოპოვების ნებართვის მიღება სურდა, აცნობა პოლიციას, რომ გუბერნატორის მოადგილემ ნებართვის სანაცვლოდ, ქრთამის სახით 30 000 დოლარის გადახდა მოთხოვა. პოლიციამ მათი მომდევნო შეხვედრების გადასაღებად და სატელეფონო საუბრების ჩასაწერად მოითხოვა სასამართლო ნებართვა. საბოლოოდ, ბ-ნი ჭოხონელიძე 2005 წელს დააკავეს, როდესაც ქ-მა ქ-მ მას ფული გადასცა წინასწარ მარკირებული ბანკნოტების სახით.

სამართალწარმოების დროს და, აგრეთვე, სააპელაციო საჩივარში ბ-ნი ჭოხონელიძე დავობდა, რომ იგი ქ-მა ქ-მ მახეში გააბა. ის აცხადებდა, რომ ქ. ფარული აგენტი იყო და სასამართლოს სთხოვდა დამატებითი მოწმის – კიდევ ერთი ფარული აგენტის გამოძახებას.

სასამართლომ უპასუხოდ დატოვა ბ-ნი ჭოხონელიძის განცხადება დანაშაულის პროვოკაციის თაობაზე. სასამართლოები ეცადნენ, თუმცა, ვერ გამოიძახეს დამატებითი მოწმე, ვინაიდან ვერ შეძლეს მისი ადგილსამყოფელის დადგენა.



## სამართალი

### I. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის საგარეულო დარღვევა

40. მომჩივანი დავობდა, რომ მის წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენი ქრთამთან დაკავშირებული დანაშაულის თაობაზე იყო უსამართლო, რადგან ერთი მხრივ, ის დადასტურებული იყო პოლიციის მიერ დანაშაულის პროვოცირების გზით მოპოვებული მტკიცებულებებით და, მეორე მხრივ, ეროვნულმა სასამართლოებმა დანაშაულის პროვოკაციასთან დაკავშირებული მომჩივნის არგუმენტი სათანადოდ არ განიხილეს. მომჩივანი ეყრდნობოდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პარაგრაფს, რომლის მიხედვითაც:

„ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების გამორკვევისას ... ყველას აქვს ... მისი საქმის სამართლიანი ... განხილვის უფლება ... სასამართლოს მიერ...“

### მისაღებობა<sup>3</sup>

41. სასამართლო აცხადებს, რომ აღნიშნული საჩივარი არ არის დაუსაბუთებული კონვენციის 35 §3 (ა) მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში. როგორც სასამართლო შემდეგში განმარტავს, ის არ არის დაუშვებელი სხვა რაიმე საფუძველით. შესაბამისად, ის უნდა გამოცხადდეს მისაღებად.

### საქმის არსებითი გარემოებები

#### 1. მხარეთა არგუმენტები

42. მთავრობამ განაცხადა, რომ ადგილი არ ჰქონია მომჩივნის მიმართ დანაშაულის პროვოცირებას და საქმის გამოძიებისას, სამართალდამცავი ორგანოები მოქმედებდნენ არსებითად პასიურად. ამასთან დაკავშირებით მთავრობა ამტკიცებდა, რომ ქნი ქ, რომელმაც გამოიჩინა მომჩივანთან დაკავშირების ინიციატივა, იყო რიგითი კერძო პირი, რომელმაც სამართალდამცავ ორგანოებს მომჩივანთან მიმართებით ეჭვის შესახებ აცნობა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა მისგან ქრთამი მოითხოვა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამართალდამცავ ორგანოებს არ მოუხდენიათ დანაშაულის პროვოცირება, არამედ „შეუერთდნენ“ დანაშაულებრივი ქმედების გამოვლენას ქნი ქ-სთვის ნებართვის მიცემისა და აღჭურვის გზით, რათა ამ უკანასკნელს განეხორციელებინა ფარული მიყურადება. გამოძიების ეტაპზე

<sup>3</sup> აღნიშნული ტერმინი დადგენილია იუსტიციის სამინისტროსა და უზენაესი სასამართლოს ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში და გულისხმობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მის წინაშე წარდგენილი საჩივრის დასაშვებობის შემოწმებას (ავტ. შენ).

სამართალდამცავმა ორგანოებმა შეინარჩუნეს „არსებითად პასიური“ დამოკიდებულება. მთავრობამ ასევე განაცხადა, რომ მომჩივანს შეეძლო ეფექტურად დაეყენებინა დანაშაულის პროვოცირების საკითხი ეროვნული სამართალწარმოების დროს. მართლაც, ეროვნული სასამართლოების წინაშე იგი დავობდა, რომ ბრალდების შესახებ დადგენილება დანაშაულის პროვოცირების პირდაპირი შედეგი იყო. მთავრობის განცხადებით, ბოლნისის რაიონულ სასამართლოს დანაშაულის პროვოცირების თაობაზე, მომჩივნის არგუმენტი განუხილველი არ დაუტოვებია. შესაბამისად, მან დააკმაყოფილა, მომჩივნის მოთხოვნა, სისხლის სამართლის საქმეში საგაზეთო სტატიის და სატელევიზიო გადაცემის ჩანაწერის ჩართვის თაობაზე, რომელთა მიხედვითაც ქ-ნი ქ-ალიარებდა პოლიციასთან თანამშრომლობას. მოგვიანებით, სასამართლო პროცესზე, მომჩივანს შესაძლებლობა ჰქონდა დაეკითხა ქ-ნი ქ.

43. საპასუხოდ მომჩივანმა, პირველ რიგში, გააკრიტიკა სამართალდამცავი ორგანოების მიერ მის წინააღმდეგ ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედება. იგი მანამდე არ ყოფილა ნასამართლევი და არ იყო ჩართული რაიმე კორუფციულ გარიგებაში; შესაბამისად, ძნელი იყო იმის გაგება, თუ რატომ გახდა ის სამართალდამცავი ორგანოების სამიზნე. მოვლენათა ოფიციალური ვერსიის მიხედვით, ოპერაციის ჩატარების აუცილებლობა წარმოიშვა ქ-ნი ქ-ს მიერ წარდგენილი წერილობითი განცხადების საფუძველზე. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ ფაქტობრივად ქ-ნი ქ. არ იყო რიგითი კერძო პირი, არამედ ის წარმოადგენდა სამართალდამცავი ორგანოების ფარულ აგენტს, რომელიც მათთან სხვა არაერთ სისხლის სამართლის საქმეზე თანამშრომლობდა. მომჩივანმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ქ-ნი ქ. უკვე იყო პოლიციის აგენტი იმ დროისთვის, როდესაც პირველად მივიდა მასთან. ქ-ნი ნ., მომჩივნის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის კიდევ ერთი მთავარი მონაწილე, სავარაუდოდ, სამართალდამცავი ორგანოების კიდევ ერთი ფარული აგენტი იყო, რომლის დაკითხვის შესაძლებლობა მომჩივანს სასამართლოში არ ჰქონია. მომჩივანი აცხადებდა, რომ ეროვნულ სასამართლოებს არც კი უხსენებიათ ის ფაქტი, რომ იგი ფარული აგენტი იყო და უპასუხოდ დატოვეს მისი არგუმენტი დანაშაულის პროვოცირების თაობაზე. მომჩივანი ასევე ვარაუდობდა, რომ ქ-ნი ქ. თავად გახდა ხელისუფლების მხრიდან ზეწოლის სამიზნე – მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის სამართალწამოების გზით – რაც სასამართლო პროცესზე ნაწილობრივ დადასტურდა თავად ქ-ნი ქ-ს მიერ.

## 2. სასამართლოს შეფასება

### (ა) ზოგადი პრინციპები

44. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ სერიოზულ დანაშაულთან ბრძოლის საწინააღმდეგოდ ფარული აგენტების გამოყენება ლეგიტიმურ საგამოძიებო საშუალებად ცნო, აღნიშნული საშუალება კვლავაც მოითხოვს მკაფიო, ადეკვატურ და საკმარის პროცედურულ გარანტიებს, რომლებიც დანაშაულის პროვოცირების გარდა, პოლიციას სხვა საშუალებების გამოყენების უფლებას მისცემს, რადგანაც საზოგადოებრივი ინტერესი ვერ გაამართლებს იმ მტკიცებულების გამოყენებას, რომელიც პოლიციამ დანაშაულის პროვოცირების შედეგად მიიღო (იხ.: *Teixeira de Castro v. Portugal*, 9 ივნისი 1998, §36. ანგარიში 1998-IV და *Nosko and Nefedov v. Russia*, №5753/09 და №11789/10 §50, 30 ოქტომბერი, 2014). ამ თვალსაზრისით, სასამართლოს მიერ დანაშაულის პროვოკაციის ფაქტის გამოკვლევა განვითარდა ორი ტესტის საფუძველზე: დანაშაულის პროვოცირების მატერიალურსამართლებრივი ტესტი და პროცედურული ტესტი (მაგალითისთვის იხ.: *Bannikova v. Russia* №18757/06, §§37, 51, 4 ნოემბერი, 2010). მატერიალურსამართლებრივი ტესტის მიხედვით, დანაშაულის პროვოცირების შესახებ მომჩივნის საჩივრის განხილვისას, სტრასბურგის სასამართლო პირველ რიგში, შეისწავლის კჭონდათ თუ არა ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს საფუძველიანი მიზეზები, რათა ჩაეტარებინათ ფარული საგამოძიებო მოქმედება. კერძოდ, მათ უნდა აჩვენონ, რომ ფლობდნენ კონკრეტულ, ობიექტურ და სარწმუნო მტკიცებულებებს, რომლებიც ცხადყოფდნენ, რომ გადაიდგა თავდაპირველი ნაბიჯები, რათა განხორციელებულიყო დანაშაულის შემადგენელი ქმედებები; მათ ასევე უნდა აჩვენონ, რომ პოლიციის ჩართვის მომენტში სისხლის სამართლის დანაშაული უკვე სახეზე იყო (იხ.: ზოგადად, *Shannon v. the United Kingdom* (განჩინება), №67537/01, ECHR 2004-IV; *Eurofinacom v. France* (განჩინება), №58753/00, ECHR 2004-VII; *Furcht v. Germany*, №54648/09, §51, 23 ოქტომბერი, 2014). ეს პრინციპი გამორიცხავს ნებისმიერ ქმედებას, რომელიც შეიძლება განიმარტოს როგორც მომჩივნის პროვოცირება დანაშაულის ჩადენაზე, რომელიც სხვა შემთხვევაში არ იქნებოდა ჩადენილი, მაგალითად, როგორცაა მომჩივანთან დაკავშირების ინიციატივა, შეთავაზების გამეორება მიუხედავად თავდაპირველი უარისა, დაუინებელი მოთხოვნა, ფინანსური მოგების დაპირება ან მომჩივნის თანაგრძნობაზე აპელირება (შედარებისთვის იხ.: სხვა საქმეებთან ერთად *Ramanauskas v. Lithuania [დიდი პალატა]*, №74420/01, §67, ECHR 2008; *Malininas v. Lithuania*, №10071/04, §37, 1 ივლისი 2008; *Vanyan v. Russia*, №53203/99, §§11 და 49, 15 დეკემბერი 2005).

45. როდესაც ხელისუფლება აცხადებს, რომ ისინი მოქმედებდნენ კერძო პირისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, სასამართლო ერთმანეთისგან ასხვავებს ინდივიდუალურ საჩივრებსა და პოლიციის ინფორმატორის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას (იხ.: სხვა საქმეებთან ერთად *Shannon*, ციტირებული ზემოთ; *Gorgievski v. „the former Yugoslav Republic of Macedonia*,” №18002/02, §§52-53, 16 ივლისი, 2009; *Miliniene v. Lithuania* N74355/01, §§ 37-38, 24 ივნისი, 2008). ინფორმატორები თუ მონაწილეობას მიიღებდნენ პოლიციის მიერ ჩატარებულ ოპერაციაში, დგებოდნენ სერიოზული რისკის წინაშე, რომ მათი როლი გაიზრდებოდა და დაემსგავსებოდნენ აგენტ-პროვოკატორებს, კონვენციის მე-8 მუხლის 1-ლი პარაგრაფის შესაძლო დარღვევით. აქედან გამომდინარე, თითოეულ საქმეზე მნიშვნელოვანია იმის დადგენა, იყო თუ არა დანაშაულებრივი ქმედება დაწყებული იმ დროისთვის, როდესაც წყარომ თანამშრომლობა დაიწყო პოლიციასთან (შედარებისთვის იხ.: *Eurofinacom* და *Vanyan*, ორივე ციტირებულია ზემოთ, §§47-49). დანაშაულის პროვოცირების თაობაზე საჩივრის შეფასებისას, ასევე მნიშვნელოვანია იმის გაანალიზება, ჰქონდა თუ არა კერძო პირს, რომელმაც ხელისუფლებას აცნობა მომჩივნის სავარაუდო უკანონო ქმედების თაობაზე, ფარული განზრახვა (იხ.: *Miliniene*, ციტირებული ზემოთ, §39). სასამართლომ დაადგინა, რომ ფარული აგენტის ლეგიტიმურ ჩართვასა და დანაშაულის წაქეზებას შორის ხაზის გავლება რთული ამოცანა იქნება, თუ ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში არ იარსებებს მკაფიო და განჭვრეტადი პროცედურა, ფარული ოპერაციების ავტორიზაციისა და მისი განხორციელების თვალსაზრისით; ხოლო ეს ამოცანა უფრო მეტად გართულდება, თუ სათანადოდ არ განხორციელდება მათზე ზედამხედველობა. სტრასბურგის სასამართლომ ფარული ოპერაციის საქმეებზე, ყველაზე ადეკვატურ საშუალებად სასამართლო ზედამხედველობა მიიჩნია (იხ.: *Khudobin v. Russia*, N59696/00, §135, ECHR 2006-XII (ამონარიდები); *Furcht*, ციტირებული ზემოთ, §53; *Bannikova*, ასევე ციტირებული ზემოთ, §§ 49 და 50). ფარული ოპერაციის განხორციელების შესახებ ბრძანების გაცემის დროს, პროცედურული გარანტიების არარსებობა ქმნის თვითნებობისა და პოლიციის მხრიდან დანაშაულის პროვოცირების რისკს (იხ.: *Nosko and Nefedov*, ციტირებული ზემოთ, §64).

46. იმ შემთხვევებში, როდესაც არ არის ცნობილი საქმის გარემოებები ან მოვლენათა თაობაზე მხარეთა განსხვავებული ინტერპრეტაცია, სტრასბურგის სასამართლოს საშუალებას არ აძლევს ზუსტად დაადგინოს, იყო თუ არა მომჩივანი პოლიციის მხრიდან დანაშაულის პროვოცირების მსხვერპლი, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პროცედურულ ასპექტს. ეროვნული სასამართლოების მიერ ჩატარებული სამართალწარმოების განხილვისას,

სტრასბურგის სასამართლომ გაითვალისწინა დანაშაულის პროვოცირების თაობაზე საჩივრის პოტენციური შედეგი (იხ.: *Bannikova*, ციტირებული ზემოთ, §§52-53). ამრიგად, პირველ ყოვლისა, სასამართლო დაადგენს, დანაშაულის პროვოცირების თაობაზე საჩივარი წარმოადგენს თუ არა არსებით დაცვას ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით ან იძლევა თუ არა მტკიცებულების გამორიცხვის საფუძველს ან იწვევს თუ არა მსგავს შედეგებს (*Khudobin*, ციტირებული ზემოთ, §§133-135). მიუხედავად იმისა, რომ ევროპული სასამართლო ზოგადად, ეროვნულ ხელისუფლებას ანდობს, გადაწყვიტოს თუ რომელი პროცედურა უნდა გატარდეს სასამართლოს მიერ, დანაშაულის პროვოცირების თაობაზე საჩივრის არსებობის შემთხვევაში, ის მოითხოვს, ასეთი პროცედურა იყოს შეჯიბრებითი, ყოველმხრივი და ამომწურავი; ამასთან, ბრალდების განმხორციელებელ ორგანოს უნდა ეკისრობოდეს მტკიცების ტვირთი, რათა დაამტკიცოს დანაშაულის პროვოკაციის არარსებობა. ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა დაადგინონ ის მიზეზები, თუ რატომ დაიწყო მომჩივნის წინააღმდეგ ფარული ოპერაცია, აგრეთვე რა მოცულობით იყო ჩართული სამართალდამცავი ორგანო დანაშაულებრივ საქმიანობაში და რა სახის პროვოკაციას ან ზეწოლას დაექვემდებარა მომჩივანი (იხ.: *Ramanauskas*, ციტირებული ზემოთ, §§70-71; *Bannikova*, ციტირებულია ზემოთ, §48). ეროვნული სასამართლოების ვალდებულებაა, უზრუნველყონ სასამართლო პროცესის ზოგადი სამართლიანობა. მათ ფარულ აგენტებსა და დანაშაულის პროვოცირების სხვა მოწმეებს უნდა მოუსმინონ სასამართლო პროცესზე და უნდა მოხდეს მათი ჯვარედინი დაკითხვა დაცვის მხარის მიერ ან მინიმუმ, ცნობილი უნდა გახდეს ის მიზეზები, თუ რატომ ვერ მოხერხდა ამის გაკეთება (შედარებისთვის იხ.: *Ludi v. Switzerland*, 15 ივნისი 1992, §49, Series A №238; *Bulfinsky v. Romania*, №28823/04, §45, 1 ივნისი, 2010; *Kuzmickaja v. Lithuania* (განჩინება), №27968/03, 10 ივნისი, 2008). პროცედურული ტესტის მიხედვით, სასამართლოს დასკვნებს ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა იმის გამოსარკვევად, სისხლის სამართლის საქმისწარმოება განხორციელდა თუ არა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის შესაბამისად (შედარებისთვის იხ.: *Sepil v. Turkey*, №17711/07, §37-40, 12 ნოემბერი 2013; *Constantin and Stoian v. Romania*, №23782/06 და №46629/06, §64, 29 სექტემბერი, 2009).

### (ბ) ზემოხსენებული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში

47. საერთაშორისო ზედამხედველობის საზღვრების გათვალისწინებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ იგი არ წარმოადგენს მეოთხე ინსტანციის სასამართლოს და ეჭვქვეშ ვერ დააყენებს ეროვნული სასამართლოს დასკვნებს იმასთან დაკავშირებით, სახეზე იყო თუ არა დანაშაული. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ წინამდებარე საქმის განხილვის დროს, ის

იხელმძღვანელებს ეროვნულ დონეზე დადგენილი შესაბამისი ფაქტებით. ამრიგად, სტრასბურგის სასამართლო მის დასკვნებს დააფუძნებს იმ ფაქტს, რომ მომჩივანმა მართლაც აიღო ქრთამი ქ-ნი ქ-სგან მისი ბიზნეს გეგმის განხორციელებაში დახმარების დაპირების სანაცვლოდ (შეფარებისთვის იხ.: *Matanovic v. Croatia*, №2742/12, §136). ერთადერთი ძირითადი პროცედურულ ხარვეზი, რომელიც ღია დარჩა ეროვნულ დონეზე – მიუხედავად იმისა, რომ იგი წარმოადგენდა მთავარ საკითხს იმის დასადგენად, ისარგებლა თუ არა მომჩივანმა სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებით – არის ამ უკანასკნელის განცხადება, რომ ის იყო პოლიციის მიერ დანაშაულის პროვოცირების მსხვერპლი და ეროვნულმა სასამართლოებმა არ განიხილეს აღნიშნული განცხადება. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლო შეისწავლის ამ კონკრეტულ პროცედურულ დარღვევას.

48. ამასთან დაკავშირებით, სასამართლოს მიერ ძირითადი განსახილველი საკითხია, სამართალდამცავი ორგანოები მოქმედებდნენ ფარული ოპერაციის ფარგლებში თუ მათი ქმედებები იყო მაპროვოცირებელი, რათა მომჩივანს აელო ქრთამი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სტრასბურგის სასამართლომ უნდა შეაფასოს, სამართალდამცავი ორგანოები შემოიფარგლნენ თუ არა „დანაშაულებრივი საქმიანობის გამოძიების არსებითად პასიური მეთოდით“ (იხ.: მაგალითად, *Ramanauskas*, ციტირებული ზემოთ, §§66-67). ამ ეტაპზე, სასამართლოს მიერ მატერიალურსამართლებრივი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობა დამოკიდებულია იმაზე, შეიცავს თუ არა საქმის მასალები საკმარის ინფორმაციას ფარული საქმიანობის თაობაზე. თუ მატერიალურსამართლებრივი ტესტი დაუზუსტებელია ინფორმაციის ნაკლებობის გამო, სასამართლო გადავა მოკვლევის მეორე ეტაპზე, სადაც ის 46-ე პარაგრაფში მოცემული კრიტერიუმების შესაბამისად, შეაფასებს პროცედურას, რომლის მიხედვითაც, ეროვნულმა სასამართლოებმა დანაშაულის პროვოცირების შესახებ საჩივარი განიხილეს. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა მტკიცებულება, რომ მომჩივანს აღნიშნულ ინციდენტამდე ჩადენილი ჰქონდა კორუფციასთან დაკავშირებული სხვა დანაშაულები, ნასამართლეობის არქონა, საქმის სხვა გარემოებებისგან განცალკევებით, არ შეიძლება აღქმული იყოს, როგორც დამადასტურებელი იმისა, რომ სამართალდამცავი ორგანოები, მას შემდეგ, რაც ქ-მა ქ-მ მათ აცნობა გუბერნატორის მოადგილის მიერ ქრთამის მოთხოვნის თაობაზე, ფარული ოპერაციის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს არაკეთილსინდისიერად მოქმედებდნენ. გარდა ამისა, სამართალდამცავი ორგანოების მიერ ტექნიკური და ფინანსური თანადგომა, იმ პირის მიმართ რომელმაც დადასტურებულად მიიღო ქრთამზე მოთხოვნა – ისე, რომ ამ უკანასკნელს შეძლებოდა დანაშაულის ჩაწერა – არ შეიძლება გაიგივებული იყოს პოლიციის მიერ ფარული ოპერაციის ჩატარების დასაშვები ფარგლების

გადამეტებასთან (შედარებისთვის იხ.: *Matanovic*, ციტირებული ზემოთ, §138, და *Miliniene*, ციტირებული ზემოთ, §138).

49. პოლიციის მიერ ჩატარებული ოპერაციის კანონიერებას ეჭვქვეშ აყენებს ის ფაქტი, რომ ქ-ნი ქ. არ იყო რიგითი კერძო პირი. მომჩივნის წინააღმდეგ საქმეში არსებული მასალებიდან ირკვევა, რომ ქ-ნი ქ. სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობდა არაერთ სხვა სისხლის სამართლის საგამოძიებო პროცესში. ქალბატონმა ქ-მ სასამართლო პროცესზე აღიარა, რომ 2005 წლის 1-ელ დეკემბერს, როდესაც პირველად მივიდა მომჩივანთან, იგი უკვე მოქმედებდა სამართალდამცავი ორგანოების ინსტრუქციების მიხედვით. თუმცა, მეორე მხრივ, სასამართლო აღნიშნავს, რომ ოფიციალური ვერსიით, მომჩივნისთვის ქრთამის შეთავაზება არ ყოფილა ქ-ნი ქ-ს იდეა, არამედ ინიციატივა მომდინარეობდა სწორედ მომჩივნისგან, რომელმაც დახმარების გაწევის სანაცვლოდ მოითხოვა 30 000 აშშ დოლარის ოდენობის თანხის გადახდა. მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანი ეროვნული სასამართლოების წინაშე ამტკიცებდა, რომ მას არ ჰქონია მიღებული ფულის პირადი მოხმარების განზრახვა, ეს მტკიცება ვერ ამართლებს ქ-ნ ქ-სთან საუბრის დროს, მის მიერ თანხის მიღების ინიციატივის გამოჩენასა და ფინანსური ასპექტების წამოჭრას. აქედან გამომდინარე, მხოლოდ საქმის მასალებში არსებული მასალების საფუძველზე, სასამართლო ვერ შეიძლება განსაზღვრული სიზუსტით დაასკვნას, რომ ქ-ნ ქ-ს ჰქონდა აქტიური და გადამწყვეტი როლი იმ გარემოებების შექმნაში, რომელმაც წარმოშვა ქრთამის აღების დანაშაული. ამრიგად, სასამართლოს მატერიალურსამართლებრივი ტესტი არასაკმარისია.

50. შესაბამისად, სასამართლომ უნდა გააგრძელოს პროცედურული ტესტის გამოყენება და გამოიკვლიოს, ეროვნული სამართალწარმოების დროს ჰქონდა თუ არა მომჩივანს შესაძლებლობა, ეფექტურად წამოეჭრა პოლიციის მხრიდან დანაშაულის პროვოცირების საკითხი (იხ., ზოგადი პრინციპები, პარაგრაფები 46 და 48). ამასთან დაკავშირებით სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივანმა სამართალწარმოების დროს სწორად შეარჩია დაცვის სტრატეგია, როდესაც განაცხადა, რომ მის მიმართ ადგილი ჰქონდა დანაშაულის პროვოკაციას, ვინაიდან ამას შეიძლება გამოეწვია პროვოცირების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობა (შედარებისთვის იხ.: *Matanovic v. Croatia* §140, და *Bannikova v. Russia* §56). კერძოდ, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის მე-3, მე-6 და მე-7 მუხლები ადგენს საგამოძიებო მეთოდებს, მათ შორის, ფარული აგენტის ჩართვას, რაც ხორციელდება ისეთი მეთოდებით, როგორცაა „მოტყუება“ და „პროვოცირება;“ ამ უკანასკნელ საგამოძიებო მეთოდებში ჩაბმულ პირს უფლება აქვს საჩივარი წარადგინოს სასამართლოში. უფრო მეტიც, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის 1-ლი

ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი პირდაპირ ავალდებულებს სასამართლოს დაუშვებლად ცნოს „უკანანო საქმიანობის“ ან „არაკანონიერი მეთოდის“ შედეგად მოპოვებული მტკიცებულებები. აქედან გამომდინარე და აგრეთვე, იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივანი დავობდა დანაშაულის პროვოცირების თაობაზე, პროკურატურას უნდა დაემტკიცებინა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის §1 დარღვევით ადგილი არ ჰქონდა დანაშაულის პროვოკაციას (იხ.: *Bannikova v. Russia* §48).

51. თუმცა, შესაბამისი სისხლის სამართლის მასალების გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, რომ პროკურატურას სამართალწარმოებისას არ წარმოუდგენია რაიმე არგუმენტი დანაშაულის პროვოცირების შესახებ მომჩივნის მტკიცების უარსაყოფად. პროკურატურის სრული დუმილი შეიძლება აიხსნას დაკისრებული მტკიცების ტვირთის შესრულების ობიექტური შეუძლებლობით, ვინაიდან ფარული ოპერაცია განხორციელდა ფორმალური ავტორიზაციისა და ზედამხედველობის გარეშე (იხ.: *Vanyan v. Russia*, §§ 46-47, *Khudobin v. Russia*, §135). ამრიგად, სასამართლო ასკენის, რომ სამართალდამცავი ორგანოების მიერ ქ-ნი ქ-ს ფარული მისიით მომჩივანთან გაგზავნა, არ მომხდარა სასამართლოს მიერ გაცემული ბრძანების ან ზედამხედველობის ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო ან სისხლის სამართლის საქმეში კომპეტენტური სხვა დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანო, სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, ასეთ საკითგებზე ზედამხედველობის ყველაზე შესაფერის ფორმად მიიჩნევა (შედარებისთვის იხ.: *Ludi v. Switzerland*; *Teixeira de Castro v. Portugal* § 38, და *Miliniene v. Lithuania*, §39). მართლაც, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-3-მე-7 ნაწილების მიხედვით, ფარული აგენტის ჩართვისთვის – განსხვავებით სხვა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა, სავალდებულო არ არის სასამართლოს ბრძანება და ზედამხედველობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეროვნული კანონმდებლობა ადეკვატურად არ არეგულირებს ასეთი სახის ფარული ოპერაციის ჩატარებას (შედარებისთვის იხ.: *Veselov and Others v. Russia*, №23200/10 და №24009/07, №556/10, §111, 2 ოქტომბერი, 2012).

52. დაბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურამ ვერ შეძლო დაკისრებული მტკიცების ტვირთის შესრულება, მათი უმოქმედობა ეროვნულ სასამართლოებს არ ათავისუფლებდა დანაშაულის პროვოკაციის შესახებ მომჩივნის საჩივრის შესწავლის ვალდებულებისგან. სასამართლო განხილვის ეფექტურობა უნდა შეფასდეს ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებში მოცემული მიზეზების გათვალისწინებით. შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებული სამართალწარმოების შემდეგ, სასამართლოებს უნდა დაედგინათ ის მიზეზები, თუ რატომ დაიწყო მომჩივნის წინააღმდეგ ფარული ოპერაცია,



აგრეთვე, რა მოცულობით იყო ჩართული სამართალდამცავი ორგანო დანაშაულებრივ საქმიანობაში და რა სახის პროვოკაციას ან ზეწოლას დაექვემდებარა მომჩივანი (იხ.: *Ramanauskas*, ციტირებული ზემოთ, §71). თუმცა, სასამართლო ადგენს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა, რომელთაც უპირისპირდება მომჩივნის კარგად დასაბუთებული ბრალდებები, გადაწყვეტილებაში არ წარმოადგინეს არც ერთი მიზეზი, თუ რატომ უნდა იქნას უარყოფილი მომჩივნის ბრალდებები. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ უზრუნველყვეს სხვა მთავარი მოწმის, ქ-ნი ნ-ს სასამართლო პროცესზე დასწრება და მისი დაკითხვა; მომჩივნისა და ქ-ნი ქ-ს განცხადებით, აღნიშნული პირი სავარაუდოდ, სამართალდამცავების კიდევ ერთი ფარული აგენტი იყო. ასეთ გარემოებებში, არ შეიძლება ითქვას, რომ დანაშაულის პროვოკაციის ბრალდებები სასამართლომ განიხილა შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით; გარდა ამისა, სასამართლოს არ წარმოუდგენია ადეკვატური მიზეზები, თუ რატომ უარყო მომჩივნის დაცვის პოზიცია.

53. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, კერძოდ, წინამდებარე საქმეში არ არსებობდა საკმარისი საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც მოაწესრიგებდა მომჩივნის წინააღმდეგ ფარული ოპერაციის დაწყებას, საქმიანობის ფარგლებში ფარული აგენტები არ მოქმედებდნენ მკაცრად პასიური ფორმით, პროკურატურამ ვერ შეასრულა დაკისრებული მტკიცების ტვირთი და სასამართლომ სათანადოდ არ განიხილა მომჩივნის დასაბუთებული არგუმენტი დანაშაულის პროვოკაციის შესახებ – სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის წინააღმდეგ მიმართული სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება არ შეესაბამებოდა სამართლიანი სასამართლოს ცნებას. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის დარღვევას.

**დასკვნა:** დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი.

სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ  
(Sarishvili-Bolkvadze v. Georgia)

საჩივარი №58240/08

19 ივლისი, 2018

**ფაქტები**

მომჩივანი, გულნარა სარიშვილი-ბოლქვაძე, ეროვნებით ქართველია, რომელიც 1950 წელს დაიბადა და ცხოვრობს ბათუმში (საქართველო).

მომჩივნის შვილი, გ. ბ., 2004 წლის თებერვალში ამწედან გადმოვარდნის შედეგად მძიმედ დაშავდა. თავის ტვინის მძიმე ტრავმით ის მოათავსეს ინტენსიურ განყოფილებაში; მოგვიანებით, მას ასევე გაეწია დახმარება მუცლის ღრუში განვითარებული სისხლდენის გამო. მარტში გ. ბ. პალატაში გადაიყვანეს, თუმცა, მას დუოდენური წყლულიდან სისხლდენა განუვითარდა და გაუკეთდა სასწრაფო ოპერაცია. 2004 წლის 14 მარტს, მომჩივნის შვილი გარდაიცვალა.

ეროვნულმა ხელისუფლებამ დაიწყო გამოძიება და 2004 წლის ივნისში ექსპერტთა ჯგუფმა განაცხადა, რომ გ. ბ.-ს მკურნალობის დროს დაშვებული იყო საექიმო შეცდომა. საქმე დაიხურა 2004 წლის აგვისტოში, კონკრეტული შედეგის დადგენის გარეშე; 2006 წელს ის ხელახლა გაიხსნა და 2008 წელს ისევ დაიხურა. ამ პერიოდის განმავლობაში მომჩივანი უარს აცხადებდა ექსპერტიზის ჩასატარებლად გვამის გაკვეთაზე. პროკურორები აცხადებდნენ, რომ ისინი ვერ ადგენდნენ მიზეზობრივ კავშირს საექიმო შეცდომასა და გ. ბ.-ს გარდაცვალებას შორის და უთითებდნენ ექსპერტთა დასკვნებზე, რომელთა მიხედვით, ზემოთ ხსენებული პროცედურის ჩატარება აუცილებელი იყო.

დროის მოცემულ მონაკვეთში, საავადმყოფომ სამსახურიდან გაათავისუფლა გ. ბ.-ს მკურნალი ნეიროქირურგი და საყვედური გამოუცხადა ინტენსიური განყოფილების ქირურგსა და ორ სპეციალისტს.

ასევე, აპლიკანტმა სამოქალაქო სარჩელი აღძრა საავადმყოფოს, სამედიცინო პერსონალისა და შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს წინააღმდეგ იმ საფუძველით, რომ ადგილი ჰქონდა სამედიცინო დაუდევრობას, ვინაიდან დუოდენური წყლულიდან სისხლდენას სათანადოდ არ უმკურნალეს.

ეროვნული სასამართლოები დაეთანხმნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას, რომ გ. ბ.-ს მკურნალობის დროს დაშვებული იყო საექიმო შეცდომა; აგრეთვე, მომჩივნის შვილის ზოგიერთ ექიმს არ ჰქონდა სამედიცინო ლიცენზია და საავადმყოფო გარკვეულ სამედიცინო საქმიანობას ახორციელებდა შესაბამისი ნებართვის გარეშე.

2008 წლის მაისში, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მომჩივანს მატერიალურ ზიანთან მიმართებით მიაკუთვნა დაახლოებით 2,700 ევრო, თუმცა დაადგინა, რომ ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა მორალური ზიანის ანაზღაურებას იმ პირებისთვის, რომელთა ახლო ნათესავები სამედიცინო დაუდევრობის შედეგად გარდაიცვალნენ.

კონვენციის მე-2 მუხლზე დაყრდნობით (სიცოცხლის უფლება), ქ-ნი სარიშვილი-ბოლქვაძე დავობდა, რომ სახელმწიფომ ვერ შეასრულა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება, დაეცვა მისი შვილის სიცოცხლე ექიმების შეცდომისგან; აპლიკანტის მტკიცებით, სახელმწიფომ აგრეთვე, ვერ უზრუნველყო მისი შვილის სიკვდილზე ადეკვატური რეაგირება.

სტრასბურგის სასამართლოში საჩივარი შეტანილ იქნა 2008 წლის 14 თებერვალს.

## **სასამართლოს შეფასება**

### **მე-2 მუხლი**

სასამართლომ გაიმეორა სახელმწიფოს ვალდებულებებთან დაკავშირებით პრეცედენტული სამართლით დადგენილი პრინციპები, როდესაც საქმე ეხება სამედიცინო დაუდევრობას. კერძოდ, სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ სათანადო მარეგულირებელი ჩარჩო, რათა უზრუნველყონ პაციენტთა უსაფრთხოება, რაც მოიცავს ადეკვატურ სამართლებრივ ნორმას, რომელიც ადგენს მაღალ პროფესიონალურ სტანდარტებს. სახელმწიფოებს აგრეთვე მოეთხოვებათ, დარწმუნდნენ, რომ საკანონმდებლო ჩარჩო ეფექტურად ფუნქციონირებს, რაც გულისხმობს მათ აღსრულებასა და ზედამხედველობას.

სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს გ. ბ.-ს მკურნალობაში იმ სამედიცინო პერსონალის ჩართულობა, რომელთაც არ ჰქონდათ სათანადო ლიცენზიები; გარდა ამისა, საავადმყოფო ახორციელებდა არალიცენზირებულ სამედიცინო საქმიანობას რამდენიმე მიმართულებით, როგორცაა კარდიოლოგია და მომჩივანთან მიმართებით ტრანსფუზია.

მთავრობამ აღიარა ზემოხსენებული გადაცდომების არსებობა, თუმცა, გარდა ეროვნული კანონმდებლობით მოთხოვნილ ლიცენზირებაზე მითითებისა, მას არ წარმოუდგენია ახსნა-განმარტება იმასთან დაკავშირებით თუ როგორ სრულდებოდა აღნიშნული დებულებები პრაქტიკაში. ნამდვილად, გარკვეულ სფეროში საავადმყოფოს ლიცენზიები, ისევე როგორც მომჩივნის შვილის მკურნალი ზოგიერთი ექიმის ლიცენზიები და სერტიფიკატები, სულ მცირე, დროის იმ მონაკვეთში, არ შეესაბამებოდა სხვადასხვა მოთხოვნებს, რომლებიც დადგენილი იყო პაციენტთა სიცოცხლის დასაცავად.

შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ საქართველომ ვერ შეასრულა დაკისრებული პოზიტიური ვალდებულება, პაციენტთა სიცოცხლის დასაცავად, უზრუნველყოფო ფუნქციონალურად ეფექტური მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო; შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლი.

სტრასბურგის სასამართლომ კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ნაწილის ფარგლებში, ასევე გამოიკვლია საქმესთან დაკავშირებით ჩატარებული სამოქალაქოსამართლებრივი და სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება. კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ნაწილი სახელმწიფოებს ავალდებულებს, მოაწიონ ეფექტური და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა, რომელიც შეაფასებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და გამოავლენს პასუხისმგებელ პირებს, აგრეთვე უზრუნველყოფს შესაბამის კომპენსაციას.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სისხლის სამართლის საქმის წარმოება შეესაბამებოდა კონვენციის მე-2 მუხლის მოთხოვნებს. მართალია, სისხლის სამართლის საქმე ორჯერ აღიძრა და შემდეგში დაიხურა, თუმცა ეს გადაწყვეტილებები არ იყო თვითნებური ან სწრაფად მიღებული და წარმოდგენილი იყო სათანადო მიზეზები.

ამის საპირისპიროდ, ადმინისტრაციულმა სამართალწარმოებამ მომჩივანს არ მიაკუთვნა ადეკვატური კომპენსაცია, ვინაიდან ამ ტიპის საქმეებზე საქართველოს კანონმდებლობა მორალურ ზიანთან მიმართებით არ ითვალისწინებდა კომპენსაციის მიკუთვნებას, რაც არ შეესაბამებოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლთან დაკავშირებულ პრინციპებს, რომლის მიხედვით, მსგავსი კომპენსაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს. სასამართლომ დაადგინა, რომ ზემოხსენებულმა საკანონმდებლო შეზღუდვამ მომჩივანს ჩამოართვა შესაძლებლობა, მისთვის ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის საშუალებით მოეთხოვა მორალური ზიანის ანაზღაურება; ამრიგად, დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ვალდებულება.

## სამართლიანი დაკმაყოფილება (მუხლი 41)

სასამართლომ მომჩივანს კომპენსაცია არ მიაკუთვნა, რადგან მას აღნიშნული მოთხოვნა არ დაუყენებია. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებდა სამოქალაქო საქმის წარმოების განახლების შესაძლებლობას, თუ არსებობდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ადგენდა კონვენციის დარღვევას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად:

1. უერთდება საქმის არსებით მხარესთან დაკავშირებით მთავრობის საწინააღმდეგო მოსაზრებას მსხვერპლის სტატუსთან მიმართებით და უკუაგდებს მას;
2. აცხადებს საჩივარს მისაღებად;
3. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-2 მუხლის მატერიალური ნაწილის დარღვევას;
4. ადგენს, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევას სისხლისსამართლებრივ დაცვის საშუალებასთან მიმართებით;
5. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევას სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის საშუალებასთან მიმართებით. შესრულებულია ინგლისურ ენაზე და მხარეებს წერილობით ეცნობათ 2018 წლის 19 ივლისს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე წესის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

კლაუდია ვესტერდიკი – სექციის განმწესრიგებელი

ანგელიკა ნიუსბერგერი – თავმჯდომარე.

**ბართაია საქართველოს წინააღმდეგ  
(Bartaia v. Georgia)**

**საჩივარი №10978/06**

26 ივლისი, 2018 წელი

**ფაქტები:** მომჩივანი, ალექსანდრე ბართაია ეროვნებით ქართველია, რომელიც 1938 წელს დაიბადა და ცხოვრობს თბილისში. წინამდებარე საქმე ეხებოდა მისი გათავისუფლების შემდგომ, დამსაქმებლის – ბეჭდვითი კომპანიის წინააღმდეგ, მომჩივნის მიერ აღძრულ საქმეს.

ბატონი ბართაიას საქმეზე სასამართლო პროცესი ჩატარდა 2004 წლის 28 იანვარს. მისი ადვოკატი ვერ ახერხებდა დასწრებას, რადგან იმავე დროს სხვა საქმის განხილვაში მონაწილეობდა. ადვოკატმა ჩანიშნულ სასამართლო პროცესამდე მცირე დროით ადრე, წერილობით მიმართა სასამართლოს, რათა ეცნობებინა, რომ ვერ ახერხებდა დასწრებას და მოითხოვა პროცესის გადადება. მას სასამართლოსგან პასუხი არ მიუღია და შესაბამისად, განხილვას ბ-ნი ბართაია მარტო დაესწრო. მანაც მოითხოვა პროცესის გადადება, ამბობდა რა უარს, ადვოკატის გარეშე საქმის განხილვაში მონაწილეობაზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნის უარი საქმის განხილვაში მონაწილეობაზე მისი გამოუცხადებლობის ტოლფასი იყო და დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის გზით არ დააკმაყოფილა მისი სარჩელი.

ბ-ნი ბართაიას ადვოკატმა მოცემული გადაწყვეტილება გაასაჩივრა, თუმცა წარუმატებლად. კერძოდ, 2005 წლის მაისსა და სექტემბერში, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებმა დაასკვნეს, რომ რელევანტური ეროვნული სამართლის მიხედვით არ არსებობდა საქმის განხილვაში მონაწილეობაზე უარის თქმის გამამართლებელი საფუძველი და სხვა საქმის განხილვაში ადვოკატის მონაწილეობა ვერ ჩაითვლებოდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საპატიო მიზეზად. უფრო მეტიც, მათ დაადგინეს, რომ ბ-ნი ბართაია პირველი ინსტანციის მოსამართლემ გააფრთხილა საქმის განხილვაში მონაწილეობაზე უარის თქმის მოსალოდნელი შედეგების თაობაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლზე (სამართლიანი სასამართლოს უფლება) დაყრდნობით, მომჩივანი დავობდა, რომ სამართალწარმოება მოცემულ შემთხვევაში არ იყო სამართლიანი.

## I. კონვენციის მე-6 მუხლის საგარეულო დარღვევა

21. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ 2004 წლის 28 იანვარს, მის წინააღმდეგ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილება არღვევდა მხარეთა თანასწორობის პრინციპს; ის ასევე, ასაჩივრებდა იმ ფაქტს, რომ მოგვიანებით არ მიეცა მისი მონაწილეობით საქმის ხელახლა განხილვის შესაძლებლობა. მომჩივანი ეყრდნობოდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პარაგრაფს, რომლის შესაბამისი ნაწილი შემდეგნაირად იკითხება:

„სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ... ყველას აქვს ... მისი საქმის სამართლიანი ... განხილვის უფლება ... სასამართლოს მიერ...“

### ა. მისაღებობა

22. სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე საჩივარი არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 (ა) პუნქტის მნიშვნელობის ფარგლებში. სასამართლო დამატებით აცხადებს, რომ ის არ არის მიუღებელი რაიმე სხვა საფუძვლის გამო. შესაბამისად, ის მისაღებად უნდა გამოცხადდეს.

### ბ. არსებითი მხარე

#### 1. მხარეთა არგუმენტები

23. მომჩივანი აცხადებდა, რომ მას არ დაურღვევია ეროვნული პროცედურული წესები.

24. თავის მხრივ, მთავრობამ განაცხადა, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი არ დგებოდა თუ მოსარჩელე სახელმწიფოს კანონმდებლობის დარღვევით მოქმედებდა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ეროვნულ სასამართლოებს საქმის განხილვის შესაძლებლობა არ მიეცათ მომჩივნის უშუალო ქმედებების შედეგად. კერძოდ, აპლიკანტმა ვერ შეასრულა შესაბამისი პროცედურული მოთხოვნები, როდესაც 2004 წლის 28 იანვარს, არასაპატიო მიზეზით, უარი განაცხადა საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღებაზე. ამასთან დაკავშირებით მთავრობის არგუმენტი, სასამართლოს გადაწყვეტილების მსგავსად, ორგანო – პირველი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232-ე მუხლის მიზნებისთვის, გამოუცხადებლად ითვლება მხარე, რომელიც თუმცა, სასამართლო პროცესზე გამოცხადდა, მაგრამ უარს ამბობს საქმის განხილვაში მონაწილეობაზე; მეორე, მომჩივანმა და მისმა წარმომადგენელმა ვერ წარმოადგინა სასამართლო პროცესის გადადების საპატიო მიზეზი, გამომდინარე იქედან, რომ ეროვნული კანონმდებლობა ასეთად არ მიიჩნევდა წარმომადგენლის მიერ სასამართლო პროცესზე დასწრების შეუძლებლობას.

25. მთავრობამ კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მომჩივანს სათანადოდ ეცნობა საქმის განხილვაში მონაწილეობაზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგები. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის წინასწარ იყო ცნობილი, რომ ადვოკატი ვერ შეძლებდა 2004 წლის 28 იანვარს ჩანიშნულ სასამართლო პროცესში მონაწილეობას, მას წინასწარ არ გაუტარებია რაიმე ზომები, რათა დაენიშნა სხვა ადვოკატი. შესაბამისად, ის უბრალოდ ცდილობდა გაეჭიანურებინა სასამართლო პროცესი. დაბოლოს, მომჩივანი უფლებამოსილი იყო, ადვოკატის არყოფნის პერიოდში, თავისი საქმე წარმოედგინა.

## 2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასება

### ა) ზოგადი პრინციპები

26. სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-6 მუხლით განმტკიცებული სასამართლოს წინაშე საქმის ეფექტურად წარდგენისა და მხარეთა თანასწორობის უფლებასთან დაკავშირებული ზოგადი პრინციპები არაერთხელ იქნა გამეორებული წინა გადაწყვეტილებებში (იხ.: სტილი და მორისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Steel and Morris v. the United Kingdom*), №68416/01, §§59-60, ECHR 2005-II). კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი სახელმწიფოებს უტოვებს თავისუფალ არჩევანს, რათა თავად გადაწყვიტონ თუ რა საშუალებები გამოიყენონ, მოსარჩელეთათვის აღნიშნული უფლებების უზრუნველსაყოფად (იხ.: იქვე). ამრიგად, სასამართლო პროცესზე პირის გამოცხადების საკითხი, სამართალწარმოების ფორმა – ზეპირი თუ ზეპირი მოსმენის გარეშე და იურიდიული წარმომადგენლობა ურთიერთდაკავშირებულია და უნდა გაანალიზდეს კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული „სამართლიანი სასამართლოს“ უფლების ფართო კონტექსტში. სტრასბურგის სასამართლომ უნდა დაადგინოს მომჩივანს – სამოქალაქო სამართალწარმოების მხარეს, მიეცა თუ არა გონივრული შესაძლებლობა გაცნობოდა და კომენტარები გაეკეთებინა მეორე მხარის მიერ წარმოდგენილ დასკვნებსა და მტკიცებულებებზე; აგრეთვე წარმოედგინა თავისი საქმე იმ პირობებში, რომელიც მას მოწინააღმდეგე მხარესთან შედარებით არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში არ ჩააყენებდა (იხ.: ტერნოვსკისი ლატვიის წინააღმდეგ (*Ternovskis v. Latvia*) №33637/02, §65, 29 აპრილი, 2014 და ლარინის რუსეთის წინააღმდეგ (*Larin v. Russia*) №15034/02, §§ 35-36, 20 მაისი 2010).

27. სასამართლო აღნიშნავს, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება *inter alia* შედგება მხარეთა უფლებებისგან, წარადგინონ დასკვნები, რომლებსაც ისინი საქმესთან მიმართებით სათანადოდ მიიჩნევენ. ვინაიდან კონვენცია მიზნად ისახავს უზრუნველყოს არა თეორიული და ილუზორული, არამედ პრაქტიკული და ეფექტიანი უფლებები, აღნიშნული უფლება ეფექტიანად მიიჩნევა მხოლოდ



იმ შემთხვევაში თუ მომხივანს ფაქტობრივად „მოუსმენენ,“ რაც გულისხმობს, რომ სასამართლოები მის მიერ წარმოდგენილ დასკვნებს სათანადოდ განიხილავენ (იხ.: ტერნოვსკი, ციტირებულია ზემოთ, §66). ამასთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-6 მუხლი სახელმწიფოებს ავალდებულებს, სამართლებრივი სისტემები იმგვარად მოაწიონ, რომ ხელი შეეწყოს სწრაფ და ეფექტიან მართლმსაჯულებას, რაც აგრეთვე მოიცავს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. თუმცა, აღნიშნული ვერ განხორციელდება სხვა პროცედურული გარანტიების ხარჯზე (იხ.: აზდაჯიჩი სლოვენის წინააღმდეგ (*Azdajic v. Slovenia*), №71872/12, §49, 8 ოქტომბერი, 2015 და განკინი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (*Gankin and Others v. Russia*), nos. №2430/06, №1454/08, №11670/10 და №12938/12, §26, 31 მაისი, 2016). ფაქტობრივად, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი, პირველ ყოვლისა, მიზნად ისახავს მხარეთა ინტერესებისა და მართლმსაჯულების სათანადო ადმინისტრირების უზრუნველყოფას (იხ.: ნიდეროსტ-ჰუბერი შვეიცარიის წინააღმდეგ (*Niderost-Huber v. Switzerland*), 18 თებერვალი, 1997, §30, ანგარიში 1997-I). შესაბამისად, ეროვნული ხელისუფლების ვალდებულებას წარმოადგენს უზრუნველყოს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფით მოცემული სტანდარტების, კერძოდ, მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვა.

28. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ სამოქალაქო უფლებათა და ვალდებულებათა განსაზღვრისას, „სამართლიანი განხილვის“ კონცეფციით დადგენილი მოთხოვნები არ არის აუცილებლად სისხლისსამართლებრივი ბრალდების დადგენისას არსებული მოთხოვნების მსგავსი. აღნიშნული გამომდინარეობს იქედან, რომ არ არსებობს დეტალური დებულებები, როგორცაა კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პარაგრაფები, რომლებიც გამოიყენება ამ უკანასკნელი კატეგორიის საქმეებთან მიმართებით. ამრიგად, ხელშემკერებელ სახელმწიფოებს სამოქალაქო საქმეების განხილვის დროს მიხედულების უფრო ფართო ფარგლები აქვთ, ვიდრე სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას (იხ.: მაგ., დომბო ბეჰერი ბ. ვ. ნიდერლანდების წინააღმდეგ (*Dombo Beheer B.V. v. the Netherlands*), 27 ოქტომბერი 1993, §§ 32 33, სერია ა №274; ჯოკელა ფინეთის წინააღმდეგ (*Jokela v. Finland*), №28856/95, §68, ECHR 2002-IV; მილოვანოვა უკრაინის წინააღმდეგ (განხილება), №16411/03, 2 ოქტომბერი, 2007). მიუხედავად ამისა, სამოქალაქო უფლებებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებულ საქმეებში „სამართლიანი განხილვის“ ცნების შესახებ გარკვეული პრინციპები წარმოიშვა სასამართლოს პრეცედენტული სამართლით. ცალსახაა, რომ „მხარეთა თანასწორობის“ მოთხოვნა, მხარეთა შორის „სამართლიანი ბალანსის“ დაცვის მნიშვნელობით, ვრცელდება როგორც ასეთ შემთხვევებზე, აგრეთვე სისხლის სამართლის საქმეებზეც (იხ.: დომბო ბეჰერი ბ. ვ., ციტირებულია ზემოთ, §§32-33). გარდა

ამისა, როდესაც სასამართლო იხილავს კონვენციის მე-6 მუხლის სამოქალაქო ასპექტთან დაკავშირებულ საქმეს, ის საჭიროდ მიიჩნევს მხედველობაში მიიღოს სისხლისსამართლებრივ საკითხებთან მიმართებით დამკვიდრებული მიდგომა (იხ.: დილიპაკი და კარაკაია თურქეთის წინააღმდეგ (*Dilipak and Karakaya v. Turkey*), nos. №7942/05 და №24838/05, §80, 4 მარტი, 2014; იხ.: აგრეთვე, კარმელ სალიბა მალტის წინააღმდეგ (*Carmel Saliba v. Malta*), №24221/13, §§67, 70, 73, 29 ნოემბერი, 2016).

29. ბოლოდროინდელ პრეცედენტულ სამართალში, სამოქალაქო სამართალწარმოებასთან დაკავშირებულ საჩივრებთან მიმართებით სასამართლომ გამოიყენა სისხლისსამართლებრივი სტანდარტი *in absentia* საქმის განხილვის შესახებ. სასამართლომ დაადგინა, რომ სამოქალაქო საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების დროს მან უნდა განსახილვროს: (i) ხელისუფლების ორგანოებმა გამოიჩინეს თუ არა გულმოდგინება, როდესაც მხარეებს მიაწოდეს ინფორმაცია; აგრეთვე, შეიძლება თუ არა მიხნეულ იქნას, რომ მომჩივნებმა უარი თქვეს მათ უფლებაზე – წარმდგარიყვნენ სასამართლოს წინაშე და დაეცვათ საკუთარი თავი; (ii) ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებდა თუ არა სათანადო საშუალებებს, რომლებიც მომჩივნებს უზრუნველყოფდა ახალი შეჯიბრებითი სამართალწარმოებით, მას შემდეგ, რაც მათთვის ცნობილი გახდებოდა მათ წინააღმდეგ გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების თაობაზე (იხ.: დილიპაკი და კარაკაია თურქეთის წინააღმდეგ, ციტირებულია ზემოთ, §§78, 80 და 88, 4 მარტი, 2014; აზდაჯიჩი, ციტირებულია ზემოთ, §§50 და 53; გიულევა ბულგარეთის წინააღმდეგ (*Gyuleva v. Bulgaria*), №38840/08, §38, 9 ივნისი, 2016; გახარია საქართველოს წინააღმდეგ (*Gakharia v. Georgia*), №30459/13, §38, 17 იანვარი, 2017).

## **ბ) აღნიშნული პრინციპების მისადაგება წინამდებარე საქმეზე**

30. მომჩივანი არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ მას სათანადოდ ეცნობა 2004 წლის 28 იანვარს ჩანიშნული სხდომის შესახებ და ის დანიშნულ დროს გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე. ამრიგად, წინამდებარე საქმეზე განსახილველ საკითხს წარმოადგენს, მიეცა თუ არა მომჩივანს სამართალწარმოებაში ეფექტურად მონაწილეობის და მხარეთა თანასწორობის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა.

31. სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივნის ადვოკატმა სასამართლო პროცესის გადადების თხოვნით სასამართლოს მიმართა ჩანიშნულ სხდომამდე ექვსი დღით ადრე. ვინაიდან სასამართლოსგან პასუხი ვერ მიიღო, მომჩივანი რაიონული სასამართლოს წინაშე გამოცხადდა და კიდევ ერთხელ გაიმეორა თხოვნა პროცესის გადადების შესახებ; მომჩივანმა უარი განაცხადა ადვოკატის გარეშე

საქმის განხილვაში მონაწილეობაზე. სხდომის ოქმის მიხედვით, პირველი ინსტანციის მოსამართლემ მხედველობაში არ მიიღო პროცესის გადადების შესახებ შუამდგომლობა და დაასკვნა, რომ ვინაიდან მომჩივანი უარს ამბობდა საქმის განხილვაში მონაწილეობაზე, ის უნდა მიხნეულიყო გამოუცხადებელ მხარედ; შედეგად, სასამართლომ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამ ეტაპზე სტრასბურგის სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს გააკეთოს შემდეგი დასკვნები.

32. კონვენცია არ ითვალისწინებს სამოქალაქო სამართალწარმოებაში იურიდიული წარმომადგენლობის ავტომატურ უფლებას; წინამდებარე საქმის გარემოებებში იურიდიული წარმომადგენლობა არ იყო სავალდებულო. თუმცა, მოცემული საქმის მსგავსად, როდესაც მხარე ითხოვს სასამართლო პროცესის გადადებას იმ საფუძველით, რომ მისი წარმომადგენელი არ იმყოფება და ეს უზღუდავს მას დაცვის უფლებას, ეროვნულმა სასამართლომ უნდა განიხილოს აღნიშნული მოთხოვნა და უპასუხოს მას. საკითხი, თუ რამდენად აუცილებელია სამართლიანი სამართალწარმოებისთვის ადვოკატის დახმარება, განხილულ უნდა იქნას თითოეული საქმის კონკრეტული ფაქტებიდან გამომდინარე, როგორცაა, თუ რა სამართლებრივი სიკეთე დგას სამართალწარმოებაში მომჩივნისთვის საფრთხის ქვეშ, აგრეთვე მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შესაბამისი კანონმდებლობისა და სამართალწარმოების კომპლექსურობა, მომჩივნის შესაძლებლობა, ეფექტურად წარადგინოს საკუთარი პოზიცია (იხ.: *mutatis mutandis*, სტილი და მორისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, ციტირებულია ზემოთ, §61, და ნ.ჯ.დ.ბ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (N.J.D.B. v. the United Kingdom), №76760/12, §73, 27 ოქტომბერი, 2015). ამ კონტექსტში უნდა დადგინდეს, ადვოკატის გარეშე ეფექტურად წარდგებოდა თუ არა მომჩივანი სასამართლოების წინაშე, კერძოდ, შეძლებდა თუ არა ის საქმის სათანადოდ და დამაკმაყოფილებლად წარმოდგენას (იხ.: *mutatis mutandis*, აირი ირლანდიის წინააღმდეგ (Airey v. Ireland), 9 ოქტომბერი, 1979, §24, სერია ა №32). გათვალისწინებული უნდა იქნას ასევე, საერთო კონტექსტი, სახელდობრ, რამდენად ისარგებლა სამართალწარმოებაში მომჩივანმა სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის და მხარეთა თანასწორობის უფლებით (იხ.: ნ.ჯ.დ.ბ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, ციტირებულია ზემოთ, §74).

33. წინამდებარე საქმეზე რაიონულმა სასამართლომ არ განიხილა, ხომ არ არსებობდა მტკიცებულება იმისა, რომ მომჩივანი და მისი ადვოკატი, რომლებმაც წარმოადგინეს სასამართლო პროცესის გადადების სერიოზული მიზეზი, არაკეთილსინდისიერად მოქმედებდნენ ან ცდილობდნენ სამართალწარმოების გაჭიანურებას. ეს იყო სასამართლო პროცესის გადადების შესახებ მათი პირველი შუამდგომლობა, რომელიც მომჩივანმა და მისმა

ადვოკატმა სასამართლოში სათანადოდ წარადგინეს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლი ცალსახად აღიარებს მხარის უფლებას, სასამართლოში საქმე აწარმოოს წარმომადგენლის მეშვეობით. ამავდროულად, სამართალწარმოების საგანი იყო დელიკატური, ვინაიდან ის ეხებოდა ყოფილი დამსაქმებლისა და დასაქმებულის ურთიერთობას და მოწინააღმდეგე მხარეს ადვოკატი სათანადოდ წარმოადგენდა. გარდა ზემოაღნიშნული ფაქტორებისა, სასამართლომ ერთი მხრივ, მომჩივნის კონკრეტული გარემოებების და, მეორე მხრივ, ხარისხიანი და სწრაფი მართლმსაჯულების ადმინისტრირების ინტერესების შეფასების გარეშე, უპასუხოდ დატოვა ადვოკატის წერილობითი თხოვნა და შემდეგ მიზეზების მითითების გარეშე, უარი თქვა სასამართლო პროცესზე მომჩივნის მიერ წარდგენილ იმავე თხოვნაზე.

34. შემდგომში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების კონტექსტში, 2005 წლის 19 მარტს იმავე მოსამართლემ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლზე დაყრდნობით, დაასკვნა, რომ მხარის წარმომადგენლის არყოფნა არ იყო სასამართლო პროცესის ჩატარების „დამაბრკოლებელი“ გარემოება. ამ კონტექსტში სტრასბურგის სასამართლო ვერ დაეთანხმება მთავრობის არგუმენტს, რომ მომჩივნის წარმომადგენლის მიერ უზენაესი სასამართლოს წინაშე სხვა საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღება არ წარმოადგენს სასამართლო პროცესის გადადების საკმარის საფუძველს; ამასთან, მომჩივნის თხოვნა ვერ მიიჩნევა სამართალწარმოების გაჭიანურების მცდელობად. ასეთი ზედმეტად ფორმალისტური და მოუქნელი მიდგომა ეწინააღმდეგება გულმოდგინების პრინციპს; ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა გამოიჩინონ გულმოდგინება, რათა უზრუნველყონ კონვენციის მე-6 მუხლით უზრუნველყოფილი უფლებებით ეფექტური სარგებლობა.

35. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეში მომჩივნის უარი, წარმომადგენლის გარეშე მონაწილეობა მიეღო საქმის განხილვაში, რაიონულმა სასამართლომ ფაქტობრივად გააიგივა მომჩივნის მიერ თავის უფლებაზე – მისი მონაწილეობით განეხილა საქმის არსებითი მხარე, უარის თქმასთან. თუმცა, როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, პირველი ინსტანციის მოსამართლემ, როდესაც მომჩივანს აცნობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგის შესახებ, პირველ რიგში, არ განუმარტა მას, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება გულისხმობდა მისი სარჩელის დაკმაყოფილებაზე ავტომატურად უარის თქმას, მიზეზების მითითების გარეშე (იხ.: სსკ-ის 229-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). მეორე, დაუსწრებელ გადაწყვეტილებებზე არ ვრცელდებოდა გასაჩივრების სტანდარტული პროცედურა (იხ.: სსკ-ის მუხლები 236, 241 და 366). სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებმა, როდესაც განიხილავდნენ დაუსწრებელი გადაწყვეტილების

გაუქმების საკითხს, მიიჩნევს, რომ მომჩივანს ეცნობა მისი ქმედებების შესაძლო შედეგები. მიუხედავად ამისა, სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივანს ადეკვატური და გასაგები ფორმით არ ეცნობა აღნიშნულის თაობაზე. ასეთ ვითარებაში უნდა დადგინდეს, ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებდა თუ არა სათანადო საშუალებებს, რომლებიც მომჩივანს უზრუნველყოფდა ახალი შეჯიბრებითი სამართალწარმოებით.

36. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო აცხადებს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება არ საჩივრდებოდა ზედა ინსტანციის სასამართლოს წინაშე (იხ., სსკს 366-ე მუხლი). სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 236-ე და 241-ე მუხლებით გათვალისწინებულია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების პროცედურა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დებულებები ადეკვატურ კომპენსაციას სთავაზობს იმ პირებს, რომელთა წინააღმდეგ გამოტანილი იყო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, მომჩივნის შემთხვევაში სხვაგვარად მოხდა. სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებმა, 2005 წლის 10 მაისისა და 16 სექტემბრის გადაწყვეტილებებში, დაადგინეს, რომ მომჩივნის წარმომადგენლის მიერ სხვა საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღება არ არის სასამართლო პროცესის გადადების საპატიო მიზეზი და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232-ე მუხლის მიხედვით საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღებაზე უარი, ნებისმიერი საფუძვლით, გაუმართლებელია. შესაბამისად, ზემოხსენებული მიზეზი არ არის მოცემული 233-ე მუხლში ამომწურავად ჩამოთვლილ საფუძვლებში, რომელთა არსებობის დროს დაუშვებელია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა. ამ გარემოებებში სასამართლო ასკვნის, რომ მომჩივანს არ მიეცა საქმის განახლების შესაძლებლობა.

37. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ მომჩივანს სამართალწარმოების დაწყებიდან სათანადოდ წარმოადგენდა საკუთარი ნებით არჩეული ადვოკატი. ადვოკატი პასუხისმგებელი იყო, სხვებს შორის, შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების და საქმის ნიუანსების თაობაზე მომჩივნის ინფორმირებულობაზე. სასამართლოს მოსაზრებით, ვინაიდან რაიონულმა სასამართლომ უპასუხოდ დატოვა 2004 წლის 22 იანვარს ჩანიშნული სხდომის გადადების შესახებ შუამდგომლობა, ეს გულისხმობდა ავტომატურ უარს თხოვნის დაკმაყოფილებაზე; ამრიგად, ადვოკატს უნდა ემოქმედა გულისხმიერად და მომჩივნისთვის უნდა მიეცა რჩევა ყველა შესაძლო სამართლებრივი სტრატეგიის შესახებ, მათ შორის, იმ სამართლებრივ ნაბიჯებზე, რაც მას უნდა გადაედგა ჩანიშნულ სასამართლო პროცესზე, მისი არყოფნის დროს (იხ.: *mutatis mutandis*, ჰერმი იტალიის წინააღმდეგ *Hermi v. Italy* [GC], №18114/02, §79, ECHR 2006-XII). თუმცა, სასამართლოს მოსაზრებით, მომჩივნისა და მისი წარმომადგენლის ქმედებასთან შედარებით, საქართველოს სასამართლო

ხელისუფლების გადაწყვეტილებამ არაპროპორციულად უარყოფითი შედეგები გამოიწვია.

38. ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო ადგენს, რომ მომჩივნის სამართალწარმოებაში ეფექტურად მონაწილეობის და მხარეთა თანასწორობის უფლება შეიზღუდა იმ მოცულობით, რომ არ შეესაბამებოდა კონვენციის მე-6 მუხლით განმტკიცებულ სამართლიანი განხილვის პრინციპებს. შესაბამისად, წინამდებარე საქმეზე დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი.

**დასკვნა:** დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი.

## ჯიშკარიანი საქართველოს წინააღმდეგ

(Jishkariani v. Georgia)

საჩივარი №18925/09

20 სექტემბერი, 2018

**ფაქტები:** მომჩივანი, მარიამ ჯიშკარიანი, ეროვნებით ქართველია, რომელიც დაიბადა 1965 წელს და ცხოვრობს თბილისში. ის ფსიქიატრი და ამასთან, არასამთავრობო ორგანიზაციის დირექტორია. აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციაზე. 2003 წელს, მომჩივანმა შექმნა რეაბილიტაციის პროექტი თბილისის ციხის პატიმრებისთვის. მოგვიანებით, ის გახდა იუსტიციის მინისტრის მიერ დაარსებული ციხის მონიტორინგის საბჭოს წევრი.

2005 წელს, იუსტიციის მინისტრმა ქ-ნი ჯიშკარიანი დაადანაშაულა თანხის სანაცვლოდ პატიმრებისთვის სამედიცინო დასკვნების შედგენაში, რომლის მეშვეობით ჯანმრთელი პატიმრები ციხის საავადმყოფოებში გადაჰყავდათ. მინისტრმა აღნიშნული განცხადებები გააკეთა ტელევიზიითა და ბეჭდური მედიის საშუალებით.

ქ-ნმა ჯიშკარიანმა ცილისწამებისთვის მინისტრის წინააღმდეგ სამოქალაქო სარჩელი აღძრა. სასამართლოებმა აღნიშნეს, რომ მომჩივნის წინააღმდეგ სახელმწიფო ორგანოებს გამოძიება არასდროს უწარმოებიათ და მინისტრის ბრალდებები „შესაძლოა მცდარ ფაქტებს შეიცავდეს.“ მიუხედავად ამისა, 2006 წელს, სასამართლოებმა მომჩივნის სარჩელი არ დააკმაყოფილეს და დაადგინეს, რომ მინისტრის მიერ გამოთქმული ბრალდებები წარმოადგენდა პირად მოსაზრებას, რაც გამოითქვა უმნიშვნელოვანეს საკითხზე საზოგადოებაში მიმდინარე დისკუსიის დროს და შესაბამისად, ის ჯდებოდა კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული დასაშვები კრიტიკის ფარგლებში.

სასამართლოებმა განაცხადეს, რომ დასაშვები კრიტიკის ფარგლები უფრო ფართო იყო ქ-ნ ჯიშკარიანთან მიმართებით, რადგან ის საჯარო პირს წარმოადგენდა. უფრო მეტიც, სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ მინისტრმა, საკითხთან დაკავშირებით შიდა გამოძიების ჩატარების გზით, გამოიჩინა ძალისხმევა, რათა დაეღვინა მისი განცხადებების სიზუსტე.

საბოლოოდ, 2008 წელს უზენაესმა სასამართლომ ქ-ნი ჯიშკარიანის საჩივარი დაუშვებლად ცნო. კონვენციის მე-8 მუხლზე დაყრდნობით (პირადი და ოჯახური

ცხოვრების პატივისცემის უფლება), მომჩივანი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე დაგობდა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ უზრუნველყვეს მისი რეპუტაციის დაცვა.

### **მხარეთა არგუმენტები:**

მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მინისტრმა მას საჯაროდ დასდო ბრალი დანაშაულებრივი საქმიანობის განხორციელებაში, მიუხედავად იმისა, რომ არც განცხადების გაკეთების დროს და არც შემდეგ ეტაპზე, მას არ ჰქონდა ამის დამადასტურებელი ფაქტობრივი საფუძველი. მან განაცხადა, რომ საკითხთან დაკავშირებით, შიდა გამოძიების ჩატარება განცხადების გაკეთებამდე მცირე დროით ადრე, გამოძიების შედეგების დალოდების გარეშე, ვერ მიიჩნეოდა ინფორმაციის დასაზუსტებლად საჭირო გულისხმიერების ვალდებულების შესრულებად.

მომჩივანმა დამატებით განაცხადა, რომ ეროვნული სასამართლოების უარი, დაეცვა მისი – როგორც ფსიქიატრის რეპუტაცია დაუსაბუთებელი ბრალდებებისგან, რომელიც მომდინარეობდა მაღალი თანამდებობის პირისგან, წარმოადგენდა კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული რეპუტაციის უფლების დარღვევას.

მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივნის რეპუტაციის უფლებაში ჩარევა, თუ მას საერთოდ ჰქონდა ადგილი, არ იყო იმ ხასიათის, რომ კონვენციის მე-8 მუხლის დაცვის ფარგლებში მოხვედრილიყო. მთავრობამ აღნიშნა, რომ მინისტრის განცხადებები გაკეთდა საჯარო დებატების კონტექსტში, რომელიც ეხებოდა სასჯელაღსრულების სისტემაში სამედიცინო მენეჯმენტს და მომჩივანი მონაწილეობდა აღნიშნულ დებატებში, სადაც მან საჯაროდ უპასუხა მინისტრის ბრალდებებს. მთავრობა იმეორებდა ეროვნული სასამართლოების დასკვნებს, რომ აპლიკანტი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განხორციელებული საქმიანობიდან გამომდინარე წარმოადგენდა საჯარო პირს და, შესაბამისად, მის მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლები უფრო ფართო იყო.

მთავრობის მოსაზრებით, ეროვნულმა სასამართლოებმა მართებულად გამოიყენეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, როდესაც აღგენდნენ ბალანსს კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ მომჩივნის რეპუტაციის უფლებასა და მინისტრის გამოხატვის თავისუფლებისა და მნიშვნელოვან საკითხზე საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების უფლებას შორის. მოპასუხე მთავრობა დამატებით იმეორებდა, რომ სახელმწიფოებისთვის მიკუთვნებული შეფასების ფართო ფარგლების გათვალისწინებით, ეროვნულ სასამართლოებს ჰქონდათ ექსკლუზიური კომპეტენცია, რათა დაედგინათ ბალანსი კონვენციით



გათვალისწინებულ გამოხატვის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების უფლებას შორის. გარდა ამისა, ცილისწამების დეკრიმინალიზაციის გათვალისწინებით, ეროვნულ დონეზე საკანონმდებლო ცვლილება იხრებოდა გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ.

## სასამართლოს შეფასება

### ა) ზოგადი პრინციპები

სასამართლო იმეორებს იმ პრინციპებს, რომლებიც კონვენციის მე-8 მუხლით უზრუნველყოფილი რეპუტაციის უფლების მიმართ პრეცედენტული სამართლით დაადგინა. იმისათვის, რომ გამოყენებულ იქნას მე-8 მუხლი, თავდასხმამ პირის რეპუტაციაზე სიმძიმის განსაზღვრულ ხარისხს უნდა მიაღწიოს და იმ ფორმით უნდა განხორციელდეს, რომ ზიანი მიაყენოს პირის პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებით სარგებლობას. იმ საქმეებში, რომლებიც ეხებოდა დანაშაულებრივი საქმიანობის ბრალდებას სტრასბურგის სასამართლომ ასევე, მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პარაგრაფის მიხედვით, ყველა, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა დამტკიცდება კანონის შესაბამისად.

კონვენციის მე-8 მუხლთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად გამოსაყენებელი საშუალებები, ხელშემკვრელი სახელმწიფოს თავისუფალი შეფასების ფარგლებშია და დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის ვალდებულება ეკისრება სახელმწიფოს – პოზიტიური თუ ნეგატიური. ანალოგიურად, კონვენციის მე-10 მუხლის მიხედვით, კონვენციის წევრ სახელმწიფოებს აქვთ თავისუფალი შეფასების გარკვეული ფარგლები, როდესაც აფასებენ, არის თუ არა საჭირო ან რა მოცულობით, ამ მუხლით უზრუნველყოფილ გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა.

მსგავსი ტიპის საქმეებზე მთავარ განსახილველ საკითხს წარმოადგენს, დაიცვა თუ არა სახელმწიფომ, კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულებების კონტექსტში, სამართლიანი ბალანსი პირის რეპუტაციის უფლებასა და მე-10 მუხლით გარანტირებული მეორე მხარის გამოხატვის თავისუფლებას შორის. იმ საქმეებში, სადაც საჭიროა პირადი ცხოვრების დაცულობის უფლების დაბალანსება გამოხატვის თავისუფლებასთან, საჩივრის შედეგი არ უნდა განსხვავდებოდეს იმის მიხედვით, ის წარდგენილი იქნა კონვენციის მე-8 თუ მე-10 მუხლის საფუძველზე. მართლაც, აღნიშნული უფლებები თანაბარ პატივისცემას იმსახურებს. ამრიგად, შეფასების ფარგლები თეორიულად ორივე შემთხვევაში იგივე უნდა იყოს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ერთმანეთისგან განასხვავებს ფაქტის შემცველ განცხადებასა და შეფასებით მსჯელობას. ფაქტის არსებობის დადასტურება შესაძლებელია, მაშინ როდესაც შეფასებითი მსჯელობის ნამდვილობა შეუძლებელია მტკიცების საგანი იყოს. შეფასების ნამდვილობის დამტკიცების მოთხოვნის შესრულება შეუძლებელია და ის არღვევს თავად გამოხატვის თავისუფლების არსს, რაც კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული უფლების ფუნდამენტური ნაწილია. თუმცა, მაშინაც კი, როცა განცხადება შეფასებით მსჯელობად არის მიჩნეული, უნდა არსებობდეს ასეთი შეფასების საკმარისი „ფაქტობრივი საფუძველი,“ წინააღმდეგ შემთხვევაში შეფასება შეიძლება გასცდეს პრივილეგიით დაცულ ზღვარს და „გადაჭარბებულად“ იქნას მიჩნეული. განცხადების კლასიფიკაცია ფაქტად ან შეფასებით მსჯელობად, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული ხელისუფლების კერძოდ, ეროვნული სასამართლოს კომპეტენციას მიეკუთვნება. თუმცა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შეიძლება საჭიროდ მიიჩნიოს, თავად შეაფასოს სადავო განცხადებები.

საზედამხედველო ფუნქციების განხორციელებისას, სტრასბურგის სასამართლოს ამოცანას არ წარმოადგენს ეროვნული სასამართლოების ჩანაცვლება, არამედ მთლიანი საქმის გარემოებების გათვალისწინებით, ის იხილავს ამ უკანასკნელთა მიერ კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების თავსებადობას კონვენციის დებულებებთან.

სასამართლომ დაადგინა სხვადასხვა კრიტერიუმები, რომლებიც ამ ორ უფლებას შორის სამართლიანი ბალანსის უზრუნველყოფის მიზნით ფასდება. მოცემული საქმის გარემოებებში, სტრასბურგის სასამართლო სათანადოდ მიიჩნევს განიხილოს ქვემოთ მოცემული კრიტერიუმები: ის წვლილი, რომელიც სადავო განცხადებამ საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე დებატებში შეიტანა; იმ პირის საზოგადოებრივი ცნობადობის ხარისხი, ვისაც სადავო განცხადება ეხებოდა და მისი ქმედებები განცხადების გამოქვეყნებამდე; განცხადების საგანი, შინაარსი, ფორმა და შედეგები; აგრეთვე, რა გზით იქნა მოპოვებული განცხადებაში გაჟღერებული ინფორმაცია და იგი რამდენად სარწმუნო იყო.

## **ბ) აღნიშნული პრინციპების საქმესთან მისადაგება**

### ***(i) მინისტრის განცხადებებიდან გამომდინარე ბრალდებებთა სიმძიმე***

მინისტრის მიერ საჯაროდ გაჟღერებული მკაფიო ინსინუაციები, რომ მომჩივანი, სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის დირექტორთან ერთად, ჩართული იყო თანხის სანაცვლოდ პატიმრებისთვის მცდარი სამედიცინო დასკვნების

შედგენაში და მის წინააღმდეგ მიმდინარეობდა გამოძიება, მძიმე ხასიათის იყო. აღნიშნული განცხადებები ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ მომჩივანმა ჩაიდინა დანაშაული და ისინი გავლენას იქონიებდა მისი, როგორც სამედიცინო პროფესიონალისა და სამოქალაქო საზოგადოების აქტიური წარმომადგენლის რეპუტაციაზე. შესაბამისად, ბრალდებებმა მიაღწიეს სერიოზულობის სავალდებულო დონეს, ვინაიდან მათ შეეძლოთ კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული რეპუტაციისთვის ზიანის მიყენება.

***(ii) საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე დებატებში წვლილის შეტანა***

სტრასბურგის სასამართლო იზიარებს ეროვნული სასამართლოების შეფასებას, რომ იმ პერიოდში საზოგადოებრივი ინტერესის მქონე მნიშვნელოვან საკითხზე დებატები მიმდინარეობდა. 2005 წლის 10 სექტემბრის ინციდენტმა და კიდევ ერთმა ეპიზოდმა, როდესაც სავარაუდოდ სამედიცინო მკურნალობის არარსებობის გამო გარდაიცვალა პატიმარი, გამოიწვია დისკუსია იმასთან დაკავშირებით, შესაბამისი ინსტიტუტები სათანადოდ მართავდნენ თუ არა სასჯელაღსრულების დაწესებულებებსა და მათ სამედიცინო მომსახურებებს. პატიმართა უსაფრთხოება, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, აგრეთვე მათი დროული პოსპიტალიზაცია წარმოადგენს ისეთ საკითხებს, რომლებიც საზოგადოებაზე გავლენას ახდენს იმდენად, რომ შეიძლება ინტერესი გამოიწვიოს მასში და მიიზიდოს ფართო მედია გაშუქება. წინამდებარე საქმის გარემოებებში, განცხადებები, რომლებიც მიზნად ისახავდა ციხეებში სამედიცინო მომსახურებების მენეჯმენტის შესაძლო ხარვეზების გაშუქებას, ამ საკითხზე საჯარო დებატების ნაწილი იყო.

***(iii) რამდენად ცნობილი იყო მომჩივანი, მისი ქმედებები სადავო განცხადებების გაგრძელებამდე და რა იყო განცხადებების საგანი***

სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანი, როგორც ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში მომუშავე პროფესიონალი და სამოქალაქო საზოგადოების აქტიური წევრი, ისევე როგორც ციხეში პატიმართა რეაბილიტაციის პროექტზე პასუხისმგებელი პირი და პატიმართა ფსიქიკური ჯანმრთელობის კვლევისა და მონიტორინგის კომისიის წევრი, ეროვნულმა სასამართლოებმა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონის მიზნებისთვის მიიჩნია არა კერძო, არამედ საჯარო პირად.

დებატები და სადავო განცხადებები ეხებოდა არა მომჩივნის პირად ცხოვრებას, არამედ მის საქმიანობას ზემოაღნიშნულ სფეროში. მომჩივნის პოზიციისა და

ციხეში მისი საქმიანობის გათვალისწინებით, რაც მოიცავს პატიმართა სამედიცინო შეფასებას, სასამართლო ვერ ხედავს რაიმე მიზეზს, რათა არ გაიზიაროს ეროვნული სასამართლოს დასკვნები იმასთან დაკავშირებით, რომ მომჩივანი წარმოადგენდა საჯარო პირს და შესაბამისად, მის მიმართ, კერძო პირებთან შედარებით, დასაშვები კრიტიკის ფარგლები უფრო ფართო იყო.

#### ***(iv) განცხადებების შინაარსი, ფორმა და შედეგები***

სტრასბურგის სასამართლომ უკვე აღნიშნა, რომ მინისტრის ბრალდებები მძიმე ხასიათის იყო და ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ მომჩივანმა ჩაიდინა დანაშაული. თუმცა, ეროვნულმა სასამართლოებმა დაასკვნეს, რომ გაკეთებული განცხადებები წარმოადგენდა მინისტრის მოსაზრებას, რომელიც მიზნად ისახავდა წვლილი შეეტანა საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე დებატებში და ამდენად ის შეწყნარებული უნდა ყოფილიყო მომჩივნის მიერ. ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ გასაჩივრებული განცხადებები წარმოადგენდა შეფასებით მსჯელობას და ის არ იყო გადაჭარბებული. მიუხედავად ამისა, არცერთ სასამართლოს არ შეუფასებია როგორ შეიძლებოდა შეფასებითი მსჯელობა ყოფილიყო ფაქტობრივი ბრალდება კონკრეტული პირის წინააღმდეგ და მას წვლილი შეეტანა საჯარო ინტერესის მქონე დებატებში.

წინამდებარე საქმის გარემოებებში, სტრასბურგის სასამართლოს მომჩივნის წინააღმდეგ გაუღებრებული ბრალდებები შეფასებით მსჯელობად რომც მიეჩნია, სასამართლო იმეორებს, რომ დადგენილი პრეცედენტული სამართლის მიხედვით, მაშინაც კი, როდესაც განცხადება წარმოადგენს შეფასებით მსჯელობას, უნდა არსებობდეს მისი დამადასტურებელი საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი, წინააღმდეგ შემთხვევაში ის მიიჩნევა გადაჭარბებულად.

შესაბამისად, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ მინისტრის მიერ გაკეთებულ განცხადებებს, მისი პოზიციიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და საზოგადოების მხრიდან ნდობას იმსახურებდა. აღნიშნული გარემოება ადასტურებს მათი ნამდვილობის დაზუსტების საჭიროებას.

#### ***(v) ინფორმაციის მოპოვების მეთოდი და მისი სიზუსტე***

მინისტრი დავობდა, რომ 2005 წლის 10 სექტემბრის ინციდენტის მონაწილე პატიმარი, რომელიც მომჩივნის სამედიცინო დასკვნის საფუძველზე ციხის საავადმყოფოში გადაიყვანეს, ფაქტობრივად ჯანმრთელი იყო და მომჩივანი არ

იყო უფლებამოსილი პატიმართა ჯანმრთელობის შესახებ ჟურნალში ჩანაწერები გაეკეთებინა. მან ასევე განაცხადა, რომ მომჩივანი ჩართული იყო ჯანმრთელი პატიმრების მიმართ მცდარი სამედიცინო დასკვნების შედგენის კორუფციულ სქემაში, რათა ისინი თანხის სანაცვლოდ ციხის საავადმყოფოში გადაეყვანათ.

რაც შეეხება პირველ ელემენტს, ეროვნულმა სასამართლოებმა არ უპასუხეს მომჩივნის არგუმენტს, რომ აღნიშნულ პატიმართან მიმართებით სამედიცინო დოკუმენტაცია ცხადყოფდა, რომ მას აწუხებდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემა. სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ მართალია, 2005 წლის 10 სექტემბრის ინციდენტის მონაწილე პატიმარი ციხის საავადმყოფოში გადაყვანილ იქნა მომჩივნის სამედიცინო შეფასების საფუძველზე, თუმცა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დასკვნა, რომელიც სადავო განცხადებების გაკეთების შემდეგ გამოიცა, ადასტურებდა მომჩივნის განცხადებას, რომ აღნიშნულ პატიმარს ნამდვილად ჰქონდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სერიოზული, მათ შორის, ფსიქიკური პრობლემები და თავის ტრავმა.

რაც შეეხება მომჩივნის კომპეტენციას შესაბამის ჟურნალში პატიმართა ჯანმრთელობასთან დაკავშირებით ჩანაწერების გაკეთების შესახებ, ეროვნულ სასამართლოებს ამ საკითხთან დაკავშირებით დასკვნა არ გაუკეთებიათ.

თუმცა, თუნდაც დავუშვათ, რომ მინისტრის ბრალდების მეორე ელემენტი სინამდვილეს შეესაბამებოდა, მინისტრის განცხადების მთავარ ასპექტს წარმოადგენდა და მომჩივნის მიერ დაწყებული სამოქალაქო სამართალწარმოება ეხებოდა მინისტრის ბრალდების მესამე ელემენტს, სახელდობრ, იმ მძიმე ბრალდების ნამდვილობას, რომ მომჩივანი თანხის სანაცვლოდ, მცდარ სამედიცინო დასკვნებს ადგენდა და ჯანმრთელ პატიმრებს ციხის საავადმყოფოში ათავსებდა.

ამასთან დაკავშირებით, ეროვნულმა სასამართლოებმა აღნიშნეს, რომ მომჩივნის მიმართ სახელმწიფო ორგანოებს გამოძიება არასდროს უწარმოებიათ და მინისტრის ბრალდებები „შესაძლოა შეიცავდეს მცდარ ფაქტებს.“ გარდა ამისა, 2005 წლის 10 სექტემბრის ინციდენტთან დაკავშირებით დაწყებული გამოძიება, რომელიც როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ნაწილობრივ ეხებოდა სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტში კორუფციასა და არასწორ მენეჯმენტს, შეწყდა დანაშაულის არარსებობის გამო. აქედან გამომდინარე, მინისტრის ბრალდებებს, სტრასბურგის სასამართლოს ისინი შეფასებით მსჯელობად რომც მიეჩნია, აკლდა საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი. თუმცა, ეროვნულმა სასამართლო ხელისუფლებამ მიიჩნია, რომ მინისტრმა საკითხთან დაკავშირებით შიდა გამოძიების ჩატარების გზით გამოიჩინა ძალისხმევა, რათა განცხადებების გაკეთებამდე დაეზუსტებინა ინფორმაციის ნამდვილობა.

პასუხგასაცემი რჩება შემდეგი საკითხი – გამოიჩინა თუ არა მინისტრმა გულისხმიერება, როდესაც ცდილობდა მის მიერ გავრცელებული ინფორმაციის ნამდვილობის დაზუსტებას. მომჩივნის საქმეზე ეროვნული სასამართლოების მიერ გამოყენებული ეროვნული კანონმდებლობა მტკიცების ტვირთს აკისრებდა არა მინისტრს, არამედ მომჩივანს, რათა დაედასტურებინა არამხოლოდ მის წინააღმდეგ გაუღებებული ბრალდებების სიცრუე და მის მიერ განცდილი ზიანი, არამედ აგრეთვე ის, რომ მინისტრმა გამოიჩინა აშკარა და უხეში დაუდევრობა, როდესაც გაავრცელა ბრალდებები, რომლებიც არ იყო სხვაგვარად გამყარებული.

კონვენციის მე-10 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დაბალანსებისას, სტრასბურგის სასამართლოს მიერ დადგენილი პრინციპების გათვალისწინებით, სასამართლო ვერ გაიზიარებს ეროვნული სასამართლოების დასკვნას, რომ მინისტრმა გამოიჩინა გულისხმიერება, როდესაც ეცადა დაედგინა მის მიერ გაკეთებული განცხადებების ნამდვილობა ან მომჩივანმა ვერ შეძლო მინისტრის მხრიდან გულისხმიერების ნაკლებობის დემონსტრაცია. მართალია, მინისტრმა ჩაატარა შიდა გამოძიება, თუმცა ის არ დაელოდა მის დასრულებას. მას ასევე, არ გააჩნდა მომჩივნის წინააღმდეგ სხვა დაზუსტებული ინფორმაცია. შესაბამისად, გამოძიების ჩატარება, მისი შედეგების დალოდების გარეშე, ვერ მიიჩნევა იმგვარი ძალისხმევის გამოვლინებად, რაც საჭიროა გულისხმიერების სტანდარტის დასაკმაყოფილებლად.

სასამართლო ამასთან დაკავშირებით იმეორებს შემდეგს: კონვენცია არ შეიძლება განიმარტოს იმგვარად, თითქოს ის მოითხოვს პირებისგან, კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლებების კონტექსტში, შეიწყნარონ მათ მიმართ საჯაროდ გაუღებებული სისხლისსამართლებრივი ბრალდებები მთავრობის წარმომადგენლების მიერ, რომელთაგანაც საზოგადოება მოელის, რომ ფლობენ დადასტურებულ ინფორმაციას აღნიშნულ ბრალდებებთან დაკავშირებით და როდესაც ასეთი განცხადებები არ არის გამყარებული ფაქტებით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სტრასბურგის სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ მინისტრის გამოსატყვის თავისუფლების უზრუნველსაყოფად წარმოდგენილი მიზეზები გადაწონდა მომჩივნის რეპუტაციის დაცვის უფლებას. ამრიგად, სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ დაიცვა სამართლიანი ბალანსი შეპირისპირებულ უფლებებს შორის.

**დასკვნა:** შესაბამისად, წინამდებარე საქმეზე დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.

## ილიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (განჩინება)

(Iliashvili v. Georgia (dec.))

საჩივარი №22715/07

9 ოქტომბერი, 2018

### ფაქტები:

მომჩივანი, თამაზ ილიაშვილი 1963 წელს დაბადებული საქართველოს მოქალაქეა და ცხოვრობს თბილისში. სასამართლოს წინაშე მას წარმოადგენს ქნი ლ. მუსაშავერა, თბილისში მომუშავე ადვოკატი. მთავრობას წარმოადგენდა იუსტიციის სამინისტროს აგენტი, ბ. ძამაშვილი.

### A. ეროვნული სამართალწარმოება

მომჩივანი საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრი იყო, კერძოდ კი, სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე. აღნიშნული პალატა იხილავდა კომპლექსურ სისხლის სამართლის საქმეებს. მომჩივნის უფლებამოსილების ათწლიანი ვადის ათვლა დაიწყო 2000 წლის 28 სექტემბერს. 2005 წლის 12 ივლისს, 31 აგვისტოსა და 19 სექტემბერს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, მომჩივნის წინააღმდეგ რამდენიმე დისციპლინური საქმის წარმოება დაიწყო მართლმსაჯულების არაჯეროვნად განხორციელების რამდენიმე ეპიზოდთან დაკავშირებით. 2006 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილებით, საერთო სასამართლოების დისციპლინურმა საბჭომ მოსამართლეს დააკისრა პასუხისმგებლობა პროფესიული მოვალეობის არაერთი დარღვევის გამო „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის ა) პუნქტის საფუძველზე – „საქმის განხილვისას მოსამართლის მიერ კანონის უხეში ან/და არაერთგზის დარღვევა“ და დაეკისრა თანამდებობიდან გათავისუფლება, ამავე კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე. 2006 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ ძალაში დატოვა 2006 წლის 1-ელ ნოემბერს. მომჩივანს შემდგომში აეკრძალა

მოსამართლის თანამდებობის ხელახლა დაკავება, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის 34 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით.

## **B. საქმის წარმოება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე**

2015 წლის 6 ოქტომბერს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვიტა, მთავრობისთვის ეცნობებინა საჩივრის შესახებ, რომელიც ეფუძნებოდა კონვენციის მე-6 მუხლის სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივ ასპექტს და კონვენციის მე-7 მუხლს. მეგობრული მორიგების მიღწევის რამდენიმე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, 2016 წლის 15 სექტემბრისა და 2017 წლის 17 იანვრის წერილებით, მთავრობამ სასამართლოს შეატყობინა, რომ სურდა ცალმხრივი დეკლარაცია იმ მიზნით, რომ გადაეჭრა საჩივრის შესაბამისი ნაწილით წარმოშობილი საკითხი. კერძოდ, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის სამოქალაქო ნაწილის დარღვევის აღიარების შემდეგ, რაც დაკავშირებული იყო მომჩივნის წინააღმდეგ განხორციელებულ დისციპლინურ სამართალწარმოებასთან, მთავრობამ იკისრა ვალდებულება მომჩივნისთვის გადაეხადა 5 000 (ხუთი ათასი) ევრო, რათა აენაზღაურებინა არამატერიალური და მატერიალური ზიანი, ისევე როგორც ხარჯები და დანახარჯები. მთავრობამ აგრეთვე განაცხადა, რომ მომჩივნის დისციპლინური პასუხისმგებლობის სამართლებრივი საფუძველი – „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 ა) პუნქტი – 2012 წლის 27 მარტს გაუქმდა საქართველოს პარლამენტის მიერ, რის შემდეგაც 2014 წლის 1-ლი აგვისტოდან, მომჩივანს მიეცა უფლება დაეკავებინა თანამდებობა სასამართლო სისტემაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შემდგომი სამართლებრივი დაცვის საშუალება, რომელიც მიზნად ისახავდა მომჩივნის უფლებების სრულ აღდგენას, კვლავ ღია იყო მომჩივნისთვის ეროვნულ დონეზე. ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, მთავრობამ მოთხოვა სასამართლოს საჩივარი ამოერიცხა განსახილველ საქმეთა ნუსხიდან, კონვენციის 37-ე მუხლზე დაყრდნობით. 2016 წლის 24 ოქტომბრის წერილით, მომჩივანმა განაცხადა, რომ არ ეთანხმებოდა ცალმხრივი დეკლარაციის დებულებებს. მომჩივნის განცხადებით, მთავრობის დეკლარაცია არ წარმოადგენდა ადეკვატურ ზიანის ანაზღაურებას იმ ტანჯვისა და შფოთვისთვის, რაც გამოიწვია თვითნებურმა დისციპლინურმა სამართალწარმოებამ.



## C. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა

1. საქართველოს კანონი „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ 2005-2006 წლების მდგომარეობით

2000 წლის 23 თებერვლის საქართველოს კანონი „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ მე-2 მუხლის მე-2 ა) პუნქტი, 2005 წლის 23 ივნისის შესწორებებთან ერთად, რომელიც ძალში იყო მომჩინის მიერ საჩივრების წარდგენისას, სხვა საკითხებთან ერთად, აღგენდა დისციპლინური გადაცდომის სახეებს, ამ შემთხვევაში, სახეზე გვაქვს ერთ-ერთი მათგანი – „საქმის განხილვისას მოსამართლის მიერ კანონის უხეში ან/და არაერთგზის დარღვევა“.

მე-2 მუხლი ასევე ამბობდა:

„კანონის უხეშ დარღვევად ჩაითვლება კანონმდებლობის არსებითი დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა (ან შეექძო მიყენებინა) პროცესის მონაწილის ან მესამე პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს. კანონის არაერთგზის დარღვევად ჩაითვლება კანონმდებლობის 3-ჯერ და მეტჯერ დარღვევა. მოსამართლის მიერ კანონის უხეშ ან/და არაერთგზის დარღვევად არ ჩაითვლება კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძვლად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა.“

ზემოაღნიშნული კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტი ითვალისწინებდა სხვადასხვა დისციპლინური ღონისძიების სახეებს, მათი სიმძიმის გათვალისწინების რიგითობით: შენიშვნა, საყვედური, მკაცრი საყვედური და მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება.

ზემოაღნიშნული აქტის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილი იყო აღედგა დისციპლინური დევნა მოსამართლის მიმართ, ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ნებისმიერი საფუძვლით.

2. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონში შემდგომი ცვლილებები

2012 წლის 27 მარტს, 2000 წლის 23 თებერვლის საქართველოს კანონის „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ მე-2 მუხლის მე-2 ა) პუნქტი გაუქმდა.

შემდგომში, 2014 წლის 1-ელ აგვისტოს, პარლამენტმა მიიღო საერთო სასამართლოების შესახებ კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონი, რომლის მიხედვითაც, თუ სამართლებრივი ნორმა, რომელიც თავდაპირველად ითვალისწინებდა მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის საფუძვლებს შემდგომში გაუქმდა, გათავისუფლებულ მოსამართლეს შეეძლო დაეკავებინა სხვა თანამდებობა სასამართლო სისტემაში (იხ.: პარაგრაფი 8).

## სამართალი

კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივ ნაწილებზე, აგრეთვე კონვენციის მე-7 მუხლზე დაყრდნობით, მომჩივანი დავობდა, რომ მის წინააღმდეგ სამართალწარმოება არ იყო სამართლიანი იმის გამო, რომ მოსამართლის თანამდებობიდან მისი გათავისუფლების სამართლებრივ საფუძველს აკლდა საჭირო სიზუსტე, სიცხადე და განჭვრეტადობა.

### ა. კონვენციის 6 §1 მუხლის სამოქალაქო ნაწილთან დაკავშირებით

სასამართლო იმეორებს, რომ მას შეუძლია ამორიცხოს საჩივრები განსახილველ საქმეთა ნუსხიდან კონვენციის 37 §1 (c) მუხლის მნიშვნელობით, მოპასუხე მთავრობის ცალმხრივი დეკლარაციის საფუძველზე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მომჩივნებს სურთ გაგრძელდეს საქმეთა განხილვა. სასამართლომ გამოიკვლია აღნიშნული დეკლარაციების შესაბამისობა პრეცედენტულ სამართალთან, კერძოდ, *ტაჰსინ აკარის* გადაწყვეტილებასთან (იხ.: *Tahsin Acar v. Turkey* (პირველადი პრეტენზია მიუღებლობის შესახებ) [დიდი პალატა], 26307/95, §§ 75-77, ECHR 2003-VI; *WAZA Sp. z o.o. v. Poland* (განჩინება), №11602/02, 26 ივნისი, 2007; და *Sulwinska v. Poland* (განჩინება), №28953/03, 18 სექტემბერი, 2007).

რიგ საქმეებში, სასამართლომ მათ შორის, საქართველოს წინააღმდეგ საქმეებში, დაადგინა სასამართლო პრაქტიკა კონვენციის 6 §1 მუხლთან დაკავშირებით, როდესაც საქმე ეხება მოსამართლეთა წინააღმდეგ დისციპლინური სამართალწარმოების სამართლიანობას (იხ.: მაგალითად, *Ramos Nunes de Carvalho e Sa v. Portugal* [დიდი პალატა], №55391/13 და 2 სხვა, §§119-128, 6 ნოემბერი, 2018; *Denisov v. Ukraine* [დიდი პალატა], №76639/11, §§44-82, 25 სექტემბერი 2018; *Baka v. Hungary* [დიდი პალატა], №20261/12, §§100-122, ECHR 2016; *Oleksandr Volkov v. Ukraine*, N 21722/11, §§ 83-156, ECHR 2013; *Sturua v. Georgia*, №45729/05, §§19-36, 28 მარტი 2017; *Olujic v. Croatia*, №22330/05, §§26-91, 5 თებერვალი, 2009; *Mariamidze v. Georgia* (განჩინება), №9154/06, 19 სექტემბერი, 2017).

მთავრობის დეკლარაციაში არსებული აღიარებების და ასევე, შემოთავაზებული კომპენსაციის ბუნების გათვალისწინებით, რაც შეესაბამება სხვა მსგავს საქმეებში არსებულ რაოდენობას – სასამართლო მიიჩნევს, რომ აღარ არის გამართლებული საჩივრების შესაბამისი ნაწილების შესწავლა (მუხლი 37 §1 (გ)).

ამასთან დაკავშირებით, სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შემდგომ, „დისციპლინური სანქციების შესახებ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ 2 (2)(ა) მუხლის თანახმად, მომჩივნისთვის დაკისრებული დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ ჩანაწერი/ისტორია წაიშალა და ამგვარად, მას კვლავ შეუძლია სურვილის შემთხვევაში, ხელახლა დაიკავოს მოსამართლის თანამდებობა (ზემოთ იხ.: პარაგრაფები 10, 12, 19, 22, 28 და 29).

ზემოხსენებული მოსაზრებების და კერძოდ, მოცემულ საკითხზე მკაფიო და ვრცელი პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ კონვენცია და მისი ოქმები არ ავალდებულებს მას გააგრძელოს საჩივართა იმ ნაწილების შესწავლა, რომელსაც ფარავს მთავრობის ცალმხრივი დეკლარაციები (მუხლი 37 §1).

საბოლოოდ, სასამართლო ხაზს უსვამს, რომ თუ მთავრობა ვერ შეასრულებდა საკუთარი ცალმხრივი დეკლარაციის პირობებს, საჩივრების განსახილველ საქმეთა ნუსხაში აღდგენა შესაძლებელი იქნებოდა კონვენციის 37 §2 მუხლზე დაყრდნობით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წინამდებარე საჩივარი უნდა ამოირიცხოს კონვენციის 37 §1 (გ) მუხლის მნიშვნელობით განსახილველ საქმეთა ნუსხიდან.

#### *ბ. საჩივრის დარჩენილ ნაწილთან დაკავშირებით*

რაც შეეხება საჩივრებს კონვენციის 6 §1 მუხლის სისხლის სამართლის ნაწილისა და კონვენციის მე-7 მუხლის საფუძველზე, მთავრობამ განაცხადა რომ სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, აღნიშნული საჩივრები *ratione materiae* შეუსაბამო იყო წარმოდგენილ მუხლებთან. მომჩივანი აღნიშნულ მოსაზრებას არ დაეთანხმა.

სასამართლო, მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ წინა დასკვნებზე დაყრდნობით, მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეში დისციპლინური სამართალწარმოება არ საჭიროებს კონვენციის 6 §1 მუხლის სისხლის სამართლის ნაწილის გამოყენებას (იხ.: *Denisov*, §43; *Sturua*, §28; *Mariamidze*, განჩინება §21 და ასევე, შედარებისთვის იხილეთ: *Oleksandr Volkov*, §§92-95).

კონვენციის 6 §1 მუხლის სისხლის სამართლის ნაწილისა და კონვენციის მე-7 მუხლის ურთიერთკავშირის აგრეთვე, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ დაკისრებული სანქციები იყო წმინდა დისციპლინური ხასიათის, არ შეიძლება მიჩნეული იყოს სისხლისსამართლებრივი მსჯავრდების შედეგად დაკისრებულ სასჯელად (შედარებისთვის იხილეთ: *Bravo Belo v. Portugal* (განჩინება) [კომიტეტი], №57026/11, 21 ივნისი, 2016), ეს უკანასკნელი დებულება ასევე არ შეიძლება გამოიყენებოდეს წინამდებარე საქმეში.

შესაბამისად, წინამდებარე საჩივარი, რამდენადაც ის დაკავშირებულია მომჩივნის საჩივართან კონვენციის 6 §1 მუხლის სისხლის სამართლის ნაწილის და კონვენციის მე-7 მუხლთან მიმართებით, *ratione materiae* არ შეესაბამება კონვენციის დებულებებს 35 §3 (ა) მუხლის მნიშვნელობით (საჩივარი შეუთავსებელია კონვენციისა და მისი ოქმების დებულებებთან, აშკარად უსაფუძვლოა ან წარმოადგენს საჩივრის უფლების ბოროტად გამოყენებას) და უარყოფილი უნდა იქნას 35 §4 მუხლის შესაბამისად (სასამართლო უარს ეტყვის ყველა საჩივარს, რომელსაც მიუძღვება ცნობს ამ მუხლის საფუძველზე. ამის უფლება მას აქვს პროცესის ნებისმიერ სტადიაზე).

*აქედან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად ადგენს, რომ*

ითვალისწინებს მთავრობის დეკლარაციის პირობებს, რომლებიც ეხება მომჩივნის საჩივარს კონვენციის მე-6 მუხლის §1 სამოქალაქო ნაწილთან მიმართებით და ფორმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მათში მითითებული ვალდებულებების შესრულებას;

გადაწყვიტა, საჩივრის აღნიშნული ნაწილი განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამოერიცხა კონვენციის 37-ე მუხლის §1 (c) საფუძველზე;

გადაწყვიტა, საჩივრის დარჩენილი ნაწილი მიუღებლად ცნოს.

**ტუსკია და სხვები საქართველოს წინააღმდეგ  
(Tuskia and Others v. Georgia)**

**საჩივარი №14237/07**

**11 ოქტომბერი, 2018**

**ფაქტები**

მომჩივნები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცხრა პროფესორია, რომლებმაც გააპროტესტეს უნივერსიტეტის რეფორმები. 2006 წლის ივლისში ისინი კანონიერი ნებართვის ფარგლებში შეიკრიბნენ უნივერსიტეტის მთავარი კორპუსის დიდ დარბაზში. შეკრების დროს ერთ-ერთი მომჩივანი „არჩეულ“ იქნა უნივერსიტეტის რექტორად. ამის შემდეგ, დაახლოებით ოცი ადამიანისგან შემდგარი ადამიანთა ჯგუფი მათ შორის, მომჩივნები, შეიჭრნენ მოქმედი რექტორის კაბინეტში და მოითხოვეს მისი გადადგომა. ამის შემდეგ, პოლიციამ ისინი გააძევა რექტორის კაბინეტიდან და ცნო ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევებად.

**სამართალი**

**მე-11 მუხლი მე-10 მუხლთან მიმართებაში**

ა) სახეზე იყო თუ არა მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების უფლების განხორციელებაში ჩარევა – ის მოვლენები, რომლებიც მოჰყვა მომჩივანთა მიერ უნივერსიტეტის რექტორის კაბინეტში უკანონო შეჭრას, არ წარმოადგენს „მშვიდობიანი შეკრების“ სტანდარტულ სიტუაციას. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოხდა დაძაბული სიტუაციის დროს, ეროვნული სამართალწარმოების ფარგლებში მომჩივანთა ქმედება არ დადგენილა როგორც ძალადობრივი ხასიათის ქმედება. საბოლოოდ, მომჩივანთა პროტესტი არ იყო ისეთი ხასიათის და ხარისხის, რომელიც გამორიცხავს კონვენციის მე-11 მუხლის დაცვის ფარგლებს მე-10 მუხლთან მიმართებით, ხოლო მომჩივანთა გაძევება და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მიჩნეულ იქნა როგორც შეკრების თავისუფლების უფლებაში ჩარევა.

ბ) იყო თუ არა ჩარევა კანონით გათვალისწინებული, ატარებდა თუ არა იგი ლეგიტიმურ მიზანს და იყო თუ არა იგი აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში

*i) კაბინეტიდან გაძევება* – სადავო ჩარევას ჰქონდა საფუძვლები ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში, ასევე ატარებდა ლეგიტიმურ მიზანს, რათა თავიდან აეცილებინა საჯარო არეულობა და იცავდა სხვათა უფლებებს. მომხივანთა ქმედებებმა შეაშინა სხვა თანამშრომლები და სტუდენტები, რამაც ხელი შეუშალა საგანმანათლებლო დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას. მომხივანთა პროტესტმა სულ ცოტა, ორი საათით დააბრკოლა რექტორის და უშუალო კოლეგების მიერ საკუთარი მოვალეობის შესრულება.

მომხივნებს შესაძლებლობა მიეცათ, წინასწარ მინიჭებული უფლების ფარგლებში, რამდენიმე საათის განმავლობაში შეკრებილიყვნენ უნივერსიტეტის მთავარ შენობაში. რის შედეგადაც, ისინი ორი საათის განმავლობაში პროტესტს გამოხატავდნენ მოქმედი რექტორის სამუშაო კაბინეტში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ (მათ შორის, მოქმედმა რექტორმა) და შემდგომში, პოლიციამ გამოიჩინა შემწყნარებლობა. პოლიციის მხრიდან ადგილი არ ჰქონია რაიმე ფიზიკური ძალის გამოყენებას. ამის ნაცვლად, როგორც დადგენილია ეროვნული სამართალწარმოების ფარგლებში, პოლიციის თანამშრომლები აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს მომხივნებთან, მათი მშვიდობიანი დაშლის მიზნით. უფრო მეტიც, მომხივნებს აღნიშნული კაბინეტიდან გაძევების შემდეგ, უფლება მიეცათ დარჩენილიყვნენ უნივერსიტეტის შენობასთან და გაეგრძელებინათ თავიანთი საპროტესტო აქცია.

ამ მსჯელობის და ამგვარ საქმეებზე მოცემული თავისუფალი შეფასების არეალის გათვალისწინებით, მომხივანთა გაძევება არ ყოფილა არაპროპორციული.

*ii) მომხივანთა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა* – მომხივნები მიჩნეული იყვნენ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევებად საჯარო წესრიგის მცირე დარღვევის და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის გამო. მათი ქცევით დაირღვა საჯარო წესრიგი უნივერსიტეტის შენობაში. მიუხედავად იმისა, რომ პოლიციას არ გამოუყენებია არავითარი ფიზიკური ძალა, მომხივანთა უარი (დაახლოებით, ერთი საათის განმავლობაში) დამორჩილებოდნენ პოლიციის თანამშრომელთა განმეორებით მოთხოვნებს, ეროვნული სასამართლოების მიერ მიჩნეულ იქნა როგორც პოლიციის მიერ კანონიერ ბრძანებაზე დაუმორჩილებლობა, იმ ფაქტის მიუხედავად, რომ მოლაპარაკების ბოლოს, მომხივნებმა ნებაყოფლობით დატოვეს რექტორის კაბინეტი.

ადმინისტრაციული სამართალწარმოების შედეგად მომჩივნებს დაეკისრათ ჯარიმა დაახლოებით 45 ევროს ოდენობით.

არცერთი მომჩივანი არ ყოფილა დაკავებული ან დაპატიმრებული. ის ფაქტი, რომ მომჩივნებს უფლება მისცეს პროტესტი გამოეთქვათ თვეების განმავლობაში უნივერსიტეტში მიმდინარე რეფორმების წინააღმდეგ და შეკრებილიყვნენ უნივერსიტეტის შენობაში, აგრეთვე 2006 წლის საპროტესტო აქციის ბუნების გათვალისწინებით, რაც დასრულდა მომჩივანთა ძალადობრივი შეჭრით რექტორის ოფისში, უნივერსიტეტის სამუშაო პროცესის შეფერხებითა და რექტორის კაბინეტის მორჩილად დატოვების თაობაზე პოლიციის ბრძანებების უარყოფით, საკმარისი იყო ევროპული სასამართლოსთვის იმ დასკვნის გასაკეთებლად, რომ მომჩივანთა უფლებაში ჩარევა იყო ლეგიტიმური მიზნის პროპორციული და აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.

**დასკვნა:** დარღვევა არ დადგინდა (ერთხმად).

**როსტომაშვილი საქართველოს წინააღმდეგ  
(Rostomashvili v. Georgia)**

**საჩივარი №13185/07**

8 ნოემბერი, 2018

**ფაქტები:** მომჩივანი, პაატა როსტომაშვილი არის საქართველოს მოქალაქე, რომელიც დაიბადა 1973 წელს და ცხოვრობს სოფელ ახალდაბაში (საქართველო).

წინამდებარე საქმეში მომჩივანი დავობდა, რომ არ მომხდარა სამართლიანი სასამართლო განხილვა, როდესაც ის მკვლელობაში დამნაშავედ ცნეს.

ბატონი როსტომაშვილი 2006 წლის მაისში დამნაშავედ ცნეს დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ მკვლელობაში. აღნიშნული მეტწილად, განპირობებული იყო გარდაცვლილის მამის ჩვენებაზე დაყრდნობით, რომელმაც თქვა, რომ ის შეესწრო მკვლელობას.

ბატონმა როსტომაშვილმა განაჩინი გაასაჩივრა და დავობდა, რომ სახეზე არ იყო არანაირი სამართლებრივი მტკიცებულება, რომელიც მას აღნიშნულ დანაშაულთან დააკავშირებდა. მან ასევე, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა გარდაცვლილის მამის ჩვენება, მიუთითა რა, რომ ის ეწინააღმდეგებოდა იმ ორი ადამიანის განცხადებებს, რომელთა განმარტებითაც, მათ თავად უთხრეს მამას მკვლელობის შესახებ და ამ უკანასკნელს იმ დროს არ უხსენებია, რომ მოცემულ ფაქტს შეესწრო.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2006 წლის სექტემბერში ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი. მან დაადგინა, რომ სამართალწარმოების დროს ფაქტობრივი გარემოებები სრულად და ობიექტურად შეფასდა. მას არ განუხილავს ბატონი როსტომაშვილის არცერთი არგუმენტი. ერთ-ერთი მათგანის მიხედვით, ქვედა ინსტანციის სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ექსპერტიზის შედეგად მიღებული არანაირი მტკიცებულება არ მიუთითებდა დანაშაულში მის მონაწილეობაზე. ეორე არგუმენტის თანახმად კი, გარდაცვლილის მამა, რომელმაც მკვლელობა მას დაუკავშირა, შესაძლოა, საერთოდ არ იმყოფებოდა მკვლელობის ადგილას.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პარაგრაფზე დაყრდნობით, ბატონი როსტომაშვილი დავობდა, რომ ეროვნულმა



სასამართლოებმა ვერ შეძლეს, მოეტანათ საკმარისი მიზეზები იმისათვის, რომ დაესაბუთებინათ მისი ბრალეულობა.

### **კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა**

#### **ა. მხარეთა არგუმენტები**

მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივნის ჯანმრთელობის მდგომარეობა სათანადო მონიტორინგის ქვეშ იყო და პატიმრობის დროს, შესაბამისი ექიმები მას ადეკვატური მკურნალობით უზრუნველყოფდნენ. რაც შეეხება მომჩივნის პრეტენზიებს ციხეში არსებული არასათანადო პირობების შესახებ, ისინი [მთავრობის პოზიციაზე დაყრდნობით], სრულიად უსაფუძვლოა.

მომჩივანმა ისევ აღნიშნა, რომ ადგილი ჰქონდა ციხეში მისი სამედიცინო დაკვირვების ნაკლებობასა და მისი ჯანმრთელობის პრობლემების, მათ შორის ტუბერკულოზის არასათანადო მკურნალობას. ასევე, მომჩივანმა ხაზი გაუსვა, რომ ციხის პირობები ყველა დაწესებულებაში, სადაც ის იმყოფებოდა, არაადამაკმაყოფილებელი იყო.

#### **ბ. სასამართლო შეფასება**

##### **1. პატიმრობის პირობები**

(ა) პატიმრობა 2006 წლის 31 მარტამდე

სასამართლოს მოჰყავს შესაბამისი პრეცედენტულ სამართალი, რომლის მიხედვითაც, ის არ მიიჩნევს პატიმრობის პირობებს, როგორც განგრძობად მდგომარეობას ისეთ შემთხვევებში, როდესაც საჩივარი ეხება პატიმრობის განსაზღვრულ პერიოდთან დაკავშირებულ ერთეულ ეპიზოდს, მოპყრობას ან პატიმრობის კონკრეტულ რეჟიმს (იხილეთ: ანანევი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ, №42525/07 და №60800/08 §§ 76-78, 10 იანვარი, 2012).

მომჩივანი დავობდა, რომ თბილისის მე-5 და 1-ელ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მისი პატიმრობის პირობები სრულიად არაადამაკმაყოფილებელი იყო საკნის გადატვირთულობისა და სტანდარტებთან შეუსაბამო სანიტარული პირობების გათვალისწინებით. სასამართლო მხედველობაში იღებს ახალაშენებული რუსთავის №6 სასჯელაღსრულების დაწესებულების ზოგადად, დადებით შეფასებას წამების ევროპული კომიტეტის (CPT) მიერ. ხსენებულ ციხეში მომჩივანი გადაიყვანეს 2006 წლის 31 მარტს. მოცემული საჩივარი კი [ადამიანის უფლებათა ევროპულ] სასამართლოში შეტანილია 2007 წლის 2 მარტს.

ზემოთ ხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო ვერ მივა იმ დასკვნამდე, რომ აღვნიშნული კონკრეტული განგრობება მდგომარეობას. მაშასადამე, ის მიიჩნევს, რომ მე-3 მუხლის საფუძველზე მომჩივნის საჩივრის აღნიშნული ნაწილი გვიან იქნა შეტანილი და შესაბამისად, არ უნდა იქნას მიღებული.

(ბ) რუსთავის №6 საპრობილე და შემდგომი სასჯელადსრულების დაწესებულებები

მოცემული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანს არ შეუტყობინებია არცერთი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსთვის მოცემულ ციხეებში მისი პატიმრობის მატერიალური პირობების რომელიმე კონკრეტულ ასპექტთან დაკავშირებით უკმაყოფილების შესახებ. ამასთან, სასამართლო ხაზს უსვამს, რომ იმ დროისათვის, მომჩივნისთვის ხელმისაწვდომი იყო სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალება, რომლითაც შეეძლო ესარგებლა. [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს წინაშე კი, ის მხოლოდ ბუნდოვანი და ზოგადი განცხადებებით წარსვდა. შედეგად, სასამართლო დაადგენს, რომ მომჩივანმა ვერ შეძლო, გაეწია მისი მტკიცების ტვირთი და სათანადოდ დაესაბუთებინა საკუთარი მოთხოვნა.

სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივნის პრეტენზიები კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე, რუსთავის №6 ციხისა და შემდგომი სასჯელადსრულების დაწესებულებების მატერიალურ პირობებთან დაკავშირებით, აშკარად უსაფუძვლოა და არ უნდა იქნას მიღებული.

## 2. სამედიცინო მზრუნველობა ციხეში

მთავრობის მიერ წარდგენილი ინფორმაციიდან იკვეთება, რომ მომჩივნის ჩივილებს თავის ტკივილის შესახებ სათანადო ყურადღება დაეთმო 2008 წლის 28 ივლისს. მომჩივანმა შემდგომ აღნიშნა, რომ ის მოინახულა ნევროლოგმა 2008 წლის ოქტომბერში. რაც შეეხება 2008 წლის 11 ნოემბერს, მომჩივნის განმეორებით ჩივილს თავის ტკივილის შესახებ, მართალია, მისი მონახულება დაუყოვნებლივ ვერ მოხერხდა, თუმცა მას გაეწია კონსულტაცია ნევროლოგისგან 2009 წლის 14 იანვარს და დაენიშნა შესაბამისი მედიკამენტოზური მკურნალობა.

რაც შეეხება მკურნალობას ტუბერკულოზთან მიმართებით, საქართველოს ციხეებში ტუბერკულოზის პრობლემის სერიოზული ხასიათი და მისი სკრინინგ ტესტის როლი უკვე მრავალჯერ აღიარებულია [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს მიერ აღნიშნულ საკითხზე არსებულ პრეცედენტულ სამართალში. სასამართლო აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანს არ ჩაუტარდა სკრინინგ ტესტი მისი პატიმრობის საწყის პერიოდში, არ

იკვეთება, რომ მან მოცემულ პერიოდში გააუღერა რაიმე უკმაყოფილება აღნიშნულ დაავადებასთან დაკავშირებით. მომჩივანს არც იმ გარემოებაზე დაუჩივლია, რომ ის ტუბერკულოზით დაავადებულ პირთან ერთად იმყოფებოდა საკანში.

სასამართლო აღნიშნავს, რომ 2009 წლის 16 იანვარს, მომჩივნისთვის ტუბერკულოზის დიაგნოზის დასმისთანავე, მთავრობამ დაუყოვნებლივ ჩასვა ის პროგრამაში და მკურნალობა წარმატებით დასრულდა 2009 წლის 21 სექტემბერს.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, რომ საჩივარი არის აშკარად უსაფუძვლო და შესაბამისად, არ უნდა იქნას მიღებული.

## **კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის საგარაუდო დარღვევა**

### **სასამართლოს შეფასება**

54. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი ეროვნულ სასამართლოებს ავალდებულებს ნათლად მიუთითონ თუ რა საფუძვლებზე დაყრდნობით იღებენ შესაბამის გადაწყვეტილებებს. სათანადო მიზეზების მითითების ვალდებულება შესაძლოა განსხვავდებოდეს გადაწყვეტილების ბუნებიდან გამომდინარე და ის უნდა განისაზღვროს საქმის გარემოებების გათვალისწინებით.

55. აღნიშნული ვალდებულება არ მოითხოვს მომჩივნის მიერ წამოჭრილ ყველა არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემას, თუმცა, გულისხმობს, რომ მხარეებს უნდა ჰქონდეთ მოლოდინი მიიღონ სპეციფიკური და ცალსახა პასუხები იმ არგუმენტებზე, რომლებიც გადამწყვეტია სამართალწარმოების შედეგისთვის. გადაწყვეტილებიდან ნათლად უნდა ჩანდეს, რომ მთავარი საკითხები განხილულ იქნა.

56. წინამდებარე საქმის გარემოებებთან დაკავშირებით, სასამართლო დასაწყისშივე აღნიშნავს, რომ ალიბთან დაკავშირებული მომჩივნის არგუმენტი, მართალია, მოკლედ თუმცა, განხილულ იქნა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ. პირველი ინსტანციის სასამართლომ დაასაბუთა, რომ დაცვის მხარის მოწმეთა ჩვენებები წინააღმდეგობრივი იყო და მას ვერ დაეყრდნობოდა.

57. ამის საპირისპიროდ, მომჩივნის მიერ ეროვნული სასამართლოების წინაშე წარმოდგენილ ორ ძირითად არგუმენტს არ გაეცა ცალსახა პასუხი. პირველი,

მომჩივანი ამტკიცებდა, რომ განსხვავებით, აღნიშნულ საქმეზე მეორე ბრალდებულისგან, ექსპერტიზით დადგენილი არცერთი მტკიცებულება არ ეხებოდა მას ან მის მიერ სავარაუდოდ განხორციელებულ ქმედებებს. შესაბამისად, არცერთი ფორმით არ იკვეთებოდა მისი მონაწილეობა იმ დანაშაულებში, რომლებიც ბრალად ედებოდა. მეორე, მომჩივანმა საზგასმით აღნიშნა, რომ მკვლელობის შემდეგ გარდაცვლილის მამა სახლში აღმოჩნდა და განაცხადა, რომ არ იცოდა შვილის მკვლელობის თაობაზე. მომჩივნისთვის გაუგებარი იყო, რატომ მოახვეწა თავი გარდაცვლილის მამამ, თითქოს ის არ ფლობდა ინფორმაციას შვილის მკვლელობის თაობაზე. აპლიკანტი დავობდა, რომ აღნიშნული გარემოება ეჭვს ბადებდა იმასთან დაკავშირებით, თვითმხილველი იყო თუ არა საერთოდ დანაშაულის ადგილზე. აღნიშნული გარემოებების საფუძველზე, მომჩივანი ამტკიცებდა, რომ პროკურატურის მიერ მის წინააღმდეგ აღძრული საქმე არ იყო გამყარებული ფაქტობრივი გარემოებებითა და შესაბამისი მტკიცებულებებით, არამედ შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის საწინააღმდეგოდ, ის მხოლოდ ეჭვზე იყო დაფუძნებული.

58. სასამართლო აღნიშნავს, რომ მის კომპეტენციას არ წარმოადგენს იმის განხილვა, თუ როგორ შეფასდა ექსპერტიზით და მოწმეთა ჩვენებების შესაბამისად, დადგენილი მტკიცებულებები ეროვნული სასამართლოების მიერ. მას არც პირის ბრალეულობის ან უდანაშაულობის განსაზღვრა ევალება, ვინაიდან აღნიშნული საკითხი ეროვნულ სასამართლოს კომპეტენციაში შედის. დამატებით, სასამართლო აღიარებს, რომ ამგვარ საქმეში განმხილველი სასამართლო, რომელიც ბრალდებულის დამნაშავედ ცნობისთვის ეყრდნობა მოწმის ჩვენებას, უფლებამოსილია, გადაწყვეტილება დააფუძნოს მოწმესთან უშუალო კონტაქტზე – პირთან, რომლის განცხადების სანდოობა ისედაც სათანადოდ უნდა შეაფასოს. თუმცა, სტრასბურგის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს იმის შეფასება, იყო თუ არა სამართალწარმოება მთლიანობაში კონვენციის შესაბამისი, მათ შორის, ეროვნული სასამართლოების მხრიდან დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების ვალდებულების თვალსაზრისით. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო განაგრძობს მომჩივნის საჩივრის შეფასებას კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის შესაბამისად.

59. სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივნის მიერ ეროვნული სასამართლოების წინაშე დაყენებული ორი არგუმენტი მის წინააღმდეგ, სისხლის სამართლის საქმის არსთან იყო დაკავშირებული და საჭიროებდა სპეციფიკურ და მკაფიო შეფასებას. მიუხედავად ამისა, არც ერთ ეროვნულ სასამართლოს ისინი არ განუხილავს. ეროვნული სასამართლოების მიერ გაცემული ზოგადი პასუხი, რომლის მიხედვითაც „საქმის მასალებში არსებული ყველა მტკიცებულება

საკმარისი იყო მომჩივნის დამნაშავედ ცნობისთვის,“ ვერ ჩაითვლება ამ უკანასკნელის პრინციპულ არგუმენტთა სპეციფიკურ და მკაფიო შეფასებად. ამგვარი პასუხი, მოცემული საქმის ფაქტებზე დაყრდნობით, წარმოადგენს ეროვნული სასამართლოების მხრიდან დასაბუთების ნაკლებობას, ვინაიდან რეალურად, ექსპერტიზის შედეგად მიღებული არც ერთი მტკიცებულება არ მიუთითებდა მომჩივნის ბრალეულობაზე და ერთადერთი თვითმხილველის განცხადება უტყუარობისა და პრობაციული მნიშვნელობის თვალსაზრისით, პასუხგაუცემელი კითხვების წინაშე იდგა.

60. მოცემულ გარემოებებზე დაყრდნობით, სასამართლო ასკვნის, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ მომჩივნის საქმის განხილვამ ვერ დააკმაყოფილა სამართლიანი განხილვის ერთ-ერთი მოთხოვნა, კერძოდ, ვერ უზრუნველყო საკუთარი გადაწყვეტილების ადეკვატური დასაბუთებით გამყარება.

შედეგად, დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პარაგრაფი.

### **34-ე მუხლი**

მომჩივანი დავობდა, რომ მთავრობამ არ შეასრულა კონვენციის 34-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები, „სასამართლოს წესების“ 39-ე წესის შესაბამისად, დროული ზომების მიღების კონტექსტში უზრუნველყო მომჩივანი ადეკვატური სამედიცინო მზრუნველობით.

მიუხედავად ამისა, სასამართლოს მიერ საქმის მასალების შეფასებით, მომჩივნისთვის გაწეული სამედიცინო მზრუნველობის ადეკვატურობასთან მიმართებით, ვერ მიიჩნევა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ არ შეასრულა კონვენციის 34-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები.

შედეგად, სასამართლო მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს არაქონებრივი ზიანის სანაზღაურებლად უნდა დაეკისროს 3600 ევრო.

სასამართლო მომჩივნის მიერ სამართლიანი დაკმაყოფილების მოთხოვნის (7 000 000 ევროს) დანარჩენ ნაწილს არ აკმაყოფილებს.

**მაისურაძე საქართველოს წინააღმდეგ  
(Maisuradze v. Georgia)**

საჩივარი №44973/09

20 დეკემბერი, 2018

საქმეზე მაისურაძე საქართველოს წინააღმდეგ,  
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მეხუთე სექცია) კომიტეტმა  
შემდეგი შემადგენლობით:  
ანდრე პოტოცკი, თავმჯდომარე,  
მარტინშ მითსი,  
ლადო ჭანტურია, მოსამართლეები,  
და მილან ბლაშკო სექციის განმწესრიგებლის მოადგილე,  
დახურული თათბირის შედეგად, 2018 წლის 27 ნოემბერს,  
მითითებული თარიღით მიიღო წინამდებარე გადაწყვეტილება:

## **პროცედურა**

1. საქმის წარმოების დაწყების საფუძველი იყო საქართველოს მოქალაქის, ქალბატონ რუსიკო მაისურაძის („მომჩივანი“) მიერ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის საფუძველზე, 2013 წლის 20 ნოემბერს, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში („სასამართლო“) საქართველოს წინააღმდეგ წარდგენილი საჩივარი (№18925/09).
2. მომჩივანს წარმოადგენდნენ ქ-ნი თ. აბაზაძე, ქ-ნი ნ. ჯომარჯიძე და ქ-ნი თ. დეკანოსიძე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) ადვოკატები, აგრეთვე ბ-ნი ფ. ლიჩი და ქ-ნი ჯ. ევანსი, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრის (EHRAC) ადვოკატები. საქართველოს მთავრობას („მთავრობა“) წარმოადგენდა მთავრობის წარმომადგენელი იუსტიციის სამინისტროდან, ბატონი ლ. მესხორაძე.
3. 2009 წლის 7 დეკემბერს, მთავრობას ეცნობა აღნიშნული საჩივრის თაობაზე.

## ფაქტები

### I. საქმის გარემოებები

4. მომჩივანი დაიბადა 1955 წელს და ცხოვრობს თბილისში.

#### ა. შესავალი

5. 2007 წლის 6 მაისს, მკვლელობის ფაქტზე დაიწყო გამოძიება.

6. 2007 წლის 24 მაისს, ჩატარდა პირის ამოცნობის პროცედურა. დანაშაულის თვითმხილველმა, მომჩივნის ვაჟი, გ. ტ. ამოიცნო დამნაშავედ. ეს უკანასკნელი დააკავეს და თბილისის N5 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოათავსეს.

7. 2008 წლის 18 თებერვალს, გ. ტ. დამნაშავედ ცნეს და მას ათი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

8. 2008 წლის 23 ივნისს, სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა მისი მსჯავრდება და სასჯელის ოდენობა.

9. 2009 წლის 28 იანვარს, გ.ტ-ს საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი.

#### ბ. ციხეში მომჩივნის მკურნალობა

10. 2007 წლის 24 მაისისა და 7 ივლისის პერიოდში, გ. ტ. დაპატიმრებული იყო თბილისის №5 და გლდანის №8 საპყრობილეში. ამ დაწესებულებებში ყოფნის პერიოდში, გ.ტ-ს სამედიცინო დახმარების მიღება არ მოუთხოვია. ამასთან დაკავშირებით არც მომჩივანს წარმოუდგენია განსხვავებული მოსაზრება.

11. 2008 წლის 7 ივლისს, გ. ტ. გადაიყვანეს რუსთავის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.

12. 2008 წლის 1-ლ დეკემბერს, გ. ტ-მ განაცხადა, რომ შეუძლოდ იყო. ის გასინჯა მორიგე ექიმმა, რომელმაც იეჭვა ტუბერკულოზის არსებობა.

13. 2008 წლის 8 დეკემბერს, ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრში გ. ტ-ს ნახველის ანალიზი აუღეს.

14. 2008 წლის 17 დეკემბერს, ანალიზის პასუხმა ცხადყო ტუბერკულოზის ბაქტერიის არსებობა. მომჩივანს ტუბერკულოზის სამკურნალო პირველი რიგის მედიკამენტებზე მგრძობელობის ტესტი („პირველი მგრძობელობის ტესტი“) გაუკეთდა. იმავე დღეს, რუსთავის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულების ექიმმა გ. ტ-ს ტუბერკულოზის დიაგნოზი დაუსვა და რეკომენდაცია გასცა სპეციალურ დაწესებულებაში მისი გადაყვანის თაობაზე.

15. 2008 წლის 21 დეკემბერს, გ.ტ. ჩართეს DOTS პროგრამაში, რომელიც წარმოადგენს ტუბერკულოზის აღმოჩენისა და მკურნალობის მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ რეკომენდებულ სტრატეგიას. პირველი მგრძობელობის ტესტის პასუხის მოლოდინში, გ.ტ-მ დაიწყო ტუბერკულოზის სამკურნალო სტანდარტული, პირველი რიგის მედიკამენტების მიღება. ზემოთ ხსენებული პროგრამა რუსთავის №2 სასჯელაღსრულების დეპარტამენტში ფუნქციონირებდა 2008 წლის 21 დეკემბრიდან 2009 წლის 29 იანვრის ჩათვლით.

16. 2009 წლის 21 იანვარს, ექიმმა გ.ტ-ს სამედიცინო ისტორიაში აღნიშნა, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, მიუხედავად ჩატარებული მკურნალობისა, მძიმე რჩებოდა და რეკომენდაცია გასცა სპეციალურ სამედიცინო დაწესებულებაში მისი გადაყვანის შესახებ.

17. 2009 წლის 29 იანვარს, გ.ტ. გადაიყვანეს ქსანში, ტუბერკულოზის მქონე პატიმრებისთვის განკუთვნილ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. იმ დღეს გაკეთებული სამედიცინო ჩანაწერი მომჩივნის შვილის დაავადებას მოიხსენიებს როგორც მულტირეზისტენტულს, ხოლო მის ჯანმრთელობის მდგომარეობას „მძიმედ.“ გ. ტ. აგრძელებდა მკურნალობას DOTS პროგრამის მიხედვით.

18. 2009 წლის 24 თებერვალს პირველი მგრძობელობის ანალიზმა ცხადყო, რომ გ.ტ. ტუბერკულოზის სამკურნალო პირველი რიგის მედიკამენტების მიმართ რეზისტენტული იყო. შესაბამისად, მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის სამკურნალო მეორე რიგის მედიკამენტებზე მგრძობელობის დასადგენად გაკეთდა კიდევ ერთი ანალიზი („მეორე მგრძობელობის ტესტი“).

19. 2009 წლის 26 თებერვალს, გ.ტ. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ციხის დაავადმყოფოში გადაიყვანეს. იმ პერიოდის სამედიცინო ჩანაწერების თანახმად, მას კახექსია ჰქონდა და 2009 წლის მარტის დასაწყისიდან ის ჩიოდა, რომ არ შეეძლო სიარული. მეორე მგრძობელობის ტესტის პასუხის მოლოდინში, გ.ტ. აგრძელებდა პირველი რიგის მედიკამენტების მიღებას.

20. 2009 წლის 10 აპრილს, ციხის საავადმყოფომ მიიღო მეორე მგრძობელობის ტესტის პასუხები, რომელთა მიხედვით დაავადება მეორე რიგის მედიკამენტებიდან ემორჩილებოდა ყველას, ერთის გარდა.

21. 2009 წლის 24 აპრილს გადაწყდა, რომ გ.ტ. უნდა ჩართულიყო მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის სამკურნალოდ გათვალისწინებულ DOTS+ პროგრამაში.

22. 2009 წლის 4 მაისს, გ.ტ-მ დაიწყო შესაბამისი მკურნალობა.



23. 2009 წლის 19 მაისს, გ.ტ. ფილტვის მასიური ჰემორაგიის დიაგნოზით გარდაიცვალა.

#### **გ. გ.ტ-ის გარდაცვალების გამოძიება**

24. 2009 წლის 19 მაისს, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა დაიწყო წინასწარი გამოძიება განზრახ მკვლელობის მუხლით. იმავე დღეს ჩატარდა ექსპერტიზა გ.ტ-ს გარდაცვალების ზუსტი მიზეზის დადგენის მიზნით. ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ მომჩივნის ვაჟი გარდაიცვალა დაავადების გართულების შედეგად, ფილტვის მასიური ჰემორაგიით.

25. საგამოძიებო ორგანოებმა დაკითხეს რუსთავის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულების მთავარი ექიმი, ტუბერკულოზის მქონე პაციენტებისთვის განკუთვნილი ქსნის დაწესებულების ექიმი და ციხის საავადმყოფოს ექიმი. მათ განაცხადეს, რომ DOTS-ის პროგრამის მიხედვით, გ.ტ-ს მკურნალობა ადეკვატური იყო.

26. 2009 წლის 13 ოქტომბერს, გამოძიებელმა უარი განაცხადა მომჩივნისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე. მან განაცხადა, რომ დანაშაულს ადგილი არ ჰქონია, ვინაიდან გ.ტ. ტუბერკულოზის ბუნებრივი გართულების შედეგად გარდაიცვალა. მომჩივანმა გაასაჩივრა გამოძიებლის უარი მისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე.

27. 2009 წლის 19 ნოემბერს, მთავარი პროკურატურის პროკურორმა, რომელიც ზედამხედველობას უწევდა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ ჩატარებულ გამოძიებებს, მომჩივნის საჩივარი „სათანადო რეაგირებისთვის“ აღნიშნული განყოფილების უფროსს გადასცა.

28. 2010 წლის 22 თებერვალს, მომჩივანს მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი.

29. პროკურორის მიერ ხელმოწერილი დაუთარიღებელი დოკუმენტის მიხედვით, პროკურორმა გამოძიებელს დაავალა ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის ექსპერტების დაკითხვა და გ.ტ-ს ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით ცნობების მოპოვება.

30. 2010 წლის 5 თებერვალს დაიკითხა ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის ორი ექსპერტი. მათ დაადასტურეს, რომ DOTS-ის პროგრამის მიხედვით გ.ტ-ს მკურნალობა ადეკვატური იყო. რაც შეეხება მის ჩართულობას DOTS+ პროგრამაში, ერთ-ერთმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ ქსნის

სასჯელადსრულების დეპარტამენტში და ციხის საავადმყოფოში მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის მკურნალობა შესაძლებელი გახდა მხოლოდ 2009 წლის თებერვალსა და აპრილში.

31. გამოძიებელმა დაუდგენელ დღეს, გ.ტ-ს სამედიცინო ისტორია შესაფასებლად გადაუგზავნა სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს. 2010 წლის 21 მაისს გამოცემულ დასკვნაში შეჯამებული იყო, რომ ფილტვის მასიური ჰემორაგია ტუბერკულოზის შესაძლო ლეტალურ გართულებას წარმოადგენდა. დასკვნის მიხედვით, გ.ტ-ს ჩართულობა DOTS-ის და შემდგომში DOTS+ პროგრამაში შეესაბამებოდა ტუბერკულოზის მკურნალობის ეროვნულ სტანდარტებს.

32. 2010 წლის 4 ივნისს, წინასწარი გამოძიება დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო შეწყდა. გამოძიებელი იმ დასკვნის გაკეთებისას, რომ გ.ტ. გარდაიცვალა ტუბერკულოზის ბუნებრივი გართულების შედეგად, დაეყრდნო ექსპერტიზის დასკვნას; აგრეთვე მოწმეთა ჩვენებებს, რომლებიც ადასტურებდნენ ჩატარებული მკურნალობის ადეკვატურობას.

33. 2010 წლის 22 ივლისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ დასაშვებად ცნო მომჩივნის განაცხადი და ბრძანება გასცა გამოძიების ხელახლა დაწყების შესახებ, რათა გ.ტ-ს და დაკითხულიყო. გ.ტ-ს დის მტკიცებით, გ.ტ-სთვის ოფიციალური დიაგნოზის დასმამდე, ის რუსთავის №2 სასჯელადსრულების დაწესებულებაში შეხვდა ექიმს, რომელმაც გადასცა მისი ძმისთვის განკუთვნილი ძლიერი წამლები, რომლებიც გაცემული იყო დაუთარიღებელი და ხელმოუწერიელი რეცეპტის საფუძველზე. აღნიშნული ექიმის იდენტიფიცირება და დაკითხვა არ მომხდარა.

34. გამოძიება განახლდა, თუმცა მისი განახლების თარიღი უცნობია. 2010 წლის 15 ოქტომბერს, გ.ტ-ს დის დაკითხვისა და ზემოთ ხსენებული რეცეპტისთვის ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ იმ მიზნით, რომ დაედგინათ მისი გამცემი ნამდვილად იყო თუ არა რუსთავის №2 სასჯელადსრულების დაწესებულების ერთ-ერთი ექიმი, გამოძიება კიდევ ერთხელ დაიხურა. გამომდინარე იქედან, რომ ექსპერტიზის მიერ შესწავლილი ხელწერა არ ემთხვეოდა ციხის არც ერთი ექიმის ხელწერას, გამოძიებელმა დაასკვნა, რომ გ.ტ-ს დის ბრალდებები აშკარად დაუსაბუთებელი იყო.

## **II. შესაბამისი ეროვნული და საერთაშორისო დოკუმენტები**

35. შესაბამისი ეროვნული და საერთაშორისო დოკუმენტები, რომლებიც ეხება განსახილველ დროს საქართველოს ციხეებში ტუბერკულოზის პრობლემას, მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის მკურნალობასა და ჯანდაცვის

მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მიღებულ მედიკამენტოზურად მდგრადი ტუბერკულოზის მართვის რეკომენდაციებს, სასამართლომ შეაჯამა გადაწყვეტილებაში საქმეზე, მახარაძე და სიხარულიძე საქართველოს წინააღმდეგ (№35254/07, §§44-48, 22 ნოემბერი, 2011).

36. განსახილველ პერიოდში ციხეების მართვა, მათ შორის, პატიმრებისთვის სამედიცინო დახმარების მიწოდება, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ვალდებულებას წარმოადგენდა (იხ.: საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება №60 სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ, 2009 წლის 24 თებერვალი). სასჯელაღსრულებისა და საგამოძიებო დეპარტამენტები ექვემდებარებოდა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს (იხ.: ზემოთ ხსენებული ბრძანება №60 და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის ბრძანება №150 საგამოძიებო დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ, 2009 წლის 16 აპრილი).

## **სამართალი**

### **I. კონვენციის მე-2 მუხლის სავარაუდო დარღვევა**

37. მომჩივანი დავობდა, რომ კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, მოპასუხე სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო სასჯელაღსრულების დეპარტამენტში მისი შვილის ჯანმრთელობის, ფიზიკური კეთილდღეობისა და სიცოცხლის დაცვა. ის ასევე, ამტკიცებდა, რომ მისი შვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ჩატარებული გამოძიება არ იყო ადეკვატური და ეფექტიანი.

38. სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოთ მოცემული საჩივრები განხილული უნდა იქნას კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით, რომელიც შემდგენაირად იკითხება:

„1. ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული...“

4. მთავრობამ ეს არგუმენტი გააპროტესტა.

#### **ა. მისაღებობა**

##### **1. მხარეთა არგუმენტები**

40. მთავრობამ აღნიშნა, რომ საჩივარი დაუშვებელი იყო იმ საფუძველით, რომ არ იყო ამოწურული შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის

საშუალებები, ვინაიდან მომჩივანმა შესაბამის ორგანოებს არ მოთხოვა მისი შვილის ციხის საავადმყოფოში გადაყვანა.

41. მომჩივანმა განაცხადა, რომ მან არაერთხელ მოითხოვა გ.ტ-ს სპეციალურ დაწესებულებაში გადაყვანა და აღნიშნული რეკომენდაცია აგრეთვე, ცალსახად გასცა რუსთავის №2 სასჯელაღსრულების დაწესებულების ექიმმა.

## **2. სასამართლოს შეფასება**

42. სასამართლომ შენიშნა, რომ მომჩივნის საჩივრის არსი ეხებოდა მისი შვილის მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის ადეკვატური მკურნალობის ნაკლებობას, საბოლოოდ, ციხის საავადმყოფოში მის გარდაცვალებას და შემდგომ სისხლისსამართლებრივ გამოძიებას. შესაბამისად, გ.ტ-ს სპეციალურ დაწესებულებაში დაგვიანებით გადაყვანა მომჩივნის საჩივრის ერთ-ერთ ასპექტს წარმოადგენდა. უფრო მეტიც, გ.ტ-მ ციხის ადმინისტრაციას ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული პრობლემების თაობაზე აცნობა 2008 წლის 1-ლ დეკემბერს და 2008 წლის 17 დეკემბერს, ციხის ექიმმა ცალსახად გასცა მისი სპეციალურ დაწესებულებაში გადაყვანის რეკომენდაცია (იხ.: ზემოთ, პარაგრაფი 14). ამრიგად, ციხის ადმინისტრაციას ადეკვატურად ეცნობა გ.ტ-ს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები და სპეციალურ დაწესებულებაში მისი გადაყვანის საჭიროება.

43. ზემოთ ხსენებულის გათვალისწინებით, სასამართლო არ იზიარებს მთავრობის პროტესტს, შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალების ამოწურვასთან დაკავშირებით.

44. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ საჩივარი არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მნიშვნელობის ფარგლებში. ასევე, არ არსებობს აღნიშნული საჩივრის დაუშვებლად ცნობის სხვა მოტივები. შესაბამისად, ის მისაღებად უნდა იქნას ცნობილი.

## **ბ. არსებითი მხარე**

### **1. მხარეთა არგუმენტები**

45. მომჩივანმა განაცხადა, რომ მისი შვილი ტუბერკულოზით სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დაავადდა, სპეციალურ დაწესებულებაში მისი გადაყვანა არ მოხდა დროულად, აგრეთვე დაგვიანდა მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის დიაგნოზის დასმა და DOTS+ პროგრამაში ჩართვა. გარდა ამისა, მომჩივანმა განმარტა, რომ მისი შვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებული გამოძიება ჩაატარა სასჯელაღსრულების,

პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო ორგანომ და მას აკლდა ინსტიტუციური დამოუკიდებლობა. გამოძიება ასევე, არ იყო ყოვლისმომცველი, რადგან ის არაჯეროვნად იყო შეზღუდული განზრახ მკვლევლობის არსებობის დადგენით, ნაცვლად იმის შესწავლისა, ხომ არ ჰქონდა ადგილი სამედიცინო გულგრილობას ან შეცდომას და ხომ არ დაგვიანდა გ.ტ-ს ჩართვა DOTS+ პროგრამაში.

46. მთავრობამ განაცხადა, რომ არც გ.ტ-ს და არც მომხივანს, გ.ტ-ს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, 2008 წლის 1 დეკემბრამდე საჩივარი არ წარმოუდგენიათ. საქმის მასალებიდანაც არ იკვეთება, რომ გ.ტ. ტუბერკულოზით ციხეში დაინფიცირდა. რაც შეეხება მის სპეციალურ დაწესებულებაში დაგვიანებით გადაყვანას, მთავრობა დაეყრდნო გ.ტ-ს გარდაცვალების შემდეგ მოპოვებულ სამედიცინო მოსაზრებებს, რომელთა თანახმად, მიუხედავად 2008 წლის 17 დეკემბერს სპეციალურ დაწესებულებაში მისი გადაყვანის შესახებ გაცემული რეკომენდაციისა, 2008 წლის 21 დეკემბერს გ.ტ-ს DOTS-ის პროგრამაში ჩართვის გამო, აღნიშნული საჭიროება აღარ არსებობდა. მთავრობამ დამატებით განაცხადა, რომ მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის დიაგნოზის დასმა, მეორე მგრძობელობის ტესტის ჩატარება და გ.ტ-ს DOTS+ პროგრამაში ჩართვა მოითხოვდა დროს და არ იყო დაგვიანებული.

47. რაც შეეხება გ.ტ-ს გარდაცვალებასთან დაკავშირებით ჩატარებულ გამოძიებას, მთავრობამ განაცხადა, რომ გამოძიება დროულად დაიწყო და გამოძიებლის მიერ გამოყენებული არაერთი საგამოძიებო ღონისძიების გათვალისწინებით, ის ყოვლისმომცველი იყო. გამოძიების ფარგლები არ იყო არაჯეროვნად შეზღუდული და მას ზედამხედველობას უწევდა მთავარი პროკურატურის პროკურორი, რათა უზრუნველყო გამოძიების მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა.

## 2. სასამართლოს შეფასება

48. ჯანმრთელობის პრობლემის გართულების შედეგად პატიმრის გარდაცვალების კონტექსტში სახელმწიფოს მიერ სიცოცხლის უფლების დაცვის ვალდებულების შესრულებასა და გამოძიების ეფექტურობასთან დაკავშირებული ზოგადი პრინციპები შეჯამებულია გადაწყვეტილებებში საქმეებზე *მახარაძე და სიხარულიძე საქართველოს წინააღმდეგ* (№35244/07, §§ 71-73, 22 ნოემბერი, 2011), *ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ* (№35403/06, §§ 71-76, 15 თებერვალი, 2011) და *კარსაკოვა რუსეთის წინააღმდეგ* (№1157/10, §§46-49 და 54-55, 27 ნოემბერი, 2014).

49. სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივნის შვილი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის დიაგნოზით გარდაიცვალა. იმის დასადგენად, შეასრულა თუ არა სახელმწიფომ კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სიცოცხლის დაცვის ვალდებულება, სასამართლომ უნდა შეაფასოს, შესაბამისმა ეროვნულმა ორგანოებმა კეთილსინდისიერად და დროულად მიიღეს თუ არა ზომა, რათა თავიდან აერიდებინათ ფატალური შედეგი (იხ.: მახარაძე და სიხარულიძე, ციტირებული ზემოთ, §74 და იბრაგიმოვი რუსეთის წინააღმდეგ [კომიტეტი], №26586/08, §36, 28 ნომბერი, 2017). სასამართლო დამატებით შეაფასებს მოპასუხე სახელმწიფომ წარმოადგინა თუ არა საკმარისი არგუმენტები ციხეში მომჩივნის გარდაცვალების მიზეზების შესახებ.

**(ა) მიიღო თუ არა სახელმწიფომ ყველა გონივრული ზომა საპრობლემაში მომჩივნის შვილის ეფექტური მკურნალობისთვის**

50. რაც შეეხება ციხეში გ.ტ-ს ტუბერკულოზით დაინფიცირების საკითხს, არც გ.ტ-ს და არც მომჩივანს არ უცდიათ სამოქალაქო სამართალწარმოების დაწყება დაინფიცირების შედეგად მიყენებული ზიანის გამო. სასამართლოს ადრე განხილული აქვს მსგავსი შემთხვევა, სადაც დაადგინა, რომ სამოქალაქო სარჩელის შეტანა ზიანის ანაზღაურების მიზნით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე და სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლების თანახმად, ამ გარემოებებში ყველაზე შესაფერის შიდასამართლებრივი დაცვის საშუალებას წარმოადგენდა (იხ.: *გოლოშვილი საქართველოს წინააღმდეგ*, №45566/08, §32, 20 ნომბერი, 2012, და *ილდანი საქართველოს წინააღმდეგ*, №65391/09, §28, 23 აპრილი, 2013). თუმცა, მთავრობის მხრიდან ამ გარემოებების მიმართ საწინააღმდეგო არგუმენტის არარსებობის პირობებში, სასამართლო არ არის უფლებამოსილი თავისი ინიციატივით მიიჩნიოს საჩივარი დაუშვებლად შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამოუწურველობის საფუძველით (იხ.: *International Bank for Commerce and Development AD and Others v. Bulgaria*, № 7031/05, §131, 2 ივნისი, 2016, და ალიმოვი თურქეთის წინააღმდეგ, №14344/13, §57, 6 სექტემბერი, 2016). ამის საპირისპიროდ, მომჩივნის შვილის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ტუბერკულოზით დაინფიცირებასთან დაკავშირებით საჩივრის არარსებობა, სასამართლოს შესაძლებლობას ართმევს გადაწყვეტილება გონივრულ ეჭვმა მიღმა სტანდარტის შესაბამისად მიიღოს.

51. ნებისმიერ შემთხვევაში, წინამდებარე საჩივრის ძირითადი არსს წარმოადგენს, მიიღო თუ არა გ.ტ-მ ადეკვატური მკურნალობა, მას შემდეგ, რაც ტუბერკულოზის დიაგნოზი დაუსვეს. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ ფილტვის ტუბერკულოზის, უფრო კონკრეტულად კი,

მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის მკურნალობა განსახილველ პერიოდში, საქართველოს ციხეების სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენდა (იხ.: მახარაძე და სიხარულიძე, ციტირებული ზემოთ, §§47 და 65-66). მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის მკურნალობა ციხის სექტორში მხოლოდ 2009 წლის თებერვალსა და აპრილში (ქსნის სასჯელაღსრულების დაწესებულებასა და ციხის საავადმყოფოში) გახდა შესაძლებელი; ამასთან, ამ მიმართულებით ადეკვატური ტრენინგები ჩაუტარდათ ექიმებსა და ექთნებს (იხ.: იქვე, §§65-66).

52. ამის მიუხედავად, სასამართლო აღნიშნავს, რომ გ.ტ-ს ტუბერკულოზის დიაგნოზი დაუსვეს 2008 წლის 17 დეკემბერს, რის შედეგადაც პირველი ჯგუფის მედიკამენტებზე მგრძობელობის ტესტი გაკეთდა. აღნიშნული ტესტის პასუხების მიღებამდე, ციხის ექიმებმა 2008 წლის 21 დეკემბერს დაიწყეს პირველი რიგის მედიკამენტებით მკურნალობა; რუსთავის №2 სასჯელაღსრულების დეპარტამენტში DOTS პროგრამამ ფუნქციონირება სწორედ ამ დღეს დაიწყო. თუმცა, მკურნალობას არ ჰქონდა დადებითი შედეგი. 2009 წლის 29 იანვარს, გ.ტ. ტუბერკულოზის დიაგნოზის მქონე პაციმრებისთვის განკუთვნილ სასჯელაღსრულების სპეციალურ დაწესებულებაში გადაიყვანეს. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში შევსებული გ.ტ-ს სამედიცინო ისტორია ცხადყოფდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრად გაუარესებას, მკურნალობის სტრატეგიის შეცვლა ან მეორე რიგის მედიკამენტებზე მგრძობელობის ტესტის გაკეთება არც კი განხილულა. მიუხედავად 2009 წლის 24 თებერვლის მგრძობელობის ტესტის შედეგებისა, რომლის თანახმად, გ.ტ. რეზისტენტული იყო სტანდარტული მკურნალობის მიმართ, დროული ღონისძიებები არ გატარებულა. გ.ტ-ს მხოლოდ ამის შემდეგ გაუკეთდა მეორე რიგის მედიკამენტებზე მგრძობელობის ტესტი. ამ უკანასკნელი ტესტის პასუხებამდე, გ.ტ. აგრძელებდა პირველი რიგის მედიკამენტების მიღებას, მიუხედავად იმისა, რომ დადგენილი იყო მათი არაეფექტურობა.

53. სასამართლო ასევე, ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მიუხედავად 2009 წლის 10 აპრილს მიღებული მგრძობელობის განმსაზღვრელი მეორე ანალიზის პასუხებისა, რომელთა თანახმად, დაავადება რეაგირებდა მეორე ჯგუფის ყველა წამალზე გარდა ერთისა (იხილეთ: ზემოთ, პარაგრაფი 20), მკურნალობა DOTS+ პროგრამის შესაბამისად, 2009 წლის 4 მაისამდე არ დაწყებულა (იხ.: ზემოთ, პარაგრაფები 21-22). ამ თარიღიდან ორი კვირის შემდეგ, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, გ.ტ. გარდაიცვალა. მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ გ.ტ-ს ტუბერკულოზის დიაგნოზი დაუსვეს 2008 წლის 17 დეკემბერს, მას არ უსარგებლია დაავადების შესაბამისი მკურნალობით დაახლოებით, 4 თვისა და 2 კვირის განმავლობაში. ასეთი ხანგრძლივი დაგვიანება, რომელიც ამასთან ერთად გამწვავდა დაავადების სწრაფი განვითარებით, ვერ

გამართლებოდა წამლებთან მიმართებით მგრძობელობის განმსაზღვრელი ანალიზის პასუხების გვიან მიღებით, ვინაიდან ისინი შეიძლებოდა უფრო ადრე გაცემულიყო. ციხის სამედიცინო პერსონალისთვის მგრძობელობის განმსაზღვრელი მეორე ტესტის ჩატარებაში არაფერს შეუშლია ხელი, განსაკუთრებით კი, თუ გავითვალისწინებთ გ.ტ-ის ჯანმრთელობის გაუარესებას, მიუხედავად მისთვის ჩატარებული მკურნალობისა, რაც ასევე, აღნიშნული იყო 2009 წლის იანვრის სამედიცინო ისტორიაში (იხ.: ზემოთ, პარაგრაფები 16-17). შესაბამისად, სასამართლო ასკენის, რომ მომჩივნის ვაჟი დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მოკლებული იყო შესაძლებლობას, ესარგებლა ეფექტური სამედიცინო მკურნალობით. ეს ვერ გამორიცხავს იმ შესაძლებლობას, რომ ამგვარი მკურნალობის არარსებობას პოტენციურად, შესაძლოა გამოეწვია მისი მდგომარეობის რადიკალური ცვლილება და შედეგად, მისი სიკვდილი (იხ.: იბრაგიმოვი, ციტირებულია ზემოთ, §§39-40).

54. შესაბამისად, სასამართლო ასკენის, რომ ხელისუფლების ორგანოებმა ვერ შეძლეს კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულების შესრულება – დაეცვათ გ.ტ-ის სიცოცხლე.

**(ბ) შეასრულა თუ არა სახელმწიფომ დაკისრებული ვალდებულება, უზრუნველყო სათანადო გამოძიება**

5. თავდაპირველად, სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივნის ვაჟი გარდაიცვალა ციხის საავადმყოფოში, დაწესებულებაში, რომელიც იმყოფებოდა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ზედამხედველობის ქვეშ. მოცემული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, დაკითხვის მთავარ მიმართულებას, რომელიც საფუძვლიან და მიუკერძოებელ ანალიზს საჭიროებდა, წარმოადგენდა შემდეგი: იყო თუ არა გ.ტ-ს სიკვდილი მის მიერ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მიღებული არასათანადო მკურნალობის შედეგი და როგორ იმოქმედა ციხის სამედიცინო პერსონალმა ამ თვალსაზრისით. თუმცა, გამოძიება დაიწყო სავარაუდო განზრახ მკვლელობის მიმართულებით – დანაშაულის, რომელიც მტკიცების უფრო მაღალი სტანდარტით ხასიათდება. აღნიშნულს შესაძლოა არაჯეროვნად შეეზღუდა გამოძიების ფარგლები და პოტენციურად, უარყოფითად ემოქმედა გამოძიების შესაძლებლობაზე, მოეხდინათ სავარაუდო დამნაშავეების იდენტიფიცირება.

56. მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ გამოძიება დროულად დაიწყო და საგამოძიებო ორგანოებმა მოიპოვეს როგორც ექსპერტიზის შედეგად დადგენილი, ასევე მოწმეთა ჩვენებების შესაბამისად გამოვლენილი მტკიცებულებები, (ზემოთ იხილეთ პარაგრაფები 24-31), დაკითხვის მთავარი



მიმართულება შეზღუდული იყო მხოლოდ გ.ტ-ს სიკვდილის უშუალო მიზეზისა და ზოგადად, მისი მკურნალობის ადეკვატურობის დადგენით. საგამოძიებო ორგანოებმა არ გამოიჩინეს სათანადო მცდელობა, რათა დაედგინათ, იყო თუ არა შესაძლებელი იმის განჭვრეტა, რომ ტუბერკულოზი რეზისტენტული იყო და შედეგად, ჩატარებულყო მგრძობელობის განმსაზღვრელი მეორე ტესტი უფრო ადრე, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ მკურნალობის მიუხედავად, გ.ტ-ს ჯანმრთელობის მკაფიო და სწრაფ გაუარესებას, როგორც ამაზე მიუთითებს შესაბამისი სამედიცინო ჩანაწერები ან იყო თუ არა შესაძლებელი, მკურნალობის სტარტეგის სათანადოდ შეცვლა სტანდარტული მკურნალობის არაეფექტურობის დადგენისთანავე. შესაბამისმა ორგანოებმა არც ის მიზეზები გამოიძიეს, რამაც გამოიწვია DOTS+ პროგრამის შესაბამისად მკურნალობის დაწყების 24 დღით დაგვიანება, მას შემდეგ, რაც ციხის სამედიცინო პერსონალმა მოიპოვა მეორე მგრძობელობის ტესტის შედეგები.

57. რაც შეეხება გამოძიების დამოუკიდებლობას, მიუხედავად სახელმწიფო პროკურორის მხრიდან რაღაც დონით ჩართულობისა (იხ.: ზემოთ, პარაგრაფები 27 და 29), ყველა მთავარი საგამოძიებო ღონისძიება განხორციელდა საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ და შესაბამისი დასკვნები შემდეგ დაადასტურა სახელმწიფო პროკურორმა. ამ უკანასკნელს არ გადაუდგამს რაიმე დამოუკიდებელი ნაბიჯები, გარდა იმისა, რომ გამოძიებელს მიუთითა, დაეკითხა ექსპერტები და მოეპოვებინა გ.ტ-ს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ჩანაწერები (იხ.: პარაგრაფი 29). არცერთი გარემოება არ მიუთითებს, რომ პროკურორი მზად იყო გაეკრიტიკებინა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ ინციდენტთან დაკავშირებით მომზადებული ახსნა-განმარტებები. საგამოძიებო ორგანოებსა და ინციდენტში მონაწილე პირთა (იხ.: ზემოთ, პარაგრაფი 36,) შორის არსებული ინსტიტუციური კავშირი ეჭვებს ბადებს ჩატარებული გამოძიების დამოუკიდებლობასთან მიმართებით (იხ.: ცინცაბაძე, ციტირებულია ზემოთ, §§76 და 78; დურდევინი ხორვატიის წინააღმდეგ, №52442/09, §§88-90, CHR 2011 (ამონარიდები); კუმერი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ, №32133/11, § 83 და 85-86, 25 ივლისი, 2013).

58. ითვალისწინებს რა, ზემოთ მოცემულ გარემოებებს, სასამართლო ასკვნის, რომ შესაბამისი ორგანოების მიერ მომჩივნის ვაჟის გარდაცვალების გარემოებების დასადგენად ჩატარებული გამოძიება არ შეესაბამებოდა კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურულ ასპექტებს.

## **II. კონვენციის მე-6 მუხლის საგარაუდო დარღვევა**

59. მომჩივანი დავობდა, რომ 2007 წლის 24 მაისს ამოცნობის პროცედურის დროს მისი ვაჟისთვის არ იყო უზრუნველყოფილი ადვოკატის

ხელმისაწვდომობა. ის ეყრდნობოდა კონვენციის მე-6 მუხლს, რომლის შესაბამისი ამონარიდის თანახმად:

1. ყოველი ადამიანი, ... მისთვის წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გადაწყვეტილება საქმეზე მაისურაძე საქართველოს წინააღმდეგ გამორკვევისას, ... აღჭურვილია... მისი საქმის სამართლიანი... განხილვის უფლებით... სასამართლოს მიერ.

3. ყოველ ბრალდებულს აქვს სულ მცირე, შემდეგი უფლებები:

გ) დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით ან თუ მას არ გააჩნია საკმარისი საშუალება იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად, უფასოდ ისარგებლოს ასეთი მომსახურებით..., როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები.“

60. მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივანს არ ჰქონდა მსხვერპლის სტატუსი. კერძოდ, ვინაიდან გ.ტ. გარდაიცვალა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივრის შეტანამდე, საჩივრის ცალსახად პერსონალური ხასიათი არ იძლეოდა მისი გადაცემის შესაძლებლობას მომჩივნისთვის, რომელიც არ წარმოადგენდა მკვლელობასთან დაკავშირებული ეროვნული სისხლისსამართლებრივი საქმის განხილვის მხარეს.

61. სასამართლომ განავითარა სხვადასხვა კრიტერიუმი იმის დასადგენად, შესაძლებელია თუ არა მომჩივანი მიჩნეულ იქნეს მსხვერპლის სტატუსის მქონედ „უშუალო“ მსხვერპლის გარდაცვალების შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ თავდაპირველი მომჩივანი გარდაიცვლება სასამართლოში საჩივრის შეტანის შემდეგ, როგორც წესი, სასამართლო უახლოეს ნათესავს ნებას აძლევს განაგრძოს საჩივარი, თუ მას აქვს საკმარისი ინტერესი (იხ.: *მალჰაუსი ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ* (განჩინება), №33071/96, ECHR 2000-XII).

62. თუმცა, სიტუაცია განსხვავდება, როდესაც უშუალო მსხვერპლი გარდაიცვლება სასამართლოში საჩივრის შეტანამდე. ამგვარ საქმეებში „მსხვერპლის“ ცნების ავტონომიური განმარტების გათვალისწინებით, სასამართლო როგორც წესი, მზადყოფნას გამოხატავს, მსხვერპლად ცნოს ნათესავი იმ შემთხვევებში: როცა საჩივრებმა წამოჭრეს ზოგადი ინტერესის მქონე საკითხი „ადამიანის უფლებათა პატივისცემის“ კუთხით (კონვენციის 37 §1 მუხლის ჭრილში) და მომჩივნებს, როგორც მემკვიდრეებს, ჰქონდათ დავის გაგრძელების ლეგიტიმური ინტერესი ან მომჩივნის უფლებებზე უშუალო გავლენის საფუძველზე (იხ.: სამართლებრივი რესურსების ცენტრი ვალენტინ კამპეანუს სახელით, რუმინეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა], №47848/08, §98, ECHR 2014). საქმეებში, რომლებიც ეხება კონვენციის მე-5, მე-6 და მე-8 მუხლების

შესაბამის საჩივრებს, სასამართლოს ახლო ნათესავებს მსხვერპლის სტატუსი მიანიჭა და საჩივრის შეტანის ნება დართო იმ შემთხვევებში, როდესაც მათ გამოხატეს მორალური ინტერესი, გაექარწყლებინათ გარდაცვლილი მსხვერპლისთვის დაკისრებული ნებისმიერი სახის ბრალეულობა ან დაეცვათ მათი და ოჯახის რეპუტაცია ან როდესაც გამოავლინეს ინტერესი იმ საფუძველით, რომ აღნიშნულმა უშუალო გავლენა იქონია მათ მატერიალურ უფლებებზე. ასევე, მხედველობაში იქნა მიღებული ზოგადი ინტერესი, რომელიც მოითხოვდა სამართალწარმოების ჩატარებას და საჩივართა განხილვას. როგორც დადგინდა, ეროვნულ სამართალწარმოებაში მომჩივნის მონაწილეობა რამდენიმე რელევანტური კრიტერიუმებიდან მხოლოდ ერთ-ერთს წარმოადგენს (იხ.: *სამართლებრივი რესურსების ცენტრი ვალენტინ კამპეანუს სახელით, რუმინეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], ციტირებულია ზემოთ, §100).

63. მოცემული საქმის გარემოებების მიხედვით, გ.ტ. გარდაიცვალა 2009 წლის 19 მაისს და დედამისმა მოცემული საჩივარი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შეიტანა 2009 წლის 27 ივლისს, მისი გარდაცვალებიდან ორ თვეზე მეტი ხნის გასვლის შემდეგ. ეროვნული სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება, რომელიც 2009 წლის 28 იანვარს დასრულდა და ამოცნობის პროცედურა (იხილეთ პარაგრაფები 5-9) ეხებოდა ექსკლუზიურად გ.ტ-ს და მომჩივანი არ წარმოადგენდა მოცემული სამართალწარმოების მხარეს რაიმე ფორმით. მას არც უდავია, რომ მასზე პირადად, რაიმე ზემოქმედება იქონია მოცემულმა სავარაუდო დარღვევამ. მეტიც, სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს ზოგადი ინტერესი, რომელიც ამ საჩივრის განხილვის საჭიროებას განაპირობებდა.

64. შედეგად, მომჩივანს არ აქვს კონვენციის 34-ე მუხლით გათვალისწინებული სავალდებულო სტატუსი. მაშასადამე, საჩივარი არ უნდა იქნას მიღებული, როგორც კონვენციის დებულებებთან *ratione personae* შეუსაბამო, 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პარაგრაფების შესაბამისად.

### III. კონვენციის მე-13 მუხლის სავარაუდო დარღვევა

65. მომჩივანი ასევე დავობდა, რომ მისთვის ხელმისაწვდომი არ იყო კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალება. ის დაეყრდნო კონვენციის მე-13 მუხლს.

66. სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემული საჩივარი დაკავშირებულია ზემოთ განხილულ საჩივართან და შესაბამისად, მის მსგავსად მისადებად უნდა იქნეს მიჩნეული.

67. იმის გათვალისწინებით, რომ უკვე დადგენილია კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ასპექტის დარღვევა (იხ.: პარაგრაფები 55-58, ზემოთ),

სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არის საჭირო იმის შემოწმება, აგრეთვე დაირღვა თუ არა კონვენციის მე-13 მუხლი.

#### **IV. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება**

68. კონვენციის 41-ე მუხლის მიხედვით:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკერედი მხარის შიდა სახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

##### **ა. ზიანი**

69. მომჩივანმა მოითხოვა 50 000 ევრო მორალური ზიანის ანაზღაურების სახით.

70. მთავრობამ განაცხადა, რომ მოთხოვნა გადაჭარბებული იყო.

71. სასამართლო აკეთებს რა, შეფასებას სამართლიანობის პრინციპის საფუძველზე, მიზანშეწონილად მიიჩნევს, მომჩივანს აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად მიაკუთვნოს 15 000 ევრო, აგრეთვე ნებისმიერი გადასახადი, რომელიც ამ თანხასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული.

##### **ბ. ხარჯები და დანახარჯები**

72. მომჩივანმა მოითხოვა 3 252 ევრო იურიდიული წარმომადგენლის ხარჯებთან მიმართებით, საქმეზე 65.05 საათის განმავლობაში მუშაობისთვის კერძოდ, 50 ევრო ერთი საათისთვის. მოცემული მოთხოვნის გასამყარებლად, მომჩივანმა წარმოადგინა დოკუმენტი, სადაც დეტალურად იყო ასახული წარმომადგენლის მიერ მოცემულ საქმეზე დახარჯული საათების რაოდენობა. მან ასევე მოითხოვა 115 ევრო საფოსტო მომსახურებისთვის, 261 ევრო თარჯიმნის მომსახურებისთვის და 575 ევრო ექსპერტთა მომსახურებისთვის.

73. მთავრობამ განაცხადა, რომ თანხები გადაჭარბებული იყო. მეტიც, მათი შეფასებით, თარჯიმნისა და ექსპერტთა მომსახურების დანახარჯები არ იყო რელევანტური ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე სამართალწარმოების შედეგის თვალსაზრისით.

74. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ მომჩივანს არ წარმოუდგენია დოკუმენტები, რომლებიც დაადასტურებდნენ, რომ მან გადაიხადა ან სამართლებრივად ვალდებული იყო, გადაეხადა წარმომადგენლის მომსახურების თანხა ან რეალურად გაიღო მოთხოვნილი დანახარჯები. ამგვარი დოკუმენტების

არარსებობის პირობებში, სასამართლო არ იმყოფება იმ პოზიციაში, რომ შეაფასოს წინა პარაგრაფებში აღნიშნული საკითხები. შესაბამისად, ის ადგენს, რომ არ არსებობს რაიმე საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც აღიარებდა, რომ მომხივანს რეალურად დაეკისრა მოთხოვნილი ხარჯებისა და დანახარჯების გაწევა (იხ.: *მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ* [დიდი პალატა] №72508/13, §§370-373, 28 ნოემბერი 2017).

75. სასამართლო მიიჩნევს, რომ მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს.

### გ. საურავი

76. სასამართლოს სათანადოდ მიაჩნია, რომ საურავის ოდენობა უნდა დადგინდეს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის მიხედვით, რასაც დაემატება სამი პროცენტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად:

1. აცხადებს მისაღებად კონვენციის მე-2 და მე-13 მუხლების საფუძველზე წამოყენებულ პრეტენზიებს და საჩივრის დანარჩენ ნაწილს მიუღებლად მიიჩნევს.

2. ადგენს, რომ აღგილი ჰქონდა კონვენციის მე-2 მუხლის როგორც პროცედურული, ისე მატერიალურსამართლებრივი ასპექტის დარღვევას.

3. ადგენს, რომ არ არსებობს კონვენციის მე-13 მუხლის შესაბამისად წამოყენებული პრეტენზიის შემოწმების საჭიროება.

4. ადგენს, რომ:

(ა) მოპასუხე სახელმწიფომ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან სამი თვის განმავლობაში, გადახდის დღეს არსებული კურსით, ეროვნულ ვალუტაში, მომხივანს უნდა გადაუხადოს 15 000 (თხუთმეტი ათასი) ევრო მორალური ზიანის ანაზღაურების სახით;

(ბ) ზემოხსენებული სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, თანხის სრულ გადარიცხვამდე, გადასახდელ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება სამი პროცენტი.

9. უარყოფს მომხივანის დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და მხარეებს ეცნობათ წერილობით 2018 წლის 20 დეკემბერს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე (§§2-3) მუხლის შესაბამისად.

კიკალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ  
(Kikalishvili v. Georgia)

საჩივარი №51772/08

20 დეკემბერი, 2018

საქმეზე კიკალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ,

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მეხუთე სექცია) კომიტეტმა შემდეგი შემადგენლობით:

ანდრე პოტოცკი თავმჯდომარე,

მარტინშ მიტსი, ლადო ჭანტურია მოსამართლეები,

და მილან ბლაშკო, სექციის განმწესრიგებლის მოადგილე

დახურული თათბირის შედეგად, 2018 წლის 27 ნოემბერს, მითითებული თარიღით მიიღო წინამდებარე გადაწყვეტილება:

**პროცედურა**

1. საქმის წარმოების დაწყების საფუძველი იყო საქართველოს მოქალაქის, ბ-ნი გ. კიკალიშვილის („მომჩივანი“) მიერ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის საფუძველზე, 2008 წლის 28 ოქტომბერს, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში („სასამართლო“) საქართველოს წინააღმდეგ წარდგენილი საჩივარი (№51772/08).
2. მომჩივანს წარმოადგენდნენ ქ-ნი ლ. მუხაშავრია და ბ-ნი ნ. კვარაცხელია, თბილისში მომუშავე იურისტები. საქართველოს მთავრობას („მთავრობა“) წარმოადგენდა მთავრობის წარმომადგენელი იუსტიციის სამინისტროდან, ბ-ნი ლ. მესხორაძე.
3. 2012 წლის 24 მაისს, მთავრობას ეცნობა აღნიშნული საჩივრის შესახებ.

## ფაქტები

### I. საქმის გარემოებები

4. მომჩივანი დაიბადა 1987 წელს.

ა. სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება მომჩივნის წინააღმდეგ

5. 2006 წლის 13 ივნისს, გამოძიება დაიწყო დ.გ-ს წინააღმდეგ ჩადენილი სავარაუდო ძარცვის საფუძველით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად. იმავე დღეს, დ.გ-ს ფორმალურად მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი და დაიკითხა ინციდენტთან დაკავშირებით. მან განაცხადა, რომ იმავე დღეს, დაახლოებით, დღის 3:30 საათზე, ქუჩაში სიარულის დროს თავს დაესხა ახალგაზრდა ბიჭი, რომელმაც მას ოქროს ყელსაბამი ჩამოგლიჯა. მან თავდამსხმელი შემდეგნაირად აღწერა: დაახლოებით 177 სანტიმეტრის სიმაღლის, 20 წლამდე ახალგაზრდა, მუქი ფერის ხუჭუჭა თმით. დაზარალებული ამტკიცებდა, რომ შეძლებდა მის ამოცნობას. დაზარალებულის მეგობარმა, რომელიც შეესწრო ინციდენტს, განაცხადა, რომ ის ვერ ამოიცნობდა სავარაუდო მძარცველს, რადგან არ დაუნახავს მისი სახე.

6. 2006 წლის 14 ივნისს ჩატარდა ამოცნობის პროცედურა. დაზარალებულმა №4 ფოტოზე მძარცველი ამოცნო. როგორც იკვეთება მოგვიანებით, გამოძიებულმა ამოცნობის ოქმში აღნიშნა, რომ დაზარალებულმა მიუთითა №2 ფოტოზე გამოსახულ პირზე. ახსნა-განმარტება არ ყოფილა წარმოდგენილი, თუ რატომ იყო სახეზე ურთიერთსაპირისპირო აღნიშვნები.

7. შემდეგ დაუყოვნებლივ, მომჩივანი დასახელდა, როგორც N2 ფოტოზე გამოსახული პირი და გამოიცა მისი დაკავების ორდერი.

8. 2006 წლის 15 ივნისს, მომჩივნის დაკავების შემდგომ, ჩატარდა ამოცნობის პროცედურა. ამოსაცნობად ოთხი პირი წარადგინეს; დაზარალებულმა მძარცველად მომჩივანი ამოცნო. მომჩივნის პირადი ჩხრეკისა და შემდგომ, მისი სახლის ჩხრეკის შედეგად რაიმე უკანონო ნივთი არ აღმოჩენილა.

9. 2006 წლის 17 ივნისს, საქმის გამოძიებულმა წერილი მიწერა პროკურორს, სადაც აღნიშნა, რომ მომჩივანს კავშირი ჰქონდა კრიმინალურ სამყაროსთან და მისდევდა „ქურდულ ტრადიციებს“ და მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, რომ მას შეიძლებოდა ჩაედინა მრავალი სახის დანაშაული. იმავე დღეს, პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლომ მომჩივანს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. 2006 წლის 26 ივნისს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული განჩინება ძალაში დატოვა.

10. 2006 წლის 8 აგვისტოს გამოძიება დასრულდა და საქმე, ისევე როგორც საბრალდებო აქტი, განსახილველად სასამართლოს გადაეგზავნა.

11. 2006 წლის 28 დეკემბერს, სასამართლომ დაიწყო საქმის განხილვა. დაზარალებულმა დაადასტურა მის მიერ წინასასამართლო ეტაპზე მიცემული ჩვენება და აღნიშნა, რომ მომჩივნის სახე ძალიან კარგად ახსოვდა. პირველი ინსტანციის სასამართლომ ასევე დაკითხა გამოძიებელი, რომელმაც ჩაატარა ამოცნობის პროცედურა. მან აღნიშნა, რომ დაზარალებულმა შეცდომით მიუთითა N4 ფოტო N2 ფოტოს ნაცვლად. შესაბამისად, მან შემდეგ ამოცნობის ოქმში დამატებითი შენიშვნა გააკეთა, რომ გამოესწორებინა ეს წმინდა ტექნიკური შეცდომა. პირველი ინსტანციის სასამართლომ ასევე დაკითხა ნ.კ., მაღაზიის გამყიდველი, რომელიც შეესწრო ინციდენტს. მან აღწერა სავარაუდო მძარცველი და აღნიშნა, რომ მომჩივანი სხვანაირად გამოიყურებოდა.

12. 2007 წლის 2 თებერვალს, თბილისის საქალაქო სასამართლომ მომჩივანი დამნაშავედ ცნო დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ ძარცვაში და სასჯელის სახედ და ზომად 4 წლის და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. მომჩივნის მსჯავრდებას საფუძვლად დაედო დაზარალებულისა და მისი მეგობრის მიერ სასამართლოში გაკეთებული განცხადებები და ამოცნობის პროცედურის შედეგები. სასამართლომ არ გაითვალისწინა მაღაზიის გამყიდველის ჩვენება, ვინაიდან მიიჩნია, რომ ის იყო „სუბიექტური“ და მიზნად ისახავდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან მომჩივნის გათავისუფლებას. ყელსაბამის ფასი, რომელიც დაზარალებულის შეფასებით 300 ლარი იყო (დაახლოებით 150 ევრო იმ დროისათვის), დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენდა.

13. მომჩივანმა მის წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. მან მოითხოვა, რომ დაზარალებული და გამოძიებელი კიდევ ერთხელ დაკითხულიყვნენ სააპელაციო სასამართლოს წინაშე. 2007 წლის 23 მაისს, დაზარალებულმა წერილი გაუგზავნა სააპელაციო სასამართლოს, რომლის თანახმადაც, ის იყო ორსულად, სამედიცინო ცნობის შესაბამისად, მას დანიშნული ჰქონდა წოლითი რეჟიმი და ვერ გამოცხადდებოდა სასამართლოში. სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მომჩივნის მოთხოვნა, კიდევ ერთხელ დაკითხულიყო გამოძიებელი. შესაბამისი სასამართლო სხდომის ოქმის მიხედვით, ამოცნობის პროცედურასთან დაკავშირებულ კითხვაზე, გამოძიებელმა კვლავ განაცხადა, რომ დაზარალებულმა ზეპირად ამოიცნო ფოტო №2, თუმცა შემდეგ, ამოცნობის ოქმში, წერილობით შეცდომით მიუთითა ფოტო N4. ვინაიდან გამოძიებელმა ეს შეცდომა მას შემდეგ შენიშნა, რაც დაზარალებულმა დატოვა პოლიციის განყოფილება, მან გააკეთა შენიშვნა აღნიშნულის თაობაზე. ამოცნობის



პროცედურასთან დაკავშირებით გამომძიებლის ახსნა-განმარტების გათვალისწინებით, დაცვის მხარემ კიდევ ერთხელ მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს მიერ დაზარალებულის მოწვევა. მომჩივნის ადვოკატმა ხაზი გაუსვა, რომ საჭირო იყო დაზარალებულის დაკითხვა იმისათვის, რომ ზუსტად დადგენილიყო ამოცნობის პროცედურასთან დაკავშირებული გარემოებები და ასევე, მოპარული ყელსაბამის ღირებულება. 2007 წლის 5 სექტემბრის წერილით, დაზარალებულმა კიდევ ერთხელ აცნობა სასამართლოს, რომ ორსულობის გამო ის ვერ გამოცხადებოდა სასამართლოში. აღნიშნული წერილის საფუძველზე, პროკურორმა თხოვა სასამართლოს, რომ დაყრდნობოდა დაზარალებულის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში მიცემულ ჩვენებას. მოისმინა რა მხარეთა არგუმენტები, სააპელაციო სასამართლომ განაცხადა შემდეგი:

„...საქმის განხილვა უნდა გაგრძელდეს, ვინაიდან, როგორც ეს იკვეთება დაზარალებულის მიერ... სასამართლოსთვის მიწოდებული ცნობით, მას არ შეუძლია წარდგეს სასამართლოს წინაშე ორსულობის გამო, რაც ასევე დასტურდება მისი სამედიცინო ისტორიის ამონაწერით; შესაბამისად, სასამართლო იძულებით ვერ მიიყვანს მას...“

14. 2007 წლის 21 სექტემბრის განაჩენით, სააპელაციო სასამართლომ ძალში დატოვა მომჩივნის მსჯავრდება, თუმცა, მის მიერ ჩადენილი დანაშაული უბრალო ძარცვად გადააკვალიფიცირა და შესაბამისად, შეუმცირა სასჯელის ოდენობა; მომჩივანს საბოლოოდ 3 წლისა და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ფოტოიდენტიფიკაციის შედეგებს პროცედურული ხარვეზები ჰქონდა და შესაბამისად, ისინი არასანდოდ მიიჩნია. თუმცა, მომჩივნის ბრალეულობა დასტურდებოდა დაზარალებულის თანმიმდევრული განცხადებებით წინასასამართლო ეტაპზე და სასამართლო პროცესზე, ასევე, ამოცნობის პროცედურის შედეგებით და დაზარალებულის მეგობრის ჩვენებით. სააპელაციო სასამართლომ უარყო დამამძიმებელი გარემოება და აღნიშნა, რომ ყელსაბამის ღირებულება, როგორც ის დაზარალებულმა შეაფასა, არ დადასტურებულა.

15. 2008 წლის 14 მაისის განჩინებით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო საკასაციო საჩივარი.

16. 2009 წლის 24 მარტს, მომჩივანი შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, პირობით ვადამდე გაათავისუფლეს.

## ბ. მომჩივნის ჯანმრთელობის მდგომარეობა

17. საქმის გარემოებების მიხედვით, დაკავებამდე მომჩივანს დაუდგინეს მწვავე კატარაქტა მარცხენა თვალში და ოპერაციის გაკეთება ურჩიეს. მისი დაკავების შემდგომ, 2006 წლის 15 ივნისს ის მოათავსეს თბილისის №5 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. 2006 წლის 21 ოქტომბერს, როდესაც მან დაიჩივლა მარცხენა თვალში მხედველობის დაკარგვისა და მარჯვენა თვალში მისი მნიშვნელოვნად დაქვეითების შესახებ, ის გადაიყვანეს ციხის საავადმყოფოში, სადაც მწვავე კატარაქტას დიაგნოზი დადასტურდა. მას შემდგომ დაუსვეს ქორირეტინიტის (თვალის სისხლძარღვოვანი გარსის ანთება) დიაგნოზი მარჯვენა თვალში. მომჩივანს დაენიშნა მედიკამენტური მკურნალობა და 2006 წლის 4 ნოემბერს დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში მყოფი გაწერეს საავადმყოფოდან.

18. 2007 წლის 13 იანვარს, მომჩივანი კიდევ ერთხელ გადაიყვანეს ციხის საავადმყოფოში, სადაც ის დარჩა 2007 წლის 12 თებერვლამდე. მას ჩაუტარდა სისხლისა და შარდის ანალიზი და ის გასინჯა რამდენიმე ექიმმა, მათ შორის ოფთალმოლოგმა. ოფთალმოლოგმა დაადასტურა მომჩივნისთვის დასმული დიაგნოზი მარცხენა თვალში მწვავე კატარაქტას შესახებ და დაეთანხმა მედიკამენტური მკურნალობის სტრატეგიას. მომჩივანი გამოწერეს ციხის საავადმყოფოდან მას შემდეგ, რაც მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა, როგორც ეს აღნიშნულია ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ შესაბამის ცნობაში.

19. 2007 წლის 3 მარტს, მომჩივანი კვლავ გადაიყვანეს ციხის საავადმყოფოში, ამჯერად დამატებითი დიაგნოზით, რომ დაებინდა მარჯვენა თვალის მინისებრი სხეული. 2007 წლის 12 მარტს ის ისევ დააბრუნეს ციხეში „არასამედიცინო მიზეზების გამო,“ როგორც ეს მის სამედიცინო ისტორიაშია აღნიშნული. 2007 წლის 20 მარტს, მომჩივნის დედამ მიწერა სასჯელაღსრულების დეპარტამენტს და მოითხოვა მისი შვილის ციხის საავადმყოფოში დაბრუნება. ის ამტკიცებდა, რომ მომჩივანს მარცხენა თვალში მხედველობის სერიოზული დაზიანება ჰქონდა. მისი მოთხოვნა გაეგზავნა №5 სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსს, სადაც იმ დროისათვის იმყოფებოდა მომჩივანი, თუმცა აღნიშნულს პასუხი არ მოჰყოლია.

20. 2007 წლის აპრილი-მაისის პერიოდში, მომჩივნის ადვოკატის მოთხოვნით, თვალის კერძო კლინიკამ – „მზერა“ შეამოწმა მომჩივნის სამედიცინო ისტორია და დაადასტურა დიაგნოზი მის მარცხენა თვალში უვეალური კატარაქტას არსებობის შესახებ. ექსპერტის რეკომენდაციით, მედიკამენტური მკურნალობის შემდეგ საჭირო იყო ქირურგიული ჩარევა, კერძოდ, თვალის ლინზის

ხელოვნური ღინზით ჩანაცვლება. მარჯვენა თვალში რაიმე პათოლოგიის არსებობა არ დადასტურდა.

21. 2007 წლის 2 ივნისს, მომჩივანი კატარაქტაზე სამკურნალოდ კიდევ ერთხელ გადაიყვანეს ციხის საავადმყოფოში. 2007 წლის 25 ივნისს, ოფთალმოლოგმა, რომელიც მას მკურნალობდა, მოითხოვა, ციხის საავადმყოფოს უზრუნველყო, რომ მომჩივანი მოენახულებინა თვალის ქირურგს. განუსაზღვრელ დღეს, ციხის საავადმყოფოს მთავრმა ექიმმა მიწერა თვალის კლინიკას – „მხერას.“ მან მოითხოვა კლინიკას გამოეზავნა სპეციალისტი, რომელიც დიაგნოზიდან გამომდინარე გასინჯავდა მომჩივანს. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ზემოხსენებული მოთხოვნის მიუხედავად, მომჩივანი იმ დროს თვალის ქირურგს არ უნახავს.

22. ამასობაში, მრავალი სახის ტესტის ჩატარების შემდეგ, 2007 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში, მომჩივანს დაუსვეს მარჯვენა ფილტვში ინფილტრაციის სტადიაზე მყოფი, ნაცხ-უარყოფითი ტუბერკულოზის დიაგნოზი. 2007 წლის 31 აგვისტოს ის გამოწერეს ციხის საავადმყოფოდან და გადაიყვანეს ქსანში, ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტებისთვის განკუთვნილ დაწესებულებაში. დიაგნოზის დადასტურების შემდეგ, 2007 წლის 2 სექტემბერს მომჩივანი ტუბერკულოზის სამკურნალო პროგრამაში ჩართეს.

23. 2008 წლის 24 იანვარს, მომჩივანი გადაიყვანეს ციხის საავადმყოფოში, სადაც ის თითქმის ორი კვირის განმავლობაში იმყოფებოდა. მის სამედიცინო ისტორიაში შეტანილ ჩანაწერებზე დაყრდნობით, ის რეგულარულად ჩიოდა მარცხენა თვალში მხედველობის დაკარგვის თაობაზე. მომჩივანი იმ დროს ოფთალმოლოგს არ მოუწახულებია.

24. 2008 წლის 2 მაისს, მომჩივანმა დაასრულა ტუბერკულოზის მკურნალობა. 2008 წლის 17 ივნისს, დედამისმა მისწერა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სოციალური მომსახურების უფროსს და მოითხოვა მისი შვილის გადაყვანა ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტებისთვის განკუთვნილ სამედიცინო დაწესებულებაში. დაუდგენელ დღეს ის დააბრუნეს ქსნის ციხეში, სადაც მორიგმა სამედიცინო ტესტმა გამოავლინა, რომ მას დაემართა რეციდივი. მომჩივანს დაუსვეს მარჯვენა ფილტვში დეზინტეგრაციის სტადიაზე მყოფი, ნაცხ-დადებითი ტუბერკულოზის დიაგნოზი. 2008 წლის 12 სექტემბერს მიიღეს გადაწყვეტილება, მომჩივანი კვლავ ჩაესვათ DOTS-ის პროგრამაში. მის სამედიცინო ისტორიაში იმ დროისათვის ოფთალმოლოგიური მკურნალობის შესახებ რაიმე ჩანაწერი არ გაკეთებულა.

25. 2008 წლის 28 ოქტომბერს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში – „სასამართლო“) რეკლამენტის 39-ე მუხლზე დაყრდნობით,

მომჩივანმა სასამართლოს თხოვა მთავრობისთვის მიეთითებინა, რომ ის გადაეყვანათ სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც შეძლებდა სათანადო გამოკვლევებითა და მკურნალობით სარგებლობას, ასევე ოპერაციის ჩატარებას მხედველობის დაკარგვის პრევენციის მიზნით.

26. 2008 წლის 3 ნოემბერს, სასამართლოს რეგლამენტის 54-ე მუხლის §2 შესაბამისად, პალატის თავჯდომარემ მთავრობას მოთხოვა, წარმოედგინა მკურნალობის კონკრეტული გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა მომჩივნის მხედველობის შენარჩუნებასა და დაცვას.

27. 2008 წლის 18 ნოემბერს, მთავრობამ სასამართლოს წარუდგინა მომჩივნის სამედიცინო ისტორია და აგრეთვე, ანგარიში, რომელიც ასახავდა 2007 წლის იანვრიდან მის მიერ ციხეში მიღებულ სამედიცინო მკურნალობას. სასამართლოსთვის მიწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2008 წლის 14 ნოემბერს მომჩივანი ინახულმა ოფთალმოლოგმა, რომელმაც ქირურგიულ ჩარევაზე გადაწყვეტილების მიღებამდე, კონიუქტივიტის სამკურნალო პრეპარატების მიღება ურჩია. 2008 წლის 18 ნოემბერს მომჩივანს ურჩიეს, რომ აღნიშნული ოპერაცია თვალის კლინიკა „მზერაში“ გაეკეთებინა. მომჩივნისა და ოფთალმოლოგის მიერ ხელმოწერილი შესაბამისი ჩანაწერის მიხედვით, მომჩივანმა უარი თქვა სასჯელაღსრულების დაწესებულების მიერ შეთავაზებულ ოპერაციაზე.

28. 2009 წლის 24 მარტს, მომჩივანი პირობითი სასჯელით გაათავისუფლეს.

## II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა

29. იმ დროისათვის საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმართა უფლებების დაცვის თვალსაზრისით, შესაბამისი საკანონმდებლო დებულებები მოცემულია შემდეგ გადაწყვეტილებებში: გოგინაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (№47729/08, §§32-35, 4 ოქტომბერი, 2011) და მახარაძე და სისარულიძე საქართველოს წინააღმდეგ (№35254/07, §§40-43, 22 ნოემბერი, 2011).

## სამართალი

### I. საქმის ფარგლები

30. სასამართლო აღნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც მთავრობას ეცნობა მომჩივნის საჩივრის შესახებ, რომელიც ეხებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ფილტვის ტუბერკულოზით მის სავარაუდო დაინფიცირებას, აგრეთვე ციხეში მისი ოფთალმოლოგიური პრობლემებისა და ტუბერკულოზის სამკურნალოდ ადეკვატური სამედიცინო მომსახურების ნაკლებობას, მომჩივანმა

წამოაყენა ახალი პრეტენზიები თბილისის №5 და ქსნის №7 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არსებულ მიძიმე მატერიალურ პირობებთან დაკავშირებით. ის აგრეთვე დავობდა, რომ ვადაზე ადრე გათავისუფლებაზე შესაბამისი ორგანოების უარი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას წარმოადგენდა.

31. სასამართლო აღნიშნავს, რომ ახალი პრეტენზიები ვერ მიიჩნევა მომჩივნის საწყისი საჩივრის დაზუსტებად, რომელზეც მხარეებმა უკვე გააკეთეს შესაბამისი კომენტარები. შესაბამისად, ეს საკითხები ვერ შემოწმდება მოცემული საჩივრის კონტექსტში (იხილეთ: *გოლოშვილი საქართველოს წინააღმდეგ*, №45566/08, §§ 26-27, 20 ნოემბერი 2012).

## II. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა

32. მომჩივანი დავობდა კონვენციის მე-3 მუხლზე დაყრდნობით, რომ ის დაავადდა ტუბერკულოზით ციხეში და ციხის პერსონალი თავს იკავებდა, გაეწია მისთვის ადეკვატური სამედიცინო მკურნალობა მის ტუბერკულოზსა და სერიოზულ ოფთალმოლოგიურ პრობლემებთან მიმართებით. კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით:

„არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას.“

### ა. მისაღებობა

33. მთავრობამ აღნიშნა, რომ საჩივარი კონვენციის მე-3 მუხლზე დაყრდნობით მომჩივნის მიერ ციხეში, ტუბერკულოზით დაავადების თაობაზე დაუშვებელი იყო იმ საფუძველზე, რომ არ იყო ამუწურული შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებები. საგულისხმოა, რომ გოლოშვილის საქმეზე (ციტირებულია ზემოთ, §§32-33) სასამართლოს დასკვნაზე დაყრდნობით, მათ ხაზი გაუსვეს, რომ მოცემულ საქმეში მომჩივანს არ უსარგებლია რამდენიმე სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებით, კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე და სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლებით გაწერილი საშუალებებით. მომჩივანს სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამოწურვის საკითხზე მთავრობის პოზიციასთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია.

34. სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანს მოცემულ საქმეში არასოდეს უცდია სამოქალაქო სამართალწარმოების გზით მოეთხოვა ზიანის ანაზღაურება ციხეში ტუბერკულოზით მისი სავარაუდო დაავადების გამო. მაშასადამე, სასამართლო

მიიჩნევს, რომ მომჩივნის საჩივრის ეს ასპექტი უნდა იქნას უარყოფილი კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფის შესაბამისად, შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამოწმურვადობის საფუძვლით (იხილეთ მრავალ სხვა საქმესთან ერთად, *გოლოშვილი*, ციტირებულია ზემოთ, §§32-33 და *ქართველიშვილი საქართველოს წინააღმდეგ*, №117716/08, §47, 7 ივნისი 2018).

35. რაც შეეხება კონვენციის მე-3 მუხლზე დაყრდნობით, მომჩივნის საჩივრის დანარჩენ ნაწილს, ის არ არის აშკარად უსაფუძვლო კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პარაგრაფის „ა“ პუნქტის მნიშვნელობით. ის არც ნებისმიერი სხვა საფუძვლით არის დაუშვებელი. მაშასადამე, ის მისაღებად უნდა გამოცხადდეს.

## **ბ. არსებითი მხარე**

### **1. მხარეთა არგუმენტები**

36. მომჩივანი დავობდა, რომ მას ტუბერკულოზის დიაგნოზი დაგვიანებით დაუსვეს, შესაბამისად, მკურნალობის დაწყებაც დაგვიანდა და შედეგად, დაავადება გადავიდა დეკომპოზიციის სტადიაზე. აგრეთვე, ის ამტკიცებდა, რომ რეციდივი იყო DOTS-ის პროგრამით მკურნალობის პირველი ფაზის ადრეულად დასრულებისა და უაღრესად სავალალო ჯანმრთელობის მდგომარეობის მიუხედავად, მისი ჩვეულებრივ საპატიმროში დაბრუნების შედეგი. ის აღნიშნავდა, რომ ოთხი თვის განმავლობაში, იქ იმყოფებოდა, უკიდურესად მძიმე პირობებში, რომლის დროსაც მისი ჯანმრთელობა მნიშვნელოვნად გაუარესდა. რაც შეეხება მის კატარაქტას, მომჩივნის მტკიცებით, თითქმის სამი წლის განმავლობაში მას აწუხებდა მხედველობის მწვავე დაქვეითება მარცხენა თვალში და მიუხედავად იმისა, რომ მას ურჩიეს ესარგებლა ქირურგიული ჩარევით, მისთვის არ შეუთავაზებიათ ოპერაცია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ჩარევამდე, 2008 წლის ნოემბერში. საბოლოოდ, მან უარი განაცხადა ოპერაციის გაკეთებაზე ციხეში, ვინაიდან მთელი სასჯელაღსრულებო სისტემის მიმართ უნდობლობით იყო განწყობილი.

37. მთავრობა ამტკიცებდა, რომ მომჩივნის მხედველობა გაუარესებული იყო მის დაკავებამდე დიდი ხნით ადრე და მისი ციხეში ყოფნისას, არანაირი შემდგომი გაუარესება არ აღნიშნულა. მათი მტკიცებით, მომჩივანს შესთავაზეს თვალის ოპერაცია, მაგრამ მან უარი განაცხადა და მთლიანობაშიც, ის ამ მიმართულებით ადეკვატური მკურნალობით იყო უზრუნველყოფილი. საკუთარი არგუმენტების გასამყარებლად, მათ მიუთითეს შესაბამის სამედიცინო დოკუმენტებზე, რომელთა მიხედვითაც, მომჩივანი რეგულარულად გადაჰყავდათ ციხის საავადმყოფოში სამედიცინო შემოწმებისთვის და ასევე, რეგულარულად

ნახულობდა ოფთალმოლოგი. რაც შეეხება მომჩივნის ტუბერკულოზს, გარდა იმისა, რომ მთელი სამედიცინო ისტორია მიუთითა, მთავრობამ ასევე აღნიშნა, რომ მომჩივანი ჩასვეს DOTS-ის პროგრამაში, როგორც კი დაუსვეს ტუბერკულოზის დიაგნოზი. გადაწყვეტილება მისი DOTS-ის პროგრამაში დაბრუნების თაობაზე ასევე, დაუყოვნებლივ იქნა მიღებული მას შემდეგ, რაც მას დაუდგინდა რეციდივი. ამ კუთხით, ტუბერკულოზის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, მთავრობის მტკიცებით, დაავადების ხელახალი გააქტიურება შესაძლოა ბაქტერიის გენოტიპით ყოფილიყო გამოწვეული. 2008 წლის 8 დეკემბერსა და 2009 წლის 26 თებერვალს, მომჩივნის მკურნალობაში შეინიშნებოდა დადებითი დინამიკა. მას არ დაუსრულებია მკურნალობის მეორე ფაზა, რადგან ის პირობითი სასჯელით გათავისუფლდა 2009 წლის 24 მარტს. დასკვნის სახით, მთავრობის პოზიციით, მომჩივნისთვის უზრუნველყოფილი მკურნალობა დროული და ადეკვატური იყო.

## 2. სასამართლოს შეფასება

### (ა) ძირითადი პრინციპები

38. შესაბამისი ძირითადი პრინციპები ციხეებში სამედიცინო მკურნალობის თვალსაზრისით, შეჯამებულია სასამართლოს მიერ საქმეში – *ბლოხინი რუსეთის წინააღმდეგ* [დიდი პალატა] (№47152/06, §§135-140, ECHR 2016; იხილეთ აგრეთვე, *გოვინაშვილი საქართველოს წინააღმდეგ*, №47729/08, §§69-70, 4 ოქტომბერი, 2011; *ჯელაძე საქართველოს წინააღმდეგ*, №1871/08, §§41-42, 18 დეკემბერი, 2012 და *მინდაძე საქართველოს წინააღმდეგ*, №17012/09, §§39-40, 11 დეკემბერი, 2012).

### (ბ) აღნიშნული პრინციპების გამოყენება საქმეში

39. კონვენციის მე-3 მუხლზე დაყრდნობით, წარდგენილი მომჩივნის საჩივარი მოიცავს ორ ელემენტს: ტუბერკულოზის დაგვიანებულ და არაადეკვატურ მკურნალობას, და ოფთალმოლოგიური პრობლემების არაადეკვატურ მკურნალობას. სასამართლო მათ განცალკევებით განიხილავს.

#### (i) ტუბერკულოზის მკურნალობა

40. პირველ რიგში, მომჩივნის ტუბერკულოზის შესახებ აღსანიშნავია, რომ საქმის გარემოებებში არ მოიპოვება მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს, რომ 2006 წლის ივნისიდან 2007 წლის ივნისამდე დაიჩივლა საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ან მოითხოვა რაიმე სახის მკურნალობა, რომელიც მას არ გაუწიეს. მან მხოლოდ კატარაქტაზე დაიჩივლა. საქმის გარემოებების თანახმად, იმ პერიოდში მას ჩაუტარდა სხვადასხვა სამედიცინო

ანალიზი, მათ შორის რეგულარული სისხლის ანალიზი; მისი მდგომარეობის ზოგადი გაუარესება აღინიშნა მხოლოდ 2007 წლის ზაფხულში. ის მალევე გადაიყვანეს ციხის საავადმყოფოში, სადაც სავალდებულო სამედიცინო ანალიზების შედეგად, დაუსვეს ტუბერკულოზის დიაგნოზი (იხილეთ პარაგრაფი 22, ზემოთ). მომჩივანი დაუყოვნებლივ ჩასვეს DOTS-ის პროგრამაში, რომლის პირველი ფაზაც წარმატებით დასრულდა 2008 წლის მაისში (ზემოთ იხილეთ პარაგრაფი 24). სულ რაღაც, ოთხ თვეში მას დაუსვეს განმეორებითი ტუბერკულოზის დიაგნოზი და კვლავ ჩასვეს DOTS-ის პროგრამაში (ზემოთ იხილეთ პარაგრაფი 24). მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ საქმის გარემოებების მიხედვით, მისი სამედიცინო შემოწმება უზრუნველყვეს მხოლოდ დედამისის განმეორებითი მოთხოვნების შემდეგ. რაოდენ მიუღებელიც შესაძლოა იყოს ოთხთვიანი პაუზა მომჩივნის სამედიცინო მეთვალყურეობის პროცესში, სასამართლო დანამდივლებით ვერ იმსჯელებს იმ მიზეზებზე, თუ რატომ გამოვლინდა განმეორებით ტუბერკულოზი. შემდგომში, მომჩივანი მოათავსეს ქსნის ციხეში, სადაც მან განაგრძო ტუბერკულოზის მკურნალობა შესაბამის სპეციალისტთა მეთვალყურეობის ქვეშ, პირობით ვადამდე მის გათავისუფლებამდე. სასამართლო ამ კუთხით აღნიშნავს, რომ მკურნალობის ადეკვატურობის შესაფასებლად ის ხელმძღვანელობს იმ ტესტით, გამოიჩინა თუ არა სახელმწიფომ სათანადო გულისხმიერება, ვინაიდან სახელმწიფოს მიერ მძიმე ავადმყოფი პატიმრის განკურნების ვალდებულების შესრულება განისაზღვრება მიღებული ზომებით და არა დამდგარი შედეგით (იხილეთ გოგინაშვილი, ციტირებულია ზემოთ, §71). შესაბამისი პრეცედენტული სამართლისა და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო არ არის იმ პოზიციაში, დაასკვნას, რომ მთლიანობაში, მომჩივნისთვის ხელმისაწვდომი ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მკურნალობა არასაკმარისი ან დაბალი ხარისხის იყო. შესაბამისად, ამ მიმართულებით კონვენციის მე-3 მუხლი არ დარღვეულა.

## **(ii) კატარაქტაზე მკურნალობა**

41. რაც შეეხება კონვენციის მე-3 მუხლზე დაყრდნობით მომჩივნის საჩივრის მეორე ასპექტს, სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანს სასჯელადსრულების დაწესებულებაში შესვლისას მწვავე კატარაქტის დიაგნოზი ჰქონდა დასმული და მასზე გაცემული იყო რეკომენდაცია ქირურგიული ჩარევის საჭიროების შესახებ (ზემოთ იხილეთ პარაგრაფი 17). დაკავებიდან ხუთი თვის შემდეგ, მომჩივანი პირველად გადაიყვანეს ციხის საავადმყოფოში, სადაც მას დაუნიშნეს მედიკამენტოზური მკურნალობა (ზემოთ იხილეთ პარაგრაფი 17) და ქირურგიული ჩარევა არ უხსენებიათ. 2007 წლის მაისში, კატარაქტას დიაგნოზი და ოპერაციის საჭიროება დადასტურდა (ზემოთ იხილეთ პარაგრაფი 20). თუმცა,



მომჩივნის სამედიცინო ისტორია ცხადყოფს, რომ მას შემდეგ, რაც მომჩივანს დაუსვეს ტუბერკულოზის დიაგნოზი, კატარაქტაზე მისი მკურნალობა შეჩერდა. დროის შესაბამისი პერიოდის განმავლობაში, ის არ უნახავს ოფთალმოლოგს (იხილეთ: ზემოთ, პარაგრაფები 23-24). მომჩივანი ციხის საავადმყოფოში მოათავსეს, სადაც ოფთალმოლოგმა მხოლოდ 2008 წლის ნოემბერში მონიხა, მას შემდეგ, რაც სასამართლომ მთავრობას მოთხოვა წარედგინა მისი მკურნალობის კონკრეტული გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა მომჩივნის მხედველობის შენარჩუნებასა და დაცვას (იხილეთ ზემოთ პარაგრაფი 27). მომჩივანს ოპერაციის გაკეთება შესთავაზეს (იხილეთ ზემოთ პარაგრაფი 27). მართალია, მან უარი განაცხადა აღნიშნულ შემოთავაზებაზე, თუმცა, ის ფაქტი, რომ მომჩივანს მოუწია ორწელიწადნახევარი ციხეში ყოფნა მხედველობის სერიოზული დაზიანებით, ვიდრე საბოლოოდ შესთავაზეს მხედველობის აღმდგენი სამედიცინო პროცედურის ჩატარება, სასამართლოს შეფასებით, სრულიად მიუღებელია. შედეგად, დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, სახელმწიფო ორგანოებმა მომჩივნისთვის არ უზრუნველყვეს ისეთი სამედიცინო პროცედურის ჩატარება, რომელიც მას მხედველობას აღუდგენდა. ამ კუთხით, მათ ვერ წარმოადგინეს რაიმე ახსნა-განმარტება. არც მომჩივნის სამედიცინო ისტორია და არც მთავრობის რაიმე არგუმენტი არ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ტუბერკულოზის მკურნალობა საჭიროებდა მისი კატარაქტას მკურნალობის შეჩერებასა და ოპერაციის გადადებას.

42. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, რომ სახელმწიფო ორგანოებმა მომჩივანს არ მიაწოდეს კატარაქტასთვის საჭირო მკურნალობა, შედეგად, ვერ შეძლეს პატიმრობის განმავლობაში, უზრუნველყოთ მისი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის დაცვა (იხილეთ ბალკოვი რუსეთის წინააღმდეგ [კომიტეტი], №33690/12, §§28-32, 6 ივნისი, 2017). შესაბამისად, ამ კუთხით დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

### **III. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის და მე-3 პარაგრაფის „დ“ პუნქტის სავარაუდო დარღვევა**

მომჩივანი, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პარაგრაფსა და მე-3 პარაგრაფის „დ“ პუნქტზე დაყრდნობით, დავობდა, რომ სააპელაციო სასამართლოს წინაშე მას არ მიეცა დაზარალებულის დაკითხვის შესაძლებლობა. მე-6 მუხლის შესაბამისი ამონარიდის თანახმად:

„1. ...ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, ყველას აქვს მისი საქმის სამართლიანი... განხილვის უფლება ...სასამართლოს მიერ.“

3. ყოველ პირს, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები:

დ) დაიკითხოს ან დააკითხვინოს ბრალდების მოწმეები და გამოაძახებინოს და დააკითხვინოს დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეთა თანაბარ პირობებში;“

#### **ა. მხარეთა ასსნა-განმარტებები**

44. მომჩივანმა აღნიშნა, რომ მის მსჯავრდებაში დაზარალებულის მიერ მიცემული ჩვენების გადამწვევტი როლის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს წინაშე აღნიშნული პირის ხელახლა დაკითხვას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა დაცვის უფლების სათანადოდ რეალიზებისთვის. მომჩივნის განცხადებით, ორივე ამოცნობის პროცედურა ხასიათდებოდა პროცედურული დარღვევებით და დაზარალებულმა სასამართლოს წინაშე ვერ შეძლო რამდენიმე საკითხის დახუსტება. აქედან გამომდინარე, ვინაიდან სააპელაციო ეტაპზე მას არ მიეცა დაზარალებულის დაკითხვის შესაძლებლობა არასაპატიო მიზეზის გამო, წარმოადგენდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფისა და მე-3 პარაგრაფის „დ“ პუნქტის დარღვევას.

45. მთავრობამ ხაზი გაუსვა, რომ დაზარალებულმა ამოცნო მომჩივანი ორჯერ – ფოტოიდენტიფიკაციის დროს და შემდგომ, ამოცნობის პროცედურაზე. მან აგრეთვე მისცა მომჩივნის მამხილებელი ორი თანმიმდევრული ჩვენება – გამოძიების სტადიაზე და შემდგომ, საქმის განმხილველი სასამართლოს წინაშე. მეტიც, დაცვის მხარემ დაასახელა ორი მიზეზი სააპელაციო სასამართლოში დაზარალებულის ხელახალი დაკითხვის საჭიროების კუთხით: პირველი, რომ დადგენილიყო ყელსაბამის ღირებულება და მეორე, გარკვეულიყო ფოტოიდენტიფიკაციის პროცედურისას დაშვებული უზუსტობა. მთავრობის მტკიცებით, ორივე საკითხი ყურადღებით შეფასდა და გადაწყვეტილებაშიც სათანადოდ იქნა განხილული თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ. მოცემული გარემოებებისა და დაზარალებულის მდგომარეობის გათვალისწინებით, იმ ფაქტს, რომ მომჩივანი მოკლებული იყო შესაძლებლობას, დაეკითხა დაზარალებული სააპელაციო სტადიაზე, არ ჰქონია გავლენა მის უფლებებზე იმ მასშტაბით, რომ შეუსაბამოდ იქნეს მიჩნეული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფისა და მე-3 პარაგრაფის „დ“ პუნქტთან.

#### **ბ. სასამართლოს შეფასება**

46. სასამართლომ აღნიშნა, რომ მის ამოცანას არ წარმოადგენს ეროვნული სასამართლოების ადგილის დაკავება, რომლებიც მათ წინაშე არსებული მტკიცებულებების შეფასების, ფაქტების დადგენისა და ეროვნული სამართლის ინტერპრეტაციის თვალსაზრისით, საუკეთესო პოზიციაში იმყოფებიან.

პრინციპში, სასამართლო [მტკიცებულებათა შეფასებაში] არ ჩაერევა, თუ სამართალწარმოება მთლიანობაში, მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის შესაბამისად, სამართლიანი იყო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეროვნული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები თვითნებური ან აშკარად დაუსაბუთებელია. მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მიხედვით, სასამართლოს ფუნქციას არ წარმოადგენს სასამართლოს მიერ დაშვებული ფაქტობრივი ან სამართლებრივი შეცდომების გასწორება, გადაწყვეტილებები, რომლებიც „თვითნებური ან აშკარად დაუსაბუთებელია,“ შეიძლება სამართლიანი სასამართლო განხილვის გარანტიებთან შეუთავსებლად იქნეს ცნობილი (იხილეთ *ილგარ მამადოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ* (№2), №919/15, §205, 16 ნოემბერი, 2017; აგრეთვე, იხილეთ *მორეირა ფერეირა პორტუგალიის წინააღმდეგ* (№2) [დიდი პალატა], №19867/12, §83, 11 ივლისი, 2017).

47. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოების წინაშე სამართალწარმოებაზე კონვენციის მე-6 მუხლის გამოყენების ფორმა დამოკიდებულია სამართალწარმოების სპეციალურ მახასიათებლებზე; ყურადღება უნდა მიექცეს ეროვნულ მართლწესრიგში სამართალწარმოებებს მთლიანობაში და ასევე, სააპელაციო სასამართლოს როლს. (იხილეთ *ბოტენი ნორვეგიის წინააღმდეგ*, 19 თებერვალი 1996, §39, ანგარიში 1996-I, და *ჰერმი იტალიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], №18114/02, §60, ECHR 2006-XII. იხილეთ აგრეთვე, *მარიუს დრავომირი რუმინეთის წინააღმდეგ*, №21528/09, §§18-19, 6 ოქტომბერი, 2015).

48. კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფის „დ“ პუნქტი განამტკიცებს პრინციპს, რომ სანამ ბრალდებულს მსჯავრი დაედება, მის წინააღმდეგ ყველა მტკიცებულება წარმოდგენილი უნდა იყოს მისი თანდასწრებით საჯარო განხილვის დროს, რათა უზრუნველყოფილ იქნას შეჯიბრებითობის პრინციპი. (რეგულაციური პრინციპებისთვის იხილეთ: *ალ-ხავაჯა და ტაჰერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* [დიდი პალატა], №26766/05 და №22228/06, §§119-147, CHR 2011; აღნიშნული უფრო თვალნათლივ დაზუსტებულია საქმეში – *ჭაჭაშვილი გერმანიის წინააღმდეგ* [დიდი პალატა], №9154/10, §103, CHR 2015; იხილეთ აგრეთვე, *სეტონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*, №55287/10, §57, 31 მარტი, 2016). მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საქმე განსხვავდება წინამდებარე საქმეებისგან იმ კუთხით, რომ ის არ ეხება „დაუსწრებელ“ მოწმეს, რომელიც ჯვარედინი დაკითხვის მიზნებისთვის არ ესწრებოდა პროცესს, სასამართლო მოცემულ საქმეში სამართალწარმოების სამართლიანობის შეფასების თვალსაზრისით, ზემოთ ხსენებულ პრეცედენტულ სამართალში განვითარებულ პრინციპებს მაინც რეგულაციურად მიიჩნევს.

49. წინამდებარე საქმის კონკრეტულ გარემოებებთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივნის წინააღმდეგ მთავარ მტკიცებულებას წარმოადგენდა დაზარალებულის განცხადება, რომ მომჩივანმა მას ოქროს ყელსაბამი ჩამოგლიჯა. აღნიშნული განცხადების სისწორეს ამყარებდა ფოტოიდენტიფიკაციისა და ამოცნობის პროცედურის შედეგები, სადაც გადამწვევტი სიტყვა კვლავ დაზარალებულს ჰქონდა. არ არსებობდა სხვა რაიმე მტკიცებულება, რომელიც დამოუკიდებლად განაპირობებდა მომჩივნის მსჯავრდებას. შედეგად, დაზარალებულის მტკიცებულებამ იქონია გადამწვევტი ზემოქმედება საქმის გადაწყვეტაზე.

50. დაზარალებული სასამართლო პროცესზე დაიკითხა მომჩივნისა და მისი ადვოკატის მონაწილეობით. მათ ნება დართეს, დაესვათ მისთვის კითხვები და სადავო გაეხადათ სასამართლოში მის მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა უტყუარობა და/ან თანმიმდევრულობა. დაცვის მხარეს სამართალწარმოების არც ერთ ეტაპზე არ გაუპროტესტებია, რომ რაიმე მიზეზის გამო მათ შეეზღუდათ უფლება, სადავო გაეხადათ დაზარალებულის მტკიცებულება პირველი ინსტანციის სასამართლოს წინაშე (იხილეთ *კაშლევო ესტონეთის წინააღმდეგ*, №22574/08, § 47, 26 აპრილი, 2016; იხილეთ აგრეთვე, *მიმინოშვილი რუსეთის წინააღმდეგ*, №20197/03, §122, 28 ივნისი, 2011).

51. რაც შეეხება სააპელაციო ეტაპზე სამართალწარმოებას, სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს ჰქონდა იურისდიქცია, განეხილა მოცემული საქმის როგორც ფაქტობრივი, ასევე სამართლებრივი ასპექტები. მეტიც, იკვეთებოდა, რომ შუამდგომლობას დაზარალებულის სააპელაციო სასამართლოს წინაშე დაკითხვის შესახებ ჰქონდა სათანადო საფუძველი (ზემოთ იხილეთ პარაგრაფი 13). მოცემული შუამდგომლობით, დაცვის მხარე მიზნად ისახავდა, სადავო გაეხადა პირველ რიგში, ფოტოიდენტიფიკაციის შედეგები და მეორე მხრივ, ყელსაბამის ღირებულების გამო პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ქმედების დამამძიმებელ გარემოებაში ძარცვად კვალიფიკაცია. ის ფორმა, რითაც სააპელაციო სასამართლომ ორსულობა დაზარალებულის სასამართლოში გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად მიიჩნია, არ არის სრულად დამაჯერებელი (იხილეთ მაგალითად, *ბობეში რუმიხეთის წინააღმდეგ*, №29752/05, §39-40, 9 ივლისი, 2013). პროცედურული თვალსაზრისით, სასამართლოს არ განუხილავს დაზარალებულის დაკითხვის შესაძლებლობა არც ერთი სხვა ალტერნატიული საშუალებით. თუმცა, მატერიალურსამართლებრივი თვალსაზრისით, სასამართლო აღნიშნავს, რომ მოწმის დაკითხვის კუთხით, დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტის ორივე ასპექტი, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სრულად და სიღრმისეულად განიხილა. ამრიგად, აღნიშნულმა სასამართლომ უარყო

დამამძიმებელი გარემოების არსებობა, დაადგინა რა, რომ დაზარალებულის მიერ მითითებული ყელსაბამის ღირებულება, რომელიც გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლომ, რეალურად არ დასტურდებოდა. შედეგად, მომჩივნის სასჯელის ოდენობა შემცირდა. რაც შეეხება ფოტოიდენტიფიკაციის შედეგებს, სააპელაციო სასამართლომ არასანდოდ მიიჩნია და შესაბამისად, არ გაიზიარა (იხილეთ ზემოთ, პარაგრაფი 14).

52. დასკვნის სახით, სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივნის წინააღმდეგ განხორციელებული სამართალწარმოება, მთლიანობაში, არ იყო არასამართლიანი. კუმულატიურად, შემდეგი ფაქტორები უზრუნველყოფენ კონვენციის მე-6 მუხლში განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლების გარანტიებს: პირველი ინსტანციის სასამართლოს წინაშე მტკიცებულებათა სრულყოფილი შეფასება მომჩივნისა და მისი ადვოკატის მონაწილეობით, მათ შორის, დაზარალებულის დაკითხვა სასამართლოში; სააპელაციო სამართალწარმოება მომჩივნის მონაწილეობით; და სააპელაციო გადაწყვეტილება, რომელმაც პასუხი გასცა დაცვის მხარის ყველა ძირითად არგუმენტს და გამორიცხა მტკიცებულებები პროცედურული ხარვეზების გამო (შეადარე საქმესთან *გაიტანარუ რუმინეთის წინააღმდეგ*, №26082/05, §§31-32, 26 ივნისი, 2012, სადაც მომჩივანი, რომელიც გაამართლა პირველმა ორმა ინსტანციამ, დამნაშავედ ცნომ საკასაციო სასამართლომ მოწმეების ხელახლა დაკითხვის გარეშე; იხილეთ აგრეთვე, *ლაზუ მოლდოვის რესპუბლიკის წინააღმდეგ*, №46182/08, §§40 და 42, 5 ივლისი, 2016). მაშასადამე, სასამართლო მიიჩნევს, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი და მე-3 პარაგრაფის „დ“ პუნქტი.

#### IV. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

53. კონვენციის 41-ე მუხლის მიხედვით:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

##### ა. ზიანი

54. მომჩივანი ითხოვდა მთლიანობაში 1 733.12 ევროს მატერიალური ზიანის სანაცვლოდ, სხვადასხვა დანახარჯის გათვალისწინებით, რომელიც სავარაუდოდ, გასწია ციხეში ყოფნის განმავლობაში. აღნიშნული მოიცავდა მისი ოჯახის მიერ შეგზავნილი საკვები პროდუქტების ამანათების ღირებულებას

(777.20 ევრო), პატიმრობის განმავლობაში ოჯახის მიერ მის საპატიმრო ანგარიშზე შეტანილი სრული თანხა (414.50 ევრო) და მის სხვადასხვა სამედიცინო ანალიზსა და მკურნალობაზე დახარჯული თანხა. მან დამატებით მოითხოვა 1 059.82 ევრო იმ სამედიცინო ხარჯებთან დაკავშირებით, რისი გაწევაც სამომავლოდ მოუხდება ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით. მოთხოვნის გასამყარებლად, მომჩივანმა წარმოადგინა სხვადასხვა ქვითრის ასლები, ბანკის ინვოისები და სამედიცინო ცნობები.

55. რაც შეეხება მორალურ ზიანს, მომჩივანი ითხოვდა 6 000 ევროს, როგორც კომპენსაციას მის წინააღმდეგ უსამართლო სამართალწარმოებისა და მსჯავრდების საფუძველზე, ასევე არაადეკვატური სამედიცინო მკურნალობისა და პატიმრობის მძიმე პირობების შედეგად მიყენებული ტკივილისა და ტანჯვისთვის.

56. მთავრობამ გააპროტესტა მომჩივნის მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების თვალსაზრისით და მას უსაფუძვლოდ მიიჩნევდა. მათ ასევე აღნიშნეს, რომ მომჩივანი უზრუნველყოფილი იყო ადეკვატური მკურნალობით და ხაზი გაუსვეს, რომ ისინი ვერ იქნებოდნენ პასუხისმგებელი პატიმრობით გამოწვეული, გარდაუვალი სულიერი ტანჯვისთვის. რაც შეეხება მატერიალურ ზიანს, მთავრობა ამტკიცებდა, რომ მომჩივანმა ვერ შეძლო იმის დამტკიცება, რომ რეალურად გაიღო მოთხოვნილი დანახარჯები და დამატებით აღარ იმსჯელა მათი გონივრულობისა და საჭიროების საკითხზე. სამედიცინო ხარჯებთან მიმართებით, მათ აღნიშნეს, რომ წარდგენილი ქვითრებიდან ზოგიერთი მოიცავდა მომჩივნის გათავისუფლების შემდგომ პერიოდს. მათ ასევე, ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მთავრობა არ იყო პასუხისმგებელი მომჩივნის პატიმრობის განმავლობაში მისი ოჯახის მიერ ნებაყოფლობით გაწეული დამატებით ხარჯებზე.

57. მის ხელთ არსებული დოკუმენტებისა და ზემოთ დადგენილი კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის ბუნების გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ მომჩივანმა ვერ შეძლო დაედასტურებინა მისი მოთხოვნები მატერიალურ ზიანთან მიმართებით. ამავდროულად, სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივანს დადგენილი დარღვევის შედეგად, უდავოდ მიაღვა მორალური ზიანი და იღებს გადაწყვეტილებას, მიაკუთვნოს მას 4 500 ევრო აღნიშნულ ზიანთან დაკავშირებით.

## **ბ. ხარჯები და დანახარჯები**

58. მომჩივანმა ასევე მოითხოვა 1 800 ევრო შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოების წინაშე დაკისრებული ხარჯებისა და დანახარჯებისთვის, 795

ევრო სამართლებრივი მომსახურებასთან მიმართებით და 77 ევრო [ევროპული] სასამართლოს წინაშე დაკისრებული ადმინისტრაციული ხარჯებისთვის. ერთადერთი დოკუმენტი, რომელიც მან აღნიშნული მოთხოვნის საფუძვლიანობის გასამყარებლად წარადგინა, ეხებოდა [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს წინაშე სამართლებრივ მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს და ის შეიცავდა ინფორმაციას მისი ადვოკატის მიერ სასამართლოს წინაშე წარასადგენი დოკუმენტების მომზადებაზე დახარჯული საათების ოდენობას, რომლის ანაზღაურებაც განისაზღვრებოდა 60 ევრო ერთი საათისთვის.

59. მთავრობის მტკიცებით, მომჩივანმა ვერ წარმოადგინა რაიმე ფინანსური დოკუმენტები, რომლებიც დაადასტურებდა, რომ მოთხოვნილი ნებისმიერი სახის დანახარჯი რეალურად მან გაიღო.

60. სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით, მომჩივანი უფლებამოსილია, მიიღოს ხარჯების და დანახარჯების ანაზღაურება მხოლოდ თუ ნაჩვენებია, რომ აღნიშნული ხარჯების გაწევა მას რეალურად და საჭიროებისამებრ დაეკისრა და მათი რაოდენობა გონივრულია. წარმომადგენლის ხარჯები „რეალურად დაკისრებულად“ ითვლება, თუ მომჩივანმა ის უკვე გადაიხადა ან ვალდებულია, გადაიხადოს. საპირისპირო შემთხვევას აქვს ადგილი, როდესაც საქმე ეხება იმ წარმომადგენლის ხარჯებს, რომელსაც აღნიშნულ თანხაზე უარი არ უთქვამს, თუმცა, უბრალოდ, არანაირი ნაბიჯი არ გადაუდგამს იმ კუთხით, რომ მიეღო ეს ხარჯები ან გადაეღო მათი მიღება. ხარჯები, რომლებიც გადასახდელია წარმომადგენლისთვის პირობაზე დაფუძნებული შეთანხმების შესაბამისად, დაკისრებულად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება აღსრულებადია შესაბამის იურისდიქციაში (იხილეთ *მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ* [დიდი პალატა] №72508/13, §371, 28 ნოემბერი, 2017).

61. სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანს არ წარმოუდგენია არანაირი სამართლებრივი ან ფინანსური დოკუმენტაცია ეროვნული სასამართლოების წინაშე დაკისრებულ ხარჯებსა და დანახარჯებთან ან ე. წ. ადმინისტრაციულ ხარჯებთან დაკავშირებით. რაც შეეხება [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს წინაშე დაკისრებულ სამართლებრივ ხარჯებს, მას არ წარმოუდგენია დოკუმენტები იმის საჩვენებლად, რომ მან გადაიხადა ან სამართლებრივად ვალდებული იყო, გადაეხადა მისი წარმომადგენლის მიერ მოთხოვნილი ხარჯები. ამგვარი დოკუმენტების არარსებობის პირობებში, სასამართლო ვერ ხედავს საფუძველს, მიიჩნიოს, რომ მომჩივნის მიერ მოთხოვნილი ხარჯებისა და დანახარჯების გაღება რეალურად მოუხდა მას. შესაბამისად, სასამართლოს პოზიციით, მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს.

## გ. საურავი

62. სასამართლოს სათანადოდ მიაჩნია, საურავის ოდენობა დადგინდეს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის მიხედვით, რასაც დაემატება სამი პროცენტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად:

1. აცხადებს მისაღებად მომჩივნის მიერ წამოყენებულ პრეტენზიას ციხეში აღკვეთის სამედიცინო მკურნალობის ნაკლებობასა და მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების არასამართლიანობასთან მიმართებით და საჩივრის დანარჩენ ნაწილს მიუღებლად აცხადებს.

2. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას იმ საფუძველით, რომ მომჩივანს ოფთალმოლოგიურ პრობლემებთან გასამკლავებლად არ მიეწოდა აღკვეთის სამედიცინო მკურნალობა.

3. ადგენს, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას იმ საფუძველით, რომ მომჩივანი არ უზრუნველყვეს ტუბერკულოზის საწინააღმდეგო აღკვეთის სამედიცინო მკურნალობით.

4. ადგენს, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფისა და მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფის „დ“ პუნქტის დარღვევას.

5. ადგენს, რომ:

ა) მოპასუხე სახელმწიფომ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან სამი თვის განმავლობაში, გადახდის დღეს არსებული კურსით, ეროვნულ ვალუტაში, მომჩივანს უნდა გადაუხადოს 4 500 (ოთხი ათას ხუთასი) ევრო მორალური ზიანის ანაზღაურების სახით;

ბ) ზემოხსენებული სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, თანხის სრულ გადარიცხვამდე, გადასახდელ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება სამი პროცენტი.

6. უარყოფს მომჩივნის დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით. შესრულებულია ინგლისურ ენაზე და მხარეებს ეცნობათ წერილობით, 2018 წლის 20 დეკემბერს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე (§§2-3) მუხლის შესაბამისად.



# ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2019 წელს საქართველოს წინააღმდეგ მიღებული საქმეები

## კეკელიძე საქართველოს წინააღმდეგ (Kekelidze v. Georgia)

საჩივარი №2316/09

19 იანვარი, 2019

**ფაქტები:** მომჩივანი, გოჩა კეკელიძე არის საქართველოს მოქალაქე, რომელიც დაიბადა 1977 წელს და ცხოვრობს ბათუმში.

ბატონი კეკელიძე 2008 წლის 2 სექტემბერს დააკავეს (მეგობართან ერთად) ბათუმში შსს-ის სოლის სამმართველოს თანამშრომლებმა ნარკოტიკული საშუალების უკანონო ფლობის ეჭვის საფუძველზე. მისი მხრიდან ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევის შედეგად, მან მიიღო დაზიანებები როგორც სახის არეში, ასევე ორივე ფეხზე. დროებითი დაკავების იზოლატორში გადაყვანისას, მალევე საჭირო გახდა სასწრაფო დახმარების გამოძახება. მომჩივნის ბათუმის საავადმყოფოში შემოწმებისას, დაუდგინეს ზედა ყბის უბის მოტეხილობა და ტვინის შერყევა, ასევე იკვეთებოდა ჩალურჯებები მკერდისა და წელის არეში და მწვავე დასიება მომჩივნის სახეზე. შემდეგ ის დააბრუნეს დროებითი დაკავების იზოლატორში.

რაც შეეხება გამოძიების მიმდინარეობას, აღსანიშნავია, რომ მომჩივნის დაკითხვის შემდეგ, გამომძიებელმა დაკითხა დროებითი დაკავების იზოლატორის ორი თანამშრომელი, რომლებმაც დაადასტურეს, რომ მომჩივანი მათთან მრავალი დაზიანებით მოიყვანეს. თუმცა, გამომძიებლის მხრიდან ამ კუთხით, რაიმე დამატებითი დეტალები არ გამოკვეთილა, განსაკუთრებით კი დაკავებაში მონაწილე პოლიციის ოფიცრების იდენტიფიცირების თვალსაზრისით. მომჩივნის ადვოკატმა საჩივრით მიმართა გენერალურ პროკურატურას. მან ხაზი გაუსვა გამოძიების არაეფექტურობას და დამნაშავეთა ამოსაცნობად მოითხოვა ამოცნობის ჩატარება და მიმდებარე ტერიტორიის ვიდეოკამერების ჩანაწერების გამოთხოვა. მას განუცხადეს, რომ გამოძიება ჯერ კიდევ მიმდინარეობა, ხოლო ვიდეოჩანაწერების მოპოვება შეუძლებელი იყო, ვინაიდან იმ დღეს კამერები არ ფუნქციონირებდა.

## კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა

წინამდებარე საქმეში მომჩივანი დავობდა, რომ დაკავებისას, პოლიცია მას არასათანადოდ მოეპყრა და აღნიშნულთან დაკავშირებით ეფექტური გამოძიება არ ჩატარებულა. ის დაეყრდნო კონვენციის მე-3 მუხლს, რომლის მიხედვით:

„არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას.“

### სასამართლოს შეფასება

*(i) დაკავების დროს მომჩივნის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობა*

სასამართლოს დაკვირვებით, სახეზეა მტკიცებულება, რომ მომჩივანმა მიიღო მრავალი სერიოზული დაზიანება, მათ შორის, მარჯვენა ზედა ყბის მოტეხილობა. შედეგად, უნდა შეფასდეს, იყო თუ არა ფიზიკური ძალის გამოყენება „მკაცრად აუცილებელი“ კონვენციის მე-3 მუხლის მატერიალურსამართლებრივი ასპექტის შესაბამისად.

სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეში პოლიცია მოქმედებდა წინასწარ დაგეგმილი ოპერაციის ფარგლებში, სადაც მონაწილეობდა ათზე მეტი შეიარაღებული ოფიცერი. არაფერი მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ მომჩივანი პოლიციელებისთვის პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენდა. მეტიც, პოლიციის შესაბამის ოქმებზე დაყრდნობით, მომჩივანს გაქცევაც არ უცდია. ის გადმოიყვანეს მანქანიდან და დაუყოვნებლივ ძირს დააწვინეს. არც ერთ ეტაპზე არ ყოფილა მტკიცება, რომ რომელიმე პოლიციის ოფიცერი დაშავდა, რაც შესაძლოა რელევანტური ყოფილიყო იმის შესაფასებლად, მომჩივანმა სინამდვილეში მიმართა თუ არა ძალადობას. მოცემულ გარემოებებში, განსაკუთრებით კი, ოპერაციის წინასწარი დაგეგმილი ხასიათის, მომჩივნის მიერ მიღებული დაზიანებების სიმწვავისა და სიმრავლის და ასევე, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ოფიცრები რაოდენობრივად ბევრად აღემატებოდნენ შეუიარაღებელ მომჩივანსა და მის მეგობარს, მათ მიერ გამოყენებული ზომა დაკავების პროპორციულ ღონისძიებად ვერ მიიჩნევა.

სამი დაკითხული ოფიცრის ჩვენებაზე დაყრდნობით, მომჩივანი წინააღმდეგობას უწევდა მათ, თუმცა არცერთ მათგანს არაფერი განუცხადებია აღნიშნული წინააღმდეგობის დეტალებზე. შესაბამისად, კითხვები რჩება მომჩივნის შემუშავებული თვალებისა და სახის დაზიანების გამომწვევ ქმედებებსა და მათ საჭიროებასთან მიმართებით.

შედეგად, სასამართლო დაასკვნის, რომ მთავრობამ ვერ შეძლო დამაჯერებლად წარმოეჩინა, რომ ოფიცრების მიერ გამოყენებული ფიზიკური ძალა, რომელმაც

მომჩივნის სხეულზე სერიოზული დაზიანებები გამოიწვია, არ იყო გადაჭარბებული. მომჩივნისთვის მიყენებული ტკივილის ბუნების გათვალისწინებით, ძალის ამგვარი გამოყენება წარმოადგენს არაადამიანურ მოპყრობას.

**შედეგად, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის მატერიალურსამართლებრივი ასპექტი.**

*(ii) გამოძიების სავარაუდო არაეფექტურობა*

უნდა აღინიშნოს, რომ გამოძიება დროულად დაიწყო, როგორც კი მომჩივნის ადვოკატმა შესაბამის უწყებას აცნობა მოცემული ინციდენტის შესახებ. თუმცა, სასამართლოს სერიოზული ეჭვები აქვს იმასთან დაკავშირებით, სრულყოფილად ჩატარდა თუ არა გამოძიება.

აღსანიშნავია, რომ შესაბამის უწყებას დიდი ძალისხმევა არ გამოუჩენია, რათა მოეპოვებინა დამატებითი მტკიცებულებები და მოეძიებინა მოწმეები. მიუხედავად იმისა, რომ ინციდენტი მოხდა დღისით, ბათუმის ცენტრალურ ნაწილში, გამომძიებელმა მხოლოდ დაკითხა მომჩივანი, მისი მეგობარი, დაკავების მონაწილე პოლიციის სამი ოფიცერი და დროებითი იზოლატორის ორი თანამშრომელი.

გამომძიებას ასევე, მიზნად არ დაუსახავს, შეეფასებინა მიღებული დაზიანებებისა და მომჩივნის მიერ გაწეული წინააღმდეგობის, თუ ჰქონდა მას ადგილი, პროპორციულობა. ჩატარებულ ექსპერტიზას არ განუხილავს საკითხი, პოტენციურად შესაძლებელი იყო თუ არა, მომჩივანს მიეღო ყველა აღნიშნული დაზიანება სახით მიწაზე წოლისას. ასევე, გამოძიების ყურადღების მიღმა დარჩა მომჩივნის განცხადება, რომ მისი ცემა გაგრძელდა სოფლის განყოფილებაში, სადაც ის შვიდი საათის განმავლობაში იმყოფებოდა.

საბოლოოდ, გამოძიება მომჩივნის დაკავებასთან დაკავშირებით მიმდინარეობდა ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში. აღნიშნულთან მიმართებით, მთავრობას ახსნა-განმარტება არ წარმოუდგენია. იღებს რა, მხედველობაში ზემოხსენებულ გარემოებებს, სასამართლო მიიჩნევს, რომ გამოძიება მომჩივნის მიმართ არასათანდლო მოპყრობის თაობაზე არ იყო სრულყოფილი, ადეკვატური ან ეფექტური.

შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ასპექტი.

**საჩივრის დანარჩენი ნაწილი**

მომჩივანი დავობდა, რომ სახეზე იყო კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევა მისი უკანონო წინასასამართლო პატიმრობის საფუძველზე. მან ასევე, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა მის წინააღმდეგ განხორციელებული სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების შესაბამისობა კონვენციის მე-6 მუხლთან.

მის ხელთ არსებული საქმის მასალების გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, რომ მომჩივნის პრეტენზიები კონვენციის მე-5 მუხლისა და მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის საფუძველზე მოცემული დებულებებით გათვალისწინებულ სადავო საკითხს არ წამოჭრის და უნდა გამოცხადდეს მიუღებლად, როგორც აშკარად უსაფუძვლო, კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პარაგრაფის „ა“ პუნქტსა და მე-4 პარაგრაფზე დაყრდნობით.

### **კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება**

მომჩივანს არ წარუდგენია მოთხოვნა სამართლიანი დაკმაყოფილების თაობაზე. სასამართლო, შედეგად მიიჩნევს, რომ მისთვის რაიმე მოცულობის თანხის მიკუთვნების საჭიროება არ არსებობს.

### **სასამართლო აღნიშნულის საფუძველზე, ერთხმად**

აცხადებს საჩივარს მომჩივნის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობისა და გამოძიების არაეფექტურობასთან მიმართებით მისაღებად და საჩივრის დანარჩენ ნაწილს მიუღებლად.

ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის მატერიალურსამართლებრივი ასპექტი.

ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ასპექტი.

**ბრეგვაძე საქართველოს წინააღმდეგ  
(Bregvadze v. Georgia)**

**საჩივარი №49284/09**

17 იანვარი, 2019

**ფაქტები**

მომჩივანი დაიბადა 1987 წელს და ამ დროისთვის დაპატიმრებულია ქ. რუსთავის ციხეში.

2007 წლის 3 დეკემბერს, ტაქსის მძღოლმა პოლიციას შეატყობინა, რომ იგი ორმა ახალგაზრდა მამაკაცმა ცივი იარაღის მუქარით დააყინა, მათ თან წაიღეს მობილური ტელეფონი და 26 ლარი. იგი ამტკიცებდა, რომ შეძლებდა ორივე მათგანის ამოცნობას. მეორე დღეს მომჩივანი დააკავეს შეიარაღებული ძარცვის ეჭვის საფუძველზე, თუმცა პირადი და სახლის ჩხრეკის შედეგად არ იქნა აღმოჩენილი უკანონო ნივთები. იმავე დღეს, ტაქსის მძღოლმა ამოიცნო მომჩივანი. მომჩივანმა თავდაპირველი დაკითხვისას წარმოადგინა ალიბი და დეტალურად ისაუბრა თუ ვისთან ერთად გაატარა ის საღამო. კერძოდ, იგი ამტკიცებდა, რომ აღნიშნულ საღამოს ქუჩაში სეირნობდა შეყვარებულთან და მის მეგობრებთან ერთად და რამდენიმე ადამიანმა იგი სეირნობისას დაინახა.

2007 წლის 7 დეკემბერს, მომჩივნის ადვოკატმა მოითხოვა გამოკითხულიყო ის 12 ადამიანი, რომლებიც მომჩივნის ალიბს ადასტურებდნენ. 2007 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილებით, გამომძიებელმა არ დააკმაყოფილა ადვოკატის შუამდგომლობა. გადაწყვეტილება დაასაბუთა იმით, რომ მომჩივნის შეყვარებული და მისი მეგობრები მიკერძოებულები იყვნენ აღნიშნულ საკითხთან მიმართებით. რაც შეეხება დარჩენილ პოტენციურ მოწმეებს, გამომძიებლის განცხადებით, ისინი არ ყოფილან მომჩივანთან ერთად საღამო დანაშულის ჩადენის დროს. მომჩივნის მოთხოვნაზე უარი დაადასტურა ზემდგომმა პროკურორმა.

მომჩივანი კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფსა და მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფის „დ“ პუნქტზე დაყრდნობით ასაჩივრებდა საგამომძიებო ორგანოებისა და სასამართლო ხელისუფლების უარს, დაეკითხათ დაცვის მხარის მოწმეები.

## სასამართლოს შეფასება

სასამართლო აღნიშნავს, რომ როდესაც მოწმეთა დაკითხვის შესახებ ბრალდებულის მოთხოვნაზე უარი კეთილსინდისიერი, დასაბუთებული, ბრალდებასთან რელევანტურია და შესაძლოა გააძლიეროს დაცვის მხარის პოზიცია ან გახდეს ბრალდებულის გამართლების მიზეზი, ეროვნულმა ხელისუფლებამ უნდა დაასაბუთოს მისი უარი ამგვარ მოთხოვნასთან დაკავშირებით (იხ.: ტოპიჩი ხორვატიის წინააღმდეგ, №51355/10, §42, 10 ოქტომბერი 2013). წინამდებარე საქმეში, ეროვნულმა სასამართლოებმა მოთხოვნაზე უარი განაცხადეს პროცედურულ საფუძველზე დაყრდნობით. თუმცა, იმ დროისთვის, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, ბრალდებულს უფლება ჰქონდა სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე გამოეძახებინა მოწმე, თუ ამისათვის შესაბამისი საფუძველები არსებობდა. სასამართლოს აზრით, ის ფაქტი, რომ მომჩივნის ადვოკატი მის წარმომადგენლად ახალი დანიშნული იყო, შესაძლოა ყოფილიყო მოთხოვნის დაგვიანებით წარდგენის საპატიო მიზეზი. ნებისმიერ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოების დროს, მომჩივანმა მოითხოვა იმ მოწმეთა დაკითხვა, რომლებიც მის ალიბს ადასტურებდნენ. მოთხოვნა წერილობითი ფორმით იქნა წარდგენილი სააპელაციო სასამართლოში. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ უარი განაცხადა მასზე, სწორედ იმ საფუძველით, რომ მოთხოვნა არ იყო წერილობითი ფორმით წარდგენილი. უზენაესმა სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო ეს პროცედურული ხარვეზი და უარი თქვა მომჩივნის საკასაციო სარჩელზე იმ მოტივით, რომ იგი დაუსაბუთებელი იყო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სტრასბურგის სასამართლო ვერ დაეთანხმება მთავრობის არგუმენტს, რომ მომჩივნის შუამდგომლობა მოწმეთა დაკითხვის შესახებ სათანადოდ იქნა განხილული. მთავრობა ამტკიცებდა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა მომჩივნის ბრალდების მამხილებელი მტკიცებულება, სასამართლოში მოწმეთა დაკითხვაზე უარს მთლიანობაში, სამართალწარმოების სამართლიანობაზე საზიანო გავლენა არ გააჩნია. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანი ბრალდებულია ყაჩაღობაში; მის ერთადერთ დაცვის საშუალებას წარმოადგენდა ალიბი, შესაბამისად, მან მოითხოვა მოწმეთა გამოკითხვა, რომლებიც ამ ალიბს დაადასტურებდნენ. ეჭვგარეშეა, რომ შუამდგომლობა იყო საკმარისად დასაბუთებული და ბრალდების საგანთან რელევანტური; უფრო მეტიც,

შესაძლოა მის საფუძველზე ბრალდებულის მიმართ დამდგარიყო გამამართლებელი განაჩენი (იხ.: ქართველიშვილი საქართველოს წინააღმდეგ, №17716/08 §61 და დოროხოვი რუსეთის წინააღმდეგ №66802/01, §74). ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულების შეფასების გარეშე, სტრასბურგის სასამართლო თვლის, რომ მომჩივანს, მხარეთა თანასწორობის საფუძველზე, უნდა მიცემოდა საშუალება ეროვნული სასამართლოების წინაშე წარმოედგინა მტკიცებულება. ეროვნულმა სასამართლოებმა, როდესაც პროცედურული დარღვევის შედეგად, მომჩივანს არ მისცეს ამის საშუალება, იგი რელაურად პროკურატურასთან შედარებით არახელსაყრელ პირობებში ჩააყენეს. აქედან გამომდინარე, დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი და მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფის „დ“ პუნქტი.

## **ზიანი**

მომჩივანი ითხოვდა 80 000 ევროს (EUR) მორალური ზიანისთვის.

მთავრობამ გაასაჩივრა მომჩივნის მოთხოვნა, იმეორებდა იმ არგუმენტს, რომ მოცემულ საქმეში სახეზე არ იყო კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფისა და მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფის „დ“ პუნქტის დარღვევა. იგი აცხადებდა, რომ მოთხოვნა იყო დაუსაბუთებელი და გადაჭარბებული და სტრასბურგის სასამართლოს მოუწოდა პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით სამართლიანი შეფასებისკენ. სტრასბურგის სასამართლოს დასკვნიდან, რომლის მიხედვით მან დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფისა და მე-6 მუხლის მე-3 პარაგრაფის „დ“ პუნქტის დარღვევა, არ ჩანს, რომ მომჩივანი უკანონოდ იყო მსჯავრდებული (ბეუზე ბელგიის წინააღმდეგ [დიდი პალატა], №71409/10 §199, 9 ნოემბერი, 2018).

არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებულ საქმეზე დარღვევის დადგენა საკმარისია და არ აკმაყოფილებს მომჩივნის მოთხოვნას მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ.

**საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (I) [დიდი პალატა]  
(სამართლიანი დაკმაყოფილება)  
(Georgia v. Russia (I)[GC] (Just Satisfaction))**

სახივარი №13255/07

31 იანვარი, 2019

**ფაქტები**

2014 წლის 3 ივლისს, მიღებულ არსებით გადაწყვეტილებაში [ადამიანის უფლებათა ევროპულმა] სასამართლომ დაადგინა, რომ 2006 წლის შემოდგომაზე რუსეთის ფედერაციაში გატარდა საქართველოს მოქალაქეების დაკავების, დაპატიმრებისა და გამოძევების კოორდინირებული პოლიტიკა, რაც [ადამიანის უფლებათა ევროპული] კონვენციის პრეცედენტული სამართლის მიზნებისთვის, ადმინისტრაციულ პრაქტიკას წარმოადგენდა და ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-4 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლს (უცხოელთა კოლექტიური გაძევების აკრძალვა). სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლისა (წამების აკრძალვა) და მე-5 მუხლის (თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება) 1-ლი და მე-4 პარაგრაფების დარღვევას, აგრეთვე, კონვენციის მე-13 მუხლის (სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება) დარღვევას მე-5 მუხლის 1-ელ პარაგრაფსა და მე-3 მუხლთან ერთობლიობაში. ზემოხსენებული მუხლების დარღვევის საფუძველი იყო თვითნებური დაკავებები და დაკავების პირობები.

**სამართალი**

**41-ე მუხლი**

1. **გამოყენებადობა** – გადაწყვეტილებაში საქმეზე *კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ*, დადგინდა სამი კრიტერიუმი, რომელთა მიხედვით უნდა განისაზღვროს სახელმწიფოთაშორის საქმეზე მოთხოვნილი უნდა იყოს თუ არა სამართლიანი დაკმაყოფილება. აღნიშნული კრიტერიუმებია:



(i) მთავრობის მიერ წარმოდგენილი საჩივრის ტიპი, რომელიც უნდა ეხებოდეს მოქალაქეების (ან სხვა მსხვერპლის) ძირითადი ადამიანის უფლებების დარღვევას;

(ii) შესაძლებელია თუ არა დაზარალებულთა იდენტიფიცირება;

(iii) რა არის საქმის წარმოების დაწყების ძირითადი საფუძველი. საქმის წარმოების დაწყების საფუძველი უნდა იყოს ადამიანის უფლებათა დარღვევის საფუძველზე კომპენსაციის მინიჭება არა სახელმწიფოსთვის, არამედ მსხვერპლთათვის.

წინამდებარე საქმეზე სამივე კრიტერიუმს აკმაყოფილებდა.

დასკვნა: კონვენციის 41-ე მუხლი გამოყენებადია (თექვსმეტი ხმა ერთის წინააღმდეგ).

## 2. გამოყენება

ა) „საკმარისად ზუსტი და ობიექტურად იდენტიფიცირებადი“ პირთა ჯგუფის განსაზღვრა

(i) მონაწილე სახელმწიფოების და სასამართლოს როლი – ძირითადი გადაწყვეტილების 135-ე პარაგრაფში სასამართლომ განაცხადა, რომ არ არსებობდა რაიმე გარემოება, რაც მას შესაძლებლობას მისცემდა, დაედგინა, რომ მომჩივანი მთავრობის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია გაძევებული ქართველების რაოდენობის შესახებ არ იყო სარწმუნო. შესაბამისად, მან მიიჩნია, რომ სადავო პერიოდში 4600-ზე მეტი გაძევების ბრძანება გაიცა, საიდანაც დაახლოებით, 2380 ადამიანი დააკავეს და იძულებით გააძევეს. სასამართლომ მოცემული რიცხვი აიღო, როგორც ათვლის წერტილი, რათა დაედგინა, არსებობდა თუ არა ადმინისტრაციული პრაქტიკა ძირითადი გადაწყვეტილების საქმის განხილვის კონტექსტში, რაც ძალიან განსხვავდებოდა კონვენციის 41-ე მუხლის მიზნებისთვის მსხვერპლთა ვინაობის დადგენისგან.

განსხვავებით საქმისგან კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ, რომელიც 1974 წლის ზაფხულში ჩრდილოეთ კვიპროსში თურქეთის მიერ განხორციელებული სამხედრო ოპერაციის შედეგად კონვენციის არაერთი მუხლის დარღვევას და რომელიც არ ეფუძნებოდა ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებს. მოცემულ საქმეში ადმინისტრაციული პრაქტიკა ეყრდნობოდა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებს, 2006 წლის შემოდგომაზე რუსეთის ფედერაციიდან საქართველოს მოქალაქეების გაძევების შესახებ. აქედან

გამომდინარე, მხარეები უნდა იყვნენ იმ პოზიციაში, რომ მოახდინონ მსხვერპლთა იდენტიფიკაცია და სასამართლოს მიაწოდონ შესაბამისი ინფორმაცია. ამასთან მიმართებით, მაღალ ხელშემკერველ სახელმწიფოთათვის კონვენციის 38-ე მუხლით განსაზღვრული ვალდებულება ვრცელდებოდა ორივე მხარეზე: მიუხედავად იმ სიძნელეებისა, რაც დროის გასვლასა და დიდი ოდენობის მონაცემების შეგროვებასთან იყო დაკავშირებული, მომჩივან მთავრობას ეკისრებოდა ვალდებულება, დაესაბუთებინა მოთხოვნა, ხოლო მოპასუხე მთავრობას უნდა წარმოედგინა მის ხელთ არსებული ყველა შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტი.

სასამართლოს არაერთი მოთხოვნის შემდეგ, მომჩივანმა მთავრობამ, დანართთან ერთად, წარმოადგინა 1795 დაზარალებულის სია, ხოლო მოპასუხე მთავრობამ ასევე, დანართთან ერთად, სასამართლოს კომენტარები გაუგზავნა. სასამართლომ წინასწარ შეაფასა აღნიშნული სია, მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხე მთავრობამ არ წარმოადგინა ყველა შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტი (კერძოდ, გაძევების ბრძანებები და სასამართლოს გადაწყვეტილებები). თუმცა, სასამართლო არ იყო უფლებამოსილი და მისი, როგორც საერთაშორისო სასამართლოს ფუნქციებთან შეუსაბამო იქნებოდა, შეეფასებინა საქმეთა უფრო დიდი ოდენობა, რაც მოითხოვდა კონკრეტული ფაქტების დადგენას ან ფულადი კომპენსაციის გამოთვლას (ორივე საკითხი, დოქტრინისა და პრაქტიკის მიხედვით, ეროვნული სასამართლოების კომპეტენციას წარმოადგენს). ეს წესი განსაკუთრებით ვრცელდებოდა სახელმწიფოთაშორის საქმეზე, რომელიც არსებითად განსხვავდებოდა იმ საქმისგან, რომელიც ეხებოდა ინდივიდუალური საჩივრების ჯგუფს, სადაც თითოეული საჩივრის კონკრეტული გარემოებები მოცემული იყო გადაწყვეტილებაში.

(ii) *მეთოდი* – სასამართლომ მხედველობაში მიიღო რა, ის რიცხვი, რომელსაც დაეყრდნო ძირითად გადაწყვეტილებაში, აგრეთვე ის ფაქტი, რომ დადგენილი დარღვევები ეხებოდა ინდივიდუალურ მსხვერპლებს და ეფუძნებოდა იმ მოვლენებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მოპასუხე მთავრობის ტერიტორიაზე, განაგრძო მსჯელობა, რომ მომჩივანი მთავრობის სიაში დასახელებული ადამიანები, წარმოადგენდნენ დადგენილი დარღვევების მსხვერპლებს და საწინააღმდეგოს დამტკიცების ტვირთი მოპასუხე მთავრობას ეკისრებოდა.

წინამდებარე საქმეზე მოპასუხე მთავრობის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ამართლებდა სიიდან 290 ადამიანის ამოღებას, ქვემოთ ჩამოთვლილი მიზეზებიდან ერთ-ერთის საფუძველზე: სიაში ორჯერ იყვნენ შეყვანილები; სასამართლოს წინაშე ინდივიდუალური საჩივარი ჰქონდათ წარდგენილი; რუსეთის მოქალაქეობა მიიღეს ან საჩივრის წარდგენის დროიდანვე იყვნენ სხვა

ქვეყნის მოქალაქეები; გაძევების ბრძანება მათ წინააღმდეგ წარდგენილ იქნა სადავო პერიოდამდე ან აღნიშნული პერიოდის შემდეგ; მათ წარმატებით გამოიყენეს ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის საშუალებები; შეუძლებელი იყო მათი იდენტიფიცირება ან მომჩივანმა მთავრობამ ვერ წარმოადგინა საკმარისად დასაბუთებული საჩივრები მათთან მიმართებით.

შესაბამისად, არსებობდა „საკმარისად ზუსტი და ობიექტურად იდენტიფიცირებადი“ სულ მცირე, 1500 საქართველოს მოქალაქე, რომლებიც უცხოელთა კოლექტიური გაძევების მსხვერპლს წარმოადგენდნენ და რომელთა გარკვეულ რაოდენობას უკანონოდ შეეზღუდა თავისუფლება და დაკავების პირობების გამო დაექვემდებარა არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას.

## ბ) მორალური ზიანი

სასამართლომ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ კონვენცია პირდაპირ არ ითვალისწინებს დებულებას მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ, შესაბამისად, დაეყრდნო იმ პრინციპებს, რომლებიც დადგინდა არაერთ საქმეზე და ეხებოდა ადამიანის უფლებათა მასშტაბურ დარღვევებს: იმის შეფასებისას, კომპენსაციის მინიჭება უნდა მოხდეს თუ არა კონვენციის 41-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლომ განიხილა არამხოლოდ მომჩივნის პოზიცია, არამედ დარღვევის საერთო კონტექსტიც. მორალური ზიანის განსაზღვრისას, სასამართლო მიზნად ისახავდა, რომ ფართოდ გამოეხატა გამოწვეული ზიანის სიმძიმე.

მიუხედავად აღნიშნულის დასადასტურებლად წარმოდგენილი ბევრი სუსტი ფაქტორისა, რაც *inter alia* დროის გასვლით იყო გამოწვეული – ეჭვგარეშეა, რომ მსხვერპლებს მიაღვათ ტრავმა და განიცადეს ტანჯვა და დამცირება, სწორედ იმ პერიოდში, როდესაც განხორციელდა სადავო ადმინისტრაციული პრაქტიკა. ამ შემთხვევაში, დარღვევების დადგენა არ იყო საკმარისი ადეკვატური კომპენსაციის უზრუნველსაყოფად.

სამართლიანი დაკმაყოფილების ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით, სასამართლოს გააჩნდა დისკრეცია, თუმცა, ყოველთვის უარს ამბობდა ისეთი ზიანის ანაზღაურების დაკისრებაზე, რომელიც მიმართულია სადამსჯელო ზომების მიღებისკენ, მათ შორის, ადმინისტრაციული პრაქტიკის წინააღმდეგ ცალკეულ მსხვერპლთა საჩივრების შემთხვევაშიც. სამართლიან საფუძვლებზე დაყრდნობით, სასამართლომ გონივრულად მიიჩნია დაეკისრებინა კომპენსაცია ქვემოთ მითითებული ოდენობით.

კონვენციის 46-ე მუხლის მიხედვით, რომელიც განმარტებულია 1-ლი მუხლის კონტექსტში, მომჩივანმა სახელმწიფომ უნდა შექმნას ეფექტური მექანიზმი, რომელიც მსხვერპლებს შორის გადაანაწილებს სადავო თანხებს, ზემოაღნიშნული ინდიკატორებისა და გამონაკლისების გათვალისწინებით. აღნიშნული მექანიზმი უნდა შექმნას მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობით და მის მიერ დადგენილი პრაქტიკული ღონისძიებების შესაბამისად.

**დასკვნა:** მოპასუხე სახელმწიფოს დაეკისროს მორალური ზიანის ანაზღაურება 10 000 000 ევროს სახით (თექვსმეტი ხმით ერთის წინააღმდეგ) მომჩივანი სახელმწიფოს სასარგებლოდ, რომელიც გადაანაწილებს მსხვერპლებს შორის (სულ ცოტა, 1500 საქართველოს მოქალაქეზე) თვრამეტი თვის ვადაში (ან სხვა ვადაში, რომელსაც მინისტრთა კომიტეტი მიზანშეწონილად მიიჩნევს):

(i) თითოეულ მსხვერპლს მიეკუთვნოს ზიანის ანაზღაურება 2 000 ევროს ოდენობით, ცალკე – მე-4 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის დარღვევისათვის;

(ii) 10 000-დან 15 000 ევრომდე მიეკუთვნოს მათ, ვინც ასევე, წარმოადგენენ მსხვერპლებს კონვენციის 5 მუხლის 1-ლი პარაგრაფისა და მე-3 მუხლების შესაბამისად, მათი პატიმრობის ხანგრძლივობის მხედველობაში მიღებით.

**გაბლიშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ  
(Gablshvili and Others v. Georgia)**

საჩივარი №7088/11

21 თებერვალი, 2019

**ფაქტები**

მომჩივნები, გიორგი გაბლიშვილი, რომიკ კასიანოვი, ზურაბ გაჩეჩილაძე და გიორგი მჭედლიძე არიან საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც დაიბადნენ შესაბამისად, 1988, 1982, 1984 და 1987 წლებში. საჩივრის წარდგენის დროისთვის, ისინი სასჯელს იხდიდნენ რუსთავის №1 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში (საქართველო).

წინამდებარე საქმე ეხება პატიმართა სავარაუდო არასათანადო მოპყრობას და ამ ფაქტთან დაკავშირებით, სახელმწიფოს მხრიდან არასათანადო გამოძიებას.

2009 წლის 30 მარტს, მომჩივნები სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გაქცევის მცდელობის დროს, ამავე დაწესებულების ეზოში დააკავეს. მათ განაცხადეს, რომ ღია კარის მეშვეობით დატოვეს ციხის ტერიტორია, გადავიდნენ მაღალ კედელზე და გადმოხტნენ ციხის უკან, ეზოში; ამ დროს მათ თავს დაესხნენ ციხის თანამშრომლები და სასტიკად სცემეს ხის ჯოხებითა და რკინის მილებით. დაკავების შემდეგ მომჩივნები მოათავსეს საკანში, სადაც ციხის თანამშრომლებმა გააგრძელეს მათი ცემა.

იმავე დღეს, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა დაიწყო სისხლის სამართლის საქმის გამოძიება მომჩივანთა გაქცევის მცდელობაზე. გამომძიებელმა დაკითხა მომჩივნები, რომლებიც ყველა მიღებულ დაზიანებას უკავშირებდნენ ციხის მაღალი კედლიდან გადმოხტომას. შემდგომში, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, გამომძიებელმა დასკვნის გაკეთება დაავალა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტს, ამ უკანასკნელმა დაასკვნა, რომ მომჩივანთა დაზიანებები შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო მძიმე, ბლავი საგნის დარტყმით, გაქცევის მცდელობის დროს.

სასამართლოს წინაშე სამართალწარმოების დროს, მომჩივნებმა უარი თქვეს თავდაპირველ განცხადებებზე და დაადასტურეს არასათანადო მოპყრობის

ფაქტები მათი დაკავებისას და დაკავების შემდგომ. 2009 წლის დეკემბერში, მომჩივნები რუსთავის საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ ცნო ციხიდან გაქცევის მცდელობისთვის. მეორე და მესამე მომჩივნები ასევე დამნაშავედ ცნეს ციხის თანამშრომლებისთვის სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებაში ხელის შეშლისთვის. 2010 წლის 25 მარტს, სააპელაციო სასამართლომ მათი მსჯავრდება ძალაში დატოვა. პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოს წინაშე მომჩივნებმა გააუღერეს არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული ბრალდებები, თუმცა სასამართლომ აღნიშნულ საკითხზე არ იმსჯელა. 2010 წლის 26 ივლისს, უზენაესმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო მომჩივნების მიერ წარდგენილი საკასაციო საჩივარი.

### **მომჩივანთა არასათანადო მოპყრობის გამოძიება**

2009 წლის 10 ნოემბერს მომჩივნებმა მიმართეს მთავარ პროკურორს, აცხადებდნენ რა, რომ მათ მიმართ აღვილი ჰქონდა არასათანადო მოპყრობას და ამ ფაქტთან დაკავშირებით ითხოვდნენ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყებას. სასჯელაღსრულების სამინისტრომ დაკითხა ციხის უფროსი და ციხის ოთხი თანამშრომელი, რომლებიც მონაწილეობდნენ მომჩივანთა დაკავებაში. დაკითხვისას ყველა მათგანმა უარყო მომჩივანთა ცემის ფაქტი.

2012 წლის 20 აგვისტოს, საქმის განმხილველმა პროკურორმა შეწყვიტა საქმის წარმოება საკმარისი მტკიცებულებების არარსებობის საფუძველზე. გამომძიებელი სრულად დაეთანხმა ციხის თანამშრომელთა ვერსიას ზემოაღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით და დაასკვნა, რომ მომჩივანთა დაზიანებები შესაძლოა კედლიდან გადმოხტომას გამოეწვია. მომჩივნებს არ ეცნობათ ამ გადაწყვეტილების თაობაზე და მხოლოდ 2014 წელს შეიტყვეს მის შესახებ.

კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე (წამებისა და არაადამიანური თუ დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა), მომჩივნები დავობდნენ, რომ ციხიდან გაქცევის მცდელობისას, მათი დაკავების დროს და დაკავების შემდგომ, ციხის თანამშრომლების მხრიდან დაექვემდებარნენ არასათანადო მოპყრობას. მოგვიანებით, ისინი აცხადებდნენ, რომ მათ ბრალდებებზე არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით, ხელისუფლებამ ვერ შეძლო სრულყოფილი, ადეკვატური და დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარება.

### **სასამართლოს შეფასება**

(i) *სავარაუდო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით*

სტრასბურგის სასამართლომ განაცხადა, რომ მხარეებმა მომჩივანთა დაზიანებების წარმოშობის სხვადასხვა მიზეზები წარმოადგინეს. მომჩივანთა ფიზიკური დაზიანებების ბუნების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული ექცევა კონვენციის მე-3 მუხლის მოქმედების ფარგლებში. აქედან გამომდინარე, მთავრობას ეკისრება ვალდებულება, წარმოადგინოს დამაჯერებელი არგუმენტები, დაზიანებათა გამომწვევი მიზეზების შესახებ (იხ.: მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ №18996/06, §73, 9 ოქტომბერი, 2012 და დვალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ №19634/07, §42, 18 დეკემბერი, 2012).

მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივანთა ფიზიკური დაზიანებები გამოწვეული იყო ორი მეტრის სიმაღლის კედლიდან გადმოხტომით. ამასთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ დაზიანებათა ბუნებიდან და სასამართლო სამედიცინო დასკვნიდან გამომდინარე, ეს არგუმენტი არადამაჯერებელი იყო და ორი მეტრის სიმაღლის კედლიდან ერთჯერადად გადმოხტომა ვერ გამოიწვევდა სხეულის სხვადასხვა ნაწილზე მრავალ დაზიანებას (იხ.: მსგავსი დასკვნები საქმეებში ნადროსოვი რუსეთის წინააღმდეგ, №9297/02, §33, 31 ივლისი 2008; დვალიშვილი, ციტირებულია ზემოთ, §42).

მთავრობამ ასევე განაცხადა, რომ მომჩივნებს შეეძლოთ მიეღოთ დაზიანებები როდესაც დაკავებისას, წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ, ციხის თანამშრომლებმა მათზე აუცილებელი ფიზიკური ძალა გამოიყენეს. სასამართლომ განაცხადა, რომ ეს ვერსია არ შეესაბამება პირველ და მეოთხე მომჩივანთა შემთხვევას, რომლებსაც ბრალად არც კი ედებათ ციხის თანამშრომლებისთვის წინააღმდეგობის გაწევა, განსხვავებით მეორე და მესამე მომჩივნისგან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ მთავრობამ ვერ წარმოადგინა დამაჯერებელი მტკიცებულება პირველი და მეოთხე მომჩივნის დაზიანებებთან დაკავშირებით. ერთობლივად, როგორც სასამართლო სამედიცინო დასკვნის და მომჩივანთა დაზიანებების ბუნებიდან გამომდინარე, ასევე მომჩივანთა დეტალური და თანმიმდევრული განცხადებების გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლო ადგენს, რომ მოცემული დაზიანებები გამოწვეული იყო არასათანადო მოპყრობის შედეგად, რომელიც მომჩივნებმა განიცადეს დაკავებისას ან/და მომდევნო დღეს (იხ.: მიქიაშვილი, ციტირებული ზემოთ, §§76-77).

რაც შეეხება მეორე და მესამე მომჩივანს, შესწავლილი უნდა იქნას, არსებობდა თუ არა მკაცრად აუცილებელი განსაკუთრებული გარემოებები, დაკავების დროს მათ მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენებისთვის.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ციხის თანამშრომლებს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ მომჩივანთა დაკავებაში, სასამართლო ექსპერტიზის შედეგად აღმოაჩნდათ სხეულზე დაზიანებები და ასევე, იმ ფაქტის

გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი ციხის თანამშრომელი დაეთანხმა პირველი და მეოთხე მომჩივნის განცხადებას, რომ არცერთ მათგანს არ გაუწევია წინააღმდეგობა დაკავებისას, სტრასბურგის სასამართლო მზად არის გაითვალისწინოს მათი განცხადებები, რომ მეორე და მესამე მომჩივანი არ დაემორჩილა ციხის თანამშრომელთა ბრძანებას – შეეწყვიტათ წინააღმდეგობის გაწევა. ეს გარემოებები პირველ და მეოთხე მომჩივანს არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს, რის შედეგადაც სახელმწიფოს მტკიცების ტვირთის ვალდებულება – დაემტკიცებინა, რომ გამოყენებული ძალა არ იყო გადაჭარბებული, ნაკლებად მკაცრია (იხ.: სპინოვი უკრაინის წინააღმდეგ, №34331/03, §49, 27 ნოემბერი 2008; რეჰბოკი სლოვენის წინააღმდეგ №29462/95, §§ 65-78, ECHR 2000-XII; ბართა უნგრეთის წინააღმდეგ №26137/04, §71, 10 აპრილი, 2007).

სტრასბურგის სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფოებს შესაძლოა სირთულეები შეხვდეთ პენიტენციურ დაწესებულებებში წესრიგისა და დისციპლინის დამყარებისას და პატიმართა უბრალო დაუმორჩილებლობაც კი შეიძლება სწრაფად გადაიზარდოს მასობრივ არეულობაში (იხ.: გომი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ, №35962/97, §77, 21 დეკემბერი, 2006; საპოზკოვსი ლატვიის წინააღმდეგ №8550/03, §64, 11 თებერვალი, 2014; ტალი ესტონეთის წინააღმდეგ №66393/10, §75, 13 თებერვალი 2014). სასამართლო ადგენს, რომ სამმა ციხის თანამშრომელმა, რომლებიც მონაწილეობდნენ მომჩივანთა დაკავებაში, მიიღეს სხვადასხვა დაზიანება აღნიშნული შემთხვევის დროს (იხ.: დილეკ ასლანი თურქეთის წინააღმდეგ №34364/08, §48, 20 ოქტომბერი 2015 და მის საპირისპიროდ, დედოვსკი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ №7178/03, §82, ECHR 2008 (ამონარიდები)). მეორე მხრივ, ორი მომჩივნის დაზიანებები მიჩნეული იყო კუმულაციურად როგორც მცირე დაზიანებები, რომლებიც ხანგრძლივ გავლენას არ ახდენდნენ ჯანმრთელობაზე (იხ.: სპინოვი, §50 და ტუზუნი თურქეთის წინააღმდეგ, №24164/07, §37, 5 ნოემბერი, 2013; ასევე შედარებისთვის იხილეთ მიქიაშვილი და დვალიშვილი). ნებისმიერ შემთხვევაში, მხოლოდ მომჩივნის სხეულზე დაზიანებების ხარისხი ვერ გამორიცხავს იმ შესაძლებლობას, რომ დაზიანებები წარმოიშვა ძალის აუცილებელი გამოყენებისას (იხ.: საპოზკოვი, §§65-66, სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ მხოლოდ მომჩივნის სხეულზე და კიდურებზე „მრავალი“ სისხლჩაქცევა საკმარისი არ არის იმის დასამტკიცებლად, რომ ხელისუფლებამ გამოიყენა გადაჭარბებული ძალა). საქმეში არსებული მასალებიდან ჩანს, რომ გაქცევის მცდელობა ვითარდებოდა სპონტანურად. შესაბამისად, ციხის თანამშრომლებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ დაკავებაში, შესაძლოა ვერ შეძლეს შესაბამისი ზომების მიღება, რათა მინიმუმამდე დაეყვანათ თანმდევი დაზიანებები (იხ.: ბერლინსკი პოლონეთის წინააღმდეგ, №27715/95 და №30209/96,



§62, 20 ივნისი 2002; და საპირისპიროდ, კურნაზი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ, №36672/97, §55, 24 ივლისი, 2007).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სტრასბურგის სასამართლო მის წინაშე არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიჩნევს, რომ ციხის თანამშრომლებმა გამოიყენეს გადაჭარბებული ფიზიკური ძალა მეორე და მესამე მომჩივნების დაკავებისას (შედარებისთვის იხილეთ, *კეკელიძე საქართველოს წინააღმდეგ* [კომიტეტი], №2316/09, §§23-24, 17 იანვარი 2019, ასევე იხ.: სტიტინი ხორვატიის წინააღმდეგ [კომიტეტი], №16883/15, 6 სექტემბერი, 2018). სასამართლომ ასევე, იმსჯელა მომჩივნების განცხადებასთან დაკავშირებით, რომ მათ ცემას განაგრძობდნენ ჩაბარების შემდეგაც. სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული მწირი სამედიცინო მტკიცებულებები არ ასხვავებს დაზიანებებს, რომლებიც გამოწვეული იყო დაკავებისას, თავდაპირველი ძალის გამოყენების შედეგად და დაზიანებებს, რომლებიც სავარაუდოდ, შემდგომ არასათანადო მოპყრობას მოჰყვა. არსებულ გარემოებებსა და დასკვნებზე დაყრდნობით, სასამართლო გონივრულ ეჭვს მიღმა ვერ დაასკვნის, რომ მომჩივნები სცემეს საკანში. ასევე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მის მიერ დასკვნის გამოტანის შეუძლებლობა იმასთან დაკავშირებით, მომჩივანთა დაკავების შემდეგ ადგილი ჰქონდა თუ არა კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო არასათანადო მოპყრობას, გამომდინარეობს ეროვნული ხელისუფლების მარცხისგან, ეფექტურად გამოეძიებინათ მომჩივანთა საჩივარი (იხ.: ზოუ კვიპროსის წინააღმდეგ, №3869/07, §§148-149, 4 აპრილი, 2017).

საბოლოოდ, სტრასბურგის სასამართლო ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის მატერიალური ნაწილის დარღვევას პირველ და მეოთხე მომჩივანთან მიმართებით. ასევე ადგენს, რომ მეორე და მესამე მომჩივანთან მიმართებით კონვენციის მე-3 მუხლის მატერიალური ნაწილი არ დარღვეულა.

*(ii) გამოძიების სავარაუდო არაადეკვატურობასთან დაკავშირებით*

რაც შეეხება სახელმწიფოს პროცედურულ ვალდებულებას კონვენციის მე-3 მუხლთან მიმართებით, სტრასბურგის სასამართლომ განაცხადა, რომ ხელისუფლებამ გამოიძია მომჩივანთა ბრალდებები არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით და გაატარა რიგი შესაბამისი საგამოძიებო ღონისძიებები. თუმცა, სასამართლო არ არის დარწმუნებული, რომ ეს გამოძიება იყო საკმარისად დამოუკიდებელი, ყოველმხრივი და ეფექტური.

პირველეს ყოვლისა, ყველა საგამოძიებო ღონისძიება განხორციელდა სასჯელალსრულების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის მიერ; იმავე სამინისტრო პასუხისმგებელი იყო ციხის სისტემაზე. გამოძიების შედეგად

გაკეთებული დასკვნები პროკურატურამ უბრალოდ დაადასტურა, რაიმე დამატებითი გამოძიების ჩატარების გარეშე აღნიშნული ინსტიტუციური კავშირი გამომძიებელსა და მათ შორის, რომელთა სადავო შემთხვევაში მონაწილეობაზე განაცხადეს მომჩივნებმა, სასამართლოს აზრით, წარმოშობდა გონივრულ ეჭვებს გამოძიების დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით (იხ.: მიქიაშვილი, §87, შემდგომი მითითებებით). ის ფაქტი, რომ პროკურორს არ ჰქონია მცდელობა შეესწავლა გამომძიებლის დასკვნა სადავო შემთხვევასთან დაკავშირებით, შემდგომში ეჭვქვეშ აყენებს გამოძიების ეფექტურობას (იხ.: მატკო სლოვენის წინააღმდეგ, №43393/98, §90, 2 ნომბერი; დურდევინი ხორვატიის წინააღმდეგ, №52442/09, §§89-90, ECHR 2011 (ამონარიდები)). ასევე, სასამართლო ექსპერტიზა მომჩივანთა დაზიანებების თაობაზე არ შეესაბამება დამოუკიდებლობის სტანდარტების მოთხოვნებს, რადგან იგი ჩატარდა იმ გამომძიებლის თანდასწრებით, რომელსაც მოგვიანებით, მომჩივნები სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში ადანაშაულებდნენ (დვალიშვილი, §47; აკოცი თურქეთის წინააღმდეგ, №22947/93 და №22948/93, §118, ECHR 2000-X; ოსმან კარადემირი თურქეთის წინააღმდეგ, №30009/03, §53, 22 ივლისი, 2008; ლოპოტა რუსეთის წინააღმდეგ, №72250/01, §114, 13 ივლისი, 2010). როგორც სტრასბურგის სასამართლომ მრავალ წინა შემთხვევაზე ხაზგასმით აღნიშნა, ხელისუფლების სწრაფი პასუხი არასათანადო მოპყრობის თაობაზე ბრალდებებთან დაკავშირებით, შესაძლოა მიჩნეული იყოს არსებითად საზოგადოების ნდობის შესანარჩუნებლად და იმის საჩვენებლად, რომ ისინი იცავენ კანონის უზენაესობას და თავს არიდებენ უკანონო ქმედებების მიმართ შემწყნარებლობის ან შეთქმულების ნებისმიერ გამოვლინებას (ბოუიდი ბელგიის წინააღმდეგ, §133 და მოკანუ და სხვები, §323). წინამდებარე საქმეში, იმ ფაქტის მიუხედავად, რომ ხელისუფლებამ მყისიერად ჩაატარა სასამართლო ექსპერტიზა მომჩივანთა დაზიანებების თაობაზე, სტრასბურგის სასამართლო გვერდს ვერ აუვლის ოფიციალური გამოძიებისა და შესაბამის მოწმეთაგან ჩვენების ჩამორთმევის ხანგრძლივობას (იხ.: ასევე, იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ №73235/12, §66, 12 მაისი 2015; ტიმურტასი თურქეთის წინააღმდეგ, №23531/94, §89, ECHR 2000-VI). შესაბამისად, გამოძიება ამ თვალსაზრისითაც არ ჩატარდა შესაბამისი სტანდარტების დაცვით.

ასევე, სისხლისსამართლებრივი გამოძიების შეწყვეტის თაობაზე პროკურორის გადაწყვეტილებიდან ნათლად ჩანს, რომ დასკვნები ეფუძნებოდა მხოლოდ აღნიშნულ შემთხვევაში მონაწილე ციხის თანამშრომელთა ჩვენებას. პროკურორმა ციხის თანამშრომელთა განცხადებების სანდოდ მიიჩნია ისე, რომ არ წარმოუდგენია ამის გამამყარებელი მიზეზები, აგრეთვე იმ ფაქტის მიუხედავად, რომ ეს განცხადებები შეიძლება ყოფილიყო სუბიექტური და შესაძლოა მიზნად ისახავდა მომჩივანთა წინააღმდეგ განხორციელებული

არასათანადო მოპყრობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას. ციხის თანამშრომელთა განცხადებების სანდოობა უნდა შემოწმებულიყო, რადგან გამოძიებას უნდა დაედგინა, იყვნენ თუ არა ისინი პასუხისმგებელი სისხლის სამართლის ბრალდებებზე (იხ.: ოგნიანოვა და ჩობანი ბუღგარეთის წინააღმდეგ, №46317/99, §99, 23 თებერვალი, 2006; ანტიპენკოვი რუსეთის წინააღმდეგ, №33470/03, §69, 15 ოქტომბერი, 2009). გარდა ამისა, დაკავებაში მონაწილე ძალოვნები ზედაპირულად დაიკითხნენ. სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ ყველა მათგანის განცხადებები იყო შაბლონური, ისინი აცხადებდნენ, რომ მონაწილეობა არ მიუღიათ არასათანადო მოპყრობის განხორციელებაში და ფიზიკური ძალა, რომელიც მომჩივანთა დაკავებისას მათ გამოიყენეს, აუცილებელი იყო (იხ.: ზე მოთ, დვალიშვილი §49; ბუნტოვი რუსეთის წინააღმდეგ, №27026/10, §131, 5 ივნისი, 2012). ასევე აღსანიშნავია, რომ მიუხედავად სასამართლო სამედიცინო დასკვნის ძლიერი მტკიცებულებითი ღირებულებისა, გამოძიებას არც კი უცდია ჩვენებების აღნიშნული გზით დადასტურება (იხ.: ზემოთ, დვალიშვილი, §48).

გარდა ამისა, გაურკვეველია ხელისუფლებამ გამოკითხა თუ არა პოტენციურად მნიშვნელოვანი მოწმეები. მაგალითად, ციხის დაცვა, რომელსაც მომჩივანთა განცხადებით, ციხის უფროსისგან დაგალებული ჰქონდა დაკავების შემდეგ ესროლა მომჩივნებისთვის; გამომძიებელი, რომელმაც სავარაუდოდ, მომჩივნებს თავდაპირველი განცხადებების გაკეთება აიძულა; დ. ჩ. – ციხის უფროსი, რომელმაც სავარაუდოდ, ინციდენტის შემდეგ, მალევე მოინახულა მომჩივნები და სიჩუმის სანაცვლოდ შემწყნარებლობას დაპირდა. სახელმწიფოს არ წარმოუდგენია ზემოაღნიშნულ პოტენციურ მოწმეთა განცხადებების რაიმე ასლი, როგორც გამოძიების ნაწილი (იხ.: ზემოთ, დვალიშვილი §49).

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლო ასკვნის, რომ ხელისუფლებამ ვერ შეძლო დამოუკიდებელი, საფუძვლიანი და ეფექტიანი გამოძიების ჩატარება 2009 წლის 30 მარტის შემთხვევასთან დაკავშირებით.

შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ნაწილი, ყველა მომჩივანთან მიმართებით.

### **დასკვნა:**

1. დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის მატერიალური ნაწილი, პირველ და მეოთხე მომჩივნებთან მიმართებით;
2. მეორე და მესამე მომჩივნებთან მიმართებით, კონვენციის მე-3 მუხლის მატერიალური ასპექტი არ დარღვეულა.
3. დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ასპექტი, ოთხივე მომჩივანთან მიმართებით.

**ზიანი:**

სასამართლომ პირველ და მეოთხე მომჩივანს, ცალ-ცალკე, არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად 6 000 ევრო მიაკუთვნა.

სასამართლომ მეორე და მესამე მომჩივანს, ცალ-ცალკე, არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად 3 000 ევრო მიაკუთვნა.

**მანუკიანი საქართველოს წინააღმდეგ (განჩინება)  
(Manukian v. Georgia (dec.))**

**საჩივარი №2146/10**

21 თებერვალი, 2019

**ფაქტები:** მომჩივანი, ბ-ნი ალექსანდრე მანუკიანი თბილისში მცხოვრები, 1965 წელს დაბადებული საქართველოს მოქალაქეა. სასამართლოს წინაშე მას წარმოადგენდა ბ-ნი ნ. გელაშვილი, თბილისში მომუშავე იურისტი. მომჩივნის საჩივარი, რომელიც ეფუძნება კონვენციის მე-3 მუხლს, მე-6 მუხლის 1-ელ ნაწილს, მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტსა და კონვენციის მე-13 მუხლს, ეხება ციხეში სავარაუდო არასათანადო მოპყრობას, ამასთან დაკავშირებით ეფექტიანი გამოძიების ჩაუტარებლობას და მის წინააღმდეგ განხორციელებული სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების არასამართლიანობას. მთავრობამ გააკეთა დეკლარაცია იმ მიზნით, რომ გადაეწყვიტა საჩივრებით წარმოდგენილი საკითხების ნაწილი. შემდგომში, მათ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მოთხოვეს საჩივრის ამორიცხვა საქმეთა ნუსხიდან. დეკლარაცია აღგენდა შემდეგს:

„ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საფუძველზე ბ-ნი მანუკიანის მიერ წარდგენილი საჩივრების სათანადოდ გათვალისწინებით, მთავრობა აღიარებს კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევას იმ საფუძველზე, რომ 2008 წლის 18 იანვარს არ ჩატარდა არასათანადო მოპყრობის თაობაზე მომჩივნის ბრალდების ეფექტიანი გამოძიება. აგრეთვე, მთავრობამ აღიარა კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევა იმის გამო, რომ არ არსებობდა ქმედითი შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალება კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე მისი საჩივრების გადასაწყვეტად. მთავრობა აღიარებს, რომ ბ-ნი მანუკიანს არ ჰქონდა სასამართლოს წინაშე მოწმის დაკითხვის შესაძლებლობა. თუმცა, ამასთან ითვალისწინებს, რომ

მოწმეთა ჩვენებებს არ ექნებოდა გავლენა მოწმის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალის განსაზღვრისას, არამედ უბრალოდ შეეხებოდა არასათანადო მოპყრობის შესახებ მის მიერ გაუღერებულ ბრალდებებს; მთავრობა აგრეთვე, მხედველობაში იღებს იმ ფაქტს, რომ შესაბამისი ეროვნული სამართალდამცავი ორგანოები, ეფექტური სისხლისსამართლებრივი გამოძიების მეშვეობით, საუკეთესო პოზიციაში იმყოფებიან, რათა გამოიძიონ მომჩივნის საჩივრები კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ნაწილის საფუძველზე, 2008 წლის 18 იანვარს, არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით; საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, მთავრობა იღებს პასუხისმგებლობას:

- დაიწყოს და უზრუნველყოს ეფექტიანი გამოძიება მომჩივნის არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით და გამოძიების მიმდინარეობისას, დაკითხოს ყველა სათანადო მოწმე;
  - გადაუხადოს ბ-ნ მანუკიანს 3 500 (სამი ათას ხუთასი) ევრო, რათა დაფაროს მატერიალური და არამატერიალური ზიანი, ისევე როგორც ხარჯები და დანახარჯები. ამასთან, დამატებული ნებისმიერი გადასახადი, რომელიც შეიძლება იყოს გადასახდელი. აღნიშნული თანხის კონვერტაცია უნდა მოხდეს ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღეს არსებული კურსით და ის თავისუფალია ნებისმიერი დაკისრებული გადასახადიდან. მოპასუხე სახელმწიფომ განჩინების შესახებ ინფორმაციის მიღების დღიდან, სამი თვის განმავლობაში მომჩივანს უნდა გადაუხადოს აღნიშნული თანხა, კონვენციის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად. ზემოხსენებული სამი თვის ამოწურვიდან ანგარიშსწორებამდე, ზემოთ წარმოდგენილ თანხებზე მარტივი პროცენტის პრინციპის დაცვით უნდა მოხდეს საურავის დარიცხვა, რაც შეადგენს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის ეკვივალენტურ საპროცენტო განაკვეთს პლუს სამი საპროცენტო პუნქტი...“
- მომჩივანმა სასამართლოს აცნობა, რომ ის ეთანხმებოდა დეკლარაციის პირობებს. მან ასევე განაცხადა, რომ სურდა საჩივრის დარჩენილ ნაწილზე უარის თქმა.

## სამართალი

სასამართლო ადგენს, რომ მას შემდეგ, რაც მომჩივანმა გამოთქვა თანხმობა მთავრობის მიერ წარმოდგენილ დეკლარაციაზე, საჩივრის აღნიშნულ ნაწილზე შედგა მორიგება. შესაბამისად, ის ითვალისწინებს მხარეებს შორის მიღწეულ მორიგებას.

სასამართლო მოხარულია, რომ მორიგება დაეფუძნა ადამიანის უფლებათა პატივისცემას, რაც მოცემულია კონვენციასა და დამატებით ოქმებში და ვერ

ხედავს რაიმე მიზეზს, რათა განაგრძოს საჩივრის აღნიშნული ნაწილის განხილვა.

რაც შეეხება საჩივრის დარჩენილ ნაწილს, სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანმა გამოთქვა სურვილი, უარი ეთქვა მასზე. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, კონვენციის 37-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ აღარ არის გამართლებული საჩივრის დარჩენილი ნაწილის განხილვის გაგრძელება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, სასამართლო ერთხმად

ადგენს, რომ საჩივარი ამორიცხოს განსახილველ საქმეთა ნუსხიდან, კონვენციის 37§§1 (a) მუხლის და 39-ე მუხლის შესაბამისად.

## **კობიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (Kobiashvili v. Georgia)**

**საჩივარი №364516/06**

14 მარტი, 2019

**ფაქტები:** მომჩივანი – არჩილ კობიაშვილი საქართველოს მოქალაქეა, რომელიც დაიბადა 1973 წელს და ცხოვრობს თბილისში.

წინამდებარე საქმე ეხება მომჩივნის საჩივარს ნარკოტიკულ დანაშაულში მისი მსჯავრდების თაობაზე,

ბატონი კობიაშვილი გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს განაჩენით, 2005 წლის 18 აპრილს დამნაშავედ იქნა ცნობილი ჰეროინის შექმნასა და შენახვაში და სასჯელის სახით 6 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა.

მის მსჯავრდებას საფუძველად დაედო პოლიციის შესაბამისი ოქმი ჩხრეკის თაობაზე, კერძოდ, პოლიციის იმ ორი ოფიცრის ჩვენება, რომლებმაც ჩაატარეს ჩხრეკა და ორი თვითმხილველის ჩვენება, რომლებიც სავარაუდოდ, შეესწრნენ აღნიშნულ ფაქტს. თუმცა, მომჩივანი მთელი სამართალწარმოების განმავლობაში აღნიშნავდა, რომ ის არ გაუჩხრეკიათ, არც დაკავებამდე და არც დაკავების მერე და ნივთიერება, რომელიც მას აღმოუჩინეს, პოლიციის მიერ უნდა ყოფილიყო ჩადებული. პირველ ინსტანციის სასამართლოში სამართალწარმოების მიმდინარეობისას, აღნიშნული ორი თვითმხილველიდან ერთი (ლ.ტ.), რომელიც მომჩივნის მითითებით, პოლიციის ყოფილი ოფიცერია,

არ დაუკითხავთ. ხოლო მეორემ – უკ-მ სასამართლოს წინაშე განაცხადა, რომ ის არ შესწრება მომჩივნის ჩხრეკას.

მომჩივნის მიერ სასამართლოსთვის მიცემულ ჩვენებაზე დაყრდნობით, ის მუშაობდა მშენებლობაზე, სადაც მას დაახლოებით, საღამოს 10 საათზე პოლიციის ოფიცრები მიუახლოვდნენ და პირდაპირ პოლიციის განყოფილებაში წაიყვანეს.

იქ მას დაკავებით ემუქრებოდნენ, რის შემდეგაც მან მოაწერა ხელი ხელნაწერ ოქმზე, რომელიც არც წაუკითხავს. სასამართლომ ასევე, მოისმინა მომჩივნის ორი მეგობრის ჩვენება, რომლებიც დაკავების დროს მასთან ერთად იმყოფებოდნენ. მათი განცხადებით, ისინი საბილიარდოს შესასვლელის წინ იდგნენ, როდესაც პოლიციის ოფიცრებმა მომჩივანს დაუბახეს; მას შემდეგ რაც მომჩივანი მათ მანქანას მიუახლოვდა, ყოველგვარი ჩხრეკის გარეშე, ის დაუყოვნებლივ წაიყვანეს. გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს შეფასებით, მომჩივნის ბრალეულობა დგინდებოდა ორი პოლიციელის ჩვენებითა და პირადი ჩხრეკის შედეგით. სავარაუდო თვითმხილველის – უკ-ის წინააღმდეგობრივი ჩვენების შესახებ კი, სასამართლომ დაასკვნა, რომ „ერთმნიშვნელოვნად არ იკვეთებოდა, რომ ის არ წარმოადგენდა უშუალო თვითმხილველს და პოლიციის განყოფილებაში მან მხოლოდ ხელი მოაწერა გარკვეულ დოკუმენტებს.“ შედეგად, სასამართლომ მიიჩნია, არ მიეღო მხედველობაში მისი ჩვენების ის ნაწილი, სადაც იგი უარყოფდა, რომ ჩხრეკას შეესწრო. რაც შეეხება მომჩივნის მეგობრების ჩვენებებს, სასამართლომ აღნიშნა, რომ მათ განცხადებებს ვერ გაითვალისწინებდა, ვინაიდან ისინი მომჩივნის მეგობრებს იყვნენ და შესაბამისად, სურდათ ის უსიამოვნებისგან ეხსნათ.

მოცემული განაჩენი მომჩივანმა თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, სადაც დაიკითხა მეორე სავარაუდო თვითმხილველი – ლ.ტ. მან განაცხადა, რომ ის პოლიციის მოთხოვნით, უშუალოდ ესწრებოდა მომჩივნის ჩხრეკას და დაინახა, რომ მის ჯიბეში მოყვითალო ნივთიერება აღმოაჩინეს. ზემოთ ხსენებულმა მეორე სავარაუდო თვითმხილველმა – უკ-მ სააპელაციო სასამართლოს წინაშე დაადასტურა პირველ ინსტანციაში საქმის განხილვის ეტაპზე სასამართლოსთვის მიცემული ინფორმაცია და დამატებით აღნიშნა, რომ იგი გამუდმებით იმყოფებოდა პოლიციის ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ.

2006 წლის 21 თებერვალს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს განაჩენი. სასამართლომ დაასკვნა, რომ მომჩივნის ბრალეულობა დგინდებოდა მისი პირადი ჩხრეკისა და დაკავების ოქმით, ორი პოლიციელის ჩვენებებითა და საქმეში არსებული სხვა

მტკიცებულებებით. რაც შეეხება უ.კ-ის ჩვენებას, სასამართლომ ის უტყუარად არ მიიჩნია, ვინაიდან ის არ შეესაბამებოდა საქმის მასალებს. მეტიც, მისი ჩვენება „ალოგიკური“ იყო და სავარაუდოდ, მიცემული იყო მომჩივნის ოჯახის გავლენით. სააპელაციო სასამართლო ასევე, დაეყრდნო ლ.ტ-ის ჩვენებას და პირველი ინსტანციის სასამართლოს მსგავსად, მხედველობაში არ მიიღო მომჩივნის მეგობრების მიერ მიცემული ჩვენებები.

მომჩივანმა შეიტანა საკასაციო საჩივარი სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. მან ხაზი გაუსვა, რომ გამოძიების ეტაპზე ადგილი ჰქონდა სერიოზულ პროცედურულ დარღვევებს, რამაც არ მისცა შესაძლებლობა, სათანადოდ დაეცვა საკუთარი თავი, ასევე, აღნიშნა, რომ მისი მსჯავრდება უკანონო მტკიცებულებას ეყრდნობოდა.

2006 წლის 12 ივნისს, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პარაგრაფზე დაყრდნობით, ბ-ნი კობიაშვილი დავობდა, რომ მისი მსჯავრდება უსამართლო იყო, რადგან მას საფუძვლად ედო „ჩადებული“ მტკიცებულება. მომჩივანმა ასევე აღნიშნა, რომ მას არ მიეცა შესაძლებლობა, სადავოდ გაეხადა ჩხრეკის კანონიერება ან ჩხრეკის შედეგად მოპოვებული მტკიცებულების მის წინააღმდეგ სამართალწარმოებაში გამოყენება.

## **სასამართლოს შეფასება**

### *ა) ზოგადი პრინციპები*

სტრასბურგის სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-6 მუხლი უზრუნველყოფს საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას, ხოლო სასამართლოს ამოცანაა დაადგინოს, იყო თუ არა სამართალწარმოება მთლიანობაში, რაც მოიცავს მტკიცებულებათა მოპოვების გზებს – სამართლიანი. კერძოდ, ჰქონდა თუ არა მომჩივანს მტკიცებულების გასაჩივრების შესაძლებლობა და დაცული იყო თუ არა მხარეთა თანასწორობის პრინციპი (იხ.: ბიკოვი რუსეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა], №4378/02, §§88-90, 10 მარტი 2009 და როვე და დევისი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ [დიდი პალატა], №28901/95, §60, ECHR 2000-II). იმ საკითხის განსაზღვრისას, იყო თუ არა სამართალწარმოება მთლიანობაში სამართლიანი, გასათვალისწინებელია მტკიცებულებათა ხარისხი, მათ შორის, აყენებდა თუ არა ეჭვქვეშ მათ სანდოობას ან სიზუსტეს ის გარემოებები, რომელთა მიხედვითაც მოხდა მათი მოპოვება. მიუხედავად იმისა, რომ სამართლიანობის საკითხი აუცილებლად არ წარმოიშობა თუ მოპოვებული მტკიცებულება არ არის გამყარებული სხვა



მტკიცებულებებით, უნდა აღინიშნოს, რომ როდესაც მტკიცებულება საკმაოდ მყარია და მათი სანდოობა არ არის საეჭვო, უფრო ნაკლებია ასეთი მტკიცებულების სხვა მტკიცებულებებით გამყარების საჭიროება (იხ.: ბიკოვი, §90, ასევე იხ.: პრადე გერმანიის წინააღმდეგ, №7215/10, §34, 3 მარტი 2016).

სასამართლო იმეორებს, რომ მართალია, კონვენციის მე-6 მუხლი უზრუნველყოფს საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას, თუმცა იგი არ ადგენს მტკიცებულების დასაშვებობის რაიმე წესს, რაც პირველ ყოვლისა, ეროვნული კანონმდებლობის რეგულირების საგანს წარმოადგენს (იხ.: სენკი შვეიცარიის წინააღმდეგ, §45, სერია №14012 ივლისი, 1988; ტეიქსერია დე კასტრო პორტუგალიის წინააღმდეგ, §34, 9 ივნისი 1998, ანგარიშები 1998-IV; ჯალოპი გერმანიის წინააღმდეგ [დიდი პალატა], №54810/00, §§ 94-96, ECHR 2006-IX).

შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლოს ფუნქციას პრინციპულად, არ წარმოადგენს იმის განსაზღვრა, კონკრეტული სახის მტკიცებულება – მაგალითად, ეროვნული კანონმდებლობის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება, იყო თუ არა დასაშვები ან იყო თუ არა მომჩივანი დამნაშავე. პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვას: იყო თუ არა სამართალწარმოება მთლიანობაში სამართლიანი, რაც ასევე მოიცავს მტკიცებულებების მოპოვების წესს. ეს გულისხმობს „უკანონობის“ გამოკვლევასა და კონვენციის სხვა მუხლის შესაძლო დარღვევის დადგენას (იხ.: ბიკოვი, §89; პრადე §33).

#### *ბ) ზოგადი პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში*

მომჩივანი აცხადებდა, რომ ნარკოტიკული ნივთიერებები, რომელიც სავარაუდოდ აღმოუჩინეს, მას არ ეკუთვნოდა. მან ასევე განაცხადა, რომ არ მიეცა ადეკვატური შესაძლებლობა, რათა ეჭვქვეშ დაეყენებინა პირადი ჩხრეკის კანონიერება; აგრეთვე, ეროვნულმა სასამართლოებმა დასაშვებად ცნეს უკანონო მტკიცებულებები, შესაბამისად, სამართალწარმოება მომჩივნის საქმესთან დაკავშირებით, ამ გარემოებათა გათვალისწინებით, არ იყო სამართლიანი. სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივნის სადავო პირადი ჩხრეკა წარმოადგენდა მთავარი ინტერესის საგანს, რომელმაც გამოიწვია მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყება. მომჩივნის მსჯავრდებას საფუძვლად დაედო პოლიციის შესაბამისი ოქმი ჩხრეკის თაობაზე, პოლიციის იმ ორი ოფიცრის ჩვენება, რომლებმაც ჩაატარეს ჩხრეკა და ორი თვითმხილველის ჩვენება, რომლებიც სავარაუდოდ, შეესწრნენ აღნიშნულ ფაქტს. შესაბამისად, პირადი ჩხრეკა წარმოადგენდა იმ საგამოძიებო ღონისძიებას, რომელიც უზრუნველყოფდა მტკიცებულებას, რომელსაც ეფუძნებოდა მსჯავრდება. ჩხრეკის განხორციელების სადავო მეთოდმა და მომჩივნის წინააღმდეგ მისი შედეგების გამოყენების გზებმა, მთლიანობაში გავლენა იქონია

სამართალწარმოების პროცედურულ სამართლიანობაზე (იხ.: ლისიკა ხორვატიის წინააღმდეგ №20100/06, §§60-61, 25 თებერვალი 2010; ლაიჯოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ №22062/07, §§66-67, 10 აპრილი, 2014; საკიტ ზაჰიდოვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ №51164/07, §§51-52, 12 ნოემბერი 2015; შედარებისთვის იხ.: სვეტინა სლოვენის წინააღმდეგ №38059/13, §50, 22 მაისი, 2018). სწორედ ამ კუთხით განიხილავს სტრასბურგის სასამართლო მომჩივნის საჩივარს კონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებით.

*(i) მტკიცებულების მიღების მეთოდთან მიმართებით*

წინამდებარე საქმეში, პოლიციის განყოფილების უფროსის 2004 წლის 4 ივლისის დადგენილების საფუძველზე, სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე, მომჩივანს ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, რაც შესაბამის პროცედურას წარმოადგენდა სსსკ-ის 290 მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების მიხედვით. თუმცა, სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ პოლიციის უფროსის დადგენილება, რომელიც არ უთითებს არცერთ შესაბამის ფაქტობრივ გარემოებას, წარმოადგენდა შაბლონურ ტექსტს, სადაც ხელით იყო ჩამატებული მომჩივნის სრული სახელი და აღნიშვნა, რომ მომჩივანი ეჭვმიტანილი იყო ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო ფლობაში. დადგენილება პირდაპირ ახდენდა მომჩივნის იდენტიფიკაციას მისი სახელისა და საცხოვრებელი მისამართის მეშვეობით, ხოლო პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ ზემოაღნიშნული დადგენილების საფუძველზე ჩატარებულ ჩხრეკაში, ეროვნული სამართალწარმოების ფარგლებში თანმიმდევრულად აცხადებდნენ, რომ ჩხრეკის ჩატარებამდე მათ ხელთ არსებული ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, გაურკვეველი პიროვნება განსაზღვრულ მისამართზე იმყოფებოდა ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ. უფრო მეტიც, დადგენილება არ იყო დასაბუთებული, რადგან იგი არ უთითებდა იმ გარემოებებზე, რომლებიც აუცილებელს ხდიდნენ გადაუდებელი ჩხრეკის ჩატარებას, სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე. როგორც ჩანს, მომჩივნის მიმართ გადაუდებელი ჩხრეკის ჩატარების განმაპირობებელი კონკრეტული გარემოებების იდენტიფიკაცია არც მოგვიანებით ეტაპზე მომხდარა, რადგან მომჩივნის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის მასალები არ მოიცავდა შესაბამის საგამოძიებო მასალებს ან/და ოპერატიულ ინფორმაციას. ასევე, ზემოაღნიშნულმა პოლიციის თანამშრომლებმაც ვერ შეძლეს ნათელი მოეფინათ ამ საკითხისთვის. შესაბამისად, წინასწარი ჩხრეკის ჩატარების გარემოებები გაურკვეველი დარჩა.

სტრასბურგის სასამართლო ასევე მიიჩნევს, რომ ჩხრეკის ჩატარების არსებული გარემოებები იყო საეჭვო და ასეთად დარჩა მთლიანი სამართალწარმოების განმავლობაში. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ ნარკოტიკული საშუალებები მას არ ეკუთვნოდა. ასევე, მომჩივნის მეგობრები, რომლებიც შეესწრნენ მის დაკავებას,

დავობდნენ იმასთან დაკავშირებით, რომ მომჩივნის ჩხრეკა არ ჩატარებულა მისი დაკავებისთანავე. ამის საპასუხოდ, სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ ჩხრეკას ესწრებოდა ორი მიუკერძოებელი მოწმე, რომლებიც იმ დროისთვის მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, წარმოადგენდნენ საგამოძიებო ღონისძიების დამოუკიდებელ დამკვირვებლებს და გარანტიას, პოლიციის მხრიდან შესაძლო უფლებამოსილების გადამეტების წინააღმდეგ (იხ.: ვოლკოვა რუსეთის წინააღმდეგ [კომიტეტი], №56360/07, §40, 13 ივნისი 2017). ორივე მოწმე დაიკითხა სასამართლოში წარმომადგენლის თანდასწრებით, რაც მთავრობის განცხადებით ხელს უწყობდა, რათა ეროვნულ სასამართლოებს გამოეკვლიათ მომჩივნის საქმეში არსებული გარემოებები. სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ როდესაც ბ-ნი უ.კ. დაიკითხა სასამართლოში, მან შეცვალა წინასასამართლო ჩვენება და აცხადებდა, რომ იგი არ ესწრებოდა აღნიშნულ ჩხრეკას და მას აიძულეს ყალბი ჩვენების მიცემა. ამის მიუხედავად, ეროვნულმა სასამართლოებმა დაასკვნეს, რომ ბ-ნი უ.კ.-ს მიერ სასამართლოში გაკეთებული განცხადებები არასანდო და „ალოგიკური“ იყო.

რაც შეეხება მეორე მოწმეს, ბ-ნ ლ.ტს-ს, რომელიც ჩხრეკას ესწრებოდა, მან უარი განაცხადა პირველი ინსტანციის სასამართლოს წინაშე გამოცხადებაზე. თუმცა ის გამოცხადდა სააპელაციო სასამართლოში, სადაც დაადასტურა თავისი პირველადი განცხადებები. იმ დროისთვის, დაცვის მხარემ სასამართლოს წარუდგინა დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ლ.ტ. იყო პოლიციის ყოფილი თანამშრომელი. დაცვის მხარე ეჭვქვეშ აყენებდა მისი ჩვენების სანდოობას და აცხადებდა, რომ იგი ჩხრეკისას მოქმედებდა როგორც პოლიციის აგენტი და ასევე, სისხლის სამართლის სხვა მრავალ საქმეზე იყო მოწმე სამართლებრივი დოკუმენტის შედგენისას. თუმცა, სააპელაციო სასამართლომ იგნორირება გაუკეთა ამ მტკიცებულებას და პასუხი არ გაუცია ჩვენების სანდოობასთან დაკავშირებით წამოჭრილი არგუმენტისთვის.

აქედან გამომდინარე, სტრასბურგის სასამართლო ადგენს, რომ მომჩივნის პირად ჩხრეკაზე ორი მოწმის დასწრება და სასამართლოს მიერ მათი მომდევნო დაკითხვა, ადეკვატურად არ უწყობდა ხელს ჩხრეკის ფაქტობრივი გარემოებების გამოვლენას.

შეჯამების სახით, სასამართლო ნებართვის გარეშე და იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივნის წინააღმდეგ საგამოძიებო მასალა ან/და ოპერატიული ინფორმაცია, რომელმაც სავარაუდოდ გამოიწვია ჩხრეკის ჩატარება, არ იყო მოცემული საქმის მასალებში, აგრეთვე, პირად ჩხრეკასთან დაკავშირებით არათანმიმდევრული და წინააღმდეგობრივი მტკიცებულებების გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლო ასკვნის, რომ ჩხრეკის ჩატარების მეთოდი, ეჭვქვეშ აყენებდა მის შედეგად მოპოვებული

მტკიცებულების სანდობასა და სიზუსტეს (იხ. ლისიკა, § 60, და ზაპიდოვი, § 55; შედარებისთვის იხ. დრაგოს იოან რუსუ რუმინეთის წინააღმდეგ, 22767/08, § 54, 31 ოქტომბერი 2017, და პრადე, §39, სადაც მომჩივნები არ დავობდნენ მტკიცებულების საიმედოობასა და სიზუსტესთან დაკავშირებით).

*(ii) მიეცა თუ არა მომჩივანს შესაძლებლობა, სადავოდ გაეხადა მტკიცებულების ნამდვილობა და შეწინააღმდეგებოდა მის გამოყენებას*

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მთავრობის არგუმენტზე, რომლის მიხედვით ჩხრეკის ჩატარების გარემოებები და ჩხრეკის შედეგად მოპოვებული მტკიცებულების სანდობა სასამართლო ხელისუფლებამ ორჯერ განიხილა: პირველად, ჩხრეკის კანონიერების სასამართლოს მიერ განხილვის კონტექსტში და მეორედ, მომჩივნის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი საქმის წარმოების დროს.

ეროვნული სასამართლოს მიერ ჩხრეკის კანონიერების შემოწმებასთან დაკავშირებით, სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული პროცესი არ იყო მომჩივნისთვის ხელმისაწვდომი, ვინაიდან არ იყო შეჯიბრებითი ხასიათის და განსახილველ დროს, არ არსებობდა ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ სასამართლოს დადგენილების წინააღმდეგ საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა. გარდა ამისა, სტრასბურგის სასამართლოს დასკვნით, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერების შემოწმების პროცედურა არსობრივად არ იყო ეფექტიანი. მომჩივნის წინააღმდეგ ჩატარებული ჩხრეკის კანონიერების post factum შეფასებისას, მოსამართლის ხელთ არსებული მასალები მოიცავდა ერთ-ერთი პოლიციის ოფიცრის ხელნაწერ ოქმსა და ორი თვითმხილველი მოწმის ჩვენებას. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, სასამართლოს განსახილველად არ წარედგინა არც გადაუდებელი აუცილებლობის გამო მომჩივნის პირადი ჩხრეკის ჩატარების თაობაზე გადაწყვეტილება და არც ჩხრეკის შედეგად შედგენილი ოქმი. დოკუმენტების შემოწმების შემდეგ სასამართლომ ჩხრეკა კანონიერად ცნო და დაადგინა, რომ ნამდვილად არსებობდა გადაუდებელი აუცილებლობა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ დარღვეულა. თუმცა, ეს გადაწყვეტილება არ იყო გამყარებული შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებებით.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ჩხრეკის კანონიერების განმხილველ მოსამართლეს არ გადაეცა მომჩივანთან დაკავშირებული საგამოძიებო დოკუმენტი, რომელიც მოხსენიებული იყო პირადი ჩხრეკის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებაში, აგრეთვე „ოპერატიული ინფორმაცია“, რამაც განაპირობა მომჩივნის პირადი ჩხრეკა. სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული დოკუმენტების არარსებობის პირობებში, მოსამართლე არ

იმყოფებოდა პოზიციაში, რათა შეეფასებინა, ჩხრეკის განხორციელებამდე მომჩივნის წინააღმდეგ არსებული გონივრული ეჭვის ხარისხი და გადაუდებელი აუცილებლობის რეალური არსებობა, რაც გაამართლებდა სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე ჩხრეკის ჩატარებას.

რაც შეეხება მომჩივნის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივ სამართალწარმოებას, სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანმა პირველი ინსტანციის სასამართლოს ჩხრეკის ოქმის ბათილად ცნობა თხოვა, თუმცა მისი მოთხოვნა უპასუხოდ დარჩა. სააპელაციო სამართალწარმოებისას, მან ცალსახად მოითხოვა პირადი ჩხრეკის ოქმის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობა, ვინაიდან ის შეიცავდა პროცედურულ დარღვევებს და აგრეთვე, ადგილი ჰქონდა ფაქტობრივ შეუსაბამობას. მომჩივნის საპასუხოდ, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოსამართლის გადაწყვეტილების გარეშე ჩხრეკის განხორციელება სათანადოდ იყო ხელმოწერილი პოლიციის ზემდგომი ოფიცრის მიერ და შესაბამისად, დასაშვები იყო. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საგამოძიებო დოკუმენტები, ისევე როგორც ოპერატიული ინფორმაცია, რაც საფუძვლად დაედო ჩხრეკის განხორციელებას, არ ყოფილა საქმის მასალებში წარმოდგენილი არცერთი ინსტანციის სასამართლოს წინაშე.

სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ საქმეში თვითმხილველი მოწმეების ჩვენებების მნიშვნელობის, უ.კ-ს წინააღმდეგობრივი ჩვენებებისა და ამასთან დაკავშირებით მის მიერ პოლიციის მხრიდან ზეწოლის გაუდერების, აგრეთვე პოლიციასთან კავშირების გამო ლ.ტ-ს ჩვენების სანდოობის ნაკლებობის გათვალისწინებით, ეროვნულმა სასამართლოებმა აღნიშნული ფაქტორები საკმარისი ხარისხით არ განიხილეს. ყველა ზემოხსენებული პროცედურული და მატერიალურსამართლებრივი ხარვეზები ვერ იქნებოდა დაბალანსებული იმ უბრალო ფაქტით, რომ პოლიციის ოფიცრები სასამართლო პროცესზე დაცვის მხარის თანდასწრებით დაიკითხნენ.

აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანს არ მიეცა შესაძლებლობა, გაესაჩივრებინა ჩხრეკის ჩატარების გარემოებები და ეროვნულ დონეზე შეწინააღმდეგებოდა ჩხრეკის შედეგად მოპოვებული მტკიცებულების გამოყენებას.

როდესაც გარკვეული მტკიცებულების სანდოობასთან დაკავშირებით ეჭვები წარმოიშობა, შესაბამისად იზრდება სხვა მტკიცებულებებით მისი გამყარების საჭიროება. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის მასალებში, მომჩივნის პირადი ჩხრეკის ოქმის არარსებობის პირობებში, სხვა მტკიცებულებები არ იყო საკმარისად მყარი. თვითმხილველ მოწმეთა ჩვენებები არ იყო გადამწყვეტი, ვინაიდან პირველი მოწმის ჩვენება წინააღმდეგობრივი

ხასიათის იყო, ხოლო მეორე მოწმის ჩვენება ნაკლებად სანდო იყო; მართალია, ეს საკითხები ეროვნული სამართალწარმოებისას სათანადოდ წამოიჭრა, თუმცა არ მომხდარა მათი გამოკვლევა. რაც შეეხება პოლიციის ოფიცრებს, სასამართლომ აღნიშნა, რომ ისინი მიეკუთვნებოდნენ ხელისუფლების იმ ორგანოს, რომელმაც მომჩივნის წინააღმდეგ სამართალწარმოება დაიწყო, ამგვარად ისინი დაინტერესებულები იყვნენ სისხლისსამართლებრივი დევნის შედეგით. მათი ინტერესი განსაკუთრებით აშკარა იყო იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივნის ბრალდებით, მათ ნარკოტიკები ჩაუდეს მას. მიუხედავად ამისა, პოლიციის ოფიცრების ჩვენებები ავტომატურად ობიექტურად მიიჩნეეს განსხვავებით, მაგალითად, მომჩივნის მეგობრების მიერ მიცემული ჩვენებებისგან, რომლებიც არ გაითვალისწინეს, როგორც სუბიექტური და არასანდო. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ პოლიციის ოფიცერთა ჩვენებები სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე მომჩივნის ჩხრეკის თაობაზე დადგენილებას არ შეესაბამებოდა. თუმცა, ეროვნულმა სასამართლოებმა აღნიშნული ხარვეზი უბრალოდ არ გაითვალისწინეს და უქურადლებოდ დატოვეს.

საბოლოოდ, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის წინააღმდეგ მთავარი მტკიცებულების მოპოვების ფორმა წარმოშობს ეჭვებს მის სარწმუნოებასა და სანდოობასთან დაკავშირებით. აღნიშნული მტკიცებულების მნიშვნელობის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ კუმულატიურად, მომჩივნის პირადი ჩხრეკის პროცედურული ხარვეზები, ჩხრეკის გარემოებებთან დაკავშირებით არსებული წინააღმდეგობრივი ჩვენებები, არაადეკვატური სასამართლო განხილვა საქმის განხილვის ეტაპზე და მანამდე, რაც მოიცავდა ეროვნული სასამართლოების მიერ მომჩივნის ბრალდებების არასაკმარისად გამოკვლევას იმასთან დაკავშირებით, რომ ნარკოტიკი მას არ ეკუთვნოდა, მომჩივნის წინააღმდეგ სამართალწარმოებას მთლიანობაში უსამართლოდ აქცევდა. შესაბამისად, წინამდებარე საქმეზე დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი.

**დასკვნა:** დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი.

**ზიანი:** სასამართლომ მომჩივანს არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად 3 500 ევრო მიაკუთვნა.

კერესელიძე საქართველოს წინააღმდეგ  
(Kereselidze v. Georgia)

საჩივარი №39718/09  
28 მარტი, 2019

ფაქტები

მომჩივანს მსჯავრი დაედო მკვლელობისათვის და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ოცი წლის ვადით (პირველი მსჯავრი). მოგვიანებით, მას მსჯავრი დაედო გაქცევის მცდელობისათვის და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ოთხი წლითა და ექვსი თვის ვადით (მეორე მსჯავრი). პირველი ინსტანციის სასამართლომ განაცხადა, რომ განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელის მოხდის ვადის ათვლა უნდა დაწყებულიყო მეორე დანაშაულის ჩადენის თარიღიდან.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების შემდეგ, ცვლილებები შევიდა სისხლის სამართლის კოდექსის იმ დებულებაში, რომელიც შეეხებოდა განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელის დაკისრებას და აღგენდა, რომ საბოლოო სასჯელი აითვლებოდა ბოლო განაჩენის მიღების დღიდან.

მომდევნო სამართალწარმოებისას, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ შეამსუბუქა მომჩივნის სასჯელი პირველ მსჯავრთან დაკავშირებით, შეცვალა იგი თხუთმეტი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთით და დაადგინა, რომ განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელის ათვლა დაიწყებოდა მეორე დანაშაულის ჩადენის თარიღიდან. შესაბამისად, მომჩივნის სასჯელის ვადა ამოიწურებოდა 2010 წლის 29 სექტემბერს.

სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა მომჩივნის მეორე გამამტყუნებელი განაჩენი და დაადგინა, რომ მას უნდა მოეხადა განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელი, რომლის ვადის ათვლაც დაიწყებოდა მეორე დანაშაულის ჩადენის თარიღიდან. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრებული იყო უზენაეს სასამართლოში, სააპელაციო სასამართლომ წერილობითი პროცედურით და მხარეთა ჩართულობის გარეშე მიიღო განჩინება, მისივე გადაწყვეტილებაში უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ. მოცემული

განჩინება ასწორებდა განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელის დაწვების თარიღს, სასჯელის დაკისრების უფრო გვიანი თარიღით.

უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა მომჩივნის საკასაციო საჩივარი მეორე მსჯავრთან დაკავშირებით, აღნიშნა რა, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა მომჩივნის პირველი სასჯელის ვადის შემცირება. უზენაესმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე და განაცხადა, რომ განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელის ათვლა უნდა დაწვებულიყო მეორე დანაშაულის ჩადენის თარიღიდან. აღნიშნული სასჯელის ამოწურვის თარიღი უნდა ყოფილიყო 2013 წლის 12 აპრილი, თუმცა, მომჩივანი შეწყალების საფუძველზე გათავისუფლდა უფრო ადრე, 2013 წლის იანვარში.

მომჩივნის მოთხოვნა, უზენაესი სასამართლოს განჩინებაში შესწორებულიყო განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელის მოხდის ვადის ათვლასთან დაკავშირებული უზუსტობა, არ დაკმაყოფილდა.

## სამართალი

### I. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის სავარაუდო დარღვევა

მომჩივანი დავობდა, რომ მას უარი ეთქვა სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებაზე იმ საფუძველით, რომ განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელის მოხდის ვადის ათვლასთან დაკავშირებული უზუსტობის აღმოფხვრის პროცესში, არ მიუღია მონაწილეობა. ის ეყრდნობოდა კონვენციის მე-6 მუხლს, რომლის შესაბამისი ნაწილის თანახმად:

„...წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძველიანობის გამორკვევისას ყველას აქვს ... მისი საქმის სამართლიანი და საჯარო განხილვის უფლება... კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ...“

#### ა. მხარეთა არგუმენტები

მთავრობამ განაცხადა, რომ უზუსტობის აღმოფხვრის პროცედურის ფარგლებში შეზღუდული იყო და არ ეხებოდა მომჩივნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ან სასჯელის განსაზღვრას. ის მიზნად ისახავდა შესაბამის გადაწყვეტილებებში განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელის მოხდის ვადის ათვლასთან დაკავშირებული ცალსახა უზუსტობის შესწორებას.



შესაბამისად, მომჩივნის არგუმენტებს ვერ ექნებოდა გავლენა უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ განჩინებაზე.

მომჩივანმა განაცხადა, რომ სასჯელის მოხდის დაწყების თარიღის შეცვლის სასჯელის ხანგრძლივობაზე არსებითი გავლენის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 3 აპრილის განჩინება ცდებოდა უზუსტობის აღმოფხვრის ფორმალურ ფარგლებს. ის დამატებით ამტკიცებდა – გამომდინარე იქედან, რომ არსებობდა სასამართლო განჩინებები, სადაც მისი განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელის მოხდის ვადის ათვლის დაწყების დროდ კონკრეტულად იყო განსაზღვრული საბოლოო დანაშაულის ჩადენა, უზუსტობის შესწორება არ ეხებოდა აღნიშნულ განჩინებებში ცალსახა შეცდომებს და შესაბამისად, აუცილებელი იყო სასამართლოს წინაშე შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებული განხილვის მოწყობა. ამრიგად, მომჩივნის შეუძლებლობა, სააპელაციო სასამართლოს წინაშე წარედგინა არგუმენტები უზუსტობის აღმოფხვრასთან დაკავშირებით, არღვევდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პარაგრაფს.

## სასამართლოს შეფასება

### 1. მისაღებობა

სასამართლო აცხადებს, რომ სისხლისსამართლებრივ საკითხებთან მიმართებით კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი ვრცელდება სამართალწარმოებაზე მთლიანობაში, რაც მოიცავს საჩივრების წარმოებასა და სასჯელის განსაზღვრას.

წინამდებარე საქმეში ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, უზუსტობის აღმოფხვრის პროცედურის ფარგლები შეზღუდული იყო და არ ითვალისწინებდა მხარეთა მონაწილეობას შეჯიბრებით პროცესზე. ის მიზნად ისახავდა გადაწყვეტილებებში არსებული უზუსტობების გამოსწორებას, რასაც გავლენა არ ექნებოდა სასამართლოს დასკვნებზე, მსჯავრდებულის მიერ განხორციელებული ქმედების კვალიფიკაციასთან ან მისი სასჯელის ზომასთან დაკავშირებით. შესაბამისად, უზუსტობის აღმოფხვრის პროცედურა კანონმდებლობის მიხედვით, ცალსახად შეზღუდული ბუნების იყო.

მიუხედავად ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ კონვენცია მიზნად ისახავს უზრუნველყოს უფლებები, რომლებიც არა თეორიული და ილუზორული, არამედ პრაქტიკული და ეფექტიანია. კონვენციით გათვალისწინებული უფლებების განსაზღვრისას, ყურადღება უნდა მიექცეს სიტუაციის რეალურ მდგომარეობას. ამასთან მიმართებით, სასამართლო ვერ უგულებელყოფს იმ ფაქტს, რომ სააპელაციო

სასამართლოს მიერ განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული მომჩივნის სასჯელის მოხდის ვადის ათვლის შეცვლას, გავლენა ჰქონდა მომჩივნის გათავისუფლების თარიღზე. გარდა ამისა, ეროვნულ დონეზე მომჩივნის მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული არგუმენტები, კერძოდ, იყო თუ არა წინა გადაწყვეტილებებსა და განჩინებებში დაშვებული უზუსტობები აშკარა და შეიძლებოდა თუ არა მათი შესწორება უზუსტობის აღმოფხვრის პროცედურის ფარგლებში, სულ მცირე, ექვემდებარებოდა ინტერპრეტაციას. შესაბამისად, წინამდებარე საქმეში უზუსტობის აღმოფხვრის პროცედურის ბუნებას შეეძლო მომჩივნის სასჯელზე გავლენის მოხდენა.

წინამდებარე საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი ვრცელდება უზუსტობის აღმოფხვრის პროცედურაზე, რადგან მისი მეშვეობით შეიცვალა მომჩივნის განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელი და შესაბამისად, გავლენა მოახდინა მისი სასჯელის საერთო ხანგრძლივობაზე.

სასამართლომ მოგვიანებით აღნიშნა, რომ წინამდებარე საჩივარი არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 (ა) პარაგრაფის მნიშვნელობით ან მიუღებელი რაიმე სხვა საფუძველით. შესაბამისად, საჩივარი მისაღებად უნდა იქნას ცნობილი.

## 2. საქმის არსებითი გარემოებები

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მომჩივნის საჩივარზე იმასთან დაკავშირებით, რომ მას უარი ეთქვა სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებაზე, როდესაც არ მიეცა შესაძლებლობა ეროვნული სასამართლოების წინაშე გამოეხატა საკუთარი პოზიცია უზუსტობის აღმოფხვრის პროცედურასთან დაკავშირებით. სასამართლომ განიხილა, იყო თუ არა მომჩივნის წინააღმდეგ მეორე სამართალწარმოება კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის შესაბამისი. მომჩივნის საჩივარი შეიძლება განხილულ იქნას სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლების ან საქმის ზეპირი მოსმენის უფლების ჭრილში. სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება წარმოადგენს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფით უზრუნველყოფილ უფლებათა წინაპირობას, ხოლო საქმის ზეპირი მოსმენის უფლება აღნიშნული მუხლის განუყოფელი ნაწილია.

სასამართლო იმეორებს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფით გათვალისწინებული „სასამართლოს უფლება,“ რომლის ერთ-ერთ ასპექტსაც სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება წარმოადგენს, არ არის აბსოლუტური ხასიათის და მისი შეზღუდვა შესაძლებელია, როდესაც დაკავშირებულია საჩივრის მისაღებობის პირობებთან; ეროვნული

ხელისუფლებისთვის, განსაკუთრებით სასამართლოებისთვის, უპირველესია, რომ გადაჭრან ეროვნული კანონმდებლობის პროცედურული ნაწილის განმარტების პრობლემები. ევროპული სასამართლოს როლი შემოფარგლება იმის დადგენით, არის თუ არა ეს განმარტება კონვენციის შესაბამისი. თუმცა, სასამართლოსადმი პირის ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს, უნდა იყოს პროპორციული და სასამართლოს ხელმისაწვდომობას არ უნდა ზღუდავდეს იმ ფორმით ან იმ მოცულობით, რომ აღნიშნული უფლების არსი დაირღვეს.

გარდა ამისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ ზეპირი და საჯარო საქმის განხილვა წარმოადგენს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის ფუნდამენტურ პრინციპს. საქმის განხილვა არ არის აბსოლუტური უფლება და საქმის სააპელაციო განხილვაზე ბრალდებულის პირადი დასწრებაც არსებითი მნიშვნელობის არ არის. ამ საკითხის შეფასებისას, გათვალისწინებული უნდა იყოს სამართალწარმოების განსაკუთრებული მახასიათებლები და ის ფორმა, რომლის მეშვეობითაც სააპელაციო სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი და დაცულია დაცვის მხარის ინტერესები, კერძოდ, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული სააპელაციო სასამართლოს მიერ გადასაწყვეტი საკითხები და მათი მნიშვნელობა მომჩივნისთვის.

წინამდებარე საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, სტრასბურგის სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ მომჩივნის სასჯელის მოხდის ვადის ათვლაში შესწორებების შეტანამ გავლენა იქონია მომჩივნის გათავისუფლების თარიღზე. ამასთან დაკავშირებით, მომჩივნის არგუმენტები საქმის კონკრეტულ გარემოებებთან დაკავშირებით, როგორცაა – რომ უკვე არსებობდა უზენაესი სასამართლოს განჩინება განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელის ათვლასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლომ გადააჭარბა სისხლის სამართლის კოდექსის 615-ე მუხლის ფარგლებს და უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ სააპელაციო სასამართლოს განჩინება სამართლებრივად აუარესებდა მომჩივნის მდგომარეობას სისხლის სამართლის კოდექსის 540-ე მუხლის საწინააღმდეგოდ – მიუთითებდნენ იმაზე, რომ მომჩივნის სასჯელის ათვლის შეცვლა სადავო საკითხს წარმოადგენდა. შესაბამისად, ეროვნულ სასამართლოებს ის უნდა განეხილათ შეჯიბრებით პროცესზე.

სასამართლო აღნიშნავს, რომ უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ სააპელაციო განჩინება მომჩივანს ჩაბარდა მხოლოდ 2009 წლის 16 აპრილს, მას შემდეგ, რაც უზენაეს სასამართლოს 2009 წლის 7 აპრილს, მომჩივნის საქმეზე უკვე მიღებული ჰქონდა საბოლოო გადაწყვეტილება. უზენაესმა სასამართლომ იცოდა [განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელის მოხდის ვადის ათვლის საწყისი წერტილის შეცვლის თაობაზე] სააპელაციო განჩინების შესახებ და

როგორც ჩანს, მხარი დაუჭირა მას, როდესაც პირდაპირ გაითვალისწინა სასჯელის მოხდის ვადის ათვლის შეცვლილი თარიღი. თუმცა, იმ დროისთვის როდესაც უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ სააპელაციო განჩინება იქნა მიღებული, მომჩივანს უზენაეს სასამართლოში უკვე წარდგენილი ჰქონდა საჩივარი. გარდა ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ უზენაესმა სასამართლომ აღნიშნული საქმე ზეპირი განხილვის გარეშე გადაწყვიტა, მომჩივანს არ ჰქონია შესაძლებლობა სცოდნოდა უზუსტობის აღმოფხვრის განჩინების შესახებ; მას ასევე არ მიეცა შესაძლებლობა, წარედგინა საკუთარი არგუმენტები განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელის ათვლის თარიღის შეცვლისა და ეროვნულ კანონმდებლობასთან მისი შესაბამისობის შესახებ. როდესაც მომჩივანმა აღნიშნული განჩინების შესახებ შეიტყო და მოითხოვა 2009 წლის 7 აპრილის უზენაესი სასამართლოს განაჩენში შესწორების შეტანა, მისი მოთხოვნა არ განიხილეს. პირველად, მას მოთხოვნაზე უარი ეთქვა 2009 წლის 24 აპრილს, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სამდივნოს უფროსის მიერ, იმ საფუძველით, რომ უზენაესი სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, განეხილა აღნიშნული საჩივარი, ხოლო შემდგომში, 2009 წლის 15 ივნისს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის თანაშემწის მიერ იმ საფუძველით, რომ მიმდინარე საკასაციო საჩივარს განსახილველად ვერ მიიღებდნენ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიჩნევს, ეს საკითხი ექცევა სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლების კონტექსტში თუ ზეპირი განხილვის უფლების კონტექსტში, ნებისმიერ შემთხვევაში, საქმეში ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ის ფორმა, რომელშიც მომჩივნის საქმეში უზუსტობის აღმოფხვრის პროცედურა განხორციელდა, რომლის ფარგლებშიც მომჩივანს ჩამოერთვა განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელის მოხდის ვადის ათვლასთან დაკავშირებით საკუთარი არგუმენტების, როგორც ზეპირად, ასევე წერილობით, წარდგენის შესაძლებლობა.

ზემოხსენებული გარემოებები საკმარისია სასამართლოსთვის, რათა დაადგინოს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის დარღვევა.

## **II. კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფის საგარაუდო დარღვევა**

მომჩივანი დავობდა, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენში შესწორების შეტანამ არაპროპორციულად გაახანგრძლივა მისი პატიმრობა, რაც წარმოადგენდა თავისუფლების უკანონო აღკვეთას. ის დაეყრდნო კონვენციის მე-5 მუხლის 1-ელ (ა) პარაგრაფს, რომლის თანახმად:

„1. ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად, ესენია:

ა) უფლებამოსილი სასამართლოს მიერ მსჯავრდებული პირის კანონიერი დაპატიმრება.“

მთავრობამ სადავო გახადა აღნიშნული არგუმენტი.

## ა. მისაღებობა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემული საჩივარი არ არის აშკარად უსაფუძვლო კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 (ა) პარაგრაფის მნიშვნელობის ფარგლებში. ის აგრეთვე, ხაზს უსვამს, რომ არ იკვეთება საჩივრის მისაღებობასთან დაკავშირებული სირთულე სხვა რაიმე საფუძვლით. მაშასადამე, ცნობილ იქნას მისაღებად.

## ბ. საქმის არსებითი განხილვა

### 1. მხარეთა არგუმენტები

მომჩივანმა განმარტა, რომ მისი პატიმრობა მოკლებული იყო ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს 2010 წლის 29 სექტემბრის შემდეგ, რადგან სწორედ აღნიშნულ დღეს ამოიწურა 2008 წლის 20 თებერვლის უზენაესი სასამართლოს განაჩენის საფუძველზე შეფარდებული სასჯელის მოხდის ვადა, რომლის ათვლის წერტილად მეორე დანაშაულის ჩადენის მომენტი იყო განსაზღვრული. მომჩივანი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მისი პატიმრობა ზემოხსენებული თარიღის შემდეგ ეწინააღმდეგებოდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 540-ე მუხლს, რომელიც პროკურორის საჩივრის არარსებობის პირობებში კრძალავდა მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუარესებას. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ მისი პატიმრობის ვადა გახანგრძლივდა იმ პროცედურის შედეგად, რომელიც არ შეესაბამებოდა კონვენციის მე-6 მუხლს.

მთავრობამ განმარტა, რომ მომჩივნის პატიმრობა შესაბამისობაში იყო კონვენციის მე-5 მუხლის 1-ელ (ა) პარაგრაფთან. კერძოდ, მომჩივნის წინააღმდეგ გამოტანილი წინა განაჩენები, სადაც მითითებული იყო განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის მოხდის ვადის ათვლის საწყისი წერტილი, აშკარად უზუსტო იყო და იმ დროისათვის არ იყო საბოლოო, რაც შიდასახელმწიფოებრივი მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, 2009 წლის 3 აპრილს შესწორებულ იქნა სააპელაციო სასამართლოს განჩინებით. აღნიშნული განჩინება უცვლელად იქნა დატოვებული

უზენაესი სასამართლოს მიერ 2009 წლის 7 აპრილს მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილებით.

## 2. სასამართლოს შეფასება

### (ა) ზოგადი პრინციპები

სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-5 მუხლი იცავს ადამიანის ძირითად უფლებას, კერძოდ იცავს პირს სახელმწიფოს მხრიდან თვითნებური ჩარევისგან მისი თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებაში. კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი (ა)-(ვ) პარაგრაფებში მითითებულია თავისუფლების აღკვეთის დასაშვები საფუძვლების ამომწურავი ჩამონათვალი; თავისუფლების აღკვეთა არ იქნება კანონიერი თუ არ ექცევა ზემოხსენებულ ამომწურავ საფუძვლებში. კონვენციის მე-5 მუხლის 1-ელ პარაგრაფთან დაკავშირებით დადგენილ სასამართლო პრაქტიკას წარმოადგენს, რომ თავისუფლების აღკვეთა არა მხოლოდ უნდა ეფუძნებოდეს ამ ჩამონათვალიდან ერთ-ერთს, არამედ ასევე უნდა იყოს „კანონიერი“. როდესაც განსახილველი საკითხია დაკავების „კანონიერება“, მათ შორის, დაცულია თუ არა „კანონით გათვალისწინებული პროცედურა“, – კონვენცია ძირითადად, უთითებს ეროვნულ კანონმდებლობაზე და სავალდებულოდ მიიჩნევს მატერიალური და პროცედურული კანონმდებლობის შესრულებას. რაც პირველ ყოვლისა, მოითხოვს ნებისმიერ დაკავებას ან დაპატიმრებას ჰქონდეს სამართლებრივი საფუძველი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, რაც ასევე, დაკავშირებულია კანონის ხარისხთან; გამოყენებული კანონი უნდა შეესაბამებოდეს კანონის უზენაესობის პრინციპს, რომელიც დამახასიათებელია კონვენციის ყველა მუხლისთვის. „კანონის ხარისხი“ გულისხმობს, რომ როდესაც ეროვნული კანონმდებლობა დასაშვებად მიიჩნევს თავისუფლების აღკვეთას, აღნიშნული დანაწესი უნდა იყოს საკმარისად ხელმისაწვდომი, ზუსტი და განჭვრეტადი, რათა თავიდან იყოს აცილებული თვითნებობის ყველანაირი რისკი. კონვენციით გათვალისწინებული „კანონიერების“ სტანდარტები, მოითხოვს რომ ყველა კანონი იყოს საკმარისად ზუსტად ფორმულირებული იმისათვის, რომ პირს მიანიჭოს უფლება – საჭიროების შემთხვევაში, განჭვრიტოს, ის შედეგები, რომლებიც მოცემულმა ქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს.

კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფი დამატებით მოითხოვს, რომ თავისუფლების ნებისმიერი აღკვეთა, შეესაბამებოდეს პირის თვითნებობისაგან დაცვის მიზანს. ფუნდამენტური პრინციპია, რომ არც ერთი თვითნებური დაკავება არ შეიძლება იყოს მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფის შესაბამისი, ხოლო „თვითნებობის“ ცნება ამავე მუხლის მიხედვით, ვრცელდება ისეთ

შემთხვევებზეც, როდესაც ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობის პრობლემა არ იკვეთება; ამდენად, თავისუფლების აღკვეთა შეიძლება იყოს კანონიერი ეროვნული კანონმდებლობის მნიშვნელობით, მაგრამ მაინც თვითნებური და შესაბამისად, კონვენციის საწინააღმდეგო. სასამართლო იყენებს განსხვავებულ მიდგომას იმ პრინციპთან დაკავშირებით, რომ პატიმრობის შესახებ საქმეებში, მე-5 მუხლის 1-ლი (ა) პარაგრაფის მნიშვნელობით, არ უნდა არსებობდეს თვითნებობა, როდესაც არ იკვეთება არაკეთილსინდისიერება და პატიმრობა გამომდინარეობს კანონიერი მსჯავრდებისგან; კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მიხედვით, სასჯელის სახე და ზომა წარმოადგენს არა ევროპული სასამართლოს, არამედ ეროვნული სასამართლოს კომპეტენციას.

მე-5 მუხლის 1-ლი (ა) პარაგრაფის მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც პირი კანონიერი გზით დაპატიმრებულად ითვლება, როდესაც მის მიმართ „გამამტყუნებელ განაჩენს გამოიტანს უფლებამოსილი სასამართლო,“ არ გულისხმობს, რომ სტრასბურგის სასამართლომ ყოველმხრივ განხილვას უნდა დაუქვემდებაროს ის სამართალწარმოება, რომლის ფარგლებშიც პირს მსჯავრი დაედო და აგრეთვე, განსაზღვროს, შეესაბამებოდა თუ არა იგი კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნებს. თუმცა, სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ თუ „მსჯავრდება“ არის იმ სამართალწარმოების შედეგი, რომელიც წარმოადგენდა „მართლმსაჯულების განხორციელებაზე უხემ უარს“ და „ამკარად ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-6 მუხლის დებულებებს ან მასში არსებულ პრინციპებს,“ მის შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილება თავისუფლების აღკვეთის შესახებ არ შეიძლება გამართლებული იყოს კონვენციის მე-5 მუხლის 1-ელი (ა) პარაგრაფის მიხედვით.

### **(ბ) ზემოსხენებული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმეში**

წინამდებარე საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლო ადგენს, რომ მომჩივანს თავისუფლება შეეზღუდა მის წინააღმდეგ კომპეტენტური სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემდეგ, რაც ექცევა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ელი (ა) პარაგრაფის ფარგლებში. კერძოდ, გასაჩივრებული პატიმრობა ეფუძნებოდა უზენაესი სასამართლოს განაჩენს, რომლის მიხედვითაც მომჩივანს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა შვიდი წლის ვადით, ხოლო სასჯელის ათვლა უნდა დაწყებულიყო 2016 წლის 12 აპრილს. აღნიშნული სასჯელის ვადა უნდა დამთავრებულიყო 2013 წლის 12 აპრილს, თუმცა, მომჩივანი ვადაზე ადრე გაათავისუფლეს – 2013 წლის 27 იანვარს. მიუხედავად ამისა, სასამართლოს წინაშე განსახილველ საკითხს წარმოადგენს მომჩივნის წინააღმდეგ სააპელაციო სასამართლოს მიერ განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელის მოხდის ვადის ათვლის საწყისი თარიღის

შეცვლა, რომელიც დადგინდა, რომ განხორციელდა იმგვარი პროცედურის ფარგლებში, რომელიც არ შეესაბამებოდა კონვენციის მე-6 მუხლს – არღვევდა თუ არა „კანონიერების“ პრინციპს, კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მნიშვნელობით.

მომჩივანი აცხადებდა, რომ 2008 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებით დადგენილი იყო მისი გათავისუფლების კონკრეტული თარიღი. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ 2009 წლის 3 აპრილის უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ სააპელაციო განჩინების მიღებამდე, მომჩივნის გათავისუფლების თარიღი შეიცვალა, გამომდინარე იქედან, რომ რამდენჯერმე შეიცვალა ინდივიდუალური სასჯელის ხანგრძლივობა. 2008 წლის 20 თებერვლის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება მიღებული იყო მაშინ, როდესაც მომჩივნის საჩივარი მეორე მსჯავრთან დაკავშირებით ჯერ კიდევ, წარმოების პროცესში იყო. გარდა ამისა, 2009 წლის 7 აპრილის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით შემცირდა მომჩივნის პატიმრობის საერთო ხანგრძლივობა.

რაც შეეხება იმას, იყო თუ არა „კანონიერი“ მომჩივნის პატიმრობა, რომელიც ფაქტობრივად გაგრძელდა მომჩივნის განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელის ვადის ათვლის თარიღის შეცვლის გამო, ამასთან დაკავშირებით, სასამართლო ითვალისწინებს მომჩივნის არგუმენტს, რომ ბრალდების მხრიდან საჩივრის არარსებობის პირობებში, სააპელაციო სასამართლოს განჩინება, განაჩენთა ერთობლიობით დადგენილი სასჯელის მოხდის ვადის ათვლის თარიღის შეცვლასთან დაკავშირებით, გამოტანილი იყო სისხლის სამართლის კოდექსის 540-ე მუხლში დადგენილი *reformatio in peius* პრინციპის დარღვევით. თუმცა, მომჩივნის არგუმენტის ძლიერი მხარე უკავშირდება სხვა სამართლებრივ საკითხს. კერძოდ, ეროვნული კანონმდებლობისა და სისხლის სამართლის კოდექსის 540-ე მუხლის გამოყენების დასაშვებობის საკითხი ეხება, აშკარა იყო თუ არა განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელის დაწყების თარიღთან მიმართებით დაშვებული ეროვნული სასამართლოების ხარვეზი და დაშვებული იყო თუ არა ხარვეზის აღმოფხვრა, იმ დროს არსებული კანონისა და პრაქტიკის მიხედვით, თუ აღნიშნული შესწორება სცდებოდა კანონის ფარგლებს.

სასამართლო აღნიშნავს, ერთი მხრივ, იმ დროს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი პირდაპირ არ ადგენდა განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელის დაწყების თარიღს. მეორე მხრივ, მომდევნო შესწორება, როგორც ჩანს ეფუძნებოდა, სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლს (2006 წლის 29 დეკემბრის ცვლილებების შემდეგ), რომელიც პირდაპირ ადგენდა, რომ განაჩენთა



ერთობლიობით დანიშნული საბოლოო სასჯელი აითვლებოდა ბოლო განაჩენის მიღების დღიდან. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო ყურადღებას ამახვილებს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილებაზე სხვა საქმესთან დაკავშირებით, სადაც მან განმარტა, რომ სისხლის სამართლის 59-ე მუხლს შესაძლოა ჰქონოდა უკუხალა. აღნიშნული გადაწყვეტილება წინ უსწრებდა როგორც 2009 წლის 3 აპრილის უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ სააპელაციო განჩინებას, ასევე 2009 წლის 7 აპრილის უზენაესი სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას მომჩივნის საქმეზე. აქედან გამომდინარე, მართალია, განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული სასჯელის დაწების თარიღთან დაკავშირებით კანონის განჭვრეტადობა არ განიხილეს ეროვნულმა სასამართლოებმა, თუმცა, უზუსტობის შესწორება განხორციელდა მას შემდეგ, რაც მანამდე უზენაესმა სასამართლომ იგი სხვა საქმეზე განმარტა. ასეთ გარემოებებში, სტრასბურგის სასამართლოს ამოცანა არ არის, განსაზღვროს მომჩივნის დაპატიმრების კანონიერება 2010 წლის 29 სექტემბრის შემდგომ, რის შესახებაც გადაწყვეტილება მიიღო უზენაესმა სასამართლომ იმ დროს მოქმედი კანონისა და პრაქტიკის შესაბამისად. ამრიგად, ევროპული სასამართლო არ თვლის, რომ მომჩივნის პატიმრობით დაირღვა ეროვნული კანონმდებლობა.

რაც შეეხება მომჩივნის დამატებით არგუმენტს, რომ მისი პატიმრობის ვადა გაგრძელდა იმ პროცედურის შედეგად, რომელიც არ შეესაბამებოდა კონვენციის მე-6 მუხლს, სასამართლომ უკვე უარყო ის არგუმენტი, რომ მე-6 მუხლის ყველა დარღვევა იწვევს მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფის დარღვევას. უფრო მეტიც, რამდენადაც მომჩივნის არგუმენტი შეიძლება გავიგოთ ისე, რომ მას მსჯავრი დაედო და სასჯელი შეეფარდა იმ სამართალწარმოების შედეგად, რომელიც წარმოადგენდა „მართლმსაჯულების განხორციელებაზე უხეშ უარს“ და ამან გავლენა იქონია მისი პატიმრობის კანონიერებაზე მე-5 მუხლის კონტექსტში, სასამართლო აღნიშნავს, რომ „მართლმსაჯულების განხორციელებაზე უხეშად უარის თქმის“ ტესტი მკაცრია. აღნიშნული პრინციპის დარღვევისთვის აუცილებელია სამართლიანი განხილვის პრინციპის ისეთი ფუნდამენტური დარღვევა, რომელიც გამოიწვევს აღნიშნული მუხლით გარანტირებული უფლების არსის ხელყოფას. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა, იგი არ მიიჩნევს, რომ დარღვევას ისეთი ხასიათი ჰქონდა, რომ გაუქმდა ამავე მუხლში დადგენილი უფლების არსი. შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ წინამდებარე საქმეში მე-6 მუხლის დარღვევა არ უტოლდებოდა „მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარს.“

აქედან გამომდინარე, წინამდებარე საქმის არსებითი გარემოებების გათვალისწინებით, მომჩივნის პატიმრობა გამართლებული იყო კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი (ა) პარაგრაფის შესაბამისად.

ამრიგად, სასამართლო ადგენს, რომ არ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფი.

### III. კონვენციის მე-13 მუხლის სავარაუდო დარღვევა

მომჩივანი დავობდა, რომ მას უარი ეთქვა სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლების გამოყენებაზე, კერძოდ, კონვენციის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევა საჩივართან დაკავშირებით. მომჩივანი დაეყრდნო კონვენციის მე-13 მუხლს, რომლის მიხედვითაც:

*„ვევლას, ვისაც ამ კონვენციით გაცხადებული უფლება ან თავისუფლება დაერღვა, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალება ეროვნული ხელისუფლების წინაშე, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა.“*

კონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებული დასკვნების გათვალისწინებით, სასამართლომ მიზანშეწონილად არ მიიჩნია, საქმის მე-13 მუხლის სავარაუდო დარღვევის კონტექსტში განხილვა.

### IV. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

#### ა. ზიანი

მომჩივანმა მოითხოვა 100.000 ევროს ანაზღაურება არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ.

სასამართლო ადგენს, რომ სახელმწიფომ მომჩივანს უნდა გადაუხადოს 1500 ევრო არამატერიალური ზიანისთვის.

#### ბ. ხარჯები და დანახარჯები

მომჩივანი ითხოვდა 2250 ევროს ანაზღაურებას სამართლებრივი ხარჯებისათვის და 120 ევროს ანაზღაურებას ევროპული სასამართლოს წინაშე გაწეული ხარჯებისათვის.

სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია მოთხოვნილი თანხის სრულად დაკმაყოფილება, კერძოდ, მან მომჩივანს 2370 ევრო მიაკუთვნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო ერთხმად ადგენს, რომ:

1. საჩივარი მისაღებად იქნას ცნობილი;

2. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი;
3. ადგენს, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფი;
4. ადგენს, რომ არ არსებობს საჭიროება საჩივარი განიხილოს კონვენციის მე-13 მუხლთან მიმართებით;
5. ადგენს:
  - (ა) რომ მოპასუხე სახელმწიფომ კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან 3 თვის განმავლობაში, გადახდის დღეს არსებული კურსით, ეროვნულ ვალუტაში, მომჩივანს უნდა გადაუხადოს:
    - (i) 1500 ევრო და ამასთან ერთად, ნებისმიერი გადასახადი, რომელიც შეიძლება იყოს გადასახდელი, არამატერიალური ზიანისთვის;
    - (ii) 2370 ევრო და ამასთან ერთად, ნებისმიერი გადასახადი, რომელიც შეიძლება იყოს გადასახდელი, ხარჯებსა და დანახარჯებთან მიმართებით.

**გოგუაძე საქართველოს წინააღმდეგ  
(Gogvadze v. Georgia)**

**საჩივარი №40009/12**

27 ივნისი, 2019

**პროცედურა**

საქმის საფუძველი იყო საქართველოს მოქალაქის, ბ-ნი ნიკოლოზ გოგუაძის („მომჩივანი“) მიერ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის შესაბამისად, 2012 წლის 21 ივნისს, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, საქართველოს წინააღმდეგ წარდგენილი საჩივარი (№40009/12).

მომჩივანს წარმოადგენდნენ ქ-ნი ნ. ჯომარჯიძე და ქ-ნი ქ. შუბაშვილი, თბილისში მომუშავე იურისტები. საქართველოს მთავრობას (შემდგომში – „მთავრობა“) წარმოადგენდა ბ-ნი ბ. ძამაშვილი იუსტიციის სამინისტროდან.

2015 წლის 16 ოქტომბერს, მთავრობას გადაეცა საჩივრები, რომლებიც ეხებოდა მომჩივნის თავდაპირველი დაკავების უკანონობას, მის მიმართ სავარაუდოდ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობას და შემდგომი გამოძიების არაეფექტიანობას, ხოლო საჩივრის დარჩენილი ნაწილი დაუშვებლად იქნა ცნობილი სასამართლოს რეგლამენტის 54-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად.

2016 წლის 15 სექტემბერს, მთავრობამ წარადგინა ცალმხრივი აღიარება კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურულ ნაწილთან დაკავშირებით.

2018 წლის 3 აპრილს, სასამართლომ უარყო მთავრობის ცალმხრივი დეკლარაცია.

**ფაქტები**

მომჩივანი დაიბადა 1980 წელს და ცხოვრობს თბილისში.

**ზოგადი ინფორმაცია**

მომჩივანი 2011 წლის მაისში, თბილისში დაარსებული „ეროვნულ-რელიგიური მოძრაობის“ წევრი და ერთ-ერთი ლიდერი იყო. 2011 წლის 26 მაისს, პოლიციის ოფიცერმა შეადგინა ოქმი, სადაც აცხადებდა, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, ოცდაოთხი პირი მათ შორის, მომჩივანი, გეგმავდა

საქართველოს მთავრობის დამსობას. ოქმის მიხედვით, აღნიშნული პირები იმყოფებოდნენ ყინწვისის მონასტერში.

2011 წლის 30 მაისს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე განთავსდა პრესრელიზი, რომლის თანახმად, 2011 წლის 26 მაისს, ყინწვისში დააკავეს ოცხაოთხი პირისგან შემდგარი შეიარაღებული დაჯგუფება.

### **მომჩივნის დაკავება და საგარეულო არასათანადო მოპყრობა**

მომჩივნის ჩხრეკისა და დაკავების ოქმის მიხედვით, რომელზეც მომჩივანს სათანადოდ ჰქონდა ხელი მოწერილი, იგი დააკავეს 2011 წლის 27 მაისს, დილით 6:12 საათზე თბილისში, სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლის (შეთქმულება ან ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად) 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ეჭვის საფუძველზე. ოქმში აღნიშნული იყო, რომ მომჩივანს სახესა და სხეულზე ჰქონდა რამდენიმე ჭრილობა და ჩალურჯება. იმავე დღეს, მომჩივანი გადაიყვანეს წინასწარი დაკავების ცენტრში, სადაც მას ჩაუტარდა ვიზუალური დათვალიერება. დათვალიერების შემდგომ გაკეთებული დასკვნა ადასტურებდა, რომ მომჩივანს მარცხენა თვალი ჩალურჯებული ჰქონდა, ჩალურჯებები შეინიშნებოდა აგრეთვე, ცხვირისა და კუდუსუნის არეში.

2011 წლის 28 მაისის განჩინებით, პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე, მოსამართლემ მომჩივანს 55 დღით პატიმრობა შეუფარდა. მომჩივანმა სხდომაზე გაასაჩივრა დაკავების ოქმი და განაცხადა, რომ ის დაკავებულ იქნა არა 27 მაისს თბილისში, არამედ 26 მაისს ყინწვისში. თუმცა, მისი განცხადებები არ იქნა გათვალისწინებული. დაკავების ოფიციალურ ოქმზე დაყრდნობით, თბილისის საქალაქო სასამართლომ დაკავების უკანონობასთან დაკავშირებული მომჩივნის განცხადებები უსაფუძვლოდ მიიჩნია.

მომჩივანმა გაასაჩივრა აღნიშნული განჩინება. ის აცხადებდა, რომ ყინწვისში დაკავების შემდგომ, ის გადაყვანილ იქნა ქარელის პოლიციის განყოფილებაში, სადაც ცემეს. შემდგომ ის გადაიყვანეს თბილისში, სადაც კვლავ ფიზიკურად გაუსწორდნენ და აღნიშნული შემთხვევიდან დაახლოებით, ექვსი საათის მერე დაკითხეს. მომჩივანი აცხადებდა, რომ მისი რეალურად დაკავების დრო განსხვავდებოდა ოფიციალურ დოკუმენტში არსებული ჩანაწერისგან. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლით გათვალისწინებული 48-საათიანი ვადა დარღვეული იქნა, რაც მის პატიმრობას უსაფუძვლოს ხდიდა. 2011 წლის 6 ივნისს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ მომჩივნის საჩივარი დაუშვებლად მიიჩნია. ეს გადაწყვეტილება მომჩივანს 2011 წლის 9 ივნისს ჩაბარდა.

2011 წლის 1 ივნისს, მომხივნის ადვოკატმა მოითხოვა საკუთარი ხარჯებით ექსპერტიზის ჩატარება. 2011 წლის 22 ივნისს, მომხივანი შეამოწმა ხუთმა ექიმმა, რომლებმაც დაასკვნეს, რომ ნევროლოგიური და ტრავმატოლოგიური თვალსაზრისით მომხივნის მდგომარეობა არ იყო სერიოზული. ისინი აცხადებდნენ, რომ ჩალურჯებები და ჭრილობები, რაც მას ვიზუალური დათვალეირების ოქმის თანახმად, 2011 წლის 27 მაისს აღენიშნებოდა, აღარ იყო ხილული.

2011 წლის 15 ივლისს, მომხივანს დამატებით ბრალი დაედო უკანონო ცეცხლსასროლი იარაღის შექენასა და ტარებაში, სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში.

### **მომხივნის საქმის სასამართლო განხილვა**

2011 წლის 21 ივლისს დაიწყო სასამართლოში მომხივნის საქმის განხილვა. მომხივანი იმეორებდა, რომ ის დაკავებულ იქნა არა 27 მაისს თბილისში, არამედ 26 მაისს ყინწვისში. ის ასევე, ასაჩივრებდა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას, რომელსაც დაექვემდებარა ყინწვისში, შემდგომ ქარელისა და საბოლოოდ, თბილისის პოლიციის განყოფილებაში. კერძოდ, მომხივანი დავობდა, რომ ყინწვისში მას სახეში მუშტი დაარტყა სპეციალური ოპერაციების ძალების თანამშრომელმა, შემდეგ იმავე და რამდენიმე სხვა ოფიცერმა სასტიკად სცემა ქარელის პოლიციის განყოფილებაში. აღიარების მოპოვების მიზნით, თბილისში ის კვლავ დაექვემდებარა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას.

2011 წლის 12 აგვისტოს, მომხივანი დამნაშავედ იქნა ცნობილი წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახით თორმეტი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა. მოსამართლე დაეყრდნო მომხივნის ჩხრეკისა და დაკავების ოფიციალურ ოქმს და არ გაითვალისწინა მისი განცხადება, რომ ის ყინწვისში იქნა დაკავებული. სასამართლომ არ განიხილა მომხივნის ბრალდებები არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით.

მომხივანმა აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა. 2011 წლის 22 ნოემბერს, მისი მსჯავრდება თბილისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა. უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებით, მომხივნის საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი. მომხივანი ციხიდან გათავისუფლდა 2013 წლის 13 იანვარს, 2012 წლის 28 დეკემბერს მიღებული ამნიტიის შესახებ კანონის საფუძველზე.

## მომჩივნის არასათანადო მოპყრობის გამოძიება

2011 წლის 28 მაისს, მომჩივანი თბილისის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადაიყვანეს. მას ჩაუტარდა ვიზუალური დათვალიერება, რის შედეგადაც დადასტურდა მის სხეულზე მრავლობითი დაღურჯების არსებობა. ციხის ადმინისტრაციამ აღნიშნული დასკვნის ასლი პროკურატურას გადაუგზავნა და მოითხოვა საქმის წარმოების დაწყება. გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე. მომჩივანი რამდენჯერმე დაიკითხა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით.

2012 წლის განმავლობაში საქართველოს სახალხო დამცველის ოფისმა, მომჩივნის თხოვნის საფუძველზე, საქართველოს მთავარ პროკურატურას გადაუგზავნა სამი მოთხოვნა, რათა მათთვის მიეწოდებინათ ინფორმაცია მომჩივნის არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების თაობაზე. სამივე წერილი უპასუხოდ დარჩა. 2013 წლის 1-ელ თებერვალს, კიდევ ერთი მოთხოვნა გაიგზავნა, რომელიც ასევე უპასუხოდ დატოვეს. 2013 წლის 7 თებერვალს, მომჩივანმა საჩივარი წარადგინა საქართველოს მთავარ პროკურატურაში, სადაც გააკრიტიკა ის ფაქტი, რომ გამოძიებაში წინსვლა არ იყო. მან აგრეთვე საჩივრით მიმართა იუსტიციის მინისტრს, მთავარი პროკურატურის ოფისს და საქმის გამომძიებელს. 2013 წლის 25 თებერვალს, მომჩივანი კიდევ ერთხელ დაიკითხა. ამჯერად მომჩივანმა არასათანადო მოპყრობის დეტალურ ახსნა-განმარტებასთან ერთად, გამომძიებელს წარუდგინა რამდენიმე ფოტოსურათი და ვიდეომასალა, სადაც გამოსახული იყო არასათანადო მოპყრობაში მონაწილე ერთ-ერთი ოფიცერი.

ამავდროულად, 2013 წლის იანვრისა და აპრილის პერიოდში, გამომძიებელმა დაიკითხა შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა თანამშრომელი მათ შორის, ქარელის პოლიციის განყოფილების თანამშრომლები. ისინი უარყოფდნენ მომჩივნის ან სხვა დაკავებულის მიმართ არასათანადო მოპყრობის განხორციელებას. გამომძიებელმა აგრეთვე გამოკითხა ადგილობრივი სასწრაფოს თანამშრომლები. ისინი ადასტურებდნენ, რომ ქარელის პოლიციის განყოფილებაში ერთ-ერთი დაკავებულისათვის 2011 წლის 26 მაისს სასწრაფო დახმარება იქნა გამოძახებული. მისი შემოწმებისას კი, ზურგის ნაწილში რამდენიმე ჰემორაგიული კერა შენიშნეს. მათ ასევე, ნახეს ოციდან ოცდახუთამდე დაკავებული, თუმცა ისინი არ შესწრებიან ძალადობის ფაქტს. იმავე პერიოდში გამოძიებამ დაიკითხა ჯგუფის დანარჩენი ოცდასამი წევრი. ისინი ერთხმად აცხადებდნენ, რომ სპეციალური ოპერაციის ძალების

თანამშრომლებმა დაკავების დღეს მათ მიმართ განახორციელეს არასათანადო მოპყრობა.

2017 წლის ივნისში, გამომძიებელმა დაკითხა ქარელის პოლიციის ორი ყოფილი მაღალჩინოსანი. მან ასევე, მოიპოვა ყინწვისის ოპერაციის ვიდეოჩანაწერი. 2017 წლის 19 ივლისს, დანაშაული გადაეკვალიფიცირდა სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რაც გულისხმობს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას ძალადობით. პროკურორმა დაასკვნა, რომ არსებობდა საკმარისი სამედიცინო მტკიცებულება, რომელიც ადასტურებდა 2011 წლის 26 მაისს, მომჩივნისა და სხვა დაკავებულებისთვის მიყენებულ სხვადასხვა დაზიანებას. 2018 წლის მაისში, კიდევ ერთხელ დაიკითხნენ ჯგუფის სხვა წევრები, რომლებმა წარმოადგინეს დეტალური ახსნა-განმარტება და დამატებით აღწერეს არასათანადო მოპყრობის განმახორციელებელი პოლიციის თანამშრომლები. ისინი აცხადებდნენ, რომ სპეციალური ოპერაციების ძალის თანამშრომლები მეგრულად საუბრობდნენ.

2018 წლის 25 ივლისს, მომჩივანმა კიდევ ერთი წერილი წარადგინდა მთავარი პროკურატურის ოფისში. ის დავობდა, რომ მიუხედავად მისი განცხადებისა, რომ შეძლებდა პოლიციის ოფიცრების იდენტიფიცირებას, უკვე შვიდ წელზე მეტია არ ჩატარებულა საიდენტიფიკაციო პროცედურა. მან ასევე, მოითხოვა მისთვის მიენიჭებინათ დაზარალებულის სტატუსი და დანაშაული გადაეკვალიფიცირებინათ წამების მუხლით. მისი წერილები უპასუხოდ დარჩა.

2018 წლის ივნის-სექტემბერში განხორციელდა დამატებითი საგამომძიებო მოქმედებები მათ შორის, დაიკითხა ყინწვისის მონასტრის ბერები.

საქმის მასალების მიხედვით, საქმის წარმოება კვლავ მიმდინარეობს.

## **სამართალი**

### **კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა**

მომჩივანი კონვენციის მე-3 მუხლზე დაყრდნობით დავობდა, რომ დაკავების დღეს ის დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას და ამ ფაქტთან დაკავშირებით არ ჩატარებულა ეფექტიანი გამოძიება.

#### *(i) საჩივრის პროცედურული ასპექტი*

სასამართლო დასაწყისშივე აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე წარდგენილი მომჩივნის საჩივარი სადავო იყო. კონვენციის მე-3 მუხლი ხელისუფლებას ავალდებულებს, ჩაატაროს ეფექტიანი გამოძიება. წინამდებარე საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს თითქმის რვა წელია.



სასამართლო აღნიშნავს, რომ ხელისუფლებამ წარმოადგინა რა, მიმდინარე გამოძიების ფარგლებში ჩატარებულ სხვადასხვა საგამოძიებო ღონისძიებებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია, ვერ უზრუნველყო წარმოდგინა ახსნა-განმარტება უმოქმედობის რამდენიმე პერიოდთან დაკავშირებით. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საქმის წარმოება დაიწყო დროულად – სავარაუდო ინციდენტის განხორციელებიდან რამდენიმე დღეში, ერთადერთი საგამოძიებო მოქმედება, რომელიც თავდაპირველი თვრამეტი თვის განმავლობაში განხორციელდა, იყო 2011 წლის 2 სექტემბერს მომჩივნის დაკითხვა. საგამოძიებო ხელისუფლებამ არ ჩაუტარა მომჩივნის ექსპერტიზა, მიუხედავად იმ ხილული დაზიანებებისა, რომლებიც მას აღენიშნებოდა. მისი დაპატიმრების დღეს მსგავსი ექსპერტიზის ჩატარება, მთავრობას შესაძლებლობას მიცემდა შეესრულებინა მტკიცების ტვირთი და წარმოდგინდა სარწმუნო ახსნა-განმარტება დაზიანებებთან დაკავშირებით. ერთადერთი სამედიცინო შემოწმება რაც იმ დროს მომჩივნის ჩაუტარდა, განხორციელდა სისხლისსამართლებრივი საქმის წარმოების ფარგლებს გარეთ, მომჩივნის ინიციატივითა და ხარჯებით.

შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ წინამდებარე საქმეზე გამოძიების საწყისი და ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი ხასიათდებოდა სრული უმოქმედობით. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის დასკვნას, რომლის თანახმად, სამედიცინო შემოწმება, ისევე როგორც ადვოკატის ხელმისაწვდომობის უფლება და დაკავების თაობაზე მესამე პირისთვის ინფორმაციის მიწოდების უფლება, წარმოადგენს არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ დაკავებულ პირთა ფუნდამენტურ გარანტიებს, რომლებიც ვრცელდება თავისუფლების აღკვეთის წუთებიდანვე.

შემდგომ, დაახლოებით თექვსმეტი თვის შემდეგ, 2012 წლის დეკემბერში, გამოძიება განახლდა. უპირველეს ყოვლისა, დაიკითხა მომჩივანი და სხვა მრავალი მოწმე. გამოძიების ეს აქტიური ფაზა დასრულდა 2013 წლის აპრილში და კვლავ შეიცვალა უმოქმედობით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, 2016 წლის მაისამდე. მთავრობას არ წარმოუდგენია რაიმე მიზეზი საქმის წარმოებაში სამწლიან პაუზასთან დაკავშირებით. 2016 წლის მაისში საქმე გადაეცა მთავარი პროკურატურის ოფისს, თუმცა საქმის წარმოება კვლავ ერთი წლით გაჩერდა. 2017 წლის ივნის-სექტემბრის პერიოდში გადაიდგა რამდენიმე საგამოძიებო ნაბიჯი, რომელსაც მოჰყვა გამოძიების ინტენსიური ფაზა 2018 წლის აპრილ-სექტემბრის პერიოდში. საქმის მასალების მიხედვით, საქმის წარმოება

კვლავ მიმდინარეობს და ამ დრომდე არ არის იდენტიფიცირებული ექვმიტანილი.

სასამართლომ წინა საქმეებში ყურადღება გაამახვილა, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა არსებობდეს დაბრკოლებები ან სიძნელეები, რომლებიც კონკრეტულ გარემოებაში ხელს უშლის გამოძიების წინსვლას, ხელისუფლების ორგანოების მხრიდან არასათანადო მოპყრობის ბრალდებაზე დროული პასუხი, ზოგადად, შეიძლება მიჩნეულ იქნეს კანონის უზენაესობის მიმართ საზოგადოებრივი ნდობის შენარჩუნების არსებით ნაწილად. მოპასუხე მთავრობის მიერ განხორციელებული თითოეული საგამოძიებო მოქმედებების შინაარსში შესვლის გარეშე, სასამართლო აღნიშნავს შემდეგს: საქმის მასალების თანახმად, დაახლოებით რვა წლის განმავლობაში შესაბამისმა ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო მოხდინა იდენტიფიცირება, სპეციალური ოპერაციული ძალების რომელმაც დანაყოფმა ჩაატარა მომჩივნისა და მისი ჯგუფის დაკავების ოპერაცია. შესაბამისად, არცერთი ოფიცერი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ყინწვისის ოპერაციაში, ამ დრომდე არ დაკითხულა. ეს გარემოება თავისთავად საკმარისია სასამართლოსთვის, რათა ეჭვქვეშ დააყენოს მიმდინარე გამოძიების მიზანი და მიმართულება.

დასკვნის სახით, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხე მთავრობამ ვერ უზრუნველყო სარწმუნო მიზეზების წარმოდგენა, რომლებიც გაამართლებდა სამართალწარმოების ხანგრძლივობას. წინამდებარე საქმეში გაუმართლებელმა გაჭიანურებებმა, რომლებსაც თან ერთვოდა ზემოთ განხილული ხარვეზები, მნიშვნელოვნად დააზიანა გამოძიების ეფექტურობა, რამაც სასამართლო მიიყვანა დასკვნამდე, რომ გამოძიება კონვენციის მე-3 მუხლის მიზნებისთვის არაეფექტური იყო. აღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე, სასამართლო საჭიროდ არ მიიჩნევს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე საჩივრის წარდგენამდე, მომჩივანი უნდა დაელოდოს სისხლის სამართლის საქმის წარმოების დასრულებას, ვინაიდან აღნიშნული საქმის წარმოების შედეგი ნებისმიერ შემთხვევაში, ვერ გამოასწორებს არსებულ გაჭიანურებას.

შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ წინამდებარე საქმეზე დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ასპექტი.

*(ii) საჩივრის მატერიალურსამართლებრივი ასპექტი*

რაც შეეხება მომჩივნის საჩივარს კონვენციის მე-3 მუხლის მატერიალურსამართლებრივ ნაწილთან დაკავშირებით, სასამართლო შენიშნავს,

რომ არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ დაკავების დღეს მომჩივანს აღნიშნებოდა სხვადასხვა სახის დაზიანება სახესა და სხეულზე. მთავრობა სადავოდ არ ხდის მომჩივნის ვიზუალური დათვალიერების შედეგად გაკეთებულ დასკვნებს. უფრო მეტიც, მათ არასდროს უღავიათ, რომ მომჩივანმა აღნიშნული დაზიანებები დაკავებამდე მიიღო ან მან წინააღმდეგობა გაწია დაკავების დროს და შესაბამისად, მის მიმართ ძალის გამოყენება გამართლებული იყო. ამის საპირისპიროდ, მთავრობამ წარმოადგინა პროკურატურის გადაწყვეტილების ასლი გამოძიების გადაკვალიფიცირებასთან დაკავშირებით, რომლის თანახმად, პროკურორმა დაასკვნა, რომ არსებობდა საკმარისი მტკიცებულება, რომელიც ცხადყოფდა, რომ მომჩივანმა ზემოხსენებული დაზიანებები დაკავების ოპერაციის დროს მიიღო. უფრო მეტიც, თავიანთი პოზიციის ნაწილად მთავრობამ სასამართლოს წარუდგინა სხვადასხვა მოწმის ჩვენება, რომლებიც მნიშვნელოვანწილად, ამყარებდა მომჩივნის ვერსიას განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით.

საქმეში არსებული ფაქტების გათვალისწინებით, სასამართლო განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიიჩნევს აღნიშნოს, რომ თავისუფლებააღკვეთილ პირთან მიმართებით ან იმ პირებთან მიმართებით, რომლებიც ზოგადად, დაპირისპირებულნი არიან სამართალდამცავ ორგანოებთან, ფიზიკური ძალის ნებისმიერი გამოყენება, რომელიც მკაცრად აუცილებელი არ არის მისი ქცევიდან გამომდინარე, აკნინებს ადამიანის ღირსებას და პრინციპში, არღვევს კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ უფლებას. ამის გათვალისწინებით, მთავრობის არგუმენტი, რომ არ არსებობს სამედიცინო მტკიცებულება, რომელიც მიუთითებს მომჩივნის დაზიანების მასშტაბსა და სიმძიმეზე, არარელევანტურია. ნებისმიერ შემთხვევაში, მტკიცებულების თვალსაზრისით, საქმეში არსებული მდგომარეობა არის ხარვეზიანი გამოძიების შედეგი, რომელზე პასუხისმგებლობაც სრულებით მთავრობას ეკისრება.

შეჯამების სახით, მთავრობამ აღიარა, რომ მომჩივანი 2011 წლის 26-27 მაისს, მათი იურისდიქციის ქვეშ იმყოფებოდა და შესაბამისად, მან დაზიანებები სწორედ ამ პერიოდის განმავლობაში მიიღო. მათ ვერ შეძლეს წარმოედგინათ სარწმუნო ახსნა-განმარტება მიყენებული დაზიანების წარმომავლობასთან დაკავშირებით. მომჩივნის მიერ არასათანადო მოპყრობის აღწერილობისა და საქმის მასალებში არსებული მტკიცებულებების გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, რომ აღნიშნული დაზიანებები არასათანადო მოპყრობის შედეგი იყო, რომელსაც მომჩივანი დაკავების დღეს დაექვემდებარა. შესაბამისად, სასამართლო ასკვნის, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის მატერიალურსამართლებრივი ნაწილიც.

**კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის სავარაუდო დარღვევა**

მომჩივანი დავობდა, რომ ის de facto დააკავეს 2011 წლის 26 მაისის დილით, ყინწვისში, ხოლო ოფიციალურ დოკუმენტებში მისი დაკავების შესახებ ჩანაწერის მიხედვით ის დაკავებულ იქნა თბილისში, 2011 წლის 27 მაისს, 6:12 წუთზე.

სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობის განცხადებით საჩივარი დაუშვებელი იყო, ვინაიდან მომჩივანს არ ამოუწურავს შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალება და ამასთან, გასულია გასაჩივრების ექვსთვიანი ვადა. თავის მხრივ, მომჩივანი აცხადებდა, რომ მან ამოწურა ყველა საშუალება. სასამართლომ გადაწყვიტა განესაზღვრა სამართლებრივი დაცვის საშუალება, რომელსაც შესაბამისი პრეცედენტული სამართლის თანახმად, შეეძლო ეფექტიანად გამოესწორებინა დარღვევით გამოწვეული ზიანი.

მომჩივანი დაკავებულ იქნა მის წინააღმდეგ განხორციელებული სისხლისსამართლებრივი საქმის წარმოების ფარგლებში. მის ხელთ იყო არსებული habeas corpus პროცედურა. მსგავსი პროცედურები იყო ყველაზე ეფექტური, ვინაიდან მას შეეძლო მომჩივნის დაუყოვნებლივი გათავისუფლება თუ მისი თავდაპირველი დაკავება უკანონო იყო. საქმის მასალების მიხედვით, მომჩივანმა ისარგებლა ამ საშუალებით. ის დავობდა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლით გათვალისწინებული 48-საათიანი ვადა დარღვეული იყო. შესაბამისად, მომჩივანი ასაჩივრებდა დაკავების კანონიერებას, თუმცა წარუმატებლად.

სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივანი ვერ იქნება გაკრიტიკებული იმის გამო, რომ მან არ ისარგებლა სხვა სამართლებრივი დაცვის საშუალებით. შესაბამისად, სასამართლო უარყოფს მთავრობის პირველ პრეტენზიას.

რაც შეეხება მთავრობის მეორე არგუმენტს, მომჩივნის საჩივრის დაუშვებლობასთან დაკავშირებით იმის გამო, რომ გასული იყო ექვსთვიანი ვადა, როგორც სასამართლომ ზემოთ აღნიშნა, მომჩივანი ასაჩივრებდა მისი თავდაპირველი დაკავების უკანონობას, როდესაც ის პირველად წარსდგა სასამართლოს წინაშე, წინასწარი პატიმრობის საკითხის გადაწყვეტისას. 2011 წლის 28 მაისს, მოსამართლემ უარყო მისი ბრალდებები, რაც 2011 წლის 6 ივნისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებებით ძალაში იქნა დატოვებული. მომჩივანს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაბარდა 2011 წლის 9 ივნისს. მსგავს გარემოებებში, 2011 წლის 9 ივნისს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მომჩივნისთვის ცხადი უნდა გამხდარიყო, რომ მისი შემდგომი საჩივრები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წარუმატებელი იქნებოდა.

მომჩივანმა განაცხადა, რომ მან გამოიყენა სისხლისსამართლებრივი დაცვის საშუალება, რომლის არაადეკვატურობაც მისთვის ცნობილი გახდა 2011 წლის დეკემბერში, როდესაც მას განმეორებით ეთქვა უარი მინიჭებოდა დაზარალებულის სტატუსი, მიმდინარე სისხლისსამართლებრივ სამართალწარმოებაში. სასამართლომ არ გაითვალისწინა მომჩივნის არგუმენტი. გვერდზე რომ გადაიდოს საკითხი, სჭირდებოდა თუ არა მომჩივანს წარუმატებელი habeas corpus პროცედურის შემდეგ სისხლისსამართლებრივი დაცვის საშუალებისთვის მიმართვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე საჩივრის წარდგენამდე, სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანმა კონვენციის მე-5 მუხლის მიხედვით, არსებული საჩივრები საკმარისად ცალსახად არ გააუღერა არცერთ საჩივარში. მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანმა აღნიშნა, რომ ის ყინწვისის მონასტერში დააკავეს, ის არ აცხადებდა, რომ ამის გამო მისი დაკავება უკანონო იყო ან ეს წარმოადგენდა დაკავებას, რომელიც ოფიციალურად არ იყო დადასტურებული. სასამართლოს მოსაზრებით, მომჩივანს არ ჰქონდა მოლოდინის საფუძველი, რომ პროკურატურა საკუთარი ინიციატივით გამოიძიებდა თავდაპირველი დაკავების უკანონობას.

შესაბამისად, მოცემული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, რომ ექვსთვიანი ვადის ათვლის წერტილი იყო 2011 წლის 9 ივნისი, როდესაც თბილისის სააპელაციო სასამართლომ დაადასტურა მომჩივნის დაკავების კანონიერება და მას შეეფარდა პატიმრობა. წინამდებარე საჩივარი სასამართლოში შეტანილ იქნა 2012 წლის 21 ივნისს.

ამრიგად, მომჩივნის საჩივარი კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე ხანდაზმული იყო და შესაბამისად, დაუშვებელი კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი და მე-4 ნაწილების თანახმად.

**ზიანი:** მომჩივანს არამატერიალური ზიანის ანაზღაურების სანაცვლოდ, სასამართლომ 10 000 ევრო მიაკუთვნა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად,

1. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ნაწილი;
2. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის მატერიალურსამართლებრივი ნაწილი.

**შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2 და სხვები  
საქართველოს წინააღმდეგ**

**(Rustavi 2 Broadcasting Company LTD and Others v. Georgia)**

საჩივარი №16812/17

18 ივლისი, 2019

## **ფაქტები**

პირველი მომჩივანი – სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“ დავობდა, რომ ეროვნული სასამართლოების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება არაპროპორციულად ეწეოდა მათ საკუთრების უფლებაში და უარყოფითი გავლენა ჰქონდა სარედაქციო დამოუკიდებლობაზე; აღნიშნული აგრეთვე, წარმოადგენდა არხის გაჩუმების ფარულ მცდელობას.

პირველი მომჩივანი, მეორე, მესამე და მეოთხე მომჩივნებთან – „ტვ საქართველოსთან“ და ძმებ ლევან და გიორგი ყარამანიშვილებთან ერთად, დავობდა, რომ კომპანიის საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული დავა არც ერთ ინსტანციურ დონეზე არ განხილულა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

მეორე, მესამე და მეოთხე მომჩივნები ასევე, დავობდნენ, რომ სამოქალაქო დავის შედეგი გავლენას ახდენდა მათ სხვადასხვა ქონებრივ ინტერესზე.

## **სამართალი**

ა) პირველი მომჩივნის საჩივრებთან მიმართებით

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის, მე-10, მე-18 მუხლებისა და 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის საფუძველზე, პირველი მომჩივნის – სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის მიერ შეტანილი საჩივრები ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიუღებლად მიიჩნია. მისი განმარტებით, სარჩელის უზრუნველყოფის პროცედურებთან დაკავშირებით, „რუსთავი 2“-მა საჩივარი ევროპულ სასამართლოში კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პარაგრაფით გათვალისწინებული გასაჩივრების 6-თვიანი ვადის დარღვევით შეიტანა. სასამართლოს მითითებით, აღნიშნული ვადის ათვლა უნდა მომხდარიყო 2015 წლის 20 ნოემბრიდან – იმ თარიღიდან, როდესაც თბილისის

სააპელაციო სასამართლომ განჩინებით, პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე, ძალაში დატოვა. სასამართლომ განმარტა, რომ წინამდებარე საქმეში, სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე, პირველ მომჩივანთან მიმართებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს სწორედ ხსენებული განჩინებიდან უნდა მომხდარიყო გასაჩივრებული ვადის ათვლა.

რაც შეეხება, შპს სამაუწყებლო კომპანიის წილებზე მიმდინარე დავას, [ადამიანის უფლებათა ევროპულმა] სასამართლომ პირველ მომჩივანთან მიმართებით დაადგინა, რომ აღნიშნულთან მიმართებით მისი საჩივარი შეუსაბამო იყო კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პარაგრაფის „ა“ ქვეპუნქტით გამყარებულ *ratione personae*-ის პრინციპთან და შესაბამისად, მისი საჩივარი ამ ნაწილშიც მიუღებლად მიიჩნია.

ბ) მეორე, მესამე და მეოთხე მომჩივანთა საჩივრებთან მიმართებით

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-18 მუხლისა და 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის საფუძველზე, მეორე, მესამე და მეოთხე მომჩივანების – „ტვ საქართველოს,“ ძმები ლევან და გიორგი ყარამანიშვილების მიერ შეტანილი საჩივრები ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიუღებლად მიიჩნია.

სასამართლოს შეფასებით, საჩივრები იყო აშკარად უსაფუძვლო, კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის შესაბამისად, როგორც ცალკე აღებული, ასევე კონვენციის მე-18 მუხლთან ერთიანობაში.

## **მუხლი 6§1**

*ა) ბოლო ინსტანციურ დონეზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული დავის სამართლებრივ შემოწმებაში, არასაჭირო ცვლილებასთან მიმართებით წარდგენილი საჩივრის მისაღებობა*

სასამართლომ მიიჩნია, რომ ბოლო ინსტანციურ დონეზე უზენაესი სასამართლოს მიერ დავის განხილვის პირობებში მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითი პროცესის პრინციპები არ დარღვეულა. ამასთან, უზენაესი სასამართლო უფლებამოსილი იყო, შეემოწმებინა ქვემდგომი სასამართლოების მიერ კონკრეტული სამართლებრივი დანაწესების ინტერპრეტაციის სისწორე. შედეგად, სასამართლოს პოზიციით, მომჩივანთა საჩივარი ამ მიმართულებით შესაძლოა შეფასდეს, როგორც აშკარად უსაფუძვლო და შესაბამისად, მიუღებლად უნდა იქნას მიჩნეული.

*ბ) მისაღებობა უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილების არასათანადო და/ან თვითნებურ დასაბუთებასთან მიმართებით*

სასამართლოს შეფასებით, უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილების დასაბუთება არ შეიცავდა „შეფასებასთან დაკავშირებულ აშკარა დარღვევებს,“ ხოლო ამ მიმართულებით მომჩივანთა შესაბამისი პრეტენზიები იყო „მეოთხე ინსტანციის“ ბუნების და შედეგად, მათი აშკარა უსაფუძვლობის გამო ისინი მიუღებლად უნდა იქნეს მიჩნეული.

*გ) საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული დავის განხილვაში მონაწილე მოსამართლეთა დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან მიმართებით წარდგენილი საჩივრის მისაღებობა*

სასამართლო დაასკვნის, რომ საჩივარი არ არის აშკარად უსაფუძვლო კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პარაგრაფის „ა“ ქვეპუნქტის მნიშვნელობიდან გამომდინარე. სასამართლოს მიერ არ დადგენილა მისი მიუღებლად მიჩნევის სხვა არანაირი საფუძველი. მაშასადამე, ის უნდა გამოცხადდეს მისაღებად.

## **სასამართლოს შეფასება**

*(ი) პირველი ინსტანციის სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა*

მომჩივნების განცხადებით, სამაუწყებლო კომპანიის ყოფილმა მესაკუთრემ, რომელმაც დაიწყო საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული სამართალწარმოება, იცოდა რა, რომ პირველი ინსტანციის მოსამართლე წარმოდგენდა ინტელექტუალური საკუთრების დავებზე სპეციალიზებულ ერთადერთ მორიგე მოსამართლეს სამოქალაქო კოლეგიაში, საკუთარ სარჩელში ხელოვნურად მიუთითა საავტორო უფლებებთან დაკავშირებული აშკარად უსაფუძვლო მოთხოვნა. საქმის გარემოებებზე დაყრდნობით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ დაეთანხმა მომჩივნებს იმასთან დაკავშირებით, რომ სახეზე იყო „ფორუმ სპოპინგ“ (სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ სასამართლოთა საერთაშორისო კომპეტენციის სისტემური გამოყენება გარკვეული სამართლებრივი ან ფაქტობრივი სარგებლის მიღების მიზნით). არსებული დოკუმენტაციის თანახმად, დავის განსახილველად ზემოთ ხსენებული სპეციალიზაციის მქონე (ინტელექტუალური სამართალი) კიდევ ორი მოსამართლე იყო ხელმისაწვდომი. მოსამართლემ თავად დაადასტურა, რომ სასამართლოში საქმეთა განაწილება მოხდა შესაბამის საკანონმდებლო დანაწესთა დაცვით, ანბანური თანმიმდევრობით. მომჩივნებმა ვერ შეძლეს



მოსამართლის ამ მყარი განმარტების უარყოფა და ვერ წარმოადგინეს რაიმე მტკიცებულება გარკვეული ალტერნატიული ვერსიის მხარდასაჭერად, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიძლებოდა დაწეროდა მოსამართლეს აღნიშნული დავა. შესაბამისად, ამ მიმართულებით მომჩივანთა პრეტენზიები იყო დაუსაბუთებელი.

მოსამართლის მეუღლემ სოციალურ ქსელში – ფეისბუქზე, გამოაქვეყნა რამდენიმე პოსტი, სადაც გამოხატავდა ნეგატიურ შეხედულებებს „რუსთავი 2“-ის, როგორც სამაუწყებლო კომპანიის და პირადად, მისი გენერალური დირექტორის მიმართ. თუმცა, მას არ გაუკეთებია კომენტარი რაიმე ფორმით, საკუთრების შესახებ მიმდინარე დავის შედეგებთან დაკავშირებით. ვერც ერთი ფეისბუქპოსტი ვერ იქნება აღქმული ისე, თითქოს მოსამართლის მეუღლე ცდილობდა გაემხილა მისი ქმრის სასამართლო პოზიცია ან გავლენა მოეხდინა მასზე. სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების მიხედვით, მოსამართლემ არ უნდა დაუშვას, რომ მისმა ოჯახურმა, სოციალურმა ან სხვა ურთიერთობებმა არაჯეროვანი გავლენა მოახდინოს მის სამოსამართლო ქცევაზე. სასამართლო მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვა არ უშლის ხელს მოსამართლის ოჯახს, რომ გამოხატოს საკუთარი აზრი საზოგადოებრივ საკითხებზე. ამის მიუხედავად, ვერ გამოირიცხება, რომ გარკვეულ გარემოებებში ახლო ოჯახის წევრების ქმედებები შესაძლოა უარყოფითად აისახოს მოსამართლის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით საზოგადოების აღქმაზე. წინამდებარე საქმეში, მომჩივნებმა არ წარმოადგინეს რაიმე მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ საქმეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსამართლეზე გავლენა იქონია სოციალურ ქსელში მისი მეუღლის განცხადებებმა. მოსამართლემ მისი აცილების შესახებ შუამდგომლობაზე უარის თქმის შესახებ განჩინებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი მეუღლე მასთან არასდროს ათანხმებდა საკუთარი ფეისბუქპოსტების შინაარსს და მან არც კი იცოდა აღნიშნული პოსტების არსებობის შესახებ. ობიექტური დამკვირვებლის გადმოსახედიდან, მოსამართლემ მოახერხა საკუთარი თავის საკმარისი დისტანცირება იმ მოსაზრებებისგან, რომლებიც მისმა მეუღლემ გამოხატა სოციალურ ქსელში.

სასამართლომ ასევე, არ დააკმაყოფილა მომჩივნების არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ მოსამართლეზე შესაძლოა გავლენა მოეხდინა სისხლის სამართლის სამართალწარმოებას, რომელიც მისი დედის წინააღმდეგ იქნა აღძრული. როგორც პროკურატურამ – ეროვნულ დონეზე, ასევე მთავრობამ [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლოს წინაშე საქმის სამართალწარმოებისას წარმოადგინეს დასაბუთებული განმარტება მომჩივნების

მოსაზრებით არსებულ საექვო გარემოებებთან მიმართებით. საბოლოოდ, სასამართლომ არ გაიზიარა მომჩივანთა პრეტენზიები მოსამართლის მიერ მიღებულ სხვადასხვა პროცედურული ხასიათის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით და აგრეთვე, იმის თაობაზე, რომ საქმის სწრაფი განხილვა მიუთითებდა მის მიკერძოებულობაზე. უბრალოდ, მხარის მიერ მისთვის არახელსაყრელი პროცედურული გადაწყვეტილებების წარმოდგენა ვერ შეფასდება სასამართლოს მიკერძოებულობის დამადასტურებელ ღირებულ მტკიცებულებად.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის დარღვევა ვერ დაეფუძნება გადაწყვეტილების მიმღები სასამართლოს დამოუკიდებლობის ან მიუკერძოებლობის დაბალ ხარისხს, თუკი მიღებული გადაწყვეტილება დაექვემდებარა ზემდგომი სასამართლო ორგანოს სასამართლო კონტროლს, რომელსაც გააჩნდა სრული იურისდიქცია და რომელმაც უზრუნველყო, ამ ზემოთ ხსენებულ დებულებაში განსაზღვრული გარანტიების დაცვა. მომჩივნებს შესაძლებლობა ჰქონდათ, მიემართათ სააპელაციო სასამართლოსთვის, რომელმაც არა მხოლოდ უზრუნველყო საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული მოცემული დავის არსებითი, სამართლებრივი საფუძვლების ხელახალი შემოწმება, არამედ ასევე განიხილა მომჩივანთა მიერ მოსამართლის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ეჭვქვეშ დაყენების საკითხი.

**დასკვნა:** დარღვევა არ დადგინდა (ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ).

*(ii) თბილისის სააპელაციო სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა*

348. მეორე, მესამე და მეოთხე მომჩივნები სადავოდ ხდიდნენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას, პირველ ინსტანციაში საქმის განმხილველი სამმოსამართლიანი კოლეგიის ერთ-ერთი მოსამართლის ნ.გ.-ის მიმართ, მოსამართლე თ.უ.-სთან (რომელმაც პირველ ინსტანციაში მიიღო საქმეზე გადაწყვეტილება) მისი სავარაუდო სიახლოვის გათვალისწინებით. ამ ვარაუდის გასამყარებლად, მომჩივნები მიუთითებდნენ იმ ფაქტზე, რომ ორივე მოსამართლე წარმოადგენდა არასამათავრობო ორგანიზაცია „საქართველოს მოსამართლეთა კავშირის“ დამფუძნებელ წევრს – ორგანიზაციის, რომელმაც მათი (მომჩივნების) მოსაზრებით, პირველი ინსტანციის მოსამართლის მხარდამჭერი უადგილო განცხადებები გააკეთა.

349. მიუხედავად ამისა, სასამართლო მიიჩნევს, რომ ობიექტური დამკვირვებლის გადმოსახედიდან, საკითხის რეალისტურად და პრაქტიკულად განხილვის გზით,

მოსამართლე ნ.გ.-ის მიმართ მომჩივანთა მიერ წარმოდგენილი არგუმენტაცია უსაფუძვლოა. პირველ რიგში, სასამართლო კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ მოსამართლეს ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა ინდივიდს აქვს გამოხატვის, რწმენის, გაერთიანებისა და შეკრების თავისუფლება, მაგრამ აღნიშნული უფლებებით სარგებლობისას, მან თავი იმგვარად უნდა წარმოაჩინოს, რომ შეინარჩუნოს მისი სამოსამართლო ღირსება და სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა (შედარებისთვის იხ.: *mutatis mutandis*, ნ.გ. იტალიის წინააღმდეგ, №37119/97, §§31 და 32, ECHR 2001-IX; *კუდეშკინა რუსეთის წინააღმდეგ*, №29492/05, §86, 26 თებერვალი, 2009; *პარაბინი შვედეთის წინააღმდეგ* (განჩინება) №62584/00, 29 ივნისი, 2004). მოსამართლეს შეუძლია, შექმნას ან შეურთდეს მოსამართლეთა ასოციაციებს ან მიიღოს მონაწილეობა ისეთ ორგანიზაციებში, რომლებიც მოსამართლეთა ინტერესებს წარმოადგენენ (იხ.: ბანგალორის პრინციპების კომენტარი). ამდენად, სასამართლო არასათანადოს ვერაფერს ხედავს იმ ფაქტში, რომ მოსამართლეები – თ.უ. და ნ.გ., სხვა თექვსმეტ მოსამართლესთან ერთად, არიან მოქმედ მოსამართლეთა ინტერესების დამცველი ასოციაციის „საქართველოს მოსამართლეთა კავშირის“ თანადამფუძნებლები. საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული აღნიშნული დავის განხილვისას, მოცემული პირები ისევე წარმოადგენდნენ ორგანიზაციის წევრებს, საქართველოს დაახლოებით, ორმოცდაათ მოქმედ მოსამართლესთან ერთად.

350. რაც შეეხება მოსამართლეთა ასოციაციის მიერ 2015 წლის 31 აგვისტოსა და 20 ოქტომბერს გაკეთებულ განცხადებებს, სასამართლო არასათანადოს ვერაფერს ხედავს ვერც ამ შემთხვევასთან დაკავშირებით. პირველეს ყოვლისა, ის მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ ეს განცხადებები გაკეთდა მოსამართლე თ.უ.-ის მიმართ რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორის მიერ განხორციელებული საჯარო თავდასხმების საპასუხოდ. ტერმინები და გამონათქვამები, რომლებიც გენერალურმა დირექტორმა გამოიყენა ხსენებული მოსამართლის მისამართით, თავის სატელევიზიო განცხადებებში მოიცავდა შემდეგ სიტყვებს: „ზონდერ-მოსამართლე“ (ეს უკანასკნელი გამონათქვამი გამოყენებული იყო ნაციონალური კონოტაციით), „მოსამართლეს ფეხქვეშ მიწა ეწვის“, „უცოდინარი“, „კორუმპირებული“, „მარიონეტი“, „თემიდას ფსევდომსახური“, „ნაჯახით შეიარაღებული“, „დაქირავებული“, „ნაძირალა.“ ამ მიმართულებით, სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს, ხაზი გაუსვას, რომ მართალია, სამართალწარმოების მხარეებმა შესაძლოა დაიცვან საკუთარი უფლებები და კანონიერი ინტერესები ემოციური ფორმით, რაც შეიძლება მოიცავდეს ენერგიულ და ენთუზიაზმით სავსე განცხადებებსაც, თუმცა მათ მიმართ არსებობს მოლოდინი, რომ აღნიშნული ქცევა განახორციელონ მკაცრად, სასამართლო დარბაზის ფარგლებში (იხ.: მაგალითად, *ჩეფერინი*

სლოვენის წინააღმდეგ, №40975/08, §54, 16 იანვარი, 2018). ამის საპირისპიროდ, მოცემულ საქმეში რუსთავი 2-ის გენერალურმა დირექტორმა გადაწყვიტა, მოსამართლე თ.უ.-ის მოსამართლთა მისი კრიტიკა გაეუღებინა არა სასამართლო დარბაზში, რისი სრული შესაძლებლობაც ჰქონდა, არამედ რუსთავი 2-ის ძლიერი მედია პლატფორმის გამოყენებით და რაც უფრო მნიშვნელოვანია, მოსამართლის პროვოცირებისა და მისი აცხადების საფუძვლის ხელოვნურად შექმნის შეუფერებელი მიზნით.

351. მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ ჩვეულებრივ პირთან შედარებით მოსამართლე თ.უ.-ზე ვრცელდება მისაღები კრიტიკის უფრო ფართო ფარგლები (იხ.: მორისი საფრანგეთის წინააღმდეგ, §131), სასამართლო მიიჩნევს, რომ რუსთავი 2-ის გენერალურმა დირექტორმა სატელევიზიო არხის მეშვეობით, მოსამართლის მიმართ ძლიერი, პიროვნული ხასიათის თავდასხმების განხორციელებით გადააბიჯა დაშვებული კრიტიკულობის ზღვარს (იხ.: როდრიგეს რაველო ესპანეთის წინააღმდეგ, №48074/10, §46, 12 იანვარი, 2016; კინჩესი უნგრეთის წინააღმდეგ, №66232/10, §37, 27 იანვარი 2015; სადაი თურქეთის წინააღმდეგ, №32458/96, §35, 30 მარტი, 2006; სკალკა პოლონეთის წინააღმდეგ, №43425/98, §36, 27 მაისი, 2003). ვინაიდან რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორის უსაფუძვლო მედია თავდასხმები მოსამართლე თ.უ.-ზე შესაძლებელია შეფასდეს, როგორც მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღებასა და ზოგადად, სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტის შეზღავნების უხამსი მცდელობა, სასამართლო არასათანადო ვერაფერს ხედავს სამოსამართლო ასოციაციის გადაწყვეტილებაში, გაეკეთებინათ საჯარო განცხადებები როგორც ზოგადად, სასამართლოს, ასევე კონკრეტულად, მოსამართლე თ.უ.-ის დასაცავად, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ეს უკანასკნელი მოკლებული იყო შესაძლებლობას, თავად გაეცა პასუხი დისკრეციის ვალდებულების საფუძველზე (იხ.: რადობულიაჩი ხორვატიის წინააღმდეგ, №51000/11, §54, 28 ივნისი, 2016; მორისი, ციტირებულია ზემოთ, §108). რაც შეეხება განცხადებების შემცველობას, სასამართლოს დაკვირვებით, ისინი იყო ცივილური და დაბალანსებული.

352. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მომჩივანთა არგუმენტაციაში ისეთს ვერაფერს ხედავს, რაც დაარწმუნებდა მოსამართლეებს – თ.უ.-სა და ნ.გ.-ის შორის რაიმე არასათანადო სიახლოვის არსებობაში, რაც ამ უკანასკნელს წაართმევდა შესაძლებლობას, სააპელაციო სასამართლოში დავა შესაბამისი დამოუკიდებლობითა და მიუკერძოებლობით განეხილა.

353. სასამართლო ადგენს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოცემული დავის განმხილველ კოლეგიის შემადგენლობას მიუკერძოებლობისა

და დამოუკიდებლობის საკითხთან მიმართებაში, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის დარღვევას ადგილი არ ჰქონია. სააპელაციო დონეზე, კონვენციის ზემოთ ხსენებული დანაწესით გამყარებული გარანტიები დაცული იყო.

**დასკვნა:** დარღვევა არ დადგინდა (ერთხმად).

*(iii) უზენაესი სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა*

354. მეორე, მესამე და მეოთხე მომჩივნები დავობდნენ, რომ საკუთრებასთან დაკავშირებული დავის განხილვისას, უზენაესი სასამართლოს ცხრა მოსამართლისგან შემდგარი დიდი პალატის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა ორი მოსამართლის – მოსამართლე მ.თ-სა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მონაწილეობის გამო.

*(ა) მოსამართლე მ. თ-სთან მიმართებით*

355. მოსამართლე მ.თ-სთან მიმართებით, მეორე, მესამე და მეოთხე მომჩივნების პრეტენზიის მთავარი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ მას [მოცემული დავის განხილვისას] უნდა დაეტოვებინა დიდი პალატის შემადგენლობა, ვინაიდან მან გაიღო ფინანსური კონტრიბუციები „ქართული ოცნების“ კოალიციის მიმართ რამდენიმე წლის წინათ. მიუხედავად ამისა, [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლო დამაჯერებლად არ მიიჩნევს აღნიშნულ არგუმენტებს.

356. უპირველეს ყოვლისა, საქმის ფაქტებზე დაყრდნობით, რუსთავი 2-ზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული დავა ეხებოდა ორ კერძო მხარეს. არც „ქართული ოცნების“ კოალიცია, როგორც პოლიტიკური პარტია და არც რომელიმე სახელმწიფო თანამდებობის პირი არ წარმოადგენდა სამართალწარმოების მხარეს და არ ყოფილა დაკავშირებული სააპელაციო სასამართლოს წინაშე არსებული საქმის არსთან (*პაბლა კაი ფინეთის წინააღმდეგ*, საქმესთან შედარების კუთხით, №47221/99, §33, ECHR 2004-V). მეორე მხრივ, იღებს რა, მხედველობაში ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა ხელისუფლების აღმასრულებელი და საკანონმდებლო შტოებისგან სასამართლოს დამოუკიდებლობა, სასამართლო აღიარებს, რომ მოსამართლეების მიერ საკამათო პოლიტიკურ დისკუსიებში მონაწილეობის მიღებისგან თავის შეკავების საჭიროების გარდა, როგორც წესი, უმჯობესია, სამოსამართლო მანდატის განმავლობაში, მოსამართლეებმა თავი შეიკავონ ისეთი პოლიტიკური აქტივობებისგან როგორცაა, მაგალითად, პოლიტიკური პარტიების მისამართით კონტრიბუციების გაღება (იხ.: აგრეთვე, ბანგალორის პრინციპები და კომენტარი). თუმცა, საქმის მასალებზე დაყრდნობით,

მოსამართლე მ. თ-მ ზემოთ აღნიშნული პარტიის მიმართ კონტრიბუცია გაიღო რამდენიმე წლით ადრე, იმ დროს, როდესაც კერძო სექტორში იყო დასაქმებული. მეორე, მესამე და მეოთხე მომჩივნებმა ვერ მოახერხეს, წარედგინათ სასამართლოსთვის სხვა რაიმე ფაქტი, რომელიც მიუთითებდა მოსამართლე მ. თ.-ის პოლიტიკურ აქტიუობაში ჩართულობაზე, მის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში.

357. შედეგად, სასამართლო დაასკვნის, რომ სახეზე არ ყოფილა მოსამართლე მ. თ.-ის აცილების საკმარისი საფუძველი. სასამართლო ხაზს უსვამს, რომ ის ფაქტი, რომ მომჩივანი სადავოდ ხდის მისი საქმის განხილვაში მონაწილე, იურისდიქციის სხვადასხვა დონეებზე მყოფი ყველა მოსამართლის ან მათი უმრავლესობის მიუკერძოებლობას, გარკვეული გარემოებების პირობებში შესაძლოა შეფასდეს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის ხელის შეშლის მცდელობად და მაშასადამე, აღნიშნული მიუთითებს მიკერძოებულობის კუთხით შუამდგომლობის დაყენების უფლებით არასათანადოდ სარგებლობაზე. ეროვნული სასამართლოების მოსამართლეების აცილების მოთხოვნა არ უნდა ისახავდეს მიზნად მოპასუხე სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის პარალიზებას; მოცემული ასპექტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როდესაც საქმე ეხება ბოლო ინსტანციის სასამართლოებს და შესაბამისად, ამგვარ მოთხოვნათა გასაჩივრება შეუძლებელია (ა. კ. ლისტენშტაინის წინააღმდეგ, №38191/12, 9 ივლისი, 2015; იხილეთ ზემოთ, §§80, 82.)

*(ბ) უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან მიმართებით*

358. მეორე, მესამე და მეოთხე მომჩივნები დავობდნენ, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც დიდი პალატის შემადგენლობაში შედიოდა, შესაძლოა ჰქონოდა პირადი ნეგატიური დამოკიდებულება „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის მიმართ, რადგან ამ უკანასკნელმა როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოფილმა წევრმა გარკვეული როლი შეასრულა 2006 წელს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წინააღმდეგ აღძრული დისციპლინური სამართალწარმოების დროს.

359. სასამართლო მიიჩნევს, რომ მხარის მიმართ პირადი ანტიპათია როგორც წესი, მიჩნეულ უნდა იქნას მოსამართლის აცილების სერიოზულ მიზეზად, რადგან მოსამართლეები ვალდებულნი არიან, იმოქმედონ პირადი, მტრული დამოკიდებულების გარეშე (შედარებისთვის იხ.: *მორისი*, ციტირებულია ზემოთ, §§165-166; *დებლელი ბელგიის წინააღმდეგ*, 22 სექტემბერი, 1994, §37, სერია „ა“, 292-B). თუმცა, პრაქტიკაში რთულია სუბიექტურ ტესტზე დაყრდნობით იმის დადგენა, იყო თუ არა მოსამართლე მიკერძოებული და სასამართლო როგორც წესი, სიტუაციას ობიექტური გადმოსახედიდან აფასებს. მაგალითად, საქმეში

ტოკონო და პროფესორი პრომეტეისტი, სასამართლომ დაადგინა, რომ მოსამართლის პირადი შუღლის არსებობა სამართალწარმოების მხარის მიმართ შეიძლება შეფასდეს მხოლოდ ობიექტურ ტესტზე დაყრდნობით, რომლის დროსაც, გასათვალისწინებელია არა მარტო წარსული მოვლენები, რომლებიც ობიექტური დამკვირვებლის გადმოსახედიდან შესაძლოა ანტიპათიის ღირებულ საფუძვლად იქნას მიჩნეული, არამედ ის საკითხიც, რეალურად ოდესმე გამოუხატავს თუ არა მოსამართლეს საპასუხო შეტევის განხორციელების სურვილი (იხ.: ტოკონო და პროფესორი პრომეტეისტი (*Tocono and Profesorii Prometeisti*), ციტირებულია ზემოთ, §§28-33).

360. სასამართლო აღიარებს, რომ ის ფაქტები, რომლებზეც მეორე, მესამე და მეოთხე მომჩივნები მიუთითებდნენ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წინააღმდეგ მათი საჩივრის გასამყარებლად, წარმოშობს სადავო საკითხს მიუკერძოებლობის დაბალ ხარისხთან დაკავშირებით. დისციპლინური სამართალწარმოება, რომლის შედეგადაც ხდება თანამდებობიდან გათავისუფლება, სერიოზული საკითხია, რომელმაც პრინციპში, შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს დაინტერესებული პირის პირად და პროფესიულ ცხოვრებაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ უზენაესი სასამართლოს გაფართოებულ შემადგენლობას, რომელიც უფლებამოსილია გადაწყვიტოს თავმჯდომარის აცილების საკითხი, სერიოზული გულდასმით უნდა განეხილა საკითხი. სასამართლოს დაკვირვებით, უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებაში, სიღრმისეულად განიხილა მომჩივანთა შესაბამისი არგუმენტები, ყურადღებით შეაფასა ისინი კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფით გათვალისწინებული როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური ტესტის ფარგლებში. ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილება მოიცავდა სიღრმისეულ დასაბუთებას, რომელიც დამაჯერებლად აქარწყლებდა მომჩივანთა მიერ გამოთქმულ ეჭვებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მიკერძოებულობასთან მიმართებით.

361. იმის კიდევ ერთხელ ხაზგასმით, რომ სასამართლო ყოველთვის უნდა მოიაზრებოდეს, როგორც პირადი ცრურწმენის ან მიკერძოებისგან თავისუფალი (იხ.: მაგალითისთვის, *კიპრიანუ*, ციტირებულია ზემოთ, §119) და რომ მოსამართლე მიუკერძოებულად ითვლება, ვიდრე არ დამტკიცდება ამის საპირისპირო (იხ.: *ჰაუსშილდტი დანიის წინააღმდეგ*, 24 მაისი 1989, §47, სერია ა. №154), [ადამიანის უფლებათა ევროპული] სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ მეორე, მესამე და მეოთხე მომჩივნებმა ვერც ეროვნულ დონეზე და ვერც მათ წინაშე არსებული სამართალწარმოების მიმდინარეობისას, ვერ წარმოადგინეს რაიმე სახის ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებდა უზენაესი

სასამართლოს თავმჯდომარის მხრიდან ნეგატიურ დამოკიდებულებას ნ.გ.-ს მიმართ იმ წარსულ მოვლენებთან მიმართებით, რომელიც ათწლეულზე უფრო დიდი ხნის წინ მოხდა. გარდა იმისა, რომ სახეზე არ გვაქვს საკმარისი მტკიცებულება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მხრიდან საპასუხო შეტყვის განხორციელების სურვილის არსებობის გასამყარებლად (შედარებისთვის იხ.: *ტოკონო და პროფესორი პრომეტეისტი*, ციტირებულია ზემოთ, §§28-33; *რემლი* ციტირებულია ზემოთ, §§ 43-48), ასევე, არ არსებობს რაიმე მტკიცებულება, რომ მოსამართლემ ოდესმე გამოთქვა მოსაზრება რუსთავი 2-ის, ნ.გ.-ს ან ამ უკანასკნელის როლთან დაკავშირებით, მის წინააღმდეგ დისციპლინური სამართალწარმოების დროს. მოცემული გარემოებების არსებობის პირობებში, იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივნები სისტემატურად წარადგენდნენ დაუსაბუთებულ შუამდგომლობებს იურისდიქციის სამივე დონეზე სხვადასხვა მოსამართლეთა აცილების მოთხოვნით და აგრეთვე, შენარჩუნდა რუსთავი 2-ის მხრიდან რამდენიმე მოსამართლის წინააღმდეგ განხორციელებული თავდასხმის საკუთარი ეთერით გაშუქების პრაქტიკა, სასამართლო მიიჩნევს, რომ უზენაესი სასამართლოს სათანადოდ დასაბუთებული განჩინება თავმჯდომარის აცილებასთან დაკავშირებით, საქმის გარემოებების და სხვადასხვა ელემენტის გათვალისწინებით, გამართლებული იყო.

362. სასამართლო მიიჩნია, რომ მიუხედავად იმისა, რომ 2006 წლის დისციპლინური სამართალწარმოება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, [იმ დროისათვის] მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლებით დასრულდა (იხ.: *ტურავა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ* (განჩინება) [კომიტეტი], №7607/07 და №8710/07, §§4-29 და 34-35, 27 ნოემბერი, 2018), ის ფაქტი, რომ ამ უკანასკნელმა მოახერხა სასამართლო ხელისუფლების ყველაზე მაღალი ორგანოს თავმჯდომარის პოსტის დაკავება, ობიექტური დამკვირვებლის პოზიციიდან ძალიან ართულებს წარსული პროფესიული დარტყმიდან მომდინარე რაიმე გრძელვადიანი ეფექტის დანახვას. მეტიც, სასამართლო წინა დასკვნების გათვალისწინებით (იხ.: პარაგრაფი 343), ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საკუთრების უფლებასთან დაკავშირებულ აღნიშნულ დავაში ნ.გ. რეალურად, სამართალწარმოების არც მხარე იყო და არც მხარის წარმომადგენელი.

363. საბოლოოდ, სასამართლო ასევე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე წარმოადგენდა მხოლოდ ერთ მოსამართლეს დიდი პალატის ცხრა მოსამართლისგან შემდგარი იმ გაფართოებული შემადგენლობიდან, რომელმაც განიხილა საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული დავა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ ობიექტური დამკვირვებლის გადმოსახედიდან,



მოსამართლეთა მთელი შემადგენლობის მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა არ უნდა დადგეს ეჭვქვეშ იმის გამო, რომ მომჩივანი სადავოდ ხდიდა დავის განხილვაში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მონაწილეობას, განსაკუთრებით კი, იმ გარემოებების არსებობის პირობებში, როდესაც გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად, დიდი პალატის შემადგენლობის ყველა წევრის მიერ (შედარებისთვის იხ.: *სტურუა საქართველოს წინააღმდეგ*, №45729/05, §35, 28 მარტი, 2017; *ფაზლი ასლანერი თურქეთის წინააღმდეგ*, №36073/04, §§ 37-39, 4 მარტი, 2014; *ფერაგუტ პალაჩი ესპანეთის წინააღმდეგ* (განხილება), №1182/03, 28 თებერვალი, 2006; *გარიდო გერერო ესპანეთის წინააღმდეგ* (განხილება), №43715/98, ECHR 2000-III; *OOO „Vesti“ უხოვი რუსეთის წინააღმდეგ*, №21724/03, §83, 30 მაისი, 2013; *დიენე საფრანგეთის წინააღმდეგ*, 26 სექტემბერი, 1995, §38, სერია „ა“ №325A). სასამართლო ყურადღების გარეშე არ ტოვებს იმ ფაქტს, რომ საქმეში *მორისი საფრანგეთის წინააღმდეგ*, მან დაადგინა, რომ მოსამართლეთა გაფართოებულ შემადგენლობაში იმ მოსამართლის მონაწილეობა, რომლის მიუკერძოებლობა „რეალურ ეჭვებს ბადებდა,“ არ იყო გადამწყვეტი მნიშვნელობის კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფით გათვალისწინებულ ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის საკითხებთან მიმართებით. თუმცა, სასამართლომ ცალსახად აღნიშნა, რომ ხსენებულ საქმეში გაკეთებული ეს დასკვნა შემოიფარგლებოდა მხოლოდ ფრანგული საქმის „ძალზედ ერთჯერადი, სპეციფიკური კონტექსტით“ (*მორისი საფრანგეთის წინააღმდეგ*, §§84-86 და 89). შედეგად, მორისის საქმესთან მიმართებით, არსებულ სხვა განსხვავებებთან ერთად, წინამდებარე საქმეში მომჩივნებს ჰქონდათ შესაძლებლობა, მოეთხოვათ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის აცილება და შემდეგ, აღნიშნული მოთხოვნა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მოთხოვნებთან შესაბამისობის კუთხით, სრული სერიოზულობით იქნა განხილული (იხ.: §§360, 162; შედარებისთვის იხ.: §§53, 66 და 68). მორისის საქმეში, საფრანგეთის სასამართლოებმა ცალსახად დაადგინეს პირადი ანტიპათიის არსებობა მომჩივანსა და იმ მოსამართლეს შორის, რომლის აცილებაც იყო მოთხოვნილი, მაშინ როდესაც წინამდებარე საქმეში, მეორე, მესამე და მეოთხე მომჩივნებიდან ვერც ერთმა ვერ შეძლო საკმარისი მტკიცებულების წარმოდგენა იმის დამადასტურებლად, რომ მათსა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს შორის არსებობდა რაიმე პირადი ან პროფესიული ხასიათის კონფლიქტი (იხ.: §§359-362 და 162; შედარებისთვის იხ.: §50 და 86).

364. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს შეფასებით, არ შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოს დიდი პალატის შემადგენლობა, რომელმაც განიხილა საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული დავა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და მოსამართლე მ. თ.-ს მონაწილეობით,

ხასიათდებოდა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის დაბალი ხარისხით. შესაბამისად, ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის დარღვევას.

**დასკვნა:** დარღვევა არ დადგინდა (ექვსი ხმა ერთის წინააღმდეგ).

ვაზაგაშვილი და შანავა საქართველოს წინააღმდეგ  
(Vazagashvili and Shanava v. Georgia)

საჩივარი №50375/07

18 ივლისი, 2019

**ფაქტები:** 2006 წლის 2 მაისს, მომჩივნის შვილი მოკლული იქნა პოლიციის მიერ. თავდაპირველი გამოძიება მისი სიკვდილის თობაზე შეწყდა, თუმცა, მოგვიანებით განახლდა და 2015 წელს, ხუთ მაღალჩინოსანს მსჯავრი დაედო მკვლელობისთვის დამაძიმებელ გარემოებებში და მართლმსაჯულების განხორციელების ხელის შეშლისთვის. დადგინდა, რომ პოლიციის ოპერაცია ეფუძნებოდა მაღალჩინოსნის მიერ გაყალბებულ დოკუმენტაციას, რომლის ერთადერთ მიზანსაც მომჩივნის შვილის მანქანაში მყოფი მგზავრების მოკვლა წარმოადგენდა და ერთ-ერთი მათგანის მიმართ მას პირადი შურისძიება ამოძრავებდა.

**სამართალი**

**მე-2 მუხლი (პროცედურული ასპექტი):** პირველი საგამოძიებო ღონისძიება დაუყოვნებლივ განხორციელდა, პოლიციის ოპერაციის შემდეგ, იმავე ოფიცრების მიერ, რომლებიც მონაწილეობდნენ ზემოაღნიშნულ ოპერაციაში. მოგვიანებით, პოლიციის მიერ გამოყენებული ძალის პროპორციულობასთან დაკავშირებით გამოძიების პირველ ეტაპზე, მათ მიერ მოპოვებულ მტკიცებულებებს დაეყრდნო პროკურატურა. შესაბამისად, ძირითადი და ყველაზე გადამწყვეტი საგამოძიებო ნაბიჯები, რომლებიც გადადგა შესაბამისმა ხელისუფლებამ აშკარად არღვევდა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნებს, ხოლო ასეთი პროცედურული ნაკლი ხელს უშლის გამოძიების შემდგომ წარმართვას. პროკურატურამ მომჩივნებს წაართვა შესაძლებლობა სათანადო მონაწილეობა მიეღოთ გამოძიებაში. საგულისხმოა, რომ პროკურატურის შესაბამისი თანამდებობის პირი კვირების განმავლობაში, უარს აცხადებდა მეორე მომჩივნისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე. ასევე, მომჩივნებს არ ჰქონიათ შესაძლებლობა სააპელაციო სასამართლოში გაესაჩივრებინათ პროკურატურის გადაწყვეტილება გამოძიების შეწყვეტასთან დაკავშირებით. პროკურატურის შესაბამისმა თანამდებობის პირმა არ გაითვალისწინა ორი დამოუკიდებელი მოწმის განცხადებები, რომელთა მიხედვითაც, მგზავრებს მომჩივნის შვილის მანქანაში პოლიციისთვის შეიარაღებული წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. ამ უკანასკნელი ფაქტის სათანადო შეფასება კი, აუცილებელი იყო

პოლიციის მხრიდან ძალის გამოყენების პროპორციულობის თაობაზე ობიექტური დასკვნების გამოსატანად. აღნიშნული მოსაზრებები საკმარისი იყო იმის დასადგენად, რომ თავდაპირველი გამოძიების ნაწილს აშკარად აკლდა აუცილებელი დასაბუთება, ობიექტურობა და როგორც მოგვიანებით ხელახალი გამოძიების შედეგად გამოვლინდა – მთლიანობა.

2012 წელს, პოლიციის ოპერაციის თაობაზე სისხლის სამართლის გამოძიების განახლების შემდეგ, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხუთ მადალჩინოსანს მსჯავრი დაედო ორი პირის მკვლელობისთვის დამამძიმებელ გარემოებებში, თანამდებობის ბოროტად გამოყენების და მართლმსაჯულების განხორციელების ხელის შეშლის გამო. თუმცა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ვერ დარწმუნდა იმაში, რომ სისხლის სამართლის საქმისწარმოების განახლება წარმოადგენდა შესაბამისი ზიანის კომპენსაციას მომჩივნებისთვის. მომჩივნის შვილის განზრახ მკვლელობის დაგვიანებული აღიარება, რომელიც მკვლელობიდან ცხრა წელზე მეტი ხნის შემდეგ მოხდა და ასევე, საგამოძიებო ორგანოების მხრიდან სრული უმოქმედობის მნიშვნელოვანი პერიოდი, აშკარად წარმოადგენდა მართლმსაჯულების განხორციელების გაჭიანურებას.

გამოძიების განახლების შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ არ ჰქონია შესაბამისი მოწმის სტატუსი, პირველმა მომჩივანმა იკისრა გამოძიების ტვირთი. ეს უკანასკნელი დიდი ხნის განმავლობაში კითხავდა სხვადასხვა მთავარ მოწმეებს და აგროვებდა მტკიცებულებებს. იმ ფაქტის მიუხედავად, რომ უკვე არსებობდა მნიშვნელოვანი მტკიცებულება, რომელიც უთითებდა კონკრეტული პოლიციის ოფიცრების მხრიდან მომჩივნის შვილის მიმართ ლეტალური ძალის არაკანონიერ გამოყენებაზე, ხელისუფლებას მაინც სამი წელი დასჭირდა, რომ შეეწყვიტა გამოძიება და გადაეცა საქმე სასამართლოსთვის. მომჩივნის შვილის მკვლელობისთვის მსჯავრის დადება ნაწილობრივ ეფუძნებოდა თავად მომჩივნის მიერ შეგროვებულ მტკიცებულებებს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ პირველი მომჩივნის მკვლელობა – ბომბის აფეთქების შედეგად, რომელიც მისი შვილის საფლავზე იყო მოთავსებული – იყო მისი უწყვეტი საჯარო აქტივობების შედეგი, რითაც იგი ცდილობდა ნათელი მოეფინა მისი შვილის მკვლელობისა და პასუხისმგებელი პოლიციის თანამშრომლების ქმედებებზე. მომჩივანი შურისძიების გადახდის რისკის წინაშე აღმოჩნდა, როდესაც საკუთარ თავზე აიღო გამოძიების ჩატარება, რომელიც როგორც წესი, შესაბამისი სახელისუფლებო ორგანოების მოვალეობაა. სტრასბურგის სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ წინამდებარე საქმის ტრაგიკული განვითარება შეიძლება მივიჩნიოთ როგორც კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითი, თუ რამდენად უარყოფითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს ხელისუფლების მხრიდან

სათანადო გულისხმიერების ნაკლებობას ისეთი დანაშაულის გამოძიებისას, რომლის დროსაც ადამიანის სიცოცხლე დგას საფრთხის წინაშე, განსაკუთრებით, მაშინ როდესაც სახეზეა პოლიციის მხრიდან სავარაუდო კორუფცია.

მეორე მომჩივანს (პირველი მომჩივნის მეუღლე), ხელახალი გამოძიების შედეგად არ მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი. მან ვერ შეძლო მონაწილეობა მიეღო სასამართლო პროცესზე მისი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, შესაბამისად, მას წაერთვა შესაძლებლობა მიეღო ადეკვატური კომპენსაცია, რომელიც მას და მის აწ გარდაცვლილ ქმარს მიაღვათ პოლიციის მიერ შვილის მკვლელობის გამო.

მიუხედავად იმისა, რომ მკვლელობისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტზე შესაბამისი სანქციის დაკისრება ეროვნული სასამართლოების მოვალეობაა, სტრასბურგის სასამართლოს მოუწია ჩარევა, სახელმწიფო მოხელეთა მიერ ჩადენილ ქმედებასა და დაკისრებულ სასჯელს შორის აშკარა არაპროპორციულობის გამო.

მომჩივნის საქმეში მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული კანონმდებლობა იძლევა უფრო მძიმე სასჯელის დაკისრების შესაძლებლობას პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ (ოცი წლით თავისუფლების აღკვეთა ან უვადო პატიმრობა), ამ უკანასკნელმა, თავდაპირველად, მომჩივნის შვილის დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობისათვის ორ პირს ცალ-ცაკლე დააკისრა თექვსმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას, პირველი ინსტანციის სასამართლომ იცოდა, რომ დაკისრებული სასჯელი მოგვიანებით შემსუბუქდებოდა მეოთხედით, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის დებულებების შესაბამისად. დასაბამი ფაქტია, რომ ეროვნულმა კანონმდებელმა „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის ძალაში მიღებისას, არ გაითვალისწინა პოლიციის მხრიდან სერიოზული არასათანადო საქციელის შემთხვევაში, მისი მკაცრად დასჯის აუცილებლობა. როდესაც სახელმწიფო მოხელემ კერძოდ, სამართალდამცავმა ოფიცერმა, ჩაიდინა დანაშაული რომლითაც დაარღვია კონვენციის მე-2 მუხლი, ამნისტიის ან შეწყალების მინიჭება უნდა იყოს დაუშვებელი. სახელმწიფოები უფრო მკაცრები უნდა იყვნენ სერიოზული დანაშაულებისთვის საკუთარი სამართალდამცავი მოხელეების დასჯის დროს, ვიდრე სხვა დამნაშაევებთან, რადგან პირველ შემთხვევაში, რისკის ქვეშ დგას არა მხოლოდ ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, არამედ სახელმწიფოს ვალდებულება, რომ შეასუსტოს დამნაშავეთა დაუსჯელობის გრძნობა, უზრუნველყოს საზოგადოების ნდობა და სამართალდამცავი ორგანოების სისტემის მიმართ პატივისცემა.

პოლიციის ორ თანამშრომელს, რომლებიც დამნაშავეებად ცნეს მკვლელობისთვის დამამძიმებელ გარემოებებში, ეროვნულმა სასამართლოებმა არ ჩამოართმევს საჯარო სამსახურში დაბრუნების შესაძლებლობა. მათ ისევ შეეძლოთ დაბრუნებულიყვნენ სამართალდამცავ სისტემაში, სასჯელის მოხდის შემდეგ. სრულიად შეუსაბამო იქნებოდა და არასწორ გზაენილს გადასცემს საზოგადოებას, თუ სერიოზული დანაშაულის ჩამდენი პირები სამომავლოდ შეძლებენ დაიკავონ საჯარო სამსახურში თანამდებობა. სასჯელები, რომლებიც მომჩინის შვილის და მისი მეგობრის მკვლელ ორ პოლიციელს დაეკისრათ, არ წარმოადგენდა ჩადენილ დანაშაულზე ადეკვატურ სასჯელს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმის მიუხედავად რომ საბოლოოდ ხუთ პოლიციელს დაედო მსჯავრი, არ შეიძლება ითქვას, რომ სისხლის სამართლის სისტემას გადამწყვეტი ეფექტი ჰქონდა მომავალი მსგავსი დანაშაულების პრევენციისათვის.

**დასკვნა:** დარღვევა (ერთხმად)

**მუხლი 41:** 50 000 ევრო არამატერიალური ზიანისათვის.

გოგალაძე საქართველოს წინააღმდეგ  
(Gogaladze v. Georgia)

საჩივარი №8971/10

18 ივლისი, 2019

**ფაქტები:** მომჩივანი, ნოდარ გოგალაძე საქართველოს მოქალაქეა, რომელიც დაიბადა 1986 წელს და ცხოვრობს სოფელ რველში (საქართველო). წინამდებარე საქმე ეხება მომჩივნის საჩივარს მისი დაკავების შემდეგ, პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის შესახებ. ასევე, იგი დავობდა არაეფექტური გამოძიების თაობაზე, რომელიც მიმდინარეობდა რვა თვის განმავლობაში, ვიდრე დაიხურა ხელისუფლების მიერ.

ბ-ნი გოგალაძე ბორჯომის პოლიციამ 2008 წლის 13 თებერვალს დააკავა არასრულწლოვანი პირის წამების მცდელობის საფუძველით. 2008 წლის 15 თებერვალს, იგი წინასწარი დაკავების ფარგლებში, ორი თვით, გადაიყვანეს თბილისის №5 საპყრობილეში, სადაც მას თავსა და ცხვირზე დაზიანება აღმოაჩნდა. თავდაპირველად იგი აცხადებდა, რომ პოლიცია ამ დაზიანებებთან კავშირში არ იყო, ხოლო 2008 წლის აპრილში, როდესაც იგი გადაიყვანეს თბილისის №8 საპყრობილეში, მან პროკურორთან განაცხადა, რომ პოლიციის განყოფილებაში მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა და მას ხუთი პოლიციელი ურტყავდა თავში.

საქმეზე დაიწყო გამოძიება და გატარდა სხვადასხვა ღონისძიებები. პოლიციის ოფიცრები აცხადებდნენ, რომ ბ-ნი გოგალაძე სცემა მსხვერპლის ბიძამ, თუმცა, ასევე აღნიშნეს, რომ დაკავებისას არ შეუძინევიათ დაზიანებები. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა ჩატარდა 2008 წლის ოქტომბერში. მეორე სასამართლო ექსპერტიზა ჩატარდა 2009 წლის თებერვალსა და მარტში. თუმცა, ექსპერტებმა ვერ აღმოაჩინეს კავშირი მომჩივნის დაზიანებებს, თავის ტკივილსა და გულისრევას შორის, რომელსაც მომჩივანი იმ დროისთვის უჩიოდა. პროკურატურამ 2016 წლის იანვარში გამოძიება დახურა იმ საფუძველით, რომ სახეზე არ იყო დანაშაული პოლიციის მხრიდან. მომჩივანმა არ გაასაჩივრა აღნიშნული ფაქტი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე, ბ-ნი გოგალაძე მე-3 მუხლის საფუძველზე (წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა) დავობდა პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობისა და არაეფექტური

გამოძიების თაობაზე. სევე, იგი დავობდა მე-13 მუხლის საფუძველზე (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება).

## სამართალი

### სასამართლოს შეფასება

#### 1. კონვენციის მე-3 მუხლის საგარეულო დარღვევა

51. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლომ განაცხადა, რომ მხარეები არ დავობენ მომჩივნის დაზიანებებთან დაკავშირებით, როგორცაა კოპი თავზე და კანის ქსოვილის დარბილება ცხვირის ფუძეზე („დაზიანებები“). თუმცა, ისინი არ თანხმდებიან აღნიშნული დაზიანებების სერიოზულობასთან, შესაძლო მიღების დროსა და გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით. ასევე, არ თანხმდებიან იმაზე, იყო თუ არა ეფექტიანი სისხლის სამართლის გამოძიება.

52. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს წინაშე მომჩივნის პოზიცია დაზიანებების მიყენების მეთოდთან დაკავშირებით, შესაძლოა სრულად არ შეესაბამება ეროვნულ დონეზე მიცემულ მის ჩვენებას, სასამართლო იმეორებს კონვენციის მე-3 მუხლის მნიშვნელობას და სახელმწიფოთა ვალდებულებას – სათანადოდ განმარტონ თუ როგორ მიაღება დაზიანებები პირს, რომელიც პოლიციის განყოფილებაში გადაყვანისას, ჯანმრთელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო ადგენს, რომ იმ დაზიანებების არსებობა, რომლებიც მომჩივნის განცხადებით, მას პოლიციელებმა მიაყენეს, დადასტურდა ექიმის სამედიცინო დასკვნით. ამ უკანასკნელმა, 2008 წლის 15 თებერვალს გასინჯა მომჩივანი თბილისის №5 საპრობილემო მოთავსებისას, მისი დაკავებიდან 2 დღის შემდეგ. მათი არსებობა არასდროს ყოფილა სადავო საკითხი. ეროვნული ხელისუფლების წინაშე არსებული მტკიცებულებების (მათ შორის, პოლიციელების განცხადებები, რომლებმაც დააკავეს მომჩივანი) მიხედვით, მომჩივანს მოცემული დაზიანებები დაკავებამდე არ აღენიშნებოდა. შესაბამისად, მისი ბრალდებები (როგორც ისინი ეროვნულ სასამართლოებში შეტანილ სარჩელშია აღნიშნული) იმასთან დაკავშირებით, რომ მის მიმართ პოლიციელების ქმედება წარმოადგენდა მე-3 მუხლის დარღვევას, უსაფუძვლო არ ყოფილა. აქედან გამომდინარე, ხელისუფლებას მოეთხოვებოდა ეფექტიანი გამოძიების წარმართვა.

53. სასამართლო აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის გამოძიება, პოლიციელების მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე დაიწყო სამი დღის შემდეგ, რაც მომჩივანმა განაცხადა ამის შესახებ. სასამართლო აღიარებს, რომ გამოძიების შედარებით გვიან დაწყებაზე პასუხისმგებელი თავად მომჩივანი იყო, რადგან მან სადავო



დაზიანებების შესახებ განაცხადა დაახლოებით, თვენახევრის შემდეგ, თუმცა, მხედველობიდან არ უშვებს იმ ფაქტს, რომ გამოძიებას თან ახლდა მნიშვნელოვანი ხარვეზები. კერძოდ, სასამართლო ვერ უზუღვებელყოფს იმ ფაქტს, რომ მომჩივნის დაზიანებების შესაფასებლად, პირველი სასამართლო ექსპერტიზა თავდაპირველი ბრალდებიდან ექვს თვეზე მეტი ხნის შემდეგ ჩატარდა. სასამართლო ექსპერტი დასკვნის გამოტანისას შემოიფარგლა მის წინაშე არსებული სამედიცინო დოკუმენტაციით. ექსპერტის რეკომენდაციით, საკითხი უნდა შეეფასებინა ექსპერტთა ჯგუფს იმისათვის, რომ დაედგინა თუ რამდენად შეიძლებოდა სამედიცინო დოკუმენტაციაში აღწერილი დაზიანებები შეფასებულიყო როგორც თვითდაზიანება. მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნულის დასადგენად, მეორე ექსპერტიზა ჩატარდა ოთხ თვეზე მეტი ხნის დაგვიანებით. დროის ფაქტორი იყო ერთ-ერთი მიზეზი, თუ რატომ ვერ შეძლო ექსპერტთა ჯგუფმა მათ წინაშე არსებულ კითხვებზე პასუხის გაცემა.

54. გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ყურადღებას ამახვილებს გამოძიების უზრუნველ ხანგძლივობაზე, რომელზეც მთავრობას არანაირი განმარტება არ წარმოუდგენია. კერძოდ, გამოძიება დაიწყო 2008 წლის 4 აპრილს და დაიხურა 2016 წლის 29 იანვარს. შესაბამისად, მომჩივნის საჩივარსა და გამოძიების შეწყვეტის შესახებ პროკურორის გადაწყვეტილების შემდეგ, თითქმის რვა წელი გავიდა. როგორც სასამართლომ წინა შემთხვევებში აღნიშნა, შესაძლოა არსებობდეს დაბრკოლებები ან სირთულეები, რომლებიც ხელს უშლიან გამოძიებას, თუმცა ხელისუფლების მხრიდან სწრაფი რეაგირება არასათანადო მოპყრობის ბრალდებების თაობაზე, გამოძიებისას შეიძლება არსებით ფაქტორად იქნას მიჩნეული კანონის უზენაესობის დაცვასთან მიმართებით, საზოგადოებრივი ნდობის შენარჩუნებისა და ასევე, ნებისმიერი სახის შეფერხების ან არაკანონიერი ქმედების შემწყნარებლობის პრევენციისთვის (მოკანუ და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა], №10865/09, §323, ECHR 2014 (ამონარიდები); ბოუიდი ბელგიის წინააღმდეგ, §133).

55. რაც შეეხება გამოძიების ფარგლებს, სასამართლო ექსპერტის რეკომენდაციის მიუხედავად, მეორე ექსპერტის გამოკვლევა შემოიფარგლებოდა გამომძიებლის მიერ წარმოდგენილი კითხვებით, რომლებიც არ ეხებოდა შესაძლებლობას, რომ მომჩივნის დაზიანებები ყოფილიყო თვითდაზიანება. ექსპერტებმა არც ის საკითხი გამოიკვლიეს, შესაძლებელი იყო თუ არა დაზიანებები მიყენებული ყოფილიყო დაკავებამდე, რომლებმაც გვიან იჩინეს თავი. ექსპერტი, რომელმაც პოლიციის განყოფილებაში მომჩივანს ნარკოტესტი ჩაუტარა, აცხადებდა, რომ მან მომჩივანს სამი ფოტო გადაუღო იმ განზრახვით, რომ შემდგომში გადაეცა ისინი შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საგამომძიებო ორგანოებს არ მიუღიათ და არც უცდიათ ამ

ფოტოების მოპოვება. პოტენციურად, იმის დაშვებითაც, რომ საგამოძიებო ორგანოებისათვის ხელმისაწვდომი ფოტოები უარყოფდა მომჩივნის ვერსიას მოვლენებზე, კერძოდ, დროსა და გარემოებებზე, სადაც განხორციელდა დაზიანებები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ საგამოძიებო ორგანოებს არ ჰქონიათ მცდელობა, შეესწავლათ დაზიანებების შესაძლო გამომწვევი მიზეზები.

56. ზემოაღნიშნულ მსჯელობაზე დაყრდნობით, სასამართლო ადგენს, რომ მომჩივნის საჩივარი სამართალდამცავების მხრიდან ძალის გამოყენების და დაკავებული პირისათვის დაზიანებების მიყენების თაობაზე, არ წარმოადგენდა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ნაწილით გათვალისწინებულ ეფექტური გამოძიების საკითხს.

57. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის გამოძიების დროს გამოვლენილი ხარვეზების გათვალისწინებით, ნათელი ვერ მოეფინა სადავო შემთხვევის მნიშვნელოვან ასპექტებს მე-3 მუხლის არსებითი ნაწილის კონტექსტში. რაც შეეხება მტკიცებულებებს – მათ შორის, დაკავებას და პირის სხეულის გამოკვლევის შესახებ ოქმს, რომლის მიხედვითაც მომჩივანს დაკავებამდე არ ჰქონია რაიმე დაზიანება – ჩნდება ვარაუდი, რომ მომჩივანს სადავო დაზიანებები მიადგა პოლიციის დაქვემდებარებაში ყოფნის დროს. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფომ გამორიცხა, რომ მომჩივანს დაზიანებები – მთლიანად, ძირითადად ან ნაწილობრივ მიადგა პოლიციის მიერ დაკავების დროს (იხ.: რიბიჩი ავსტრიის წინააღმდეგ, §34), სტრასბურგის სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ სახელმწიფოს ამ უკანასკნელი განცხადების გარდა, არანაირი მტკიცებულება არ წარმოუდგენია. კერძოდ, მხოლოდ ვარაუდი, რომ მომჩივანი შესაძლოა მოქალაქეებმა სცემეს მის დაკავებამდე, არ არის დამაჯერებელი, რადგან ეს ფაქტი არ ყოფილა გამოძიებული და არ დადგენილა იყო თუ არა შესაძლებელი ცემის შედეგად დაზიანებების კვალი ორ დღეში გამოვლენილიყო.

58. საბოლოოდ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფომ თავი აარიდა საკუთარ ვალდებულებას, წარმოედგინა დამაჯერებელი ახსნა-განმარტება თუ საიდან გაჩნდა ეს დაზიანებები (იხ.: ტიციანა პენინო იტალიის წინააღმდეგ, §§54-55; კსენზი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ, №45044/06 §104, 12 დეკემბერი, 2017; სამესოვი რუსეთის წინააღმდეგ, §61; ტილოიევი რუსეთის წინააღმდეგ [კომიტეტი], №2120/10, §33, 5 მარტი, 2019).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

## II. კონვენციის მე-13 მუხლის სავარაუდო დარღვევა

59. მომჩივანი ასევე დავობდა, რომ მას არ ჰქონია სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალება კონვენციის მე-3 მუხლთან დაკავშირებულ საჩივართან მიმართებით. მომჩივანი დაეყრდნო კონვენციის მე-13 მუხლს.

60. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემული საჩივარი კავშირშია ზემოაღნიშნულ საჩივრებთან და შესაბამისად, იგი უნდა იყოს მიღებული განსახილველად.

61. იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ამ საქმეზე დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა (იხ.: პარაგრაფები 51-58), სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არის აუცილებელი მე-13 მუხლის დარღვევის გამოკვლევა.

## III. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

62. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად: „თუ სასამართლო დაასკვნის, რომ დაირღვა კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლება, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკერეელი მხარის შიდა სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

### A. ზიანი

63. მომჩივანი ითხოვდა 50 000 ევროს არამატერიალური ზიანის ანაზღაურებისთვის.

64. სახელმწიფომ განაცხადა, რომ არ არსებობდა რაიმე მიზეზობრივი კავშირი მოთხოვნილ ზიანის ანაზღაურებასა და მომჩივნის მიერ სადავო დარღვევას შორის.

65. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანს მიადგა არამატერიალური ზიანი კონვენციის მე-3 მუხლის ჭრილში, რომლის ანაზღაურებაც შეუძლებელია მხოლოდ დარღვევის დადგენის შედეგად. მიუკერძოებელი შეფასების საფუძველზე, როგორც ამას ითვალისწინებს კონვენციის 41-ე მუხლი, სასამართლო მომჩივანს ანიჭებს 6 000 ევროს არამატერიალური ზიანისთვის.

### B. ხარჯები და დანახარჯები

66. მომჩივანი ასევე ითხოვდა ეროვნულ სასამართლოებში გაწეული ხარჯების ანაზღაურებას 3 540 ევროს ოდენობით.

67. სახელმწიფომ განაცხადა, რომ არ არსებობდა რაიმე მიზეზობრივი კავშირი აღნიშნულ მოთხოვნასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე არსებულ მომჩივნის საჩივართან.

68. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, მომჩივანი უფლებამოსილია ხარჯების ანაზღაურებაზე თუ ნაჩვენები იქნება რომ ისინი რეალური და აუცილებელი იყო მოცემულ საქმეში და მათი ოდენობა გონივრულია. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ვერ ადგენს რაიმე კავშირს დადგენილ დარღვევასა და ეროვნულ სასამართლო საქმისწარმოებას შორის. შესაბამისად, უარყოფს მოთხოვნას ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ერთხმად:

1. მისაღებად ცნობს საჩივრებს კონვენციის მე-3 და მე-13 მუხლებთან დაკავშირებით;
2. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი;
3. ადგენს, რომ არ არსებობს აღნიშნული საჩივრის კონვენციის მე-13 მუხლთან შესაბამისობის გამოკვლევის აუცილებლობა;
4. ადგენს, რომ ა) მოპასუხე სახელმწიფომ, საბოლოო გადაწყვეტილებიდან სამი თვის განმავლობაში, მომჩივანს უნდა გადაუხადოს შემდეგი თანხები: 6 000 ევრო (ექვსი ათასი ევრო), ასევე ნებისმიერი დამატებითი გადასახადი არამატერიალური ზიანისთვის;
5. უარყოფს მომჩივნის მოთხოვნას სამართლიანი დაკმაყოფილების შესახებ.

**სვანიძე საქართველოს წინააღმდეგ  
(Svanidze v. Georgia)**

**საჩივარი №37809/08**

25 ივლისი, 2019

**პროცედურა**

საქმის საფუძველი იყო საქართველოს მოქალაქის, ქ-ნი თინა სვანიძის („მომჩივანი“) მიერ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის შესაბამისად, 2008 წლის 1 ივლისს, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, საქართველოს წინააღმდეგ წარდგენილი საჩივარი (№37809/08).

მომჩივანს წარმოადგენდა ბ-ნი ლ. ყანდაშვილი, თბილისში მომუშავე იურისტი. საქართველოს მთავრობას (შემდგომში – „მთავრობა“) წარმოადგენდა მათი აგენტი, ბ-ნი ბ. ძამაშვილი იუსტიციის სამინისტროდან.

მომჩივანი ასაჩივრებდა მისი საქმის განმხილველი პირველი ინსტანციის სასამართლოს უკანონო შემადგენლობას, უშუალოდ პრინციპის დარღვევას და ეროვნული სასამართლო გადაწყვეტილებების არასათანადო დასაბუთებას.

2016 წლის 8 სექტემბერს, მთავრობას ეცნობა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პარაგრაფზე დაფუძნებული საჩივრების თაობაზე, ხოლო საჩივრის დარჩენილი ნაწილი დაუშვებლად იქნა ცნობილი სასამართლოს რეგლამენტის 54-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად.

**ფაქტები**

მომჩივანი იყო საავადმყოფოს გინეკოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელი, რომელსაც მსჯავრი დაედო პაციენტისთვის (რომელიც სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში იმყოფებოდა) საპატიო მიზეზის გარეშე სასწრაფო სამედიცინო მკურნალობის არგაწევა, რის შედეგადაც იგი გარდაიცვალა. მტკიცებულებათა გამოკვლევის შემდეგ, მომჩივნის საქმე განსახილველად გადაეცა სათადარიგო მოსამართლეს. ამ უკანასკნელმა არ დააკმაყოფილა მომჩივნის ადვოკატის მოთხოვნა საქმის განხილვის ხელახლა დაწყების შესახებ და განაცხადა, რომ საქმეში არსებული მასალები მისთვის საკმარისი იყო საქმის განხილვის გასაგრძელებლად. მომჩივნის მსჯავრდება უცვლელი დატოვა სააპელაციო სასამართლომ, მტკიცებულებათა ხელმეორედ პირდაპირი გამოკვლევის გარეშე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივანი დავობდა, რომ მისი საქმის განხილვაში სათადარიგო მოსამართლის ჩართვამ სამართალწარმოება უსამართლოდ აქცია; აგრეთვე, აღნიშნულმა მოსამართლემ ის დამნაშავედ ცნო იმ პირობებში, როდესაც არ დასწრებია და მონაწილეობა არ მიუღია ექსპერტისა და მოწმეთა დაკითხვაში. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მისი მსჯავრდება არ იყო საკმარისად დასაბუთებული, ვინაიდან მისი არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ ანესთეზიოლოგის გარეშე ოპერაციის დაწყება არ შეეძლო, უპასუხოდ დარჩა. აპლიკანტი ეყრდნობოდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პარაგრაფს, რომლის თანახმად: „...წარდგენილი ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, ყველას აქვს გონივრულ ვადაში ..მისი საქმის სამართლიანი ... განხილვის უფლება... დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ...“.

## სამართალი

### მისაღებობა

#### სასამართლოს შეფასება

აპლიკანტის საჩივარი იმის თაობაზე, რომ სათადარიგო მოსამართლედ პ.ს-ის დანიშვნა უკანონო იყო, სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 436-ე მუხლში მოცემული პროცედურა, რომლის მიხედვითაც შეიძლებოდა სათადარიგო მოსამართლის დანიშვნა, ზოგადი ხასიათის იყო. დანამდვილებით, როგორც უზენაესმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, სათადარიგო მოსამართლეს არ ეკისრებოდა ვალდებულება ხელახლა გამოეკვლია მტკიცებულებები. სტრასბურგის სასამართლოს მოსაზრებით, არცერთი გარემოება არ მიუთითებს „ეროვნული კანონმდებლობის უხეშ დარღვევაზე“, რაც საშუალებას მისცემდა ეჭვქვეშ დაეყენებინა შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის განმარტება. უფრო მეტიც, მომჩივანს არასდროს უდავია, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიერ მცხეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარედ პ.ს-ის დანიშვნა ეწინააღმდეგებოდა ეროვნულ კანონმდებლობას. მსგავს გარემოებებში, სასამართლო არ იმყოფება იმ პოზიციაში, დაასკვნას, რომ მოსამართლე პ.ს. მომჩივნის საქმის განხილვაში უკანონოდ იქნა ჩართული. გარდა ამისა, არსებობდა დასაბუთებული საფუძვლები, რათა საქმეზე სათადარიგო მოსამართლედ პ.ს. დანიშნულიყო (საქმის განხილველმა მოსამართლე გ.კ-მ წერილი მიწერა მცხეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარეს და მოითხოვა მომჩივნის საქმეზე მის სანაცვლოდ სათადარიგო მოსამართლის დანიშვნა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 436-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად. 2006 წლის სექტემბერში, მცხეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე გათავისუფლდა

თანამდებობიდან და ჩაირიცხა მოსამართლეთა რეზერვის სიაში. 2006 წლის 16 ოქტომბერს, საქართველოს პრეზიდენტმა მოსამართლე პ.ს. დანიშნა მცხეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარედ); მომჩივნისთვის ცნობილი იყო აღნიშნული ინფორმაცია და საქმეში არსებული არცერთი მტკიცებულება არ მიუთითებს, რომ საქმეზე სათადარიგო მოსამართლის დანიშვნა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პარაგრაფთან შეუსაბამო იყო. ამდენად, სასამართლო საჩივრის ამ ნაწილს, როგორც აშკარად უსაფუძვლოს, მიუღებლად აცხადებს.

რაც შეეხება მომჩივნის საჩივარს, რომელიც ეხება უშუალობის პრინციპის დარღვევას იმ საფუძველით, რომ სათადარიგო მოსამართლემ მომჩივანს მსჯავრი დაადო მტკიცებულების გამოკვლევის პროცესში მონაწილეობის გარეშე, სასამართლო აღნიშნავს, რომ სისხლისსამართლებრივი მსჯავრდება პირის პირად ცხოვრებისთვის სერიოზული შედეგების მომტანია. შესაბამისად, სასამართლო ვერ გაიზიარებს მთავრობის არგუმენტს, რომ მომჩივანს არ განუცდია რაიმე მნიშვნელოვანი ზიანი. ამდენად, სასამართლო აღნიშნულ საჩივარს და აგრეთვე, მომჩივნის საჩივარს, ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილების დასაბუთების ნაკლებობასთან დაკავშირებით, მისაღებად აცხადებს.

## **არსებითი მხარე**

### **სასამართლოს შეფასება**

#### *I. ზოგადი პრინციპები*

სასამართლო აცხადებს, რომ სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების მნიშვნელოვანი ასპექტია ბრალდებულის შესაძლებლობა, დაუპირისპირდეს მოწმეებს მოსამართლის თანდასწრებით, რომელიც საქმესთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს. უშუალობის პრინციპი მნიშვნელოვანი გარანტიაა, ვინაიდან სასამართლოს მიერ მოწმეთა სანდოობისა და ქცევების დაკვირვებამ შესაძლოა დიდი გავლენა მოახდინოს საქმის შედეგზე. უშუალობის პრინციპის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეზე გადაწყვეტილება უნდა იყოს მიღებული იმ მოსამართლეების მიერ, რომლებიც ესწრებოდნენ მთლიან სამართალწარმოებას და მტკიცებულებათა მოკვლევის პროცესს. თუმცა, ეს პრინციპი არ უნდა იყოს იმგვარად განმარტებული, რომ ის კრძალავს საქმის განხილვის პროცესში სასამართლოს შემადგენლობაში ცვლილების განხორციელებას. საქმის განხილვის მიმდინარეობისას, შეიძლება წარმოიშვას ადმინისტრაციული ან პროცედურული ფაქტორები, რამაც შესაძლოა მოსამართლის საქმის განხილვაში მონაწილეობის გაგრძელება შეუძლებელი გახადოს. სტრასბურგის სასამართლომ განაცხადა, რომ შესაძლებელია

გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ მოსამართლეები, რომლებიც აგრძელებენ საქმის განხილვას, აღიქვამენ საქმეში არსებულ მტკიცებულებებსა და მხარეთა არგუმენტებს, მაგალითად, მათთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს სასამართლო სხდომის ჩანაწერი ან უზრუნველყოფილ უნდა იქნეს არგუმენტების ან მნიშვნელოვანი მოწმეების ხელახლა მოსმენა და გამოკითხვა სასამართლოს ახლადდანიშნული შემადგენლობის წინაშე. გარდა ამისა, ზედა ან უმაღლესი ინსტანციის სასამართლოებმა, გარკვეულ გარემოებებში, შესაძლოა გამოასწორონ პირველი ინსტანციის სასამართლოს წინაშე არსებული ხარვეზები.

## *II. ზოგადი პრინციპების წინამდებარე საქმეში გამოყენება*

### **უშუალობის პრინციპის დარღვევა**

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ უნდა განიხილოს მოსამართლე გ.კ-ს ჩანაცვლება მოსამართლე პ.ს-ით და ამ უკანასკნელის მიერ მტკიცებულების ხელახლა გამოკვლევისთვის გვერდის ავლა, შეესაბამება თუ არა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფით უზრუნველყოფილი სამართლიანი სასამართლოს უფლებას, უფრო კონკრეტულად კი, უშუალობის პრინციპს. სასამართლოს მოსაზრებით, წინამდებარე საქმეში არსებული სიტუაცია სპეციფიკური იყო, ვინაიდან მოსამართლე პ.ს-ს საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა მტკიცებულებათა ზეპირ გამოკვლევაში, მას არ მოუხმენია ჩვიდმეტი მოწმიდან არცერთისთვის, რომელთა შორის იყო ორი ექსპერტი და აგრეთვე, საქმეზე სხვა ბრალდებულები. სათადარიგო მოსამართლემ მომჩივანი დამნაშავედ ცნო მხოლოდ სხდომის ოქმის ჩანაწერების საფუძველზე.

სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ სამართალწარმოების განმავლობაში მომჩივანი მუდმივად ასაჩივრებდა პროკურატურის მიერ წარმოდგენილ კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებს, კერძოდ, იმ გარემოებებს, სადაც მოხდა გ.მ-სთვის მეორე ექოსკოპიის ჩატარება, აგრეთვე, გარემოებებს, რომლებიც უკავშირდებოდა ოპერაციის მომზადებასა და ანესთეზიოლოგიის ხელმისაწვდომობას. აღნიშნული ფაქტების დასადგენად, რომელსაც ცალსახად არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საქმის შედეგისათვის, მოსამართლე პ.ს. დაეყრდნო მოწმის ჩვენებების ჩანაწერებს და არა სხვა წერილობით მტკიცებულებებს. სინამდვილეს შეესაბამება ის ფაქტი, რომ მოსამართლე პ.ს-თვის გადაწყვეტილების მიღების დროს ხელმისაწვდომი იყო ყველა ჩანაწერი, რომელიც ეხებოდა მოწმეთა მიერ ჩვენებების მიცემას. თუმცა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა საქმის რთული ფაქტობრივი გარემოებები, ასევე ის ფაქტი, რომ საქმეს განიხილავდა ერთი მოსამართლე და განაცხადა, რომ მოსამართლეს პირდაპირ არ შეუფასებია



მოწმეთა ჩვენებები და ქცევები, შესაბამისად, მას არ ჰქონია შესაძლებლობა ჩამოყალიბებოდა საკუთარი აზრი მათი სანდოობის შესახებ; აგრეთვე, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შემცირდა მისი შესაძლებლობა სათანადოდ შეეფასებინა მტკიცებულებები და არგუმენტები ისე, რომ დაცული ყოფილიყო მომჩივნის სამართლიანი სასამართლოს უფლება.

მომჩივანმა სათადარიგო მოსამართლესთან დაკავშირებით ნათლად გამოხატა საკუთარი პოზიცია სააპელაციო საჩივარში. მიუხედავად ამისა, საჩივრის არსის განხილვის გარეშე, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სათადარიგო მოსამართლეს არ ჰქონია ვალდებულება ხელახლა გამოეკვლია მტკიცებულებები. უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება. ამასთან მიმართებით, სასამართლომ აღნიშნა მთავრობის არგუმენტი, რომლის თანახმად მომჩივანს შეეძლო კონკრეტული მოწმეების ხელახლა დაკითხვის მოთხოვნის დაყენება პირველი ან მეორე ინსტანციის სასამართლოს წინაშე, თუმცა მას ეს არ გაუკეთებია. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე არსებული დოკუმენტები ცხადყოფს, რომ მომჩივნის საქმეზე სათადარიგო მოსამართლის მონაწილეობით საქმის განხილვის განახლებისთანავე, დაცვის მხარემ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 435-ე მუხლზე დაყრდნობით, მოითხოვა მტკიცებულების ხელახლა გამოკვლევა. თუმცა, მოსამართლე პ.ს-მა აღნიშნული მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. უფრო მეტიც, მომჩივანმა მოითხოვა ორი დამატებითი მოწმის დაკითხვა, თუმცა ამ მოთხოვნასაც უარი ეთქვა. სააპელაციო სასამართლომაც იდენტური გადაწყვეტილება მიიღო და დაასკვნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ უკვე იმსჯელა ამ მოთხოვნაზე. ამ გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივანმა მოცემულ საკითხთან მიმართებით გადადგა ყველანაირი გონივრული და შესაძლო ნაბიჯი. სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები არ მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ სათადარიგო მოსამართლე დაინიშნა მომჩივნის საწინააღმდეგოდ საქმის შედეგის შეცვლის ან რაიმე სხვა უკანონო საფუძველით. თუმცა, საქმეზე სხვა ბრალდებულების, მოწმეებისა და ექსპერტების ჩვენებები წარმოადგენდა მომჩივნის მსჯავრდების მთავარ მტკიცებულებას. არცერთი ჩამოთვლილი პირი მოსამართლე პ.ს-ს უშუალოდ არ დაუკითხია. მან ასევე, უარი განაცხადა მომჩივნის მოთხოვნაზე, დაკითხულიყო ორი დამატებითი მოწმე. როგორც ზემოთ აღინიშნა, საქმის ფაქტობრივი გარემოებები კომპლექსური იყო და მოსამართლე საქმეს ერთპიროვნულად იხილავდა. აღნიშნულ გარემოებებში, მოწმეთა ჩვენებების ჩანაწერების ხელმისაწვდომობა ვერ აანაზღაურებდა უშუალოების ნაკლებობას. ამასთან, ზედა ინსტანციის სასამართლოებმა ძალაში დატოვეს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ისე, რომ უშუალოდ არ განუხილავთ არცერთი

მტკიცებულება, მიუხედავად იმისა, რომ მათ გააჩნდათ ამის უფლებამოსილება. შესაბამისად, არ შეიძლება ითქვას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს წინაშე არსებული ხარვეზი გამოსწორდა ზედა ინსტანციის სასამართლოების მიერ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ დაირღვა მომჩივნის სამართლიანი სასამართლოს უფლება, ვინაიდან პირველი ინსტანციის მოსამართლემ, რომელმაც მომჩივანს მსჯავრი დაადო, უგულვებელყო უშუალოების პრინციპი და ამ დანაკლისის კომპენსაციისთვის არ გატარებულა შესაბამისი ზომები. ამდენად, წინამდებარე საქმეზე დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი.

### **საკმარისი დასაბუთების ნაკლებობა**

მომჩივანი აგრეთვე დავობდა, რომ მისი მსჯავრდება არ იყო საკმარისად დასაბუთებული, ვინაიდან მისი არგუმენტი ოპერაციის დაწყებამდე ანესთეზიოლოგის არყოფნასთან დაკავშირებით, პასუხგაუცემელი დარჩა. კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის გათვალისწინებით, სასამართლომ დაასკენა, რომ არ არსებობდა ამ საჩივრის ცალკე განხილვის საჭიროება.

**დასკვნა:** დარღვევა (ერთხმად).

**მუხლი 41:** 3 500 ევრო არამატერიალური ზიანისთვის; მოთხოვნა მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

## ბათიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ

(Batiashvili v. Georgia)

საჩივარი №8284/07

10 ოქტომბერი, 2019

**ფაქტები:** მომჩივანი, ირაკლი ბათიაშვილი 1961 წელს დაბადებული საქართველოს მოქალაქეა და ცხოვრობს თბილისში.

2006 წლის ივლისში საქართველოში წარმოიქმნა დაძაბულობა იმის გამო, რომ შესაძლო იყო კოდორის ხეობაში მოქმედ შეიარაღებულ დაჯგუფებასა და ხელისუფლებას შორის კონფლიქტი დაწყებულიყო. აღსანიშნავია, რომ ეს დაჯგუფება 1992-1993 წლებში, საქართველოს მთავრობას აფხაზეთის სეპარატისტულ ძალებთან ბრძოლაში ეხმარებოდა. 2006 წლის ივლისის ბოლოს, საქართველოს ხელისუფლებამ თითქმის უსისხლო პოლიციის ოპერაციის შედეგად კოდორის ხეობაზე კონტროლი მოიპოვა.

2006 წლის 22 ივლისს დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც უკავშირდებოდა უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნასა და ხელმძღვანელობას. მომდევნო დღეს, საგამოძიებო ორგანოებმა მოიპოვეს ადგილობრივი შეიარაღებული ფორმირების ლიდერის სატელეფონო საუბრების მოსმენისა და ჩაწერის უფლება; შესაბამისად, აღნიშნული ფორმირების ლიდერისა და ოპოზიციის თვალსაჩინო წევრის, მომჩივნის სატელეფონო საუბარი იქნა ჩაწერილი. სატელეფონო საუბრის ჩანაწერი 2006 წლის 25 ივლისს ტელევიზიის მეშვეობით გავრცელდა. მომჩივანმა უარყო ვითარება და განაცხადა, რომ ჩანაწერი დამონტაჟებული იყო. მაღალი პოლიტიკური ფიგურები საჯაროდ აკეთებდნენ კომენტარებს ანტისამთავრობო საქმიანობაში მომჩივნისა და ადგილობრივი ლიდერის ჩართულობაზე და მომჩივნის დამნაშავეობის საკითხს კითხვის ნიშნის ქვეშაც კი არ აყენებდნენ. 2006 წლის 29 ივლისს, მომჩივანი დააპატიმრეს. მას ბრალი წარედგინა შეიარაღებულ დაჯგუფებასა და ხელისუფლებას შორის კონფლიქტში აფხაზი სეპარატისტების მონაწილეობის თაობაზე ხელისუფლების ორგანოებისთვის შეუტყობინებლობისა და შეიარაღებული დაჯგუფება „მონადირის“ ხელმძღვანელისთვის ინტელექტუალური მხარდაჭერის გამო. მომჩივანი

დამნაშავედ ცნეს, თუმცა უზენაესი სასამართლოს მიერ საჩივრის გადაწყვეტამდე, იგი პრეზიდენტმა შეიწყალა.

მომჩივანმა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე საჩივარი წარადგინა რამდენიმე საკითხთან მიმართებით. კერძოდ, კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პარაგრაფზე დაყრდნობით, ის დავობდა, რომ განჩინება მისი წინასწარი პატიმრობის თაობაზე არ იყო საკმარისად დასაბუთებული, ასევე, კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფზე დაყრდნობით, ის დავობდა, რომ სააპელაციო სამართალწარმოება, რომელიც ეხებოდა მისი პატიმრობის გადასინჯვას, ზეპირი მოსმენის გარეშე წარიმართა და აგრეთვე მისთვის ხელმისაწვდომი არ იყო საქმის მასალები. გარდა ამისა, კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პარაგრაფის საფუძველზე, მომჩივანი აცხადებდა, რომ პარლამენტის წევრების მიერ გაკეთებული განცხადებები და მისი სატელეფონო საუბრის დამონტაჟებული ვერსიის ტელევიზიით გავრცელება არღვევდა მის უდანაშაულობის პრეზუმფციას.

## სასამართლოს შეფასება

### კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პარაგრაფი

სასამართლომ კვლავ აღნიშნა, რომ საკითხი იმის თაობაზე, იყო თუ არა პატიმრობა გონივრული – უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით. ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებებში აღნიშნული მიზეზებისა და მომჩივნის მოთხოვნებში დოკუმენტირებული ფაქტების საფუძველზე, სტრასბურგის სასამართლომ უნდა იმსჯელოს იმის შესახებ, დაირღვა თუ არა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პარაგრაფით გათვალისწინებული დებულებები. გონივრული ეჭვის არსებობა იმის შესახებ, რომ დაპატიმრებულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული, არის განგრძობადი პატიმრობის კანონიერების წინაპირობა, თუმცა გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, მხოლოდ ეს საფუძველი საკმარისი აღარ არის. მსგავს საქმეებში, სტრასბურგის სასამართლომ უნდა დაადგინოს, ეროვნული სასამართლო ორგანოების მიერ წარმოდგენილი სხვა მიზეზები ამართლებდა თუ არა თავისუფლების შეზღუდვას. როდესაც ასეთი საფუძველი „შესაბამისი“ და „საკმარისი“ – სტრასბურგის სასამართლო აფასებს, ეროვნულმა ხელისუფლებამ გამოიჩინა თუ არა „განსაკუთრებული გულისხმიერება“ სამართალწარმოების მიმდინარეობის დროს. გამოძიების კომპლექსურობა და განსაკუთრებული ხასიათი ის ფაქტორებია, რომლებიც ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით გათვალისწინებული უნდა იქნეს.

რაც შეეხება წინამდებარე საქმის გარემოებებს, მთავრობის მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტების თანახმად, რომელიც მომჩივანს სადავოდ არ გაუხდია, ეს უკანასკნელი პატიმრობიდან გათავისუფლდა 2006 წლის 24 ნოემბერს. შესაბამისად, სასამართლომ განაცხადა, რომ მომჩივნის მიერ გასაჩივრებული წინასწარი პატიმრობა თითქმის ოთხ თვემდე გაგრძელდა. აღნიშნული პერიოდის გონივრულობა აბსტრაქტულად ვერ შეფასდება. ამასთან მიმართებით სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივნის თავდაპირველი პატიმრობის პერიოდი (2 თვე) განისაზღვრა პირველი ინსტანციის სასამართლოს 30 ივლისის განჩინებით, რომელიც შემდგომში, 3 აგვისტოს, მეორე ინსტანციამაც დაადასტურა. ეს პერიოდი გაგრძელდა ორჯერ, თითოეულ შემთხვევაში თითო თვით, პირველი ინსტანციის მიერ და შემდგომში დადასტურდა სააპელაციო სასამართლოს მიერაც. შესაბამისად, იმისათვის, რომ დადგინდეს, იყო თუ არა მომჩივნის პატიმრობა გონივრული, კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პარაგრაფის მნიშვნელობის ფარგლებში, სასამართლომ უნდა შეაფასოს ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებებში მოცემული მიზეზები, ისევე როგორც მომჩივნის მიერ გათავისუფლების თაობაზე განცხადებებში წამოჭრილი არგუმენტები.

სასამართლომ აღნიშნა, რომ გარდა გონივრული ეჭვისა, რომ მომჩივანმა ჩაიდინა მისთვის ბრალად წარდგენილი ქმედება, ეროვნულმა სასამართლომ მისი გათავისუფლების საწინააღმდეგო არგუმენტებად მიუთითა მიმალვის საფრთხის არსებობა, თუმცა ამ მიმართულებით ბევრი შეფასება არ გაუკეთებია, და აგრეთვე, მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლის რისკები. ამ უკანასკნელ არგუმენტთან დაკავშირებით, ეროვნულმა სასამართლოებმა გაითვალისწინეს, რომ გამოძიება აქტიურ ფაზაში იყო და ძირითადად, მიუთითეს იმ ფაქტზე, რომ აღნიშნულ საქმეზე კიდევ ერთი ბრალდებული მიმალვაში იყო; ამასთან, პოტენციური მოწმეები ჯერ დაკითხული არ იყო. მომჩივნის შუამდგომლობას, რომელიც ეხებოდა მის მიმართ არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას, იმავე საფუძველებით უარი ეთქვა. მოცემული საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ ზემოთ მოცემული მიზეზები წარმოადგენდა მომჩივნის პატიმრობის გაგრძელების შესაბამის და საკმარის საფუძველებს.

თუმცა, სტრასბურგის სასამართლომ უნდა შეაფასოს ეროვნულმა ხელისუფლებამ გამოიჩინა თუ არა „განსაკუთრებული გულისხმიერება“ მომჩივნის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი საქმის წარმოების დროს. ეროვნული სასამართლოები გამუდმებით უთითებდნენ საქმის კომპლექსურობაზე იმასთან დაკავშირებით, რომ საგამოძიებო ორგანოებმა ვერ შეძლეს ოთხი თვის

განმავლობაში გამოძიების დასრულება; სასამართლოები აგრეთვე, უთითებდნენ მომჩივნის მიერ მოწმეებზე ზემოქმედების და მტკიცებულების განადგურების საფრთხეზე. ეროვნულმა სასამართლოებმა განაცხადეს, რომ საგამოძიებო ორგანოების მხრიდან ადგილი არ ჰქონდა თვითნებურ გაჭიანურებას. სტრასბურგის სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ მომჩივანი გამოძიების დასრულების შემდეგ პატიმრობიდან გათავისუფლდა. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, არ შეიძლება მიჩნეულ იქნას, რომ საგამოძიებო და სასამართლო ხელისუფლების ორგანოებმა მომჩივნის საქმის განხილვის დროს არ გამოიჩინეს განსაკუთრებული გულისხმიერება.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პარაგრაფის დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

### **კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფი**

სასამართლომ განაცხადა, რომ კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფის მიხედვით, პროცედურული სამართლიანობის მოთხოვნა არ ადგენს ერთიან სტანდარტს, რომელიც გამოყენებული უნდა იყოს კონტექსტის, ფაქტებისა და გარემოებების მიუხედავად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრეცედენტული სამართლის მიხედვით, სამართალწარმოება შეჯიბრებითი უნდა იყოს და უზრუნველყოფდეს „თანასწორობას“ მხარეებს, პროკურორსა და დაპატიმრებულ პირს შორის. ეროვნული კანონმდებლობა ამ მოთხოვნას შეიძლება სხვადასხვა ფორმით აკმაყოფილებდეს, თუმცა რა მეთოდიც არ უნდა იქნეს შერჩეული, ის უნდა უზრუნველყოფდეს, რომ მეორე მხარეს მიეწოდება ინფორმაცია წარდგენილი მტკიცებულებების შესახებ და მათზე საპასუხო კომენტარების გაკეთების შესაძლებლობა მიეცემა.

სასამართლომ განაცხადა, რომ ნორმალურ პირობებში კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფის პროცედურული მოთხოვნები შესრულებულია, როდესაც დაპატიმრებული პირი წარედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოს, რომელმაც იმსჯელა გათავისუფლების შესახებ მის შუამდგომლობაზე, თუნდაც სააპელაციო წარმოების დროს, მეორე ინსტანციის სასამართლოს წინაშე განხილვას იგი თავად არ დაესწროს.

რაც შეეხება წინამდებარე საქმის გარემოებებს, სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანი პირველი ინსტანციის სასამართლოს წინაშე ესწრებოდა ყველა სასამართლო პროცესს, რომელიც ეხებოდა მის წინასწარ პატიმრობას, ხოლო სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო ზეპირი მოსმენის გარეშე, მის წინაშე არსებული საქმის მასალების საფუძველზე. ეს განჩინებები შეიცავდა შესაბამის დასაბუთებას იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ დარჩა ძალაში ქვედა ინსტანციის სასამართლოს განჩინებები. შესაბამისად, ამ

მიმართულებით კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფის მოთხოვნები შესრულდა.

რაც შეეხება მომჩივნის ხელმისაწვდომობას საქმის მასალებზე, სტრასბურგის სასამართლომ საქმეზე გალუაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (განჩინება) №40008/04, 2006 წლის 24 ოქტომბერი) აღნიშნა, რომ იმ დროს მოქმედი ქართული კანონმდებლობის მიხედვით, გადასინჯვის პროცედურები სწრაფი წესით უნდა ყოფილიყო განხილული. აღნიშნული მოთხოვნის გათვალისწინებით, რაც ასევე კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფის ძირითად პრინციპს წარმოადგენს, ეროვნულ სასამართლოებს ვერ მოეთხოვებათ ყველა გარემოებაში უზრუნველყონ მხარეებს შორის მტკიცებულებების გაცვლა, ვინაიდან ეს საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულ 24-საათიან ვადაში გადაწვევტილების მიღებას შეუძლებელს გახდიდა. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივნის ან მისი წარმომადგენლის მიერ საქმის მასალებზე ხელმისაწვდომობის უფლების ნებისმიერი შეზღუდვა მკაცრად აუცილებელი უნდა იყოს საპირწონე საჯარო ინტერესით. იქ, სადაც არ არის შესაძლებელი საქმის მასალების სრული ხელმისაწვდომობა, კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფი მოითხოვს, რომ ამით გამოწვეული სირთულეები დაბალანსებული იყოს იმგვარად, რომ პირს კვლავ ჰქონდეს შესაძლებლობა, ეფექტურად გაასაჩივროს მის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდებები.

ამასთან დაკავშირებით, სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივნისთვის ცნობილი იყო შესაბამისი მტკიცებულებების სია. იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივნის წინააღმდეგ ბრალდებები ეხებოდა მის მიერ შეიარაღებული დაჯგუფების ლიდერისთვის მხარდაჭერის გაწევას, რაც მას გამოთქმული ჰქონდა თავის სატელევიზიო გამოსვლებში, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ ზემოხსენებული ლიდერის მიერ გაკეთებული განცხადებები საჯარო იყო და მათ შორის განხორციელებული სატელეფონო საუბარი მედიით გაშუქდა, ეს ფაქტორები აბალანსებდა მომჩივნის დაპატიმრების თავდაპირველ ეტაპზე მის შეზღუდულ ხელმისაწვდომობას საქმის მასალებზე, ვინაიდან მას კვლავ შეეძლო მის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდებების ეფექტური გასაჩივრება. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლომ კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფთან მიმართებით დარღვევა არ დაადგინა.

### **კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პარაგრაფი**

სასამართლომ გაიმეორა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პარაგრაფით დაცულია უდანაშაულობის პრეზუმცია, რომელიც სამართლიანი სასამართლო უფლების არსებითი შემადგენელი ნაწილია. კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პარაგრაფი კრძალავს წინასწარი აზრის გამოხატვას, რომ პირი „რომელსაც

ბრალი ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში“ დამნაშავეა, ვიდრე კანონის შესაბამისად არ დადგინდება მისი დამნაშავეობა. ეს აკრძალვა აგრეთვე ვრცელდება ხელისუფლების წარმომადგენლებზეც; მიმდინარე სისხლისსამართლებრივ გამოძიებასთან დაკავშირებით, მათ არ უნდა გააკეთონ ისეთი განცხადებები, რომლებიც საზოგადოებას ბრალდებულის დამნაშავეობაში დაარწმუნებს.

სტრასბურგის სასამართლომ აგრეთვე განაცხადა, რომ კონვენციის მე-10 მუხლით უზრუნველყოფილი გამოხატვის თავისუფლება მოიცავს ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლებას, რაც გარკვეულწილად, მოიცავს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლებასაც. შესაბამისად, მე-6 მუხლის მე-2 პარაგრაფი ვერ შეზღუდავს ხელისუფლების წარმომადგენლებს მიმდინარე სისხლისსამართლებრივ გამოძიებასთან დაკავშირებით ინფორმაცია მიაწოდონ საზოგადოებას, თუმცა აღნიშნული დანაწესი მოითხოვს, რომ მათ ეს გააკეთონ უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლების დაცვით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანი ასახივრებდა ხელისუფლების მიერ პრესისთვის ინფორმაციის მიწოდების დასაშვები ფარგლების დარღვევას, კერძოდ, ის აცხადებდა, რომ მასსა და დაჯგუფების ლიდერს შორის სატელეფონო საუბარი მედიაში გავრცელებამდე დამონტაჟდა ისე, რომ ამოიჭრა საუბრის გარკვეული ნაწილი და შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ მომჩივანმა შესაბამის უწყებას არ აცნობა დანაშაულის შესახებ. შემდეგში მომჩივანს ბრალი დაედო სწორედ დანაშაულის შეუტყობინებლობაში. მხარეების მიერ წარდგენილი პოზიციები განსხვავდება როგორც იმასთან დაკავშირებით, იყო თუ არა საუბრის ჩანაწერი დამონტაჟებული, აგრეთვე იმასთან მიმართებით, ეს ჩანაწერი ხელისუფლებამ დაამონტაჟა თუ კერძო ტელევიზიამ.

სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანს თანმიმდევრული პოზიცია ჰქონდა, რომელიც ეროვნულ დონეზე არაერთხელ გააჟღერა, მათ შორის პოლიციის მიერ პირველად დაკითხვის დროს. კერძოდ, ის აცხადებდა, რომ აუდიოჩანაწერი იმგვარად იყო დამუშავებული, რომ მასსა და ე.კ-ს შორის დიალოგის მნიშვნელოვანი ნაწილი ამოღებული იყო; ამ უკანასკნელმაც დაადასტურა, რომ მომჩივანმა სამხედრო დახმარებაზე მას უარი განუცხადა.

განსხვავებით მომჩივნისგან, მთავრობის მიერ ეროვნულ დონეზე და სტრასბურგის სასამართლოსთვის წარმოდგენილ ინფორმაციას შორის შეუსაბამობა იკვეთებოდა. მთავრობამ ევროსასამართლოს წინაშე განაცხადა, რომ ეროვნულ დონეზე არსებობდა აუდიოჩანაწერის ერთადერთი ვერსია – ის, რომელიც ტელევიზიით გაშუქდა შეესაბამებოდა მომჩივნის საქმის მასალებში არსებულ ჩანაწერს. ამის საპირისპიროდ, პროკურატურამ დაადასტურა



ჩანაწერის სრული ვერსიის არსებობა, რომელიც მომჩივნის პირად საქმეში მტკიცებულების სახით იყო წარმოდგენილი და შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოამზადა; მისი ავთენტურობა და სანდოობა არასდროს დამდგარა ეჭვქვეშ. შესაბამისად, აუდიოჩანაწერის სრული არსებობა დადასტურდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებული ჩანაწერის ტრანსკრიპტით. ამრიგად, სტრასბურგის სასამართლომ დაასკვნა, რომ ეროვნულ დონეზე არსებობდა ჩანაწერის ორი ვერსია, რასთან დაკავშირებითაც მთავრობამ სათანადო ახსნა-განმარტება ვერ წარმოადგინა.

რაც შეეხება საკითხს, თუ ვინ დაამონტაჟა აღნიშნული ჩანაწერი, მთავრობის არგუმენტი ეროვნულ დონეზე იყო ის, რომ კერძო ტელევიზიამ ალბათ შეამცირა ვიდეო, რაც საეთერო დროის შეზღუდულობით იყო განპირობებული. სტრასბურგის სასამართლოს წინაშე კი მთავრობამ განაცხადა, რომ კერძო ტელევიზიის გადასაწვევტი იყო, თუ რომელ ნაწილს მიიჩნევდა იმდენად მნიშვნელოვანად, რომ ეთერში გასულიყო. სტრასბურგის სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ორივე არგუმენტზე. პირველ რიგში, ის არგუმენტი, რომ ტელევიზიას შეზღუდული საეთერო დრო ჰქონდა, არ არის დამაჯერებელი, ვინაიდან იმ ჩანაწერის ხანგრძლივობა, რაც ტელევიზიით გადაიცა, ერთი წუთი და ორმოცი წამი იყო. იმ ჩანაწერის ხანგრძლივობაც, რომლის ტრანსკრიპტიც მოცემული იყო სისხლის სამართლის საქმეში, იდენტური იყო. რაც შეეხება იმ ზოგად არგუმენტს, რომ ტელევიზიას შეეძლო ეთერში გაეშვა დიალოგის ის ნაწილი, რომელსაც ის საჭიროდ მიიჩნევდა, ეს არ შეესაბამება სტრასბურგის სასამართლოს წინაშე მთავრობის მიერ წარდგენილ პოზიციას, რომ არსებობდა ჩანაწერის მხოლოდ ერთი ვარიანტი.

ზემოხსენებულ საკითხებთან ერთად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ჩანაწერი მედიას შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიაწოდა. უფრო მეტიც, სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო აღნიშნული ტელევიზიისთვის მომჩივნის მიერ მიცემულ ინტერვიუს მას შემდეგ, რაც გაურცელდა სადავო ჩანაწერი, სადაც ჟურნალისტმა განაცხადა, რომ მედიის მიმართ ვერ იარსებებს მოლოდინი იმისა, რომ გადაამოწმოს მათთვის გადაცემული ინფორმაცია, როდესაც არსებობს საპირწონე საჯარო ინტერესი განსაკუთრებით ისეთ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით, როგორცაა სამხედრო აჯანყება. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა, არსებობდა თუ არა „გონივრულ ეჭვს მიღმა“ სტანდარტი მომჩივნის მტკიცებასთან დაკავშირებით, რომ აუდიოჩანაწერი მედიისთვის გადაცემამდე დამონტაჟდა. ამასთან მიმართებით, სასამართლომ განაცხადა, რომ მტკიცებულების შეფასებისას ის არ არის შეზღუდული რაიმე წესებით და გადაწყვეტილებას იღებს ყველა მტკიცებულების თავისუფალი შეფასების

შედგება. სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნის ეჭვი ვიდუოხანაწერის დამონტაჟებასთან დაკავშირებით საფუძვლიანი იყო.

რაც შეეხება იმას, შეესაბამება თუ არა მსგავსი ქმედება კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პარაგრაფს, სასამართლომ აღნიშნა, მართალია, აუდიოჩანაწერი ტელევიზიით გაშუქდა 2006 წლის 25 ივლისს და მომჩივანს ოფიციალურად ბრალი წარედგინა 2006 წლის 29 ივლისს, თუმცა ის მოვლენებს მთლიანობაში შეაფასებს. კერძოდ, სასამართლომ ყურადღების მიღმა არ დატოვა ის ფაქტი, რომ ჩანაწერი მოპოვებულ იქნა 2006 წლის 22 ივლისს დაწვებული წინასწარი გამოძიების ფარგლებში. უფრო მეტიც, საგამოძიებო ორგანოებმა ჩანაწერის მედიისთვის გადაცემამდე მონტაჟის მეშვეობით იმგვარი ფონი შექმნეს, თითქოს დაჯგუფების ლიდერი, ე.კ. აჯანყების ფარგლებში თანამშრომლობდა აფხაზ სეპარატისტებთან და მომჩივანი ამ ყოველივეს ამართლებდა. 2006 წლის 26 ივლისს, მომჩივანი მოწმის სტატუსით დაიკითხა, მან განაცხადა, რომ აუდიოჩანაწერი დამონტაჟებული იყო. ხელისუფლების ორგანოებმა მისთვის ფორმალურად ბრალის წაყენება და დაპატიმრება მხოლოდ ოთხი დღის შემდეგ, 2006 წლის 29 ივლისს გადაწყვიტეს. ერთ-ერთი ბრალდება ეფუძნებოდა მხოლოდ დამონტაჟებულ აუდიოჩანაწერს, რომელიც მედიაში გავრცელდა. მოვლენების ეს თანმიმდევრობა, მთლიანობაში აღებული, ცხადყოფდა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პარაგრაფის მიზნებისთვის, მომჩივნის მდგომარეობაზე გავლენა იქონია საგამოძიებო ორგანოების ქმედებამ, რომელმაც მტკიცებულების გაყალბებით მომჩივანთან მიმართებით არასწორი ეჭვები გააჩინა, რათა შემდგომში ამ მასალაზე დაყრდნობით მისთვის სისხლისსამართლებრივი ბრალი წარედგინათ. მართალია, პირველი ინსტანციის სასამართლოს წინაშე საქმის წარმოების დროს მომჩივნის წინააღმდეგ ბრალდება გაუქმდა, თუმცა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ საბრალდებო დასკვნაში, რომელიც სასამართლოს გადაეცა 2006 წლის 24 ნოემბერს – თითქმის ოთხი თვის შემდეგ, რაც ის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდა – კვლავ მოხსენებული იყო აღნიშნული ბრალი მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო მტკიცებულების სიყალბე. ამ გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნის დამნაშავედ წარმოჩენა გაცდა აუდიოჩანაწერის მედიისთვის გადაცემის ფაქტს და გაგრძელდა დაახლოებით, ოთხი თვის განმავლობაში.

სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ სატელეფონო აუდიოჩანაწერის ტელევიზიით გაშუქების შემდეგ, პარლამენტის წევრებმა გააკეთეს რამდენიმე განცხადება და გამოთქვეს მოსაზრებები კოდორის ხეობაში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით მომჩივნის როლზე. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის სატელეფონო საუბრის ჩანაწერის

დამონტაჟება, რაშიც სახელმწიფო უწყება იყო ჩართული და ამ ფორმით მოცემული ჩანაწერის ტელეარხით გავრცელება, ემსახურებოდა მომჩივნის დამნაშავედ წარმოჩენას სასამართლოს მიერ მისი ბრალის დადასტურებამდე, რითაც დაირღვა მისი უდანაშაულობის პრეზუმფცია.

ამრიგად, სტრასბურგის სასამართლომ კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პარაგრაფის დარღვევა დაადგინა.

### **კონვენციის მე-18 მუხლი მე-5 მუხლის 1-ელ პარაგრაფთან ერთობლიობაში**

სტრასბურგის სასამართლომ არ განიხილა საჩივრის ის ნაწილი, რომლითაც მომჩივანი მე-18 და მე-5 (1) მუხლების (პოლიტიკური დევნით დაკავება) ერთობლივი დარღვევით დავობდა. სასამართლომ განაცხადა, რომ მომჩივნის წინასწარი პატიმრობა განხორციელდა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიზნებისთვის. ამდენად, შეფასების საგანს წარმოადგენდა მისი თავისუფლების შეზღუდვისათვის ხომ არ არსებობდა რაიმე სხვა ფარული მოტივები.

სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ ოპოზიციის წარმომადგენლის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა, ისევე როგორც მომჩივნის დაპატიმრებასთან დაკავშირებით პოლიტიკოსების განცხადებები, ვერ მიიყვანდა სასამართლოს დასკვნამდე, რომ ეროვნული სასამართლოები მოქმედებდნენ ფარული მოტივებით, რათა მომჩივანი ჩამოშორებოდა პოლიტიკურ საქმიანობას. სასამართლოს წინაშე არსებული საქმის მასალები, აგრეთვე მომჩივნის წინააღმდეგ განხორციელებული სწრაფი და დასაბუთებული ეროვნული სამართალწარმოება, არ მიუთითებდა, რომ მომჩივნის პატიმრობის უკან მსგავსი მოტივები იდგა.

ამრიგად, სასამართლომ აღნიშნა, რომ საჩივარი ამ ნაწილში აშკარად დაუსაბუთებელი იყო.

### **დასკვნა**

არ დარღვეულა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პარაგრაფი.

არ დარღვეულა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფი.

დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პარაგრაფი.

**სამართლიანი დაკმაყოფილება:** სახელმწიფოს მომჩივნის სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურების სახით 3 600 ევროს გადახდა დააკისრა.